

კვირის პალიტრა

მზა

N45(178) 6/XI.-12/XI.2003.

ფასი 60 თ.

1168
2003

დედიკოს
ბიჭები

ნუ ქართული
ფეხების
მოტივითი
თავისებურება

„შენ თუ გეტყვი,
დედა, ცოლს
ქურაში გავაგდე...“

თინო-ლაინო — ნაგასუსევეშ დანახული არჩევნები



მარჩილი —
ქანა კალაძე
უხსოვლ ქაღზე
დაქორწინდება?!



ლევან ნუღაძის
გეულლე გაკა ასათიანის
სილაგაზემ დაღუპა...

გქ

გვ. 8

**საპატარალო —
„ენის“ მამარი
გოგონა
ვაკა გაბიჭავიძე
სიყვარულისთვის
სხვენს
არ დათმობს**

**„ჩემი გული
თავისუფალია.
მისი დაპატარავება
კი, არც ისე
იოლი...“**



მინიატურები	
მხიარული კარსელი ანუ ეგვიპტელებითა და „სხვაგვარი“ „სხვაგვარი“ დათვლილი ხეები	3
ერთი კითხვა	4
აინონა-აინონა	
ნაბახსევამ დანახული არჩევნები	6
საპატარალო	
● „ანი, სწორედ ის ხარ, ვინც მჭირდება!“	7
● „ენის“ მზარდი გოგონა სიყვარულისთვის სტენას არ დათმობს...	8
პროფესიონალი	
მონაკოს პრინცი გაფსულში ღვინის ჩამოღობის... პრეზიდენტის ბათისებრი „სამუშაო“!	10
გზავნილები	
„ვერ გივიწყებ, ჩემო კარგო, ტაშკენტში შენზე ვფიქრობ...“	12
ქვენილები	
ყველაზე „სტაქიანი“ მოუხელთებლები მსოფლიოში	13
კრიმინალი	
● „არს სანამართლოსი მჯერა“ – ბანასხაზა ჩვენებისა ჩონი ბიბანა	14
● ახალდაქორწინებულების დაყარვას თავად ბორბორბორი ემსხვერვა	15
● „დანას გულში ვურტყამდი... მაღე მოკრობას ვენწყობა...“	17
თარგები	
თამარ ნიკლაურის შვილიშვილი პაპის სიმღერას ეჭვის თვალთ უყურებს...	18
მამაკაცური ონება	
გურა ვალაჟორია ქალისგან ფულის ამღები კასია?!	20
თემა	
„დედიკოს ბიჭები“ ანუ ქართული ოჯახის გოგონები თავისეზურება	22
მარჩილი	
„ეს პოპულარული ალაგინების სველია“	26
საქმიანი ქალი	
„ბერბას“ იარაღით აღჭურვილ მორთქინას არს მგლოლი სჭირდება და არს პირადი დანა	28
ბახსი	
მოსკოვში საქმიანო დანსულმა მომღერალმა ანტალიაში ამოყო თავი	29
ანტიდაკრესანტი	
ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი გოგა ღვალის უბის წიგნაკიდან	30
გამოხეზურება	
„მეშინია, შვილმა არ მიტხრას – მამაჩემს კარგი ცოლია ვერ გაუწიო...“	30

„დედიკოს ბიჭები“ ანუ ქართული ოჯახის გოგონები თავისეზურება



ფსიქოლოგების ამრით, მამაკაცი, რომელიც თავს ვერ აღწევს დედის მეგაფლენას, „დედის კომპლექსითაა“ შეპყრობილი. მაგრამ რაც ყველაზე სამწუხაროა, ასეთ მამაკაცს დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღება არ შეუძლია. ის ბოლომდე „დიდ ბავშვად“ და ე.წ. „დედიკოს ბიჭად“ რჩება.

22

აგობილისა და ხენის პრემიას მანანა კახაიძე აღრენალინე ემბება...

თეატრალური სარდაფის მომხიბვლელი მსახიობი მანანა კახაიძე (ცნობილი მსახიობის მისაილ კახაიძის ქალიშვილი) „გოლფ-2“-ის საჭეს უბის და მშვიდად დედის თბილისის ქუჩებში. მანქანის გამოცვლის სურვილი მას ჯერ-ჯერობით მხოლოდ იდეის დონეზე აქვს, რადგან...



32

ახალდაქორწინებულების დაყარვას თავად ბორბორბორი ემსხვერვა



თავდამსხმელები, სამივე მათგანის მოკვლას შეეცადნენ. მაგრამ მათ ჩანაფიქრს განხორციელება არ ეწერა: საკუთარი თავისა და ოჯახის წევრების დასაცავად, დამარალებულმა პისტოლეტიდან გასროლით ერთ-ერთი დამყარალებული მოკლა.

15

თამარ ნიკლაურის შვილიშვილი პაპის სიმღერას ეჭვის თვალთ უყურებს...

...მერე, მგონი, ბებიასაც გაანდო თავისი საიდუმლოება. ასეა – პაპა როგორც არ უნდა გიყვარდეს, დედისა და ბებიის სიყვარული სულ სხვაა. პაპა მაინც ვაჟკაცური ფონია მისთვის. გაუბედაობის გადალახვაში, შეუცნობლის შეცნობაში დახმარება პაპის ვალი.



18

ქალი საქსთაჲ	
ავტომობილისა და ცხენის მართვისას მანანა კაგაპოვას აღრანაღინი ემატება...	32
ტაქარი	
რა არის მღვდელმსახურთა შემთავრების მოქალაქეობა?	34
სასარგებლო აზრები	
აუტორიტეტის ენციკლოპედია	35
ლეგიონერი	
კარლოს და როჩა: „საღაც არ უნდა წავიდე, ყველგან დიდი სიყვარულით ბავისხენებ საქართველოს“	36
ვარსკვლავები	38
ნამდვილი ავაზი	
როგორ დავასაფლავებთ მემობრის 104 წლის აბააკო ბაბუა	40
რომანი	
რუსულან ბერიძე. ღაგიანაშვილი რეისი მისკოვი-თბილისი (ბაბრქელაბა)	42
ტესტი	
ერთგული მკითხველი	43
პირიპირინოსები	
დელოვალი ბეატრიქსი – მკაცრი მონარქი და ოჯახის სიმყუდროვის დამცველი	46
NBA-ს ისტორიიდან	
კალათბურთის გზა „პოპ-ტა-პოპიდან“ ამერიკული ლიგის სუპერმეგობრებამდე	49
ღიზიანერი	
რას მოღაშია, ის აღარაა საინტერესო...	53
ავტო	54
საქითხავი ქალბატონის	55
იუმორი	56
ჯანმრთელობა	
<ul style="list-style-type: none"> • „სემსომანი“ – ახალი დაავადება • ავადმყოფური სახლის სინდრომი • შვეუბითო ჰიპერტონიას • სასარგებლო რჩევები 	57 57 58 59
ჰოროსკოპი	
კვირის (10-16 ნოემბერი) ასტროლოგიური პროგნოზი	60
სკანოვრდი	61
ტესტი	
არის თუ არა თქვენი ოჯახი მყარი	63
ქალაქდოსკოპი	
ჭრელ-ჭრელი ამბები	64

ბარეკანა: ბიორგი ჟორჟოლიანის კოლაჟი


საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“ ბაზოლის კვირავი მრთხელ, სუთშაბათობით ბაზოთ „კვირის პალიტრის“ ღამათჰაჰა

ჟურნალი ზელმდგანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მენეჯერი: კიაზო ბინინაშვილი

მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8
ტელ: 33-50-32 email: gza@kvirispalitra.com
ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

კარლოს და როჩა: „დიდი სიყვარულით ბავისხენებ საქართველოს“



ქუჩაში ხშირად მცნობენ და მეგობრულად მეძახიან სოლმე – კარლოს!.. მომმართავენ სოლმე ავტოგრაფისთვის, უმეგესად – ახალგაზრდა გოგონები. ჩემი თბილისელი მეზობლები, ყოველი წაგებული თამაშის შემდეგ, მარცხის მიზეზს მეკითხებიან სოლმე, ამიტომ მე მათ წინაშეც პასუხისმგებელი ვარ.

36

რას მოღაშია, ის აღარაა საინტერესო...

– დამიკავშირდა „მის საქართველო“ – ირინა ონაშვილი. ის დეკემბერში მიემგზავრება „მის მსოფლიოს“ კონკურსზე, რომელიც წინეთში, ერთ-ერთ კუნძულზე გაიმართება. იქ გემპერაგურა +30 გრადუსი იქნება, ამიტომ მოდელეები საზაფხულო ქსოვილებისგან შევქმენი.



53

პარკენ ელექტრა, აპრობიკა-სტრისტიზის პოპულარიზაციას ენეგ



ელექტრამ ქორეოგრაფი რობინ ანგინი მიიწვია, რომელთანაც იგი ერთ-ერთ საგელევიზიო ღამის მოუში თანამშრომლობდა. იმასაც ამბობენ, რომ კარმენი რჩევებს იღებდა თავისი მეგობრისგან, „ჩარლის ანგელომების“ ერთ-ერთი დამდგმელისგან, რომლის ფსევდონიმიცაა მაკგი.

38

დაგვიანებული რეისი მოხეივი-თბილისი

– კი, გენაცვალე, – გამხიარულდა ბადრი, – მითხარი, რა პირობაა? – დიდი არაფერი, – თვალი თვალით გამომცდელად გაუყარა დეამ. – უნდა შემპირდეთ, რომ მეორედ „მეყუთს“ აღარ „დაქოშავთ“ და გიგოლას მართლა გააგორებინებთ...



42

მხიარული ყარყვინელი ახე ეგზოპოლიტიოს და „სხვაეგზოპოლიტიოს“ დათვლილი ხმენი



არჩევნები ყველა ქვეყნისათვის დიდ დღესასწაულად ითვლება და ჩვენ რა ღვთის გლახები ვართ ისეთები, რომ დღესასწაული არ ვუწოდოთ იმ „ისტერიულ“ თარიღს, როცა მოსახლეობას შანსი მიეცა „უკეთესსა“ და „საუკეთესოს“ შორის უარესის არჩევისა?!

ჰოდა, 2 ნოემბერს საქართველო ნამდვილ საცირკოსანახაობად და ერთ დიდ ატრაქციონად იქცა: დატრიალდა „ბასტი-ბუბუს“ მხიარული კარუსელი“ და ისეთი ზეიმი მოეწყო, რომ გაოგნებული საერთაშორისო დამკვირვებლები აღფრთოვანებას ვერ ფარავდნენ. თუ როგორ გახდა ლიდერი, სახელისუფლებო ბლოკი, რომელიც მთელი დღის განმავლობაში, ყველა ფრონტზე აგებდა, ეს მათთვის ამოუხსნელ საიდუმლოებად რჩება, მაგრამ არანაკლები „ფოკუს-მოკუსები“ რომ იხილეს, დარწმუნდნენ, რომ ქართული პოლიტიკური სავსეა დევიდ კოპერფილდებითა და გარი გუდინებით.

დამკვირვებელთა განსაკუთრებული მოწონება ხვდა წილად ცესკოს ფოკუსს, რომელსაც სიებიდან ათიათასობით ამომრჩევლის გაქრობა ჰქვია, მაგრამ მთლად ღია დარჩათ პირები, როცა დაინახეს, თუ როგორ გაქრა ცარიელი ურნები უბნებიდან და სულ რამდენიმე წუთში როგორ გაჩნდა იგივე ურნები ზოგიერთი მაფორიტარი კანდიდატის შტაბში, უკვე სავსე მდგომარეობაში!..

– შაითან! შაითან! – იძახდნენ ისინი.
– ახლა გინდ შაიტანე და გინდ გამაიტანე ეგ შენი „რუმბივით გაყალბებული“ არჩევნები! – ხითხითებდნენ პასუხად მაფორიტარები...

საარჩევნო ფონგლიორობით კი, თავი ისახელებს მცხეთისა და ბოლნისის რაიონების მაფორიტარმა კანდიდატებმა №1 „საცირო დასიდან“, რომლებმაც 2-3-ჯერ მეტი ხმა მიიღეს, ვიდრე ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა იყო ამ რაიონებში. მათ არც „ბათუმური დასი“ ჩამორჩა, რომელმაც მის მიერ „პრივატიზებული“ ავტონომიის ფარგლებში, მოსახლეობის 100%-იდან, ხმების 150% მიიღო და ამ სასწაულისათვის „გინების“ რეკორდების წიგნშიც კი მოხვდა...

არანაკლები ეფექტი მოახდინეს უცხოელებზე იმ საუბნო კომისიების თავმჯდომარეებმა, რომლებიც

კლოუნების ამპლუაში წარდგნენ „მაყურებელთა“ წინაშე: ერთმა მათგანმა ავადმყოფობა გაითამაშა და თანამდებობა ცოლს „უანდერბა“ – ალბათ იფიქრა: ჯერ არ მიუცია სხვისთვის „ხმა“ და რაღა ახლა მიღალატებსო?! მეორე კლოუნი კი, იქვე არჩევნებზე „მოკრუნდა“ და ისე დააჯდა ურნა-„საბუდარს“, რომ უამრავი შემოსახული ბიულეტენი „გამოჩეკა“...

არჩევნების შედეგებს, დამკვირვებლებისა და ჟურნალისტების გარდა, თურმე ცესკოც უნდა ითვლიდეს. თუმცა, მედიაცენტრი თუ ეგზოპოლიტიოსით ითვლიდა, ცესკო „სხვაეგზოპოლიტიოს“ მიმართავდა და განსხვავებაც დიდი დაფიქსირდა ამ ორ მონაცემს შორის. მაგრამ ეს არცაა გასაკვირი, რადგან ეგზოპოლიტიოსში ზომ არ შესულა ხმების ის რაოდენობა, რომელიც „№1“-მა მიიღო ისეთი მშვიდი და სტაბილურობით გამორჩეული საარჩევნო ოლქებიდან, როგორებიცაა კუკისა და მუხათგვერდის სასაფლაოები, მთაწმინდისა და დიდუბის პანთეონები და ა.შ...

მოკლედ, საარჩევნო-საცირო ატრაქციონმა გამჭვირვალედ ჩაიარა და იუმორის გრძნობას

მოკლებული ჟურნალისტები უშლიდნენ ხელს, თორემ, მთლად ისე გამჭვირვალედ ჩაივლიდა, რომ ვერც კი შევამჩნევდით, არჩევნებმა ჩაიარა თუ არა.

იმას კი, ვინც ამომრჩეველთა სიაში ვერ მოხვდა, როგორც ცოცხალი, მომავალ არჩევნებამდე რეალური შანსი ჯერ კიდევ აქვს...

P.S. ცოლი:

– ჩემი საყვარელი პოლიტიკოსი რომ ვერ გავიღეს არჩევნებში, თავს მოვიკლავ, იცოდე!..

ქმარი:

– ჰოდა, ახლავე რომ მოიკლა, ის ჯობია! ასე ამომრჩეველთა სიაში მაინც მოხვდები და შენს ერთ ხმასაც შეაწევ...

პროპოკატორი



კონსტიტუციური უფლების დაცვა



თუ დესტაბილიზაციის მსდგომია

— უკვე მესამე დღეა, თბილისის ქუჩაგში მიმდინარეობს მიტინგი მოთხოვნით — აღიაროს ხელისუფლებამ ოპოზიციის გამარჯვება! როგორ შეაფასებთ ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებს და როგორ ფიქრობთ — ხომ არ იქცევა მშვიდობიანი აქცია უმართავი პროტესტის მიზნად?

ნინო ბურჯანაძე, „ბურჯანაძე-დემოკრატები“:

— ბოლოს და ბოლოს, ამ ქვეყანაშიც პასუხი უნდა აგონ იმ ადამიანებმა, ვინც ხალხი უკიდურეს ზღვრამდე მიიყვანა. ხელისუფლებამ პასუხისმგებლობა თავის თავზე უნდა აიღოს. ჩვენ არ დავთმობთ ჩვენი ამორჩევლების ხმებს!

მიხეილ სააკაშვილი, „ნაციონალური მოძრაობა“:

— თუ არ იქნება აღიარებული ოპოზიციის გამარჯვება, პრეზიდენტის დაუყოვნებლივ გადადგომის შესახებ ლოზუნგს არ შევცვლი. იმიტომ კი არ დავვიჭირა ხალხმა მხარი, რომ ამ ქურდებმა და ბანდიტებმა ხმები მოგვპარონ...

დავით გამყრელიძე, „ახალი მემარჯვენეები“:

— ხმები იმის შესახებ, რომ 7%-იან ბარიერს ვერ გადავლასავთ, არარეალურია. წინა პარლამენტში 10-კაციანი ფრაქცია გვყავდა, მაგრამ უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებებს ვიღებდით. ამჟამად, პარლამენტში 30 კაცის გაყვანას ვვარაუდობთ. რაც შეეხება ჭორებს იმის თაობაზე, თითქოს აჭარაში ხმების ჩამოსატანად წავედით და იქ რაღაც გარიგებას ჰქონდა ადგილი, ეს ბრალდება „ახლებისთვის“ შეურაცხყოფელია... ჯერჯერობით, არ შევუერთდებით „ნაციონალებისა“ და „ბურჯანაძე-დემოკრატების“ ინიციატივას და არ მივიღებთ მათ მოწვევას სატელევიზიო ეთერიდან, მანიფესტაციებში მონაწილეობის თაობაზე.

ლეობის თაობაზე.

ვახტანგ რჩულიშვილი, სახელისუფლებო ბლოკის წევრი:

— ჩემი აზრით, ეს არჩევნები ყველაზე დემოკრატიულად და გამჭვირვალედ ჩატარდა, თუმცა, ისიც უნდა ვაღიარო, რომ შედეგები ჩემთვის მაინც მოულოდნელი აღმოჩნდა. იმის მიუხედავად, რომ „ნაციონალებმა“ მოახერხეს დიდი ოდენობის ხმის მოგროვება, მაინც ქუჩაში გამოსვლით და დესტაბილიზაციით იმუქრებოდნენ. ვერ გავიგე, რა — „ნაციონალებ-

ის“ სასარგებლოდ უნდა შეეცვალოთ შედეგები, რომელსაც ქვემო ქართლიდან და სამცხე-ჯავახეთიდან ველოდებით?! იქ ხომ ერთი ხმაც არ მიუღიათ?! იქნებ, ასლან აბაშიძეს ვთხოვოთ — სააკაშვილი რეგოლუციის მოწყობას აპირებს და ქუჩაში რომ არ გამოვიდეს, თუ შეიძლება, აჭარის ხმები დავუმატოთ-თქო?! ეს არის ძალიან უხეში მანტაჟი „ნაციონალური მოძრაობის“ მხრიდან, რაც ალბათ მისთვის მისაღებია, მაგრამ მიუღებელია საზოგადოებისთვის და თუ სააკაშვილმა ამ გზით გააგრძელა სიარული, საქართველო კვლავ სამოქალაქო ომის საშიშროების წინაშე აღმოჩნდება, როგორც 10 წლის წინ...

ზურაბ ფვანია, „ბურჯანაძე-დემოკრატები“:

— ჩვენ მოვითხოვთ, ხელისუფლებამ აღიაროს ოპოზიციის გამარჯვება და ასლან მაინც დააფიქსიროს რეალური შედეგები. მოვითხოვთ, შეწყდეს ზეწოლა საოლქო კომისიებზე. არ ვაპირებთ ხელისუფლებასთან არანაირ ვაჭრობას და გარიგებას... ხელისუფლება კი, ჩვენს მოთხოვნებს პოლიციის მობილიზაციითა და გზების გადაკეტვით პასუხობს. არადა, ფაქტია, რომ არჩევნები გაყალბდა. ათასობით ამომრჩეველს არ მიეცა არჩევანის გაკეთების საშუალება. ხელისუფლების ერთადერთი მიზანი იყო, ჩვენს ბლოკს წარმატებისთვის არ მიეღწია. ის, რაც ამ დღეებში ხდებოდა და რაც ათასობით ოქმში დაფიქსირდა, თუ სამართლებრივად არ გადაწყდება, მაშინ ამ არჩევნების სამართლიანობა ეჭვქვეშ დადგება. ამ



არჩევნებში ხელისუფლების მიზანი იყო, მოეხდინა ანგარიშსწორება „ბურჯანაძე-დემოკრატიზმზე“. ჩვენ ეს ვიცოდით და მზად ვიყავით წინააღმდეგობისთვის. წყალტუბოში ჩვენმა მაჟორიტარმა კანდიდატმა პირწმინდად მოუგო არჩევნები შინაგან საქმეთა მინისტრის ძმას – ლაშა ნარჩიშვილს, მაგრამ საარჩევნო ყუთები სადღაც გაქრა. ამიტომაც მიკვირს იმ ადამიანების, ვისაც ჰყოფნის ცინიზმი, გამოაცხადოს, რომ ეს არჩევნები უფრო დემოკრატიულად ჩატარდა, ვიდრე წინა არჩევნები. თუ ცესკო არჩევნების შედეგებს ხელისუფლების სასარგებლოდ დაფიქსირებს, ამით ხელისუფლებას მისცემს შანსს, დღევანდელი მოიშოროს 2005 წლის საპრეზიდენტო არჩევნების ყველაზე დიდი პრობლემა – ნინო ბურჯანაძე. და თუ პოლიტიკური პარტიები და საზოგადოება მთელი სიმკაცრით არ დაუპირისპირდა იმას, რაც დღესდღეობით ხდება, მომავალში უარეს დღეში ჩავვარდებით.

კოტე კემულარია, „ნაციონალური მოძრაობა“:

– ჩვენი გამარჯვება პირველ რიგში, ამომრჩევლის გამარჯვებაა. ეს არის უპრეცედენტო შემთხვევა, როცა ამომრჩეველმა დიდი ბრძოლის შედეგად მაინც შეძლო, ხმის მიცემის უფლების რეალიზება. მე ვიყავი სამთავრობო კომისიის წევრი, რომელიც გაზაფხულზე, პრეზიდენტის განკარგულებით შეიქმნა და რომელსაც მარიამ ცაცანაშვილი ხელმძღვანელობდა. შს სამინისტრომ მოგვცა პირობა, რომ ივნისის დასაწყისში, უკვე მზად იქნებოდა სიები და დაგვიამოდა კიდევ. სამწუხაროდ, ეს მხოლოდ დაპირება აღმოჩნდა: ძალზე დამანინჯებელი სიები მივიღეთ, რაც ყველაზე დიდი შეურაცხყოფაა ამომრჩევლისთვის. ჩვენმა ამომრჩეველმა ბარიერი გადალახა და ოპოზიციას მისცა ხმა. ამისთვის დიდ მადლობას ვუხდით მათ, ვისაც აქვს იმედი, რომ არჩევნების გზით პარლამენტში მოვა ახალი ძალა, რომელიც ქვეყნისა და ხალხისათვის სასიკეთო საქმეებს გააკეთებს... პირველი დამცავი მექანიზმი იმისათვის, რომ არჩევნები არ გაყალბებულყო, იყო ეგზიტივოლები, რომელიც რატომღაც საქმილივ გახდა. მეორე დამცავი მექანიზმი კი, პარალელური დათვლის პროცესი იყო. დამკვირვებლები სმებს კომისიის წევრებთან ერთად ითვლიდნენ და რა მოხდა?



პარალელური დათვლის საბოლოო შედეგების მიხედვით, „ნაციონალურ მოძრაობას“ ჰქონდა 26%, სახელისუფლებო ბლოკს – 19%, ცესკოს მიერ ხმების დათვლის შედეგად კი აღმოჩნდა, რომ პირიქითაა – ჩვენ გვაქვს უფრო ნაკლები პროცენტი, მათ კი – უფრო მაღალი. ამიტომაც ვიტოვებთ უფლებას, მივმართოთ მანიფესტაციებს და მშვიდობიან აქციებს...

ცოტნე ბაკურია, „აღორძინების კავშირი“:

– შედეგები, რომელიც ცესკოს მიერ არის დაფიქსირებული, ჩვენთვის აბსოლუტურად მიუღებელია, რადგან არჩევნები ტოტალურად გაყალბდა. აგრესიული მუხტის მატარებელმა, ექსტრემისტულმა დაჯგუფებებმა ხელისუფლების დაშანტაჟების გზით აიძულა მაღალჩინოსნები, რომ არჩევნები გაყალბებინათ და ასე მოეპოვებინათ გამარჯვება. შეტევები განხორციელდა არაერთ საარჩევნო უბანზე, ე.წ. კარუსელების სისტემა ისევ მოქმედებს, ცვლიდნენ საარჩევნო

ყუთებს, რისი უშუალო მომსწრეც თავად გახლდით. ამ კარუსელების და საერთოდ, გაყალბების ავტორები კი, იყვნენ მაღალჩინოსნები – ძალადგანი სტრუქტურების წარმომადგენლები – ისინი, ვინც „ნაციონალურ მოძრაობას“ გამარჯვებაში უწყობდნენ ხელს. ამგვარ არნახულ დაუდევრობას და გაყალბებას 4 წლის წინაც კი არ ჰქონდა ადგილი, მაშინ, როცა საკმაოდ დიდი დარღვევებით ჩატარდა არჩევნები... ამიტომ ოფიციალურად მოვითხოვთ, რომ გადამოწმდეს თითოეული ოქმი, ხელახლა გადაითვლოს ხმები, „ნაციონალური მოძრაობის“ ხმები კი, საერთოდ გაუქმდეს...

სანდრო თვალჭრელიძე, პოლიტოლოგი:

– მომავალ პარლამენტში, ისევე, როგორც მის წინამორბედში, დამკვეთი ისევ ხელისუფლება იქნება. დარწმუნებული ვარ, როდესაც არჩევნების საბოლოო მონაცემები დაჯამდება, „მრეწველები“ და „ახლები“ პარლამენტის გარეთ აღმოჩნდებიან. პარლამენტში კი, ოთხი პოლიტიკური პარტია მოხვდება – სახელისუფლებო ბლოკი, „აღორძინება“, „ბურჯანაძე-დემოკრატიზმი“ და „ნაციონალური მოძრაობა“, ხოლო ხელისუფლებასთან ფარულ აღიანსში შემჩნეული, ლეიბორისტული პარტიის ლიდერი, ხელისუფლებას უკვე დიად შეეკვრება. ეს ყველაფერი კი იმას ნიშნავს, რომ ოპოზიცია („ნაციონალურებს“ და „ბურჯანაძე-დემოკრატიზმს“ ვგულისხმობ) უმცირესობაში აღმოჩნდება.



საპარლამენტო არჩევნების წინა პერიოდის დაძაბულობის განმუხტვის მიზნით, ხელისუფლებამ „თბილისობის“ დღესასწაული ერთი კვირით გადასწავა, რის გამოც ადამიანებსაც ნაბახუსევზე მოუწიათ არჩევანის გაკეთება. გამართლებული აღმოჩნდა თუ არა ამ გადაწყვეტილების მიღება? ნავიდნენ თუ არა ადამიანები არჩევნებზე სახალხო ზემოხედვით ამაღლებული გუნება-განწყობილებით? როგორია ნაბახუსევზე დანახული არჩევნები? ამ კითხვებით „მარკირებულ“ ადამიანებს მივმართეთ და იმათაც, რომლებმაც არჩევნებში მონაწილეობა ვერ მიიღეს. ამჯერად, სასწორის პინაზე განსხვავებული საზოგადოებრივი აზრები დევს.

ლელა ჭანკოტაძე

კახაბერ ჯეგაშვილი, 45 წლის, სამტრედიელი:

– უნდა ვიამბოთ იმ განცდის შესახებ, რომელიც მაშინ დამეუფლა, როცა პირველად „თბილისობაზე“ მოხვდი. რიგზე წარმოდგენილი იყო საქართველოს ყველა კუთხე თავისი ნობათით. ქალები პირდაპირ ჩემ თვალწინ ავლებდნენ ჩურჩხლებს, კაცები კი მწვადებს წვავდნენ. ვიღაც კახელი ღია ცის ქვეშ ღვინოს წურავდა და იქ მყოფებს ხის ჭიქით აწვდიდა... მეგონა, რომ ზღაპარში ვიყავი და ბედნიერებისგან თვალზე ცრემლიც კი მომდგა... წელსაც ჩამოვედი. ალბათ, გულს ძველი განცდის განმეორება ეწადა... არ განმსჯვით ალბათ, თუ ვიტყვი, რომ „თბილისობის“ მაგივრად თბილისში ვაჭრუკანობა დამხვდა გაჩაღებული. ვინაე კიდევ, შთაბეჭდილება რომ წავიხდინე... არც თბილისელებს უტყობოდათ სისარული. პოლიტიკურულ ქალაქში ცეკვა-თამაშის სასიათი არავის ჰქონდა. ალბათ, სიღუფურებზე შეგვეცვალა... ისე მოხდა, რომ სამტრედილაში დაბრუნება ვეღარ შეგებელი. თბილისობის გამო რაიონებიდან ჩამოსულმა ბევრმა ადამიანმა ვეღარ შეძლო უკან დაბრუნება და შესაბამისად, არჩევნებში მონაწილეობის მიღება. თანაც, ჩემი ერთი ხმა რას შეცვლიდა?! სამტრედილაში ისედაც გაიმარჯვებდა ზვიად ძიძიგური. იქაურებისთვის ხელები რომ დაეჭრათ, მას ხმას მანც მისცემდნენ, რადგან გაყინული პენსიები დააროგა და პენსიებთან ერთად, ხალხს უკეთესი ხელისუფლებისა და მომავლის იმედი ჩაუსახა... თბილისში არჩევნები უსისხლო ომს ჰგავდა. მე ისტორიკოსი ვარ. არჩევნების თემა ჩემთვის ძალიან ნაცნობია, მაგრამ იმის დანახვამ, თუ როგორ იბრძოდნენ თბილისელები თავიანთი კონსტიტუციური უფლების – ხმის მიცემის უფლების დასაცავად, სულიერად შეძრა. ღმერთო, არასდროს მომასწრო ისეთ დროს, როცა ეს შთაბეჭდილებაც წამიხდება, როცა ხალხს არჩევანის გაკეთების სურვილი გაუქრება, რაც



ნაბახუსევზე დანახული არჩევნები

უკეთესი მომავლის იმედის გაქრობის ტოლფასი იქნება.

თინათინ ნიჟარაძე, 33 წლის, გორელი:

– ჩემს მეხსიერებაში დარჩა ფაქტონი, რომელშიც გოგი ცაბაძე და ვახტანგ კიკაბიძე იხსნდნენ. ზოგჯერ ამ კადრებს სხვადასხვა ტელეარხი იმეორებს ხოლმე და მისარია, ამის თვითმხილველი რომ ვარ. ვერც მე შეგებელი, გორში ხმის მისაცემად დაგბრუნებულიყავი, ამიტომ არჩევნების დღე თბილისში გავატარე. თბილისობიდან გამოყოლილი დაღუბთი ემოციები არჩევნებზე მომავალ ხალხს მაშინ გაუქარწყლდა, როცა თითოეულ საარჩევნო უბანთან დაიწყო ბრძოლა ხმის მიცემის უფლების დასაცავად. მე ვხედავდი, რა ხდებოდა დიდუბეში. ზოგიერთი ადამიანი 4-5-ჯერ დაბრუნდა სახლში, ისევ მივიდა ხმის მისაცემად და ბოლომდე იბრძოლა. მე პედაგოგი ვარ. ამ არჩევნებმა დამანახა, რომ ჩემს მოსწავლეებს აუცილებლად უნდა ჩაუწერო ბრძოლის უნარი, თავიანთი კონსტიტუციური უფლებების დასაცავად. თბილისელთა ერთუზიანობა რომ უფურცელი დაშლად, არჩევნებში მონაწილეობა რომ არ მივიღე. ვნახობ, იმ ადამიანთა გვერდით რომ არ ვიდექი, რომლებმაც შეუპოვრად იბრძოლეს უკეთესი პარლამენტის, უკეთესი ხელისუფლების და შესაბამისად, უკეთესი მომავლისთვის.

გილა თუხარაძე, 27 წლის, თბილისელი:

– ალბათ წელს იყო პირველი „თბილისობა“, როცა ხელისუფლებამ ალკოჰოლური სასმელების გამოყენება აკრძალა. ეს არასწორი იყო. ვის გაუკია ეს ზეიმი ღვინისა და არყის გარეშე?! მიუხედავად ამისა, ყველა კუთხე-კუნძულში ელით სასმელი, მწვადი და ზოგჯერ ცარიელი შავი პური. ჩვენი „თბილისიქალაქობა“ წელს დიდ ღრეობას ჰგავდა. არც პოლიტიკოსებს ეზიებოდათ და არც ამომრჩევლებს. ვთვლი, რომ წლებთან

დღე დღესასწაულს ყველა ცუდად მოიგონებს, მათ შორის – ჩემი გერმანელი სტუმარი პეტე.

პატი ბიუღარი, 29 წლის, გერმანელი:

– მისარია, რომ საქართველოში ასეთ საპასუხისმგებლო დროს აღმოვჩნდი. თქვენი სახალხო დღესასწაულიც ვნახე და არჩევნებზეც. დაინახე, რომ ქართველ ხალხს ზემოზე მეტად, არჩევნებზე წასვლა უნდოდა, უფრო მეტი ადამიანი დადიოდა ქუჩებში, ენერჯის მოზღვავება, დამუხტული გარეშე, ერთიანი სული იგრძნობოდა. თქვენი ისტორია მეტ-ნაკლებად ვიცი და უკვე აღარ მიკვირს, როგორ ამარცხებდით ერთი მუჭა ხალხი მრავალრიცხოვან მტერს სისხლისმღვრელ ბრძოლაში. თქვენი არჩევნები სანახაობა იყო ჩემთვის. მე ვნახე, როგორ უნდა შეიკრას მძიმე დროს ხალხი ერთ მუშტად და როგორ უნდა დაიცვას საკუთარი უფლებები. ამ დღემ უკეთესი გამაცნო ქართველი ხალხი, ვიდრე იმ სახელმძღვანელომ, რომელიც თქვენი გმირული ისტორიაა მოთხრობილი.

პონდო შალვაშვილი, 69 წლის, თბილისელი:

– „თბილისობა“ ყოველთვის დასტურია იყო იმისა, რომ ამ ქალაქში მთავარია ძმაცობა და მეგობრობა. რიგზე ოსური კომისის წინ რომ დავდებოდით და თვალს გადავავლებდით რაიონებიდან მომავალ სურსათ-სანოვაგით დატვირთულ მანქანებს, ვინ გაბედდა იმ დღის ჩამსამებას?! ვერავინ იკადრებდა დღესასწაულის ჩაშლას, წელს კი მთავრობამ ჩაგვიშალა „თბილისობა“. ყველანი, რომელიდაც პოლიტიკური პარტიის მომხრე ვიყავით. ჩვენი გონება მთლიანად არჩევნებზე იყო გადართული, ვერ ვიზიებდით, როცა ვიცოდით, რომ ხვალ დაშვებული შეცდომა ზურგზე ოთხწლიან უბედურებას წამოგვკვიდებდა. აკაკები არიან ჩვენს ხელისუფლებაში. ყველა მეთოდით სცადა ხელისუფლებამ დახვია დამოშინება, მაგრამ თუ ეს არჩევნები გაყალბდება, ის ათეული ადამიანიც აღარ გვეყოლება „თბილისიქალაქობაზე“, წელს რომ ამაოდ ცდილობდა ჩვენთვის კარგი განწყობის შექმნას. ჩვენ არ ვართ ის ხალხი, ვისთვისაც მთავარია პური და სანახაობა. ჩვენთვის მეგობრობაა მნიშვნელოვანი, ამ არჩევნებმა კი კიდევ უფრო დავგამეგობრა. ყველანი დავირაზმეთ უმუქობის, უფულობის, უსახსრობის წინააღმდეგ. კიდევ ერთხელ შევეცადეთ, ამ არჩევნებით იმედი მოგვეპოვებინა, იმედი იმისა, რომ ახალი პარლამენტი გვეყოლებოდა, ახალ პარლამენტში ახალი აზრი, იდეა და მათი ხორც-შესხმის სურვილი გაჩნდებოდა. არჩევნების გაყალბებით უკეთესი ცხოვრების იმედსაც გამოგვაცლიან ხელიდან და მაშინ რაღა აზრი ექნება თბილისელთა ქალაქში „თბილისიქალაქობის“ ჩატარებას?!



შეგახსენებთ, რომ „გზის“ ნინა ნომრის „საპატარძლო“, რეჟისორი ანი მალაქაძე იმდენად გახლდათ. მკითხველი დამეთანხმება, რომ ყველა ჩვენი რუბრიკის სტუმარი საინტერესო ადამიანია, „საპატარძლოები“ კი, ერთიმეორეზე უკეთესები... ანთ უამრავი თბილი გამოხმაურება მიიღო და ჯერ ამ გზავნილებს გაგაცნობთ, შემდეგ კი, იმის შესახებ გაიმბობთ, თუ როგორ „მბამბა“ სამარშრუტო ტაქსის მძღოლი, რომ მისთვის ანისთან საქმე „ჩამენყო“...

"ანი, სწორედ ის ხარ, ვინც მჭირდება!"

მარი ჯაფარიძე

ერთ-ერთმა თავყვანისმცემელმა გოგონას მშვენიერი ლექსი უძღვნა. თუმცა, „გარემოცვას“ ახსენებს და რას გულისხმობს, ვერ მივხვდი; იქნებ, აღრესატმა თავად ამოიცნოს?

„ახლა წავიკითხე ანი მალაქაძედიის ინტერვიუ. ძალიან დამინტერესა თქვენმა „საპატარძლო“. წარმოუდგენელია, ასეთი ულამაზესი მანდილოსანი ასეთ გარემოცვაში იმყოფებოდეს. ვუძღვნი ერთ ლექსს: იბადებიან ყვავილნი შენთვის, ამღერდებიან შენთვის ბუღბუღნი, გილოცავს მთელი სამყარო ფართო, იმ დღეს, როდესაც ხარ ბედნიერი. ვისაც კი უნდა შენთვის სიკეთე და დაელოცოს მათ წმინდა მოდგმა, აბა, მითხარი, რას ფიქრობ ჩემზე? ბოროტებაა ეს ჩემი გრძობა? ლოცვა გფარავდეს ამ ცხოვრებაში, ოღონდ იყავი მარად გულწრფელი, ციცქნა, პაწია გულში მინდა, რომ აგეთოს მხოლოდ სიცოცხლის ცეცხლი...“

იცოდე, ამ ლექსს გულით გწერ... სიზმარშიც შენზე ამასვე ვფიქრობ... გთხოვთ, მიაწვდინოთ ანის ეს ლექსი. ყველაფერს თავად მიხვდება. ნაცნობი-უცნობი“.

„ულამაზესი, თურმე შინაგანად კიდევ უფრო მომხიბვლელი ყოფილხარ. იმსახურებ სიყვარულის ზღვას. მე გაჩუქებ შენსავით სპეტაკ გრძობას“.

„ჩემო პატარავ... „შენ საქართველოს დღეოფლობა დაგშენდებოდა“... საოცრად ლამაზი პატარძალი იქნები... უკვე მიყვარხარ...“

„მჭადი და ხაჭაპური კარგია, მაგრამ... ყველაფერს სითბო და ურთიერთგაგება სჯობს... შენში მთავარი სწორედ ესაა, თორემ, ქალს რომ გაუჭირდება, მალარომი ქვანახშირის მოსაპოვებლადაც წავა, არათუ ხაჭაპურის ცხობას ისწავლის...“

უცნაური ხალხია მამაკაცები: მჭადის ცხობა იცი და... ეგ არ არის მთავარიო, არ იცი და — რატომ არ იციო?... მოკლედ, ვერ გაიგებ, რა სჯობს... აბა, შემდეგ თავყვანისმცემელს მოუესმინოთ:

„გამუდმებით ვკითხულობ „გზას“ და პირველ რიგში, სწორედ მის ამ რუბრიკას. უკვე ბევრი „საპატარძლო“ გყავდათ მოწვეული და დაგიფიცებ, რომ ანი პირველია, ვინც თქვა, რომ საოჯახო საქმე ეხერხება. ყველა იპრანჭება — დრო არა მაქვს, დედა არ მაკეთებინებს, უიმე, ისეთი დაკავებული ვარ, სად მცალია, სადღელები მოვამზადლო?! ერთი სიტყვით, მინდა ვთქვა, რომ ანი ნამდვილი ქალია, გარეგნობით, შინაგანად და ქცევით... დარწმუნებული ვარ, ის მშვენივრად შეუთავსებს ერთმანეთს ოჯახის ქალობასა და სამსახურს. ანი, სწორედ ის ხარ, ვინც მჭირდება... დამირეკე“.

„დელოფალო, სად იყავი, რომ არ ჩანდი? ასეთ ლამაზ გოგონას სად გამალავდნენ? იქნებ, იმიტომ, მე რომ არ მეპოვე? იქნებ, ბედისწერაა...“

„ღიმილი გიხდება, ცრემლები გამშვენებს... რატომ ტირი, პატარავ? ვინ გაბედა შენი გულის სიმებთან უხეშად მოპყრობა? მე დაგამებ ტკივილს, ცრემლებს კოცნით ამოგიშრობ და... გაგეცლები, თუ გამიშვებ...“

„ანის, ჩემს სიხარულს! დიდი სიყვარული მინდა გამოვხატო, ჩემო ანი, შენ მიმართ. გთხოვ, მომცე ამის საშუალება. არა

მარტო შენმა გარეგნობამ, არამედ შენმა შინაგანმა სილამაზემ, ქალურობამ მომხიბლა. მინდა შენთან სიახლოვე, შენი ნაზი გრძობების გაღვივება! შენ ხარ აზრი ლამაზი ცხოვრებისა. მე შენ აუცილებლად დავიპყრობ!“

ახლა კი, ჩემსა და მძღოლს შორის შეძღვარ საუბარს ვადმოგვცემთ...

ქლაქეარეთ მივემგზავრებოდი, კერძოდ, კახეთში. სამარშრუტო ტაქსიში წინ, მძღოლის გვერდით ვიჯექი. მძღოლი ახალგაზრდა, კახელი მამაკაცი გახლდათ და კახელებისთვის დამახასიათებელი იუმორითაც გამოირჩეოდა... მე ზავრობისას ანის ერთ-ერთმა თავყვანისმცემელმა დამირეკა; მისი ტელეფონის ნომერს მთხოვდა, მე უარს ვუუბნებდი და საუბარი გაგვიგრძელდა. გუჯა (ასე ერქვა მძღოლს) მიხვდა, რომ მისი მეზავრი სწორედ ის ყურნალისტი იყო, რომლის წერილებსაც ხშირად კითხულობს და მომიბრუნდა:

— გო, შენ ის მარი ხო არა ხარ, ლამაზ-ლამაზ გოგოებ რო ათხოვებს?

— იქნებ, დააკონკრეტოთ, რომელ მარიზე ლაპარაკობთ?

— რომელზე და... აემაზე, აი... (დაინხარა), ცალი ხელით საჭვს მართავდა, გზას უყურებდა, მეორე ხელი კი, თავისი საგარძლის ქვეშ კარგა ხანს აფათურა და ბოლოს, როგორც იქნა, სიგრძეზე ორად მოკეცილი, ცელოფანის პარკში ჩადებული „გზა“ გამოაძვინა...

— კი, ეგ მარი ვარ სწორედ...

— შენ კი გაინარე! სიზმარშიც არ მამე-ლანდებოდა, რო შენა გნახამდი ცოცხლათა... ეხლა მამისმინე: აემ გოგოებ რომ უყურებ ხოლმე, სუ ერთიანათ მინდა ხოლმე ყველა...

— მერე, რატომ არავის გამოეხმურეთ?

— რაი ამბობ, გო?... მე აემ მანქანი „რულისა“ და „რუჩკი“ მეტი ხელში არაფერი მჭერია, აბა, ვის რად ვუნდივარ?! აი, შენ თუ კაი ამბებ მოუყვები ჩემზე, იქნება, გავარდვი, მიხაი თოფივით? ანი ძან მამე-წონა, მაგრამა აბა, ეგ ხო სოფელ არ იკადრებს...

— იქნებ, უარი არ თქვას?..

— ე-ე-ე, აბა, რაი ამბობ? ოთხი კლასი დავამთავრე და 6 კლასი „კარიდორი“... მაგრამა ჩემი საქმი პროფესიონალი ვარ... ახლა, ხალხ ადვილზე მივიყვან, მერე, მე და შენა, ჩემსა წავიდეთ, დღეაჩემი ქათამ დაგვიკლამს და ჭური თავზე ვიქიფოლოთ... ჰოდა, კაცთან ჭიქაი რო აიწვევ, მემრე ლალატი აღარ შეიძლება... ჰოდა, ანისაც შემახვედრებ... უთხარ, მახარეი ბიჭ, გუჯავი უყვარხარ-თქო...

ჩვენი ქეთი არ შედგა, მაგრამ ანის კი, „გზის“ ფურცლებიდან ვუუბნებ: ანი, მახარეი ბიჭ, გუჯავი, ძან უყვარხარ... დანარჩენი უკვე ანის მივანდით...

მკითხველს ერთ საიდუმლოს გაფუშებელ: საკმაოდ გრძელი სია მაქვს ჩამონერვილი, სადაც თითქმის ყველა ცნობილი, უცხოლო და გასათხოვარი ადამიანია თავმოყრილი. ვინც ჩვენს რუბრიკაში უკვე მოხვდა, მისი გვარის გასწვრივ „პლუსს“ ვწერ ხოლმე. მინდა დაგამშვიდოთ, რომ სიაში ჯერ კიდევ უამრავი „მინუსიანი“ გვარია. ახალი პარლამენტი რომ „დაკომპლექტდება“, ჩემს სიას ბევრი ახალი სახეც შეემატება... მანამდე კი, შეგახსენებთ, რომ ჩემი ორი „კლიენტის“ უკვე გაგვიბედნიერდა: ჯგუფ „ფორტეს“ წევრი, ირინა კახნიაშვილი გათხოვდა, პარლამენტარი ირაკლი გოგავა კი, დღე-დღეზე ქორწილში დაპატულებას გეპირდება... მოკლედ, ჩვენს რუბრიკაში მოხვედრა კარგად დაცადეს... აქვე იმასაც გეტყვით, რომ მართალია, კიდევ ერთმა პარლამენტარმა — ზვიად მუკბანანამ უჩვენოდ მოახერხა დაოჯახება და მისი გვარის გასწვრივ „პლუსის“ დასმა ვერ მოვასწარი, მაგრამ როგორც ჩანს, მას სიაში ყოფნამაც უშველა... თითოეულ მათგანს ბედნიერება ვუსურვოთ, ჩვენ კი, დღევანდელ საპატარძლოს გავეცნოთ: ის ჯგუფ „ენსის“ წევრი მკბ ბაბიტაშვილი განლაგო.



„ენსის“ მაგნიტი

გოგონა სიუჟაჩის სკენს იმ ჯახშიმ...

მარი ჯაფარიძე

— ეკა, ზოდიაქოს რომელ ნიშანს მიეკუთვნები?

— თვის მიხედვით ვარ მერწყული, წლის მიხედვით — მაიმუნი. ჰოროსკოპის ნიშნის თვისებებს ჩემი ხასიათი არ მიესადაგება. ერთადერთი, რაც ემთხვევა, არის ის, რომ ამ ნიშნის ქვეშ დაბადებული ადამიანებისთვის დამახასიათებელია ხელოვნებისკენ სწრაფვა; რაც შეეხება მაიმუნს, ის ეშმაკობითა და ტყუილებითაა ცნობილი, მე კი არც ერთი მეხერხება და არც მეორე...

— რამდენი წლისა ხარ?

— 23-ის.

— ამჟამად, ვისთან ერთად ცხოვრობ?

— დელასთან, მამასა და ძმასთან ერთად.

— ოჯახი ხომ არ გაჩქარებს გათხოვებას?

— არა, არასოდეს უთქვამთ, ჩქარა გათხოვი, ოჯახი შექმნი, ნუ აგვიანებო... თუმცა, სულაც არ ვფიქრობ, რომ უკვე დამიგვიანდა...

— ამჯერად, შეყვარებული ხომ არა ხარ?

— არა, ჩემი გული თავისუფალია. მისი დაპატრონება კი, არც ისე იოლია, რადგან ძალზე იშვიათად მომწონება მამაკაცი... პირველი არასოდეს ვიწყებ ფლირტს. ის კი არა და, თუ მამაკაცი მომეწონება და ჩემთან დაახლოების ინიციატივა წამოვა მისგან, მაინც არ შევიძინებ, რომ მეც მესიმათიურება...

— ბარემ ისიც გვითხარი, როგორი უნდა იყოს მამაკაცი, შენ რომ მოგეწონოს?

— ძალიან ლამაზი და უნაკლო მამაკაცი.

— სიმაღლე — 176 სმ, თეძო — 90 სმ, წელი — 60, მკერდის პარამეტრები არ ვიცი.

ცები არ მომწონს. კაცს უნდა ჰქონდეს რალაც შარმი, ვაჟკაციური გარეგნობა და საინტერესო თვალები... ეს რაც შეეხება გარეგნობას; ბუნებით კი, უნდა იყოს ყურადღებიანი, მოსიყვარულე, თბილი და ვაჟკაციური...

— ვაჟკაცობის საზომად რა კრიტერიუმებს ეყრდნობი?

— მამაკაცმა უნდა იცოდეს ქუჩის ცხოვრება; თუ ნასვამია, არ უნდა გემინოდეს, რომ სადმე შეგარცხვენს; მის გვერდით თავს დაცულად და უშიშრად უნდა გრძნობდე. არ მომწონს „დელიკოს ბიჭები“. ისინი კარგი მეგობრები, მაგრამ ცუდი კავალრები არიან...

— მამაკაცის ასაკს თუ ანიჭებ მნიშვნელობას?

— ასაკით ჩემზე უმცროსი ბიჭები არ მომწონს. უფრო ასაკოვანი, ზრდასრული მამაკაცები მიზიდავენ. მათ უფრო ეხერხებათ ქალთან ურთიერთობა. იციან, როგორ უნდა მოგექცნენ, რა გინდა, რა უნდა გააკეთონ იმისთვის, რომ თავი კარგად იგრძნო.

— მოდი, ბავშვობის დროინდელი თავყვანისმცემლები გაიხსენე...

— მახსოვს, ბაღში რომ დავდიოდი, ჯგუფში ყველა ბიჭს მე ვუყვარდი. სადილობისას, თავისი ულუფიდან კატლეტს მიწილადებდნენ ხოლმე და ასე გამოხატავდნენ თავიანთ სიმპათიას. შემდეგ, სკოლაში, საღვთი რეზინი და ყვავილები მოჰქონდათ ჩემთვის, მერე იმ ყვავილებს მასწავლებლებს მივართმევდი ხოლმე...

მე თვითონ, არასდროს ვყოფილვარ შეყვარებული, დელანემს კი სულ ეშინოდა, ადრე არ გაეთხოვილიყავი. გამორჩეულად არასდროს მეცვა, რადგან დელანემი ცდილობდა, ჩემი ვიზუალური მონაცემები მიეჩქალა, რომ არავის მოეწონებოდი და არ მოვეტაცე... ახლაც არ ვიცვამ გამომწვევად, ყოველთვის სადად და მოხერხებულად გამოვეწყობი ხოლმე და ისე გამოვივარ შინიდან.

— ჯიუტი ხარ?

— კი, ძალიან, ძალიან ჯიუტი ვარ. თუ შემხვდა ვინმე, ჩემზე უფრო ჯიუტი,



მერე უნდა ნახოთ... არავითარ შემთხვევაში არ გადაუხვევ ჩემს ნათქვამს და ერთმანეთს შეიძლება, სერიოზულად „დავეჯახოთ“...

— ბუტიაც სომ არა ხარ?

— კი, ასეა. თუ ვინმე მაწყენინებს, გავებუტები და მერე ზედაც არ ვუყურებ. მაგრამ ამან შეიძლება, სულ 10 წუთი გასტანოს — მერე შევხედავ და გავუღიმებ... თუ მან ისევ შეკრული შუბლით შემომხედა, ვნანობ ხოლმე და მაშინ ვფიქრობ, რომ პირველი ნაბიჯი მე არ უნდა გადამეღვა. მაგრამ თუ იმ ადამიანს თავისი შეცდომა შეგნებული აქვს, მაშინვე შეუპირვლები და წყენაც მავიწყდება.

— თავად, შენი ხასიათის რომელი თვისება მოგწონს?

— ძალიან მიყვარს ჩემი მეგობრები, მათი ერთგული ვარ და კიდევ ის, რომ საიდუმლოს შენახვა შემიძლია. თბილი და ყურადღებიანი ადამიანი ვარ. სწორედ ამიტომ, სხვებისგანაც იმავეს მოვიტხოვ და თუ ვერ ვღებულობ, მწყინს ხოლმე.

— საოჯახო საქმეები თუ გეხერხება?

— კი, როგორ არა? მაგრამ იშვიათად მიწევს შინ საქმის კეთება. ხანდახან, ისეთ ხასიათზე ვარ ხოლმე, რომ უცებ დავაკრიალებ სახლს და დედაჩემს უკვირს — როგორ მოასწარი ასეთ მოკლე დროში ამდენი საქმის გაკეთება?! სადილების მომზადების პროცესზე ნამდვილად არ ვგეჟღები, მაგრამ თუ რაიმეს გავაკეთებ, ყველა აღნიშნავს, რომ ძალიან გემრიელი ხელი მაქვს და ყველაფერი კარგად გამომიდის.

— თავად, გურმანი ხარ?

— კი, ძალიან მიყვარს გემრიელი კერძები. ვჭამ, როცა მინდა და რამდენსაც მინდა; ჩემს გარეგნობაზე ეს არ აისახება — არ ვსუქლები...

— შენი პროპორციები გაგვიმხილეთ.

— სიმაღლე — 176 სმ, თეძო — 90 სმ, წელი — 60, მკერდის პარამეტრები არ ვიცი.

— ძილის წინ, რაზე ფიქრობ ხოლმე?

— ძალიან მიყვარს ჩემი ლოგინი, ბალიში და საბანი... ჰოდა, საწოლზე რომ მოვთავსდები, ჯერ იმ დღეს მომხდარ მოვლენებს ვანალიზებ ხოლმე, მერე — ხვალინდელ დღეზე ვფიქრობ, გეგმებს ვაწყობ — სად წავიდე, რა ჩავიცვა და ასე შემდეგ...



დედაჩემი ცდილობდა, ჩემი ვიზუალური მონაცემები მიეჩქმალა, რომ არავის მოვწონებოდი და არ მოვეტაცე...

ერთმანეთს ვეუბნებით — აუუ, როდის უნდა ვიმღეროთ-თქო?! ამიტომ, ვინც მე შემეფიქრებს, ის შეგუებული უნდა იყოს იმას, რომ ვიმღერებ მანამ, სანამ ხმა მექნება... ერთი მამაკაცი მომწონდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მას არ მოსწონდა ის, რომ მე ვმღერი და სცენაზე გამოვდივარ. სწორედ ამიტომ, ახლა ის თავისთვისაა, მე — ჩემთვის... სიმღერა ჩემთვის გართობა არ გახლავთ — ეს არის ჩემი საყვარელი საქმე. თუ ვინმე მეტყვის — აღარ იმღერო, — თავს შეურაცხყოფილად ვიგრძნობ. შესაძლოა, ძალიან დიდი გრძობის გამო სიმღერა დავთმო კიდევ, მაგრამ ამ შემთხვევაში, ძალზე უბედური ვიქნები... თუ მას გაუხარდება, რომ მე უბედური ვიყო — კი, ბატონო...

— ქორწინებამდე სექსს როგორ უყურებ?

— მე ძალზე ტრადიციულ, ქართულ ოჯახში გავიზარდე, ამიტომ მიუღებლად მიმაჩნია ქორწინებამდე სექსი. შესაძლოა, ვინმეზე არათანამედროვე ადამიანის შთაბეჭდილება დავტოვო, მაგრამ ეს ნამდვილად ასეა...

— მკითხავის თუ გჯერა?

— რომ ვითხრათ, მკითხავ-მკითხავ დავდივარ და ჩემს მომავალს წინასწარ ვჭვრეტ-მეთქი, ტყუილი იქნება. ისე, ყავის ჭიქას ხშირად ვაბრუნებ ხოლმე და თავმესაქცევად შესაძლოა, ვინმეს ვამკითხავებინო, მაგრამ იმით კი არ ვინტერესდები, თუ როდის გავთხოვდები ან ვისზე — უბრალოდ, მაინტერესებს, მომავალში რა მელის.

ესეც კიდევ ერთი „საპატარძლო“. ალბათ დამეთანხმებით, რომ „ენის“ გოგონა კერკეტი კაკალივით მგარი გოგოა. მით უფრო საინტერესოა მისი გულის მონადირება. ვისაც გსურთ, ეკას სიმბათია დაიმახსუროთ, სცადეთ ბედი — დამირეკეთ: 8(77) 45.68.61.

— ეროტიკულ სიზმრებს თუ ნახულობ ხოლმე?

— არა, არასოდეს მინახავს ასეთი სიზმარი. ძილის წინ, ასეთ რამეებზე არ ვფიქრობ ხოლმე და ალბათ ამიტომაც არ მესიზმრება... სამაგიეროდ, ხშირად ვნახულობ ერთსა და იმავე სიზმარს, ისე ხშირად, რომ ძილშივე ვფიქრობ ხოლმე — ეს სიზმარი ხომ, უკვე ნანახი მაქვს-მეთქი!.. ძალიან ძნელად ვეგუბები, თუ გვერდით ვინმე მიწევს — ჩემს მეგობარ გოგონებს ვგულისხმობ. ხდება ხოლმე, რომ როდესაც კონცერტს სხვა ქალაქში ვმართავთ, ორ-ორს ერთად გვიძინავს. ჩემი ხასიათი უკვე იციან, ამიტომ, ვინც ჩემ გვერდით წევს, ყოველთვის ცდილობს, ისეთი პოზა მიიღოს, რომ არ შემეხოს. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩემი ბუზღუნით — მიიწვი და მიიწვი-მეთქი — ვიკლებ იქაურობას...

— ალბათ მოფერება გიყვარს, არა?

— არა. არ მიყვარს, როცა დედა მეფერება. არც მეგობარი გოგონების მოფერება მანიჭებს სიამოვნებას... ერთადერთი, ვისი მოფერებაც მომწონს, ეს სოფოს (ჯგუფის ერთ-ერთი წევრი) შვილია. მისი ჩახუტება ყველაზე მეტად მსიამოვნებს.

— საყვარელ ადამიანსა და სიმღერას შორის არჩევანის გაკეთება რომ მოგიხდეს, რომელს დათმობ?

— საყვარელ ადამიანს... ვერავითარ შემთხვევაში ვერ შეველევი სცენას. ეს ნარკოტიკივითაა. თუ ხანგრძლივი დროის განმავლობაში არ გამოვსულვართ სცენაზე, მერე გვენატრება ხოლმე და გოგონები

თეთრი მაგი

ნიკა
დაგიღებთ და მოგიხსნით
ჯაღოს, თვალს, შავილომხაპით
ბარაქაზე, ბელზე, გზის
ბახსნაზე. მოგიგვარებთ
ოჯახურ პრობლემებს.
ტელ: 92-26-56



დმანისურმა აღმოჩენამ თავდაყირა დაბყენა ძველი კვლევები...



პრინცი ალბერი, დავით ლორთქიფანიძე და მისი მეუღლე ანანო მელიკა.

მონაკოს პრინცი ზაფხულში დმანისში ჩამოდის... პრეისტორიულ ბათონებზე „სამუშაოდ“!

მონტე-კარლო მარტო კაზინოების ქალაქი როდია!..

ბოლო წლებში, მსოფლიო მეცნიერება დმანისზე ალაპარაკდა. XX საუკუნის დასასრულს, მსოფლიო აღმოჩენათა სუთეულში დმანისელი ჰომინიდი — 1 მილიონ 800 ათასი წლის წინანდელი ადამიანი „მოკალათდა“. ამ მოვლენამ გააქარწყლა დიდი ხნის მანძილზე უტყუარ ქვშარიტებად მიჩნეული შეხედულება, რომლის თანახმადაც, პირველი ევროპელის სამშობლო აფრიკაა. დღეს უკვე აღიარებული ფაქტია, რომ „ქართველი“ ჰომინიდი პირველი ევროპელია!

დმანისის სიონის უმშვენიერესი ბაზილიკის გვერდით ყოველ ზაფხულს, მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან, პრეისტორიული კვლევით დაინტერესებულ მეცნიერთა მთელი არმია ჩამოდის. გაისადმათ რიგს მონაკოს პრინცი — ალბერიც შეუერთდება. უფრო ვრცლად ამის შესახებ ცნობილი ქართველი პალეოანთროპოლოგი, პროფესორი **დავით ლორთქიფანიძე** მოგვითხრობს.

ელენე სალარიძე

— ბატონო დავით, თითქოს მოულოდნელი იყო ის ფაქტი, რომ მონაკოს პრინციმა მეცნიერებისთვის „მოიცალა“, თანაც პრეისტორიკოსობისთვის...

— მოულოდნელი კი არა, ეს მონაკოს

სამეფო ოჯახის ტრადიციაა. პრინცის ბაბუამ (მასაც ალბერი ერქვა) ჯერ კიდევ 1914 წელს დააარსა პარიზში ადამიანის პალეოანთროპოლოგიის (მეცნიერება ალბათ იცის, რომ ეს არის მეცნიერება, რომელიც შეისწავლის ადამიანის წინაპრების, „პირველი ადამიანების“ ნაშარ ფორმებს. — ავტ.) ინსტიტუტი. დღეს ეს ინსტიტუტი ევროპაში ინტერდისციპლინარული კვლევის მნიშვნელოვანი ცენტრია. მას შემდეგ, სამეფო ოჯახი აფინანსებს როგორც სამეცნიერო კვლევებს, ასევე ექსპოზიციებს. გარდა ამისა, დაწესებული აქვს სპეციალური სტიპენდიები, პრემიები.

— როგორ ფიქრობთ — რით უნდა იყოს გამოწვეული სამეფო ოჯახის დაინტერესება მაინცდამაინც მეცნიერების ამ დარგით?

— საფრანგეთისა და იტალიის საზღვარზე მდებარეობს ცნობილი — გრიმალდის მღვიმე — პრეისტორიული ძეგლებით მდიდარი ადგილი. და საერთოდ, მე ვიტყვი, საფრანგეთი პრეისტორიული კვლევის მექაა. ამ ქვეყანაში ყოველთვის დიდ ინტერესს იჩენდნენ პირველყოფილი ხელოვნებისადმი. ამ სფეროთი მონაკოს სამეფო ოჯახის დაინტერესებაც, ბუნებრივია, აქედან მოდის. ისე, რომ იცოდეთ, მონტე-კარლო მარტო კაზინოების ქალაქი როდია. ამ ქალაქის ორ უდიდეს მუზეუმს — ოკეანისა და ანთროპოლოგიურს სამეფო ოჯახი აფინანსებს.

— მე კი ვფიქრობდი, რომ პრინცი ყოველთვის კინოვარსკვლავებს

წყალობდა, მუსიკოსებს აჯილდოებდა...

— როგორც ხედავთ, მარტო ამ „თემით“ არ არის დაინტერესებული. სხვათა შორის, სპორტიც იზიდავს. იცით ალბათ, რომ ოლიმპიურ თამაშებში — ბოსნეიკში მიუღია მონაწილეობა. მოკლედ, მუსიკის, სპორტის, ხელოვნების მოღვაწეებს მეცენატობს და არანაკლებ ინტერესს იჩენს პრეისტორიისადმი.

— ამის გამოძახილია ალბათ ისიც, რომ მონაკოს სამეფო კარი სისტემატურად გადასცემს პრემიას პალეოანთროპოლოგებს. ახლახან ამ პრემიის მფლობელი თქვენც გამხდარხართ — 2000-2001 წლებში მიღწეული სენსაციური ნარმატები-სათვის. დმანისში აღმოჩენილმა ორმა თავის ქალამ (რომელსაც შარშან, მესამეც მიემატა) საქართველო ერთბაშად აქცია ევროპელთა სამშობლოდ...

— როგორც ჩანს, პრინცი ალბერი მართლაც ინტერესიანი ადამიანია და პირველი ევროპელის თემამ მასზეც იმოქმედა. ის ყოველწლიურად დადის „სტუმრად“ გათხრებზე. ივლისში, კენსონში ყოფილა, სადაც საკმაოდ მდიდარი პრეისტორიული მუზეუმი მდებარეობს. იქ ერთი ექსპოზიცია ჩვენც მოვაწყვეთ და, როგორც მეცნიერები აღნიშნავენ, ძალზე საინტერესოც. პრინცი ალბერს გულმოდგინედ დაუთვალა იერება ჩვენი გამოფენა. დიდხანს ვისაუბრეთ. მითხრა, რომ ყველაფერი იცის საქართველოზე (პრეისტორიას ვგულისხმობ) და რამდენიმე,

წმინდა პროფესიონალური ხასიათის შეკითხვაც დამისვა.

— ახლა იმ ცერემონიის შესახებაც გვიამბეთ, რომელიც, თუ არ ვცდები, პარიზში გაიმართა...

— დიან, პარიზში, ადამიანის პალეონთროპოლოგიის ინსტიტუტში და მას ამ ინსტიტუტის დირექტორი, საფრანგეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, ანრი დე ლუშლეი უძღვებოდა. ცერემონიას ესწრებოდნენ პარიზის აკადემიური წრეების წარმომადგენლები, მეცნიერები, კულტურის მოღვაწენი, დიპლომატიის წარმომადგენლები; სულ დაახლოებით 100 კაცამდე ვიქნებოდით...

— პრემიები თვით პრინცმა ალბერმა გადმოგვცათ, არა?

— დიან და როგორც მან განაცხადა, ძალზე ბედნიერი იყო პრეისტორიკოსებთან შეხვედრით. ეს გახლავთ პრინცის მამის, მონარქ რენიეს მიერ დაწესებული ჯილდო და ასევე ჰქვია — მონარქ რენიეს პრემია.

— თუ საიდუმლო არ არის, რა თანხას შეადგენს პრემია?

— დიდი თანხა არ გახლავთ, თანაც საიმისოდაა გათვალისწინებული, რომ დაახლოებით ერთი თვე იმუშაო საფრანგეთში, პალეონთროპოლოგიის ინსტიტუტში; სულ 3 ათასი ევროა... ისე, მსოფლიოში ამაზე ავტორიტეტული სამეცნიერო პრემიებიც არსებობს და იმედია, მალე შევწყვდებით... მაგრამ ამ შემთხვევაში, ალბათ მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ პრეისტორია, ადამიანის ევოლუცია აინტერესებს ფართო საზოგადოებას და, რაც მთავარია, ისეთ სამეფო ოჯახს, რომელიც ძირითადად შოუბიზნესთან ასოცირდება...

— როგორც ვიცით, საქართველო-

ში პრეისტორიულ კვლევას დიდი ხნის ფესვები აქვს...

— დიან, ასეა. შეუძლებელია, ერთ დღეში განვითარდეს მეცნიერება. მსოფლიო მნიშვნელობა შეიძინა კვლევებმა, რომელიც აწ გარდაცვლილმა აკადემიკოსმა ლეო გაბუნამ და პროფესორმა აბესალომ ვეკუამ დაიწყეს. მე მათ დახმარებას და მდიდარი ტრადიციების ძალას ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვგრძნობ — იქნება ეს მოგზაურობა თუ საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობა.

— ახლახან ყური მოგვკარი — დავით ლორთქიფანიძეს პოლიტიკაში გადაბირებას უპირებნო.

— აბსოლუტურად გამორიცხულია ჩემი პოლიტიკაში წასვლა. თუმცა, მიმაჩნია, რომ სფერო, რომელშიც ვმუშაობ, თავისთავად „მონაწილეობს“ პოლიტიკაში, ქვეყნის სახის წარმოჩენაში. ახლახან, ამერიკაში, ჩიკაგოში გახლდით, ლუის ლიკის 100 წლისთავის აღსანიშნავ ფორუმზე (ლუის ლიკი ანთროპოლოგიის ფუძემდებელია, რომლის სახელთანაც აფრიკაში გაკეთებული პირველი აღმოჩენებია დაკავშირებული). საქართველო ჩიკაგოში წარმოდგენილი იყო, როგორც ტრადიციული ქვეყანა, თავისი განსაცვიფრებელი აღმოჩენებით და ამ ქვეყანას წარმოვადგენდი მე, პალეონთროპოლოგი დავით ლორთქიფანიძე... ჩემთვის პროფესია მხოლოდ პროფესია არ არის — იგი ცხოვრების ნაწილია და ამავე დროს ჰობიცაა...

— ახლა ისევ პრინც ალბერს დავუბრუნდეთ. თქვენ, მგონი, რალაც საჩუქარიც გადაგიციათ მისთვის...

— ცერემონიაზე სამადლობელი სიტყვა რომ დავამთავრე, პრინცს ვუთხარი — თქვენთვის საჩუქარი მაქვს-მეთქი, — და გადავეცი დმანისური ქვედა ყბის ასლი, რომლის ასაკი, როგორც ვიცით, 1,8 მლნ წლით განისაზღვრება. მისმა რეაქციამ ჩემს მოლოდინს გადააჭარბა: გულწრფელად გაუხარდა და განაცხადა, ასეთი ძვირფასი საჩუქარი ჯერ არ მიმიღიაო...



ასეთი ძვირფასი საჩუქარი ჯერ არ მიმიღიაო... — უთხრა დავით ლორთქიფანიძეს მონაკოს პრინცმა ალბერმა

— როგორია პრინცი ალბერი ადამიანებთან ურთიერთობისას?

— გამოცა მისმა უბრალოებამ და მორიდებულობამ. ე.წ. „დიდ კოქტილზე“ (რომელიც პრემიების გადაცემის შემდეგ გაიმართა), თვითონვე მიუბრუნდა საქართველოს თემას. — ალბათ თქვენი ეს ინტერესი იმითაცაა გამოწვეული, რომ მაინც საერთო წინაპრები გვყავს-მეთქი... — გულიანად გაეღიმა და მიპასუხა: საიმოვნებით მოვინახულებ „ჩვენი წინაპრების“ სამშობლოსო... ვფიქრობ, მონაკოს პრინცი ზაფხულში ესტუმრება დმანისს. თუ „დაიმსახურებს“, შეიძლება, ცოტა — ასე, ერთი კვადრატი გავათხრევიინო კიდეც...

— ერთი კვადრატის გათხრას რა დრო დასჭირდება?

— გააჩნია, რა სიღრმეზე ჩაიდნარ...

— ეი. შეიძლება, ამას მთელი ზაფხულიც მოანდომოს?

— რა თქმა უნდა... შეიძლება, ორი ზაფხულიც თხარო. ასე რომ, პრინცს კარგა ხანს მოუწევს დმანისში დარჩენა... ეს ხუმრობით, რა თქმა უნდა. ისე, ალბათ რამდენიმე დღე მაინც „იბუშავებს“ ჩვენთან...

— თუ არ ვცდები, ამ დღეებში პარიზში მიემგზავრებით...

— დიან. საბუხეუმო საერთაშორისო ფორუმი ტარდება. თანაც, რამდენიმე ევროპულ პროექტშიც ვმონაწილეობთ.

— საფრანგეთში, კენსონის გარდა, კიდევ არის ანთროპოლოგიური მუზეუმი, არა?

— თანაც, არაერთი... დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელის, ჯუშუბერ კოპალიანისა და, რა თქმა უნდა, ჩემი ოცნებაცაა, დმანისში მუზეუმის აშენება, სადაც მძლავრ პრეისტორიული ხანის ექსპოზიციის ნაწილს წარმოვადგენთ. დმანისის მსოფლიო მეცნიერებისთვის მნიშვნელოვანი ცენტრი უნდა გახდეს...

— მერე ამას რა დრო დასჭირდება?

— არა ისეთი, რაც ანთროპოლოგიისთვისაა ჩვეული: ალბათ სულ რამდენიმე წელიწადი... როდესაც საზოგადოებრივი ინტერესი მატულობს, ეს უკვე ძალაა!..

P.S. საზოგადოებრივი ინტერესი კი, დმანისურ აღმოჩენებს ნამდვილად არ აკლია. თანაც, ბოლო პერიოდში, ანთროპოლოგიური კვლევის არეალი ფართოვდება — დმანისის დავითგარეჯის, კავთისხევის და წალკის ადგილსამყოფელები ემატება...



„შენ
პოპონ უმე,
ჩემო პატივს,
...“

გამუდგებით უნდა ვუძირობ...

მარი ჯაფარიძე

ამ რუბრიკაში სიყვარულის თემა ხშირად ფიგურირებს – ზოგი საკუთარ გამოცდილებას გვიზიარებს, ზოგი ამბავს გვიყვება, ზოგი რჩევას გვთხოვს, ზოგი კიდევ, გულის სწორს პირადად ვერ უბედავს სიყვარულის ახსნას და ამას ჩვენი დახმარებით ახერხებს; არაერთხელ მიველია ისეთი „მესიჯი“ (თქვენც უთუოდ გემსხივრებათ), რომლის ავტორსაც საკუთარი ცოდვა გაუშვლია ჩვენთვის და იმ ადამიანისთვისაც უთხოვია მიტევა, რომლისთვისაც გული უტკეპია; მაგრამ ამასთანავე, მკითხველები ყოველთვის, ჩვენი ყოფა-ცხოვრების სხვადასხვა მხარეს შეხებიან. აი, გასულ კვირაში კი, რაღაც უცნაური დამთხვევით (ის მით უფრო უცნაურია, რომ სწორედ პოლიტიკური ვნებათაღელვის დღეებში მოხდა), თითქმის უკლებლივ ყველა, ან საკუთარ სასიყვარულო განცდებზე გველაპარაკებოდა, ან... სექსუალურ გამოცდილებაზე. რა გაეწყობა?! – სინამდვილეს ვერ შევალამაზებთ...

„...ჩემი ჯარისკაცი ქვეყანას მირჩევნია, მაგრამ ახალმა თაყვანისმცემელმა მშვიდი ძილი დამიფრთხო...“

„მყავს შეყვარებული, რომელიც ახლა ჯარშია. წასვლისას მიხოვა: რომ დაბრუნდები, „თითდაუკარებელი“ დამხვდით. მეც, ერთ-გულების ფიცი მივეცი და დაიმედებული გავისტუმრე, სამშობლოს წინაშე ვალის მოსახლეად. მაშინ მართლაც ვფიქრობდი, რომ ყველაფერი კარგად იქნებოდა და წელიწადნახევრის შემდეგ, ალაღად შევხვდები თვალებში. მაგრამ ჩემდა ჭირად, ერთი ბიჭი გადამეკიდა და მოსვენება დამიკარგა. ძალიან

ღამაში მამაკაცია, მიზიდავს, არ მიყვარს, მაგრამ მის მიმართ ლტოლვა მაქვს... არც დაფიქრდები, ისე გეტყვით, რომ ჩემი ჯარისკაცი ქვეყანას მირჩევნია, მაგრამ ახალმა თაყვანისმცემელმა მოსვენება და მშვიდი ძილი დამიფრთხო. ჩემს თავს ვერ ვწინააღმდეგები და მასთან პაემანზე დავდივარ... ხელებს მიფართობს, მკონისი, მუფერება, მე კი წინააღმდეგობას არ ვუწევ... შინ რომ დაბრუნდები, მე რე ჩემს თავზე ვბრახობ ხოლმე, მაგრამ შეხვედრისას, ყველაფერი მაგიწყდება. ვიცი, რომ ერთ მშვენიერ დღეს, არც სექსზე ვეტყვი უარს. უბრალოდ, ჯერ არ შემოუთავაზებია, თორემ... უკვე თანახმა ვარ... აღარ ვიცი, როგორ მოვიქცე... სალომე, 17 წლის“.

„...გასახდელში რომ შევედი, გივივით დამეტაჯა...“

„ემუშაობ მამაკაცის ტანსაცმლის ერთ პატარა მაღაზიაში, გამყიდველ-კონსულტანტად. მთელი დღის განმავლობაში, თითქმის მარტო ვარ ხოლმე... ერთხელ, ახალგაზრდა, სიმპათიური მამაკაცი შემოვიდა და პერანგის შერჩევა დაიწყო. გადმოვუღავე, თუ რამ საუკეთესო გვქონდა. ბოლოს, ერთი შეარჩია და მოსაზომებლად, გასახდელში შევიდა. კარგა ხანს რომ აღარ გამოჩნდა, – ხომ არაფერი გჭირდებოდა-მეთქი? – შევეხმინა. – მეორე, ლურჯი პერანგი მომაწოდეთო, – მითხრა. ფარდა რომ გადავწიე, გავშეშდი: ჩემ წინ კარგი აღნაგობის, დაკუნთული, წველს ზეგით მოშველი მამაკაცი იდგა და მიღიმოდა... პერანგი მივაწოდე და ღილების შეკვრამაც მივეხმარე. ვცდილობდი, რაც შეიძლებოდა ხშირად შეხებოდი მის გულმკერდს, მუცელს... ვვრანობდი, როგორ მეგლივით მიყურებდა, მაგრამ

მე ეს მომწონდა და გასახდელიდან გამოვლას ვაყოვნებდი... ბოლოს, დავტოვე და გამოვედი... ის პერანგი შეიძინა, ფული გადაიხადა და წავიდა... ამის შემდეგ, რომელი კლიენტიც მომეწონებოდა, ყველას ასე ვემსახურებოდი. მოსწონდათ ჩემი საქციელი და ახლა თითქმის ყველა მათგანი მუდმივად ჩვენთან ყიდულობს ტანსაცმელს... ერთ საღამოს, მაღაზიის დაკეტვას ვაპირებდი, როცა „ის“ – „პირველი“ მოვიდა. ისევ პერანგის მოზომება მოისურვა. გასახდელში რომ შევეყვი, გივივით დამეტაჯა... წინააღმდეგობა არ გამიწევია... წავიდა და წავიდა... მაგრამ იმ დღის შემდეგ აღარ გამოჩნდა. უკვე ერთი წელი გავიდა, მე კი ველოდები... თუ „გზას“ კითხულობს და საკუთარ თავს ამოიცნობს, იქნებ, დამიკავშირდეს... ვერ გივიწყებ, ჩემო კარგო, გამუდმებით შენზე ვფიქრობ. ხომ იცი, სადაც ემუშაობ? იქნებ, ერთხელ მანაც შემოიარო ჩემთან?! აგნესა, 23 წლის“.

„არ ვიცი, ასაკის ბრალია თუ ჩადენილი ცოდვების – არა და არ მელირისა შვილი...“

„გამარჯობა, მარი. არ გავიკვირდეთ, როდესაც გეტყვით, რომ მე ყოფილი მონაზონი ვარ. რატომ – ყოფილი? ამას ახლა ვიამბობთ... იმ სოფელთან ახლოს, სადაც მე გავიზარდე, დღათა მონასტერი მდებარეობს. სულ პატარა ვიყავი, როდესაც დედა ხან რბეს, ხან ხილს ან გამზადებულ სადილს გამატანდა ხოლმე დედაოებთან (სოფელში ასე ეძახიან მონაზვნებს). სულ მაინტერესებდა, როგორ ცხოვრობდნენ ისინი, რას აკეთებდნენ მთელი დღის განმავლობაში, მომწონდა მათი ჩაცმულობა და 14 წლისამ გადავწყვიტე, მეც მონასტერში წავსულიყავი. ასეც მოვიქციე. არც ოჯახს გაუწევია წინააღმდეგობა და მთელი გულითა და სულით ღვთის სამსახურს შევუდექი... იქ როგორ ვცხოვრობდი, ამის მოყოლით თავს არ შეგაწყენთ... გავიდა წლები. 21 წლის ვიყავი, როდესაც რამდენიმე მონაზონთან ერთად კახეთში წავიდი, რომ მოსახლეობისთვის, კერძოდ, ქალებისთვის პატარა-პატარა საუბრები ჩაგვეტარებინა საეკლესიო თემებზე (ეს ამბავი 70-იან წლებში ხდებოდა). სოფელ-სოფელ დავდიოდით, ზოგან ერთი კვირა ვჩერდებოდით, ზოგან – უფრო მეტი... ერთ სოფელში 9 დღე დავყავით, ღამეს მრავალშვილიან ოჯახში ვათევით (12 შვილი ჰყავდათ). უფროსი ბიჭი ზუსტად ჩემი ასაკის გახლდათ. პირველ საღამოს, შინ ნამუშევარი, დაღლილი დაბრუნდა. რომ შეხვდეთ, კნაღამ გულმა მიმტყუნა. ისე მომეწონა, ისე, რომ იქით დავუწიე კეკლუცობა... მეორე ღამეს, ცოტა შეაგვიანდა და ეზოში ველოდი. მოვიდა, გვერდით მომიჯდა და გათენებამდე ვისაუბრეთ... მესამე ღამეს იგივე განმეორდა, თღონდ – მე ხან მხარზე ვადებდი თავს, ხან ვეხუტებოდი – მოკლედ, აღარ მოვეშვი და ის ღამე თივის ზინზე გავატარეთ... დღით, ჩემს საწოლს შეუძნეველად

დავუბრუნდი. მეორე დღეს კი, გაღიშებული დავდიოდი, რადგან თავში სულ ის ღამე მიტრიალებდა და ტანში საამოდ მცრიდა... ყოველ ღამით, იგივე მეორეობა... იქიდან დედაოებთან ერთად წამოვედი, მაგრამ გზიდან ავებარე, მალულად ჩამოვრჩი და თავქუდმოგლეჯილი, შინისაკენ გავემართე; მერე, შუა გზიდან მოვბრუნდი და თბილისში, ჩემს ნათესავებს მივაღიქე. ვუთხარი – აღარ მინდა, მონასტერში ყოფნა, იქნებ, რაიმე სამსახური მიმოვიოთ-მეთქი. დამეხმარნენ. ტანსაცმელი მიყიდეს. მერე, მუშაობაც დაიწყო და გავხდი ქალაქელი გოგო. სივარების მოწვევაც დავიწყე, მეგობრებთან ერთად გასართობად საარულიც და თავყანისმცემელიც ბლომად მყავდა... მალე გავთხოვდი, მაგრამ ორ წელიწადში, ოჯახი დამეგრა. ქმარი ნარკომანი აღმოჩნდა. წამლის გულისთვის ეშმაკს მიჰყიდდა სულს. ვერ ავიტანე მისი საქციელი და წამოვედი. შვილი არა მყავს. ახლა, ბოლო ორი წელია, რაც მეგობარი მამაკაცი მყავს, მშვენივრად ვგრძნობ მასთან თავს. მეუბნება – თუ დაფენხმობდები, ცოლად მოგიყვანო, – მაგრამ არ ვიცი, ასაკის ბრალად (46 წლის ვარ) თუ ჩაღნილი ცოდვების – არა და არ

მელირსა შვილი... ეკლესიაში გაბუდებით დავდივარ, ვლოცულობ... იქნებ, პირველად მე რომ გამოვიჩინე ინიციატივა, ეს უფრო დიდი ცოდვაა? მოძღვარს ვკითხე და ასე მიპასუხა: მნიშვნელობა არა აქვს, შენ დაიწყებდი თუ ისო... იქნებ, საქვეყნოდ მონანიებამ მიშეუღოს?!”

„მასხენდება თოვლი, მთვარიანი ტამე და შენი თვალები...“

ახლა კი, ტრადიციისამებრ, მოკლე „მესიჯები“:

„...უ, გავვიყვები! 3 წელია, „გადაბოლოვ“ მყავს შეყვარებულები, მაგრამ ახლა, ბოლო შეყვარებულს დავშორდი და მარტო ვარ. ჩემ ირგვლივ ყველას შეყვარებული ჰყავს. მეც მინდა, ვინმე ისე მეყვარებოდეს, როგორც ჩემი მეგობრები ეყვრებიან ერთმანეთს...“

„რატომ ხდება ასე, რომ ვინც არ მოეწონს, კალიებს გახვეს, აღმოჩნდილი „პრინცი“ კი, მხოლოდ იმობას გეფიცება? გიო, იქნებ როგორმე მიხვედ, რომ მომწონსარ?! ნუ მთვლი დაღ. ნუკა“.

„მასხენდება შენ და მასხენდება თოვლი, მთვარიანი ღამე და შენი თვალები. შენ ამ-

ბობდი, დედამიწა ვვარს იწერს და ეს მისი საპატარძლო სამოსია! შენი მონატრება ცრემლებად იღვრება. მასსოვხარ, „ლუციფერო“! „სერაფიმა“.

„ლევან! შენ ჩემი პირველი სიყვარული ხარ! გესმის? 16 წელი გავიდა მას შემდეგ და ვერ გივიწყებ! გასსოვს? დათვს გეძახდი, დათუნას... ისევ მიყვარხარ... ჩვენი ოჯახები? მერე რა... ეს სიყვარულს ხელს არ უშლის... უშინოდ სუნთქვაც მიჭირს. შენი ბაია...“

რაკი სიყვარული აგრერიგად მოეძალათ ჩვენს მკითხველებს, ადეკვატურად ვუპასუხებთ: იმ საფიქრალ-სატყუარის გარდა, რომელიც გსურთ, გავვიზაროთ, „თემატური „მესიჯების“ გამოგზავნასაც ვთავაზობთ – მოდით, პირველი სიყვარული გავიხსენოთ. დარწმუნებული ვარ, ამ წინადადებას ბევრი მკითხველი გამოეხმად და სიმამწვილეში მის თავს გადახდენილ, რომანტიკულ აზვას გამოევიგზავნის ნომერზე: 8(77) 45.68.61. მამ ასე, მომღვწეო „გზაჯინილებს“ პირველ სიყვარულს მივუძღვნიო! ველით თქვენს „მესიჯებს“.

ყველაზე „სტაქიანი“ მოხსენებლები მსოფლიოში

„გზის“ წინა ნომერში მოვითხრობდით იმ ბოროტმოქმედებზე, რომელთა კვალს წლების მანძილზე ვერაფრით აგნებდნენ შესაბამისი სახელმწიფოს სამართალდამცავები და მათი ინტერპოლელი კოლეგები. შეგახსენებთ, რომ სადღესისოდ, მსოფლიოში 9 ასეთი მოუხელთებელი არსებობს. მკითხველს 2 მათგანი უკვე გავაცანით – „მოწოდებით ტერორისტად“ წოდებული, პალესტინელი საბრი ბანუ, მეტსახელად – აბუ ნიდალი და „ბრძანებით მოქმედ ტერორისტად“ წოდებული, ლიბიის სპეცსამსახურის ერთ-ერთი ხელმძღვანელი აბდალა სენუსი. ამჯერად კიდევ ერთ მოუხელთებელს წარმოგიდგინო.

აირა ეინჰორნი აშშ-ში ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ მკვლელადაა მიჩნეული, მიუხედავად იმისა, რომ დანაშაული მან 26 წლის წინ ჩაიდინა. საკუთარი პერსონისადმი ყურადღება ეინჰორნმა ვერ კიდევ XX საუკუნის 70-იან წლებში მიიპყრო. ის პიპების მოძრაობის აქტივისტი გახლდათ და მოპოვებული პოპულარობის წყალობით, კინალამ გახდა ქალაქ ფილადელფიის მერი. შემდგომ, 70-იანი წლების შუა პერიოდში კი, შექმნა ორგანიზაცია, რომელიც, მისივე თქმით, იმისკენ იყო მოწოდებული, რომ ცსსს (ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო) მხრიდან ადამიანის გონებაზე კონტროლის მიზნით განხორციელებული ექსპერიმენტები ემხილა. აქედან გამომდინარე, სავსებით ბუნებრივი იყო, რომ ეინჰორნის მიერ

1977 წლის მაისში გაკეთებული განცხადება, მისი საყვარლის, ვინმე ჰოლი მადაქსის გაქრობის შესახებ, არა მარტო აირას მშობლიური, პენსილვანიის შტატში, არამედ მიუღ ქვეყანაში ნომერ პირველ ახალ ამბად იქცა.

პოლიციამ ენერგიულად მოჰკიდა ხელი დასახელებული ქალის ძებნას. ეინჰორნის თქმით, ჰოლი მადაქსი მის სახლთან ახლომდებარე სუპერმარკეტში შესვლის შემდეგ გაუჩინარებულა... უგზო-უკვლოდ დაკარგულის ძებნა წელიწად-ნახევარი გავრძელდა. მთელი ამ დროის მანძილზე, ეინჰორნი დანაშაულში ცსსს-სა და ძვბ-ს (ძებნათა ფედერალური ბიურო) სდებდა ბრალს. მაგრამ ძვბ-ს აგენტებმა დაადგინეს, რომ იმ დღეს ჰოლი საერთოდ არ გასულა შინიდან. ამის შემდეგ, პოლიციამ ქალის ბინის განხრეკის ორდერი მიიღო და შიგ მისი ნაშთები აღმოაჩინა... ეინჰორნის სპეციაკი სახელი სამართალდამცავებს საშუალებას არ აძლევდა, მისთვის ბრალდება წაეყენებინათ. მისი საწინააღმდეგო სხვადასხვა სამხილის მოგროვება მხოლოდ 1981 წელს მოხერხდა, მაგრამ ეინჰორნი ამ დროს, უკვე წასული იყო შეერთებული შტატებიდან. კიდევ რამდენიმე წელი, სხვადასხვა ქვეყანა-



ში მისი კვალის პოვნას მიაღწიეს, მაგრამ ამაოდ.

აირა ეინჰორნის დაუსწრებელი პროცესი 1993 წელს დაიწყო და ძალზე სწრაფად დასრულდა: სასამართლოს სულ რამდენიმე დღე დასჭირდა მისი ბრალეულობის დასამტკიცებლად, რაც მისთვის საშუალო პატიმრობის მისჯის საფუძველი გახდა... როგორც იქნა, 2000 წელს, ეინჰორნის კვალს საფრანგეთში მიაგნეს. მაგრამ როცა ამერიკის ხელისუფლებამ მისი გადაცემა მოითხოვა, გარკვევა, რომ უტყუარი სახილის მიუხედავად, ეს პრაქტიკულად შეუძლებელი იყო: საფრანგეთის კანონმდებლობა კრძალავს სხვა ქვეყნისთვის ბოროტმოქმედის გადაცემას, თუკი ეს ქვეყანა დაუსწრებლად გასამართლებულის ხელახალი გასამართლების გარანტიას არ იძლევა, პენსილვანიის შტატის კანონი კი, ამას არ ითვალისწინებდა. მას შემდეგ, რაც შტატმა მიიღო კანონი, რომელმაც ჩატარებული პროცესი და გამოტანილი განაჩენი გააუქმა, ეინჰორნი, ბოლოს და ბოლოს, დეპორტირებული იქნა აშშ-ში. ეს 2002 წელს მოხდა. ახალმა პროცესმაც მისი ბრალეულობა დაამტკიცა და მას საშუალო პატიმრობა მიუსაჯა.

„არც სასამართლოში გავიქნები“ — განაცხადა ჩვენებოსას ჯონი გიგანმა

გიგანს ენიჭება პატივსაცემი უპაპირება

5 ნოემბერს, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიამ, მოსამართლე ჯემალ ლეონიძის თავმჯდომარეობით, საშა მაისურაძის ბრალდების საქმის განხილვა დაიწყო. როგორც ცნობილია, მაისურაძეს „მორკინალის“ ერთ-ერთი მენილის — ჯონი გიგანის ავტომანქანის აფეთქებასა და თავად გიგანის განზრახ, დამამძიმებელ გარემოებებში მკვლელობის მცდელობაში ედება ბრალი. მაისურაძე პროკურატურის მიერ წარდგენილ მუხლებს არ ეთანხმება და თავს დამნაშავედ არ ცნობს. რაც შეეხება დაზარალებულს — ის აცხადებს, რომ განსასჯელის დანაშაულში დარწმუნებულია. გიგანმა კოლეგიას ჩვენება მისცა, თუმცა ისიც აღნიშნა, რომ სასამართლოს დიდად არ სჯერა. მისი მტკიცებით, აფეთქებიდან რამდენიმე წუთში, საშა მაისურაძემ 7 კაცის წინაშე აღიარა დანაშაული.



განსასჯელი
საშა
მაისურაძე

ჯონი გიგანი:

„საშა მაისურაძეს 1991 წლიდან ვიცნობ; იმ დროიდან, როცა ორგანიზაცია „გულანში“ ვმუშაობდით ერთად. მასთან ძალიან ახლო ურთიერთობა არასდროს მქონია, თუმცა, არც შორს ვიყავით ერთმანეთისგან. საერთოდ, ამ ადამიანთან ყოველთვის ვფრთხილობდი. ვიცოდი, რომ უკანონო ბიზნესს ხელმძღვანელობდა და ამიტომაც ვცდილობდი, მის საქმეებთან შეხება არ მქონოდა. „გულანში“ მუშაობის შემდეგ, რამდენიმე წელი ისე გავიდა, რომ მაისურაძე არსად შემხვედრია. ბოლო დროს შევიტყვე, რომ „კინოს სახლში“ ფართი ქირავდებოდა. ამ განცხადებით დავინტერესდი და ჩემი წარმოდგენილები გაუფიქრებელი ხელმძღვანელობასთან, რათა ხელშეკრულება გამეფორმებინა. აღმოჩნდა, რომ „კინოს სახლში“ მანამდე არსებულ კაზინო „ოსკარის“ ერთ-ერთი მწველე გახლდათ საშა მაისურაძე. კაზინო იმ დროისთვის ვაკოტრებული იყო, თუმცა

ინვენტარი — სათამაშო მავიდეები და სკაქები იქვე, ხელუხლებლად იწყო. გარკვეული პერიოდის შემდეგ, როცა ხელშეკრულების პროექტი უკვე შემუშავებული გქონდა, მაისურაძე შემხვდა და მითხრა — თანხა მქვს იმ კაზინოში ჩადებული და არ მინდა, დამეკარგოსო. ვუპასუხე, რომ მანამ არ გავაფორმებდი „კინოს სახლთან“ ხელშეკრულებას, სანამ მას არ დააკმაყოფილებდნენ. როგორც ვთქვა, მაისურაძეს იქიდან ინვენტარის წაღება უნდოდა, „კინოს სახლის“ ხელმძღვანელობა კი, მას ამის საშუალებას არ აძლევდა. არ მინდოდა, ამ საქმეში ჩავრეულიყავი, მაგრამ იძულებული გამხადეს; ისეთი შთაბეჭდილება მრჩებოდა, თითქოს მაისურაძეს განგებ სურდა ამ გაუგებრობაში ჩემი ჩართვა. ბოლოს, როგორც იქნა, ხელმძღვანელობა დაეთანხმა, გაეტანებინათ მისთვის აღნიშნული ინვენტარი. თუმცა, მიუხედავად ამისა, ამ მავიდეების წაღება-არწაღების საკითხი მთელი სამი თვის მანძილზე ვაჭიანურდა და ამის ერთადერთი მიზეზი, თავად მაისურაძე გახლდათ. არაერთხელ დავთქვით დრო, მაგრამ ინვენტარი შენობიდან არ მიჰქონდა. ერთ დღეს, როცა იმავე საკითხს ვარჩევდით, მაისურაძემ მითხრა: ხომ იცია, ქუჩაში ხდება ავარიები, აფეთქებები, ტრასის გადაკვეთის დროს, მანქანის შემთხვევითი დარტყმები... ერთხანს ვუსმენდი, შეძლევი კი ვკითხე — ჩემგან რა გინდა-შეთქი? გარკვეული პასუხი არ მოუცია, ისე დაეშორებით ერთმანეთს. ამ საუბრიდან დაახლოებით სამი თვე გავიდა. სხვათა შორის,

მთელი ამ ხნის მანძილზე ვეძებდი მაისურაძეს, მაგრამ ვერსად ვპოულობდი. ერთ დღით, შინ ვიყავი და პირს ვიპარსავდი, რომ უეცრად, აფეთქების ხმა მომესმა. მაშინვე, ინსტინქტურად ტელეფონს მივეკარდი და „კინოს სახლში“ დავრეკე — მაისურაძეს მავიდეები არ გაატანოთ-შეთქი. მიპასუხეს — გუშინ წაიღო. არ ვიცი, რატომ მოვიქცი ასე, მაგრამ აფეთქების ხმის გაგონებისთანავე, მაისურაძე ამომიტივტივდა გონებაში. არ გასულა 5 წუთიც და ჩემმა მძლოლმა დამირეკა და მითხრა: ბავშვები სკოლაში დავტოვე, უკან ვბრუნდებოდი და მანქანა აფეთქესო. მაშინვე „მორკინალში“ წავიდა და ვიკითხე — მაისურაძე ხომ არ იყო იქ სადმე-შეთქი? მძლოლმა მითხრა — ვინც პირველი, დაეინახე, სწორედ ის იყო. მაშინ დაცვას ვუთხარი, ჩემთან მოეყვანათ. ოთხსაშე, ჩემ გარდა, დაახლოებით 7 კაცი იქნებოდა. მაისურაძეს ვუთხარი — თუ სიმართლეს მტყუნი, დაეინდობ, თუ არა და ჩაუტოვებ-შეთქი. მაშინ მან ყველაფერი აღიარა. მისი აღიარება ყველამ მოისმინა...“

ჯონი გიგანმა პროცესზე მის მიერ ნახსენები 7 კაცის ვინაობის დასახელება ვერ შეძლო. მისი ჩვენების შემდეგ, სახელმწიფო ბრალმძღველმა აღნიშნა, რომ მისთვის მაინც გაუგებარია, რა მიზეზით გაბრაზდა მასზე მაისურაძე, თუკი საქმე დიდ თანხას არ ეხებოდა. მაშინ გიგანმა აფეთქებასთან დაკავშირებით თავისი ვერსია წარმოადგინა: „ჩემი ვარაუდით, მაისურაძე ჩემს წინააღმდეგ წააქვს. აღსანიშნავია, რომ იგი იმ პერიოდში, ბადრი პატარკაციშვილის დაცვის უფროსი გახლდათ. პატარკაციშვილთან კი, „თბილისის“ დინამოსთან დაკავშირებით უთანხმოება მომხდდა. ვფიქრობ, ყოველივე ამას კავშირი აქვს აფეთქებასთან.“



ასალაქორჩინებულები დაყარალებას თავად გოგოგოქედი ემსხვერპლა

დაზარალებულმა მას TT-ს იარაღიდან ესროლა ტყვია

2002 წლის 2 ივლისს, ისანი-სამგორის რაიონულ პროკურატურაში ჯუანშერ ჩიქოვანის ოჯახზე ყაჩაღური თავდასხმის ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. იმავე დღეს დააკავეს ეჭვმიტანილი – დათო რუსია. რაც შეეხება დანარჩენ დამყაჩაღებლებს, მათგან ერთი – ბექა აბრამიშვილი შემთხვევის ადგილზევე გარდაიცვალა, ხოლო მეორის ვინაობის დადგენა გამოძიებამ ვერ შეძლო. იგი დღემდე იმალება.

საქმის მასალების მიხედვით, დათო რუსია სწორედ აღნიშნულ დღეს – 2 ივლისს დაუკავშირდა თავის მეგობარს, წარსულში ნასამართლევ ბექა აბრამიშვილს. ორივენი ერთად შეხვდნენ გამოძიებით დაუდგენელ პირს – ვინმე გიას და მოილაპარაკეს, რომ დაეყაჩაღებინათ თბილისში, მე-3 მასივში მცხოვრები ჩიქოვანების ოჯახი. რუსია „მაკაროვით“ შეიარაღდა, ხოლო აბრამიშვილი – საკუთარი, უკანონოდ შეძენილი „ბრაუნინგით“. ცეცხლსასროლი იარაღი გიასაც ჰქონდა.

რამდენიმე წუთში, ჩიქოვანების ბინას მიაღწენ. ზარი აბრამიშვილმა დარეკა და კართან მისულ ოჯახის ერთ-ერთ წევრს – ჯუენზა ჩიქოვანს უთხრა: „თელასის“ თანამშრომელი ვარ, ვიცი, რომ თქვენი ელექტრომრიცხველი არ მუშაობს და უნდა შევამოწმო.

ამ დროს, დათო რუსია და გია იქვე კართან იდგნენ, ისე, რომ საჭერეტიდან მათი დანახვა შეუძლებელი იყო. აბრამიშვილმა შეძლო ქალის შეცდომაში შეყვანა, გააღებინა მას კარი, რის შემდეგაც, თავის ორ თანმხლებთან ერთად, იარაღმომარჯვებული შეიჭრა ბინაში. როცა ოჯახის წევრებმა ყვირილი ატეხეს, ბოროტმოქმედებმა ძალადობას მიმართეს: პისტოლეტებიდან ისროდნენ როგორც ჯუანშერ ჩიქოვანის, ასევე მისი მეუღლის – მაია პაიჭაძისა და დის – ჯუენზა ჩიქოვანის მიმართულებით.

სროლისას რუსიამ ჯუანშერს მუცლის მარცხენა მხარესა და მარცხენა მტევნის სახსარში მიაყენა დაზიანება. აღ-

24 წლის თბილისელ დათო რუსიას ვარკეთილში მცხოვრები ერთ-ერთი ოჯახის დაყაჩაღებისა და რამდენიმე ადამიანის განზრახ, დამამძიმებელ გარემოებებში მკვლელობის მცდელობისთვის ასამართლებენ. პროკურატურის ინფორმაციით, რუსია ორ თანამზრახველთან ერთად ასალაქორჩინებულებს დაესხა თავს. ბინაში, ცოლქმრის გარდა, ოჯახის კიდევ ერთი წევრი — ასალაქორჩინებულ ქალბატონი იმყოფებოდა. თავდამსხმელები, დაზარალებულთა მხრიდან წინააღმდეგობის გამო, სამივე მათგანის მოკვლას შეეცადნენ. მაგრამ დამყაჩაღებულთა ბოროტ ჩანაფიქრს განხორციელება არ ეწერა: დანაშაულებრივ განზრახვას მათივე თანამზრახველი ემსხვერპლა — საკუთარი თავისა და ოჯახის წევრების დასაცავად, დაზარალებულმა პისტოლეტიდან გასროლით ერთ-ერთი დამყაჩაღებელი მოკლა.

სანიშნავია, რომ აღნიშნულ ჭრილობებს შედეგად, ჯანმრთელობის ხანგრძლივი მოშლა მოჰყვა. ჩიქოვანმა, ბოროტმოქმედებისგან თავისა და ოჯახის წევრების დასაცავად, საკუთარ იარაღს – TT-ს სისტემის პისტოლეტს დაავლო ხელი და თავდამსხმელებს საპასუხო ცეცხლი



გაუხსნა. დაზარალებულის მიერ გასროლილი ტყვია რუსიას ბარძაყში, ხოლო აბრამიშვილს – გულმკერდის არეში მოხვდა. ყაჩაღებმა მაშინვე სცადეს შემთხვევის ადგილიდან მიმალვა, კიბეზე ჩავიდნენ, მაგრამ მიღებული დაზიანებების შედეგად, იქვე, მეორე სართულის ბაქანზე დაეცნენ და გადაადგილება ვეღარ შეძლეს. ბექა აბრამიშვილი მაშინვე გარდაიცვალა; დათო რუსიას სიარული აღარ შეეძლო; გაქცევა მხოლოდ გამომოხერხა, მეგობრები მიატოვა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

ამასობაში, დაზარალებულებისა და მეზობლების მიერ გამოძახებული პოლიციაც მივიდა ადგილზე. პოლიციის თანამშრომლებმა რუსია თბილისის პირველ კლინიკურ საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც მას შესაბამისი მკურნალობა ჩაუტარდა. იმავე საავადმყოფოში მოთავსეს

დაზარალებული – ჯუანშერ ჩიქოვანიც და ღრეული სამედიცინო დახმარების შედეგად, სიკვდილს გადაარჩინეს. რაც შეეხება ოჯახის სხვა წევრებს, მათ ცეცხლსასროლი იარაღით დაზიანება არ მიუღიათ. გამოძიებამ ისიც დაადგინა, რომ ჯუანშერ ჩიქოვანი, TT-ს გარდა, ბინაში გაზის პისტოლეტსაც ინახავდა. ორივე იარაღი მას კანონიერად ჰქონდა გაფორმებული.

დაკავებისას რუსიამ სამართალდამცავების წინაშე თავი დამნაშავედ არ ცნო და ჩვენების მიცემაზეც უარი განაცხადა. თუმცა, მოგვიანებით, გამოძიებულმა ბრალდებულის სახით მისი დაკითხვა მაინც შეძლო. დაკითხვისას მან უჩვენა, რომ 2002 წლის 2 ივლისს, ბექა აბრამიშვილი თავად დაუკავშირდა მას, შემდეგ სადაც წაიყვანა. რუსიას თქმით, დაყაჩაღების შესახებ წინასწარ მან არაფერი იცოდა.

დათო რუსიას ჩვენებიდან: „შუადღისას, აბრამიშვილმა სახლში დამირეკა. მითხრა – „ვარკეთილის“ მეტროსთან გამოდი და შეგხვდები. შეხვედრისას მას ვიდაც უცნობი ბიჭი ახლდა. ბექამ იგი ვიად გამაცნო. ერთხანს, ის და ვია რაღაცაზე საუბრობდნენ, არ დავინტერესებულვარ და ამიტომაც არ მახსოვს, რის შესახებ ლაპარაკობდნენ. ცოტა ხანში, აბრამიშვილი მომიბრუნდა და შემომთავაზა: აქვე, მეტროსთან ახლოს მიდივართ და შენც წამოდიო. რა საქმეზე მიდიოდა, არ უთქვამს. ვიფიქრე – ალბათ, საქეფოდ მიდივართ საღმე-მეთქი. სამივენი ავედიოთ მეტრო „ვარკეთილის“ მოპირდაპირე კორპუსში, ერთ-ერთ სა-

დარბაზოში შევედით. მესამე სართულზე რომ ავედით, ბექამ კარზე ზარი დარეკა. შიგნიდან იკითხეს თუ არა რაიმე ან აბრამიშვილმა რა უპასუხა, არ მახსოვს. არც ის დამიფიქსირებია, ვინ გააღო კარი. ბინაში ჯერ აბრამიშვილი შევიდა, შემდეგ ვაი და ბოლოს მე. დერეფანში შესვლისას, ბექა ჩემი თვალთახედვის არედან გაქრა, ვაი კი ერთი მეტრით წინ იდგა.

გოგონა დავინახე, მაგრამ სად იდგა, არ მახსოვს. ბინაში შესვლისას, სროლა ატყდა, ამიტომ უკან გავტრიალდი, წასვლა დავაპირე, მაგრამ სწორედ იმ მომენტში ვივრძინე, რომ მარჯვენა ფეხში ტყვიამ მომხვდა. წავიქეცი. სროლა არ წყდებოდა და ამის გამო, თავს ძალა დავატანე და წამოვდექი, ნელ-ნელა დავეშვი კიბეზე. ძალიან მიჭირდა სიარული. ამასობაში, ბექა და ვაიც წამომეწივნენ, კიბეზე ჩასვლაში მეხმარებოდნენ, მაგრამ მეორე სართულის ბაქანზე მე და ბექა ერთად წავიქეციით, ვაი კი გაიქცა. ვინება არ დამიკარგავს, თუმცა თვალები დასუჭული მქონდა. ბექა ხროტივებდა. ცოტა ხანში, ხროტიანი შეწყვიტა, მაგრამ არ მიფიქრია, რომ მოკვდა. ამასობაში პოლიციელებიც მოვიდნენ და საავადმყოფოში წამიყვანეს...

დაყაჩაღების შესახებ წარმოდგენაც არ მქონდა. ვიფიქრე, რომ საქეფოდ მივდიოდით. არც ის ვიცოდი, იარაღი ჰქონდათ თუ არა. არ დამინახავს, ბინაში ვინ ვისი მიმართულებით ისროდა ტყვიებს. არც ის მომენტები დამიფიქსირებია, როდის დაიჭრა ბექა და არ ვიცი, საერთოდ იყო თუ არა დაჭრილი ვაი“.

დათო რუსიას ასეთი ჩვენება გამოძიებამ არ გაიზიარა. მის მიმართ, ბრალის დასადასტურებლად, პროკურატურამ მოპოვებულ მტკიცებულებებზე, მათ შორის – დაზარალებულისა და მისი ოჯახის წევრების ჩვენებებზე, შემთხვევის ადგილიდან და ჯუანშერ ჩიქოვანის სხეულიდან ამოღებული ტყვიების გულებზე მიუთითა. ექსპერტიზის შედეგად დადგინდა, რომ ამოღებული ტყვიის გულები „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტიდანაა გასროლილი. გამოძიებლის თქმით კი, „მაკაროვი“ იმ დღეს, დათო რუსიას ჰქონდა.

პროკურატურამ დაჰკითხა ჯუანშერ ჩიქოვანიც. ის თავის ამჟამინდელ მეუღლეზე – მაია პაიჭაძეზე შემთხვევიდან სამი თვით ადრე დაქორწინდა. 2002 წლის 6 ივლისს – ე.ი. მომხდარი ფაქტიდან ოთხი დღის შემდეგ, მათ ქორწილი უნდა გადაეხადათ.

ჯუანშერ ჩიქოვანი (წინასწარი გამოძიებისთვის მიცემული ჩვენებიდან):

„დილიდან მეუღლესთან ერთად შინ ვიმყოფებოდი. დაახლოებით დღის 2 საათისთვის, ჩვენთან ბიძაჩემი და ორი მეგობარი მოვიდნენ. მოგვიანებით, ჩემი და – ჯუანა ჩიქოვანიც შემოგვიერთდა. ქორწილის მოსამზადებელი საკითხების შესახებ ვსაუბრობდით. რამდენიმე ხანში, ბიძაჩემი და მეგობრები წავიდნენ, ჩემი და კი დარჩა. დაახლოებით ნახევარი საათი იქნებოდა გასული, როცა კარზე ზარის ხმა გაისმა. კარის გასაღებად ჯუანა წავიდა, იკითხა – ვინ არისო? გარედან უპასუხეს – „თელასის“ თანამშრომლები ვართ და მრიცხველის შემოწმება გვინდაო. ამ მომენტში მე საძინებელ ოთახთან ვიდექი, ჯუანას ვუთხარი – გააღეთეთქი. გაიღო თუ არა კარი, ხაკისფერ პიჯაკში ჩაცმული ახალგაზრდა ბიჭი დავინახე. მან ჩემს დას კიდევე ერთხელ გაუძეოდა – „თელასიდან“ ვარო. რატომღაც ეჭვი შემეპარა, რადგან ვიცოდი, რომ „თელასის“ თანამშრომლები სახლებში არ დადიოდნენ. თანაც, უცნობმა ბიჭმა რაღაცნაირად გადააქინა თავი მარჯვნივ და მივხვდი, რომ ვიღაცას რაღაც ანიშნა. რამდენიმე წამში, ბინაში იარაღმოძარგვებული, სამი ახალგაზრდა შემოვარდა. მე მაშინვე საძინებელში შევვარდი და საწოლის გვერდით მდგარი ტუმბოდან იარაღი ავიღე, უკნიდან სროლის ხმა გაისმა. ამ მომენტში თავდამსხმელთაგან გასროლილი ერთ-ერთი ტყვია ფანჯრის მიწას მოხვდა. მაშინვე გადავტენე პისტოლეტი და დავიძახე – გადით ჩემი სახლიდან-მეთქი! ამის დაძახებაზე, საძინებელში ერთ-ერთი ბიჭი შემოვიდა, დამიბიზნა და მესროლა. ტყვია მუცლის არეში მომხვდა, იარაღიდან საპასუხოდ მეც ვავისროლე და უცნობი ოთახიდან გავიდა. მუცელში საშინელი ტკივილი ვიგრძენი და ჩავიკეცი. სწორედ ამ დროს, მეზობელი ოთახიდან ჩემი ცოლის კვილი გავივინე – მიშველეთო! – ყვიროდა. ამ ხმის გაგონებაზე, წამოვდექი; ოთახიდან თავი ვავყავი თუ არა, კვლავ გაისმა სროლა. მეუღლის და დის კვილი მესმოდა, მაგრამ რა სჭირდათ, არ ვიცოდი. მაშინ იარაღიანი ხელი ვავყავი და დამიზნების გარეშე დავიწყე სროლა. მალე, მჭიდში ტყვიები გამოთავდა, ამის გამო მჭიდი გამოვცვალე და რამდენჯერმე კიდევ ვავისროლე. შემოსასვლელში რომ გავკედი, სადარბაზოს კიბეზე ჩასვლის ხმა მომესმა. თავდამსხმელები ბინაში აღარ

იყვნენ. მეუღლე და და იქვე, ოთახში იდგნენ, რაიმე სერიოზული დაზიანება არ ეტყობოდათ. რამდენიმე წუთში, ბიძაჩემიც მოვიდა, შეიკრიბნენ მეზობლებიც. ნახეს, რომ დაჭრილი ვიყავი და საავადმყოფოში წამიყვანეს. კიბეზე ჩავყავდი, როცა მეორე სართულის ბაქანზე, იატაკზე წაქცეული, ორი პირი დავინახე...“

სასამართლოსთვის ჯერ ჩვენება არც განსასჯელს და არც დაზარალებულს არ მიუცია. ამ უკანასკნელმა ჩვენთან საუბრისა და პროკურატურის მიერ ჩატარებული გამოძიების თაობაზე კომენტარისგან თავი შეიკავა. სასამართლო დაჰკითხავს ჯუანა ჩიქოვანსაც, რომელმაც, სხვათა შორის, წინასწარი გამოძიებისას აღნიშნა, რომ ცეცხლსასროლი იარაღი სამივე თავდამსხმელს ეკავა ხელში.

პროკურატურამ დათო რუსიას სამი მუხლი მიუყენა. გამოძიება განსასჯელს ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ შექნა-შენახვა-ტარებაში, ყაჩაღურ თავდასხმასა და განზრახ მკვლელობის მცდელობაში აღნაშაულებს. დათო რუსია დაპატიმრებამდე, საბურთალოზე, ვაჟა-ფშაველას მე-2 კვარტალში ცხოვრობდა. იმ პერიოდში, როგორც თავად აღნიშნა, არ საქმიანობდა; უცოლშვილოა; საშუალო განათლება აქვს მიღებული. სასამართლო სხდომაზე განსასჯელმა აღნიშნა, რომ ამ შემთხვევამდე, ორჯერ მოუხდა სამსჯავროს წინაშე წარდგომა. თუმცა, პროკურატურის ცნობით, იგი წარსულში ოთხჯერაა ნასამართლევი: პირველად – 1996 წელს, 17 წლის ასაკში, ის საბურთალოს რაიონის სასამართლომ გაასამართლა და პირობით 1 წლის საგამოცდო ვადით შეუფარდა სასჯელი; 1999 წლის თებერვალში, ხულიგნობისთვის მას ისევ 1 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს, სასჯელის აღსრულება ორი წლით გადაუვადეს, ამასობაში, რუსიამ მორიგი დანაშაული ჩაიდინა – 1999 წლის მაისში, თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ ის ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ტარებასა და ხულიგნობაში ცნო დანაშაულად და 4 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. აღნიშნული სასჯელის შემდეგ, ის კვლავ პოლიციის ყურადღების ობიექტი გახდა: 2001 წლის 25 აპრილს, დათო რუსიას ჩადენილი დანაშაულისთვის სამწლიანი პატიმრობა მიუსაჯეს, თუმცა მოგვიანებით, საოლქო სასამართლომ განაჩენი შეცვალა და მსჯავრდებულს სასჯელი ერთი წლით შეუმცირა.

ათი წლის წინ, დედოფლისწყაროს რაიონის ერთერთ სოფელში მომხდარი მკვლელობის დეტალებს ახლა უზუნაქი სასამართლო განიხილავს. პროცესის დაგვიანების მიზეზი ის გახლავთ, რომ დანაშაულში ეჭვმიტანილი პირი პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მიზნით, მთელი ამ წლის მანძილზე ემალებოდა სამართალდამცავებს. პოლიციამ მისი აყვანა მხოლოდ გასული წლის 22 დეკემბერს მოახერხა. დაკავების შემდეგ, მკვლელობაში ბრალდებულმა აღიარებითი ჩვენება მისცა პროკურატურას.



განსახელი – შურაბ სულაშვილი

„დანას გულში ვუჩხუბდი... გაღე მოკრაობას შეწყვიტა...“

განსახელი – დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ გამარჯვების მკვიდრი, 36 წლის შურაბ სულაშვილი გახლავთ. აღსანიშნავია, რომ დანაშაულში მასთან ერთად მისი ნახევარძმა – ზაზა პოპიაშვილიც იმხილებოდა. ეს უკანასკნელი სამართალდამცავებმა მომხდარი ფაქტიდან 3 წლის შემდეგ – 1996 წლის 4 ნოემბერს დააკავეს. პოპიაშვილის მიმართ სასამართლომ ქურდობის მუხლით, გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანა. რაც შეეხება მკვლელობას, ამ ნაწილში ის გამართლეს.

საქმის მასალების მიხედვით, დანაშაული 1993 წლის 11 ოქტომბერს მოხდა. აღნიშნულ დღეს შურაბ სულაშვილი ნასვამი იყო. საღამოს იგი ძმას შეხვდა და სთხოვა, სოფელ გამარჯვებაში, კოლმეურნეობის სამშენებლო სახელოსნოში გაჰყოლოდა. გამოძიების მასალების თანახმად, სულაშვილს იქიდან შემის ლუმლის მოპარვა ჰქონდა განზრახული.

ძმები სახელოსნოსთან დაახლოებით საღამოს 9 საათისთვის მივიდნენ. გააღეს საყარაულო ოთახის კარი, შეაღწიეს შიგნით და 20.000 რუსული მანეთი, შემის ლუმელი და ხელის ელექტრობურდი მოიპარეს. ნივთები და თანხა ამავე სახელოსნოში მომუშავე ნიკოლოზ გიგაურს ეკუთვნოდა.

იმ დროს, როცა ნაქურდული დატვირთული სულაშვილი და მისი ძმა საყარაულო ოთახიდან გამოდიოდნენ, შემთხვევით მათ ნიკოლოზ გიგაურის შვილი – დათო და ამ უკანასკნელის მეგობარი გიორგი მარტყოფლიშვილი წაადგნენ თავს. მაშინვე მიხვდნენ, რომ ქურდობის ფაქტს შეესწრნენ და ძმები ნამოქმედარში ამხილეს. დათო გი-

გაურმა სულაშვილსა და პოპიაშვილს კამათი დაუწყო. უთხრა მათ, რომ წინა წელს გაქურდული სახელოსნოც მათი ნახელავი იყო. გიგაურმა ძმებს პასუხი მოსთხოვა და თან დაეპუქრა, ამ ამბავს გაგანმარებო.

სულაშვილმა გიგაურს პატიება სთხოვა, მაგრამ ამ უკანასკნელმა უარი უთხრა. მომხდარის გამო განაწყენებული და გაბრაზებული, პოლიციით ემუქრებოდა. მოსალოდნელი პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მიზნით, შურაბ სულაშვილმა მისი მოკვლა განიზრახა. უბიდან დანა ამოიღო, გიგაურს უკნიდან მივარდა, თავი გადაუწია და იარაღი ყელში გამოუსვა. გიგაურმა როგორც მოახერხა, დანისთვის ეტაცა ხელი და ამით სულაშვილს სხვა დაზიანებების მიყენების საშუალება აღარ მისცა. ჭიდილისას დანით მას მხოლოდ ხელები დაესერა. ბოლოს, დასხლტომაც მოახერხა და იქიდან გაიქცა. სულაშვილი, როგორც ჩვენებისას თავად აღნიშნა, დარწმუნებული იყო, რომ გიგაურს სასიკვდილო ჭრილობები მიაყენა, ამიტომაც მას აღარ დაედგინა და მოკვლის განზრახვით ახლა გიორგი მარტყოფლიშვილს მივარდა. ამ უკანასკნელს დანა მუცლის არეში ჩაარტყა. დარტყმისთანავე მარტყოფლიშვილი ძირს დაეცა. სულაშვილი მას მაინც არ მოეშვა და წაქცეულს სხეულის სხვადასხვა ადგილას ზედიზედ რამდენიმე ჭრილობა მიაყენა. გიორგი მარტყოფლიშვილი მიღებული მძიმე დაზიანებების შედეგად ადგილზევე გარდაიცვალა. ამის შემდეგ შურაბ სულაშვილი თავის ძმასთან ერთად იქიდან გაიქცა და მიიმაღა.

დაზარალებული, **აპრამ მარტყოფლიშვილი** (გარდაცვლილის მამა):

„იმ დღეს ჩემს შვილს გიგაურმა მოაკითხა და შინიდან გაიყვანა. საღამოს 9 საათი იქნებოდა, როცა შევიტყვე, რომ დათო გიგაური დაჭრილი იყო. იგი ზვიდაურების ოჯახში ვნახე. გონწასული იწვა და სისხლი სდიოდა. იმწუთიდანვე შვილის ძებნა დაიწყე, რადგან ვიცოდი, რომ მთელი დღე ერთად იყვნენ. ბოლოს, გიორ-

გი კოლმეურნეობის სატრაქტორო პარკის ჭიშკართან ვნახე დავებულთ. უკვე გარდაცვლილი იყო... როგორც მოგვიანებით შევიტყვე, მას და დათო გიგაურს ქურდობის ფაქტზე წაუსწრიათ სულაშვილისა და პოპიაშვილისთვის. კამათის დროს, სულაშვილს გიგაური დაუჭრია, შემდეგ კი, ჩემი შვილი მოუკლავს...“

პროკურატურაში დაკითხვისას **ზურაბ სულაშვილმა** ქურდობის ფაქტი აღიარა და ჩადენილი მკვლელობაც დეტალურად აღწერა:

„...გიგაური მეუბნებოდა, რომ წინა ქურდობაც ჩემი და ზაზას ჩადენილი იყო და პოლიციით იმუქრებოდა. მიუხედავად არაერთგზის თხოვნისა, ეს ამბავი არ გაეხმაურებინა, მაინც ჩხუბობდა და თავისას გაიძახოდა. მაშინ ორივეს მოკვლა გადაწყვიტე. დანა ამოვიღე და დათოს მივვარდი. თმში წაავლე ხელი, თავი უკან გადმოუწიე და მარჯვენა ხელით დანა ყელის არეში გამოუსვი... ვცდილობდი, კიდევ მიმეყენებინა მისთვის ჭრილობები, მაგრამ გიგაური მეწინააღმდეგებოდა, დანის წართმევა უნდოდა. მაინც მოვახერხე და მარცხენა მხრის არეში ორი ჭრილობა მივაყენე. დათო ყვიროდა – მიშველეთო. სანამ კიდევ დავარტყამდი, ხელიდან გამისხლტა და გაიქცა... მარტყოფლიშვილს დანა მუცელში დავარტყი. დაყვირა – ოხ, შენით და სანამ მეორე დარტყმას მივაყენებდი, გაიქცა სატრაქტორო პარკის მიმართულებით. მაშინვე დავედგინე, მაგრამ მან დიდხანს სირბილი ვერ შეძლო და სანამ ჭიშკართან მივიდოდა, დაეცა. მასთან მივედი და გულმკერდისა და მუცლის არეში კიდევ რამდენჯერმე ჩავარტყი დანა. წინააღმდეგობას მიწვედა, მაგრამ მოძრაობა მაღევე შეწყვიტა. მივხვდი, რომ გარდაიცვალა და ამის შემდეგ იქურობა დავტოვე...“

შურაბ სულაშვილს სასამართლო განაჩენს სავარაუდოდ, ამ კვირაში გამოუტანს. დანაშაულის დადასტურების შემთხვევაში, მას ძველი რედაქციით გათავალისწინებული სასჯელის უმაღლესი ზომა – 15 წლით თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.



ბებია და ბაბუა ყველასთვის საყვარელი ადამიანები არიან. თითქმის არასოდეს გეჩხუბებიან და შეძლებისდაგვარად, ყველა სურვილს გისრულებენ. ბებია-ბაბუის შვილიშვილთან ურთიერთობა აბსოლუტურად განსხვავებულია, მართო მათ მუხლებზე ჩამოვდომა და მოფერება რად ღირს?! გამონაკლისი არც ანსამბლ „ივეროის“ წყვილი — ქალბატონი ლილი ზღვაპური და ბატონი თემურ წიკლაური გახლავან.



თემურ წიკლაურის შვილიშვილი პაპის სიშლურას ეჭვის თვალით უყურებს...

ნათია ქივიციანი

— რა შეგრძნება დაგეუფლათ, როდესაც პირველად გაიგეთ, რომ ბებია და ბაბუა უნდა გამხდარიყავით?

ბატონი თემური:

— როცა პატარა ანდრია დაიბადა, ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. საკეისრო მშობიარობის შედეგად დაიბადა. არავინ ელოდა მის „კეისრობას“. მაშინ ჩემი შვილის ჯანმრთელობა უფრო მაინტერესებდა, ვიდრე მომავალი.

ძალბატონი ლილი:

— რომ გავიგე, ბებია გავხდებოდი, იმაზე ვფიქრობდით, გოგო იქნებოდა თუ ბიჭი. გოგო უფრო გვინდოდა. თუმცა ახლა ძალიან კმაყოფილები ვართ, რომ გვყავს ანდრია და არა სხვა ვინმე.

— ამბობენ, შვილი ფუტკარია და შვილიშვილი თაფლიო, ანუ შვილიშვილი შვილზე უფრო ტკბილია...
ბატონი თემური:

— ვერ დავისაბუთებ რატომ, მაგრამ ეს ასეა. როდესაც ახალგაზრდა წყვილს შვილი უჩნდება, ის ვერ აცნობიერებს, ეს ღვთისგან მონიჭებული რამხელა ჯილდოა. რაც შეეხება პაპისა და შვილიშვილის დამოკიდებულებას, ისინი „ერთხორცი“ და „ერთსულ“ არიან. პაპა გონებით, შვილიშვილის დონეზე ეშვება... ისე მიყვარს ანდრია, რომ ჩემთვის მისი სურვილის შესრულება კანონია. ბავშვს დიდი ყურადღება სჭირდება, რომ ქვეყანას კარგი მოქალაქე აღუზარდო. შეიძლება, არ მეცალოს, მაგრამ მაინც ვახერხებ, რომ სულ ერთად ვიაროთ. უკვე რამდენი წელია, ილღაში ამოღებული დამყავს (იციანის)...
ძალბატონი ლილი:

— ამ საკითხზე ხშირად მიფიქრია.

მგონი, განსხვავება მაინცდამაინც დიდი არ არის. უბრალოდ, ანდრია პატარაა და უფრო მეტად გვიყვარს. ქეთი რომ პატარა იყო, ისიც ასე გვიყვარდა.

— ბატონო თემურ, რამდენად აქტიურად მონაწილეობთ ანდრიას აღზრდაში — თუ დაგიძინებიათ ან გიჭმევიათ?

— არა, მაგ საქმეებს დედა და ბებია აკეთებენ. მაგის გარდა კი, ყველაფერს მე ვუკეთებ. დიდ სიამოვნებას მგვრიდა და მგვრის ანდრიასთან ურთიერთობა. ის ძალიან კარგი ზნის ბავშვია. მანქანა უყვარს და დღე და ღამე სულ მანქანით ვასეირნებ. ზოოპარკის და ვაკის პარკის ყველა ქვაც კი ზეპირად ვიცით. მომსახურე პერსონალსაც კარგად ვიცნობთ. კვირამი ხუთჯერ მაინც მივდივართ იქ. ვიდრე სიცოცხლე მეყოფა, ვეცდები, დადებითი მაგალითი მივცე ცხოვრების, კაცობის, სიყვარულის, სიბუნების... რა ვქნა, აღზრდის ჩემეული მეთოდი მაქვს.

— თუ გაბრაზებთ ხოლმე პატარა ანდრია?
ძალბატონი ლილი:

— ვერ ვუბრაზდები. ქეთის უფრო ვუბრაზდებოდი. ახლა ამ ცხოვრებას უფრო სხვანაირად ვუყურებ და ბავშვთანაც სხვანაირი დამოკიდებულება მაქვს. მის მიმართ უფრო მიმტევებელი ვარ.

ბატონი თემური:

— სხვათა შორის, ალბათ ოჯახში ერთადერთი ადამიანი ვარ, რომელსაც ანდრია არ აბრაზებს. უფრო სწორად — მე არ ვბრაზდები. ცელქია, ოღონდ — „სპორტულად“ ცელქია. სულ ერთად ვთამაშობთ ფეხბურთს. ბავშვისთვის მამაკაცთან ურთიერთობა აუცილებელია. ჯერ პატარაა, ისეთი რა ფეხბურთი უნდა ითამაშოს, მაგრამ წაქცევას უნდა მიეჩვიოს,

რომ ადგომის ფასი იცოდეს!..

— ალბათ ანდრიას მესაიდუმლებები ხართ, არა?

— ორი-სამი დღის წინ მითხრა, რომ მას თურმე საიდუმლო ჰქონია. ეს ჩემთვის ძალიან მოულოდნელი იყო. რა გაქვს, შვილო, საიდუმლო-მეთქი? — ვკითხე. ეს საიდუმლო მხოლოდ მე ვიცოდი — მიპასუხა. თუ მეც მეტყვი, მაშინ ჩვენ ორს გვეცოდინება და სხვას არავის-მეთქი. დიდი ფიქრის შემდეგ ყუთი მოიტანა, სადაც რაღაც ნივთები ჰქონდა შენახული და შიგ ჩამასხვია — ეს არის ჩემი საიდუმლოებაო. ასეთი ფორმით შეეცადა საიდუმლოს შეცნობას. მერე, მგონი, ბებიასაც გაანდო თავისი საიდუმლოება. ასეა — პაპა როგორც არ უნდა გიყვარდეს, დედისა და ბებიის სიყვარული სულ სხვაა. პაპა მაინც ვაუჯაცური ფონია მისთვის. გაუბედობის გადალაგებაში, შეუცნობლის შეცნობაში დახმარებაა პაპის ვალი. ჩვენს მანქანასთან მათხივარი ბავშვები რომ მოდიან ხოლმე, სულ მეკითხება — პაპა, რა ხდებო? ვერ ხვდება, ამ ბავშვებს რატომ არ ჰყავთ დედამა. ეს საკითხი დიდებს არ ესმით, რომ ესმოდეთ, ბავშვებს ასე უპატრონოდ და ბედის ანაბრა ხომ არ დატოვებდნენ?! ბავშვს როგორ აუფხსნა?

— ანდრია გაისად ნაფა სკოლაში, არა?

— აუცილებლად. წელს უნდა წაგვეყვანა, მაგრამ გადავიფიქრეთ. ახლა, რატომღაც მოღამია ხუთი წლის ბავშვის სკოლაში მიყვანა. ამას, იცით, რას ვაბრალებ? ოჯახის წევრებს ბავშვის თავიდან მოშორება უნდათ (იციანის). ხუთი წლის ბავშვს სკოლაში სძინავს მერხზე... თუმცა, რა გასაკვირია? — ახლა, სტუდენტებს ეძინებათ ლექციებზე... მინდა, რომ მომავალ პირველ სექტემბერს დიდი ზეიმი მოვუწ-

ყო. მანამდე სპორტულ კომპლექსში დაგვყავს ტანვარჯიშზე, ახლა ცურვაზეც მივიყვანთ და სიმღერასაც აპირებს. ჯერ ცოტა გაუგებარია, აქვს თუ არა სიმღერის ნიჭი, მაგრამ ვცდილობთ, გავარკვიოთ. სხვათა შორის, თავად იფინებს ხოლმე ლექსებს, სიმღერებს. სამყაროს უცნაურზე უცნაური ხედავს აქვს. იცით, როგორ კითხვებს მისვამს? მე ხომ დედის მუცლიდან გაჩნდი? აი, კიდევ რომ მოვალ, ისევ მის მუცელში ვიჯდები? მოდი, რა, შენ ლილის მუცელში ჩაჯექიო, — მთხოვა. — რატომ? მე ჩემი დედა მყავს-მეთქი, — ვუპასუხე. არა, ბაბოს თავი დაანებე და ლილის მუცელში ჩაჯექიო, — „მიბრძანა“. მერე მკითხა: სად უნდა მოხვიდე — სატურნზე თუ დედამიწაზე? თუმცა, მაგას ალბათ ღმერთი განსჯისო, — თავადვე უპასუხა საკუთარ შეკითხვას. აი, ასეთი უცნაური ბავშვები იბადებიან ოცდამეერთე საუკუნეში!.. რაც შეეხება სიმღერას — გუნდთან ერთად უნდა დაიწყო, რომ მეტი გაბედულება შეიძინოს. ალბათ იმღერებს.

— რა რეაქცია აქვს, როცა ბებიას და ბაბუას სცენაზე ან ტელევიზორში ხედავს?

ქალბატონი ლილი:

— ამ ბოლო დროს, ჩვენ ტელევიზორში არც ისე ხშირად ვგაჩვენებენ. ახლა დედამისის კლიპი ნახა და ძალიან გაუკვირდა, როგორ შეიძლებოდა, რომ დედამისი ტელევიზორშიც ყოფილიყო და მის გვერდითაც. ერთხელ ქეთი შინ არ იყო, როცა მისი კლიპი გაუშვეს. ანდრია მივიდა ტელევიზორთან და ქეთის რაღაც შეკითხვები დაუსვა. მერე გაოცებულმა მკითხა — დედა რატომ არ მპასუხობსო?

ბატონი თემური:

— ანდრიასთვის სასიამოვნო პროცესია, სცენაზე დედისა და ბებიისთვის ყვავილის მირთმევა. ალბათ განათების გამო სცენიდან ხალხს ვერ ხედავს, თორემ, რომ დაინახოს, აღარც გავა. ძალიან ჯიუტია. რამეზე ერთხელ „არას“ რომ იტყვის, თავს ვანებებთ, რადგან ვიცით, რომ ვერ გადავთქმევინებთ. ისე, ძალიან კეთილია. მასზე გავლენა ალბათ იმან იქონია, რომ უჩვეულოდ კარგი მასწავლებლები ჰყავდა საბავშვო ბაღში, სადაც ასწავლიდნენ ლოცვას, აწურინებდნენ ღვინოს პატარა საწნახელში... ცხოვრების ინტერესს უღვივებდნენ. მათ კონცერტებზე რომ ვისხედით, ყველანი გულაწუყებულნი ვიყავით. სულ ვფიქრობდი — რა ბედნიერებაა ასეთი მასწავლებლები-მეთქი! მეც საიმოვნებით ვივლიდი იმ ბაღში (იციან).

— თქვენ როგორ გაფასებთ,



ასეა — პაპა როგორც არ უნდა გიყვარდეს, დედისა და ბებუის სიყვარული სულ სხვაა

როგორც მომღერალს?

— ოპერა „აიდას“ რეპეტიციები მქონდა. სახლში რომ მივდიოდი, იქაც ხომ უნდა გამეგლო რეპეტიცია? როგორც კი ერთს დავიდრიალებდი (ხმამალა სიმღერას ღრიალს ვეძახი), ყურებზე ხელებს აიფარებდა და მეხვეწებოდა — გაჩუმდი, ყურები მტკივაო. ალბათ მართლა სტკივა. ამხელა ხმის გაგონებაზე, ხანდახან მეც შეშინია და მას რომ შეეშინდეს, რა გასაკვირია?! ასე რომ, ჩემს სიმღერას ეჭვის თვალით უყურებს — კარგია თუ ცუდი, არ მეუბნება (იციან)...

— ვინ გსურთ, რომ ანდრია გამოვიდეს?

— თავად ანდრიას სასწაული სურვილები აქვს: კოსმონავტის ფორმა მოსწონს და ამიტომ უნდა კოსმონავტობა. ბევრი სათამაშო მანქანა აქვს და გადაწ-

ყვიტა — მანქანების შემკეთებელი უნდა გამოვიდეს...

ქალბატონი ლილი:

— ხანდახან მომღერლობის სურვილიც უჩნდება ხოლმე. თუ კბილი სტკივა, მაშინ ამბობს, რომ კბილის ექიმში გამოვა... მინდა, პირველ რიგში კარგი ადამიანი გამოვიდეს... ძალიან აინტერესებს ღმერთისა და სიკვდილის საკითხი. ახლანდელი ბავშვები ხომ ძალიან უცნაურები არიან. სულ კითხულობს: ვიდრე დავიბადებოდი, სად ვიყავი და რომ მოკვდები, სად ვიქნებიო? ერთხელ, მანქანით მივდიოდი და უეცრად გვითხრა — მე რომ ღრუბლებში ვიყავი, იქ სხვა სახელს მქმნდნენო, — და რაღაც უცნაური სახელი თქვა. მერე დაამატა — იქ ჩემთან ერთად კიდევ ერთი ბიჭი იყო...

ბატონი თემური:

— ღმერთზე თვითონ მესაუბრება ხოლმე. გაგიჟდები კაცი — როგორც კი მანქანაში ჩავსდებით, მაშინვე მკითხება: პაპა, ყვავილში ღმერთი არის? — ღმერთი ყველაფერშია, შეილო — ვპასუხობ. — ბზიკშიც არის? რომ ეკინება? — ისევ მკითხავს. — არის, შეილო, ყველაფერში, — ისევ ვპასუხობ... აინტერესებს, სად არის საწყისი და სად — ბოლო, ეს კი არავე იცის... საერთოდ, ბავშვს „არ ვიცი“ არ უნდა უთხრა, რადგან ასე მის თვალში პოზიციებს თმობ. ყველაფერზე უნდა უპასუხო. ასეთი ღრმად ფილოსოფიური საუბრები მაქვს ჩემს სიხარულსა და საყვარელ ანდრიასთან... არ ვიცი, რა იქნებოდა ეს სამყარო, ბავშვები რომ არ იყვნენ. თან გამოვლილი მაქვს ის სიმწარე, რასაც ბავშვის დაკარგვა ჰქვია... ბავშვის ტირილს ვერ ვიტან. ანდრიას ოჯახის წევრები რომ გაუწყრებიან და ტირილს დაიწყებს, სახლიდან გავლივარ, რადგან ორგანულად ვერ ვიტან მის ტირილს. თუმცა, ბავშვმა უნდა იტიროს კიდევ, რომ ცხოვრება ისწავლოს. რა უბედურებაა?! — თუ არ იტირა, სიცილის ფასს ვერ გაიგებს...

სააქვლისო სპორტული ტექსტილის სტუდია "პრინცია"

3 ძველი ბაზრობის 5-15 ფლავი უფროსებს 15-დან 35 ფლავი მკანონი, მკანონი და ლათინურ-ამერიკული ტექსტილის მკანონი.

პალნი, ბანერი, სანაბი, ხალხი, ბანაბი, რიკანი-რული

თელავი: 200661 უცხოეთი 20 ციხელი 2006

22-1 საუბელი სტუდია 20-2

საბოლოო სამიტი რეკლამი

ტელ: 61 73 11, 33 12 43, 14 46 60, 374, 299 22 11 19

კონსტრუქციული მიღწევი შესაბამის დიპლომს

მართალია, ზურა ვადაჭკორია სცენაზე ქალებს „ხერხაგს“, „აქრობს“ და „ხანჯლებსაც უყრის“, მაგრამ ყველამ კარგად ვიცით, რომ მისი საკონცერტო ნომრები მხოლოდ ილუზიონისტიის ოინებია. ცხოვრებაში კი, როგორი დამოკიდებულება აქვს სუსტი სქესის წარმომადგენლებთან და რა ამბები გადახდენია, ამ ყველაფერზე — თავად გვიამბობს. მე ისლა დამრჩენია, ჩემი სტუმარი „ოფიციალურად“ წარმოგიდგინოთ: მაშ ასე, თქვენ წინაშეა ილუზიონისტი ზურა ვადაჭკორია!

მაია კახიძე

— ზურა, „ფოკუსები“ არ დამინყო ახლა. ქალებზე სასაუბროდ მოემზადე!
— დიდი სიამოვნებით. ქალს მართლა განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ჩემს ცხოვრებაში, მაგრამ შევთანხმდეთ, რომ არც ერთის ვინაობას არ გავამხელ — არაკაცური საქციელია და იმიტომ. „მოსულა“?
— თანახმა ვარ, ოღონდ „ოქროსუბნელი“ კი ხარ, მაგრამ მაინცდამაინც ნუ „იბლატავებ“, აღარ გინდება: ხომ ხედავ, რამდენი ჭალარა გამოგერია?
— მიხდება, არა? ქალებსაც მოსწონთ ჩემი ჭალარა. მოკლედ, „პაუზაში“ წასვლა, ყველა არტისტისთვის ორმაგად სასიამოვნოა: შენს საქმესაც აკეთებ და „გულაობ“ კიდევ. ორი-სამი თვე რომ გასტროლზე წავა კაცი, ბოქლომს ხომ არ დაიდებს?! პრინციპში, იმ მომენტში სპორტია, რა. ისე, რუსი გოგოები



გარკვეულწილად, ცივებიც არიან, მაგრამ გაიფლებიან კავკასიელებზე. საბჭოთა კავშირის თუ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, სადაც კი ვყოფილვარ, „შმოტკა“ არ მიყვია და ქალებში „მიგულავია“. ყოველთვის ვინახავდი ფულს, რომ იქაური ქალი უფრო ახლოს გამეცნო.

— გამოძახებით?
— ზოგჯერ გამოძახებით, მაგრამ ძირითადად, თვითონ ვჩალიჩობდი. „დაბმა“ მაგრა მეხერხება.
— ჰოდა, გვიამბე „დაბმული“ ქალების შესახებ...
— საზღვარგარეთ გავემგზავრე გასტროლებზე, ერთი ცნობილი პიროვნება იყო ჩვენი ჯგუფის ხელმძღვანელი. ბოლოს მანაგუაში ჩავვდი. იქ გვითხრეს — ჩვენს ქვეყანაში გოგოები „აბამენ“ ბიჭებს, მოწონების შემთხვევაში... „გაგა-

ნია“ კომუნისტების დროა. ჩვენთან ერთად, ცეკას რეკომენდაციით, ერთი მოწინავე მუშაა წამოსული. მანაგუაში მეგრულზე უარესი ცხარე კერძებია, თან, 2-3 კვირაა გასული, რაც თბილისიდან წამოვედით და „იასნია“, ალგუნებულები ვართ. ყველა რაღაცას ვჩალიჩობთ, მაგრამ ჯგუფის ხელმძღვანელმა მკაცრად გაგაფრთხილა — რესპუბლიკაში რაიმე ავადმყოფობა არ ჩაიტანოთ, თორემ, თავის დღეში ვეღარ ეღირსებით საზღვარგარეთ წასვლას... კონცერტი დავამთავრეთ და ჩვენს ავტობუსს დაახლოებით 25 გოგო მოაწყდა. ხელებს ავტობუსში ყოფენ. ერთმა ჩვენმა მოცეკვავემ „იშუსტრა“ და სასტუმროს ბირკა დაანახვა. სასტუმროში რომ მივედით, მანაგული ნაშები უკვე იქ დაგვხვდნენ. ჩვენი ჯგუფის ერთი წევრი მოვიდა და გვეხვეწება: ერთი გოგო დამითმეთ, ძალიან მაწუნებს უქალობაო. მე ვუთხარი: შენ კომუნისტი მუშა ხარ, შენთვის როგორ შეიძლება? მაგისტვის „მოგზვდება“ საქართველოში-მეთქი. გიჟს დაემსგავსა: რა მინდოდა პარტიის რიგებში?! არტისტობა რა კარგი რამე ყოფილაო! — თავში ირტყამდა ხელს... უსაფრთხო სექსზე კი ნამდვილად ვიზრუნეთ და მშვიდობიანად — ჯანმრთელები დავბრუნდით საქართველოში.

— შენ იმდენჯერ იყავი გასტროლზე, რომ დიდი პრაქტიკა გაქნება მიღებული!
— მაგარი. ერთი ამბავი გამახსენდა: რუსეთში ვართ, ერთ-ერთმა მუსიკოსმა და მე ორი გოგო გავიცანით და სასტუმროში გვინდა შევიყვანოთ, მაგრამ მაშინ, სასტუმროს ადმინისტრაცია კატეგორიულად კრძალავდა სტუმრის დამით დატოვებას. მეგობარს ვუთხარი: მივალ ადმინისტრატორთან, ფოკუსების კეთებას დავიწყებ — გავართობ, ყურადღებას გავუფანტავ და შენ გოგოები კიბეზე ჩუმად ააპარე-მეთქი. მართლაც, მივედი, ხან რას ვუჩვენებ იმ ქალს და ხან — რას. მაინც დაინახა უცხოები. სანამ ნომერში ავედი, ჩვენი სართულის მორიგეს დაურეკა — ქართველებმა ქალები მოიყვანეს და მიხედეთ. მორიგე მეკითხება — ქალები მოიყვანეთ? — როგორ გეკადრებათ? რა გვჭირს ქართველებს სამაგისო-მეთქი?! — იქით შევუტე. დამით შეგამოწმებთ და მერე იჭიკჭიკე მასეო, — მიპასუხა. მართლაც, დამის ორ საათზე კარზე გვიბრახუნებს „უტაჟინცა“. ვითომ, უცებ არ გაგვეღვიძა და მერე იქით შევუტე: ყოველდღე ვმუშაობთ, ვიღლებით, რატომ არ გვასვენებთ-მეთქი?! თან ვჩალიჩობთ, რომ



მაშინ, სასტუმროს ადმინისტრაცია კატეგორიულად კრძალავდა სტუმრის დამით დატოვებას

კვალი დაფაროთ, მაგრამ როგორ გინდა ქალები გააქრო?! უცებ მოვიფიქრე: სასწრაფოდ შეგახტუნე ფანჯრის რაფაზე და ფარდა ჩამოვაფარე – სქელი, შინდისფერი ფარდა ეკიდა და მის მიღმა არაფერი ჩანდა... როგორც იქნა, კარი გავაღე. შემოვიდა, „ეტაჟნიცა“, ათვალეირებს, საბაზანოში, კარადაში და საწოლის ქვეშაც კი შეიხედა – არავინაა... ხომ ხედავთ, მოგეჩვენათ, არავინ გეყავს და დაგვაძინეთ-მეთქი. თავი გააქნია, გავიდა, მაგრამ „რეზკად“ შემოტრიალდა: ფარდა რატომ გაქვთ ჩამოფარებული? ზაფხულია და ამ სიცხეში ფარდას არავინ აფარებს, ახლავე გადასწიეთო. ვეუბნები: კოლოებმა შეგვაწუსა და იმიტომ გადავწიე ფარდა, წადი, თუ ქალი ხარ, დაგვაძინე, ხვალ ორი კონცერტი მაქვს-მეთქი. არ დაეზარა, მაგის დედა ვატირე, შემოვარდა და ეცა ფარდას. ვაა, საცოდავი გოგოები, „იმ ადგილზე“ ხელაფარებულები ქანდაკებებივით იდგნენ... – ეს რა თეთრი და ცისფერთვალეა კოლოები შემოფრენილან თქვენთანო!.. – ბრძანა კმაყოფილმა „ეტაჟნიცამ“ და მილიციის გამოძახებით დაგვემუქრა. წითელი თუშნიანი შევაჩეჩე, მერე არაყი გამოვადვრე და, როგორც იქნა, დავატოვებინე ნომერიც და გოგოებიც...

— გაიხსენე ქალის საქციელი, რომელიც არასოდეს დაგავინწყდებოდა...

– ერთმა ქალმა ისეთი რამ ჩაიდინა, სულ ვფიქრობ – რატომ გააკეთა-მეთქი? ვფიქრობ, მაგრამ... თბილისში, ერთ-ერთ კულტურის სახლში კონცერტი ჩავატარეთ. უამრავი ცნობილი მომღერალი მონაწილეობდა. იმ კულტურის სახლში რაღაც „კრუჟოკები“ იყო და ერთი „კრუჟოკის“ ხელმძღვანელი ასე 35 წლის ქალი გახლდათ. კონცერტის მერე წყალტუბოში მივემგზავრებოდით. მოვიდა ჩემთან და მეუბნება: ბაბუაჩემიც ილუზიონისტი იყო, შინ ბევრი რეკვიზიტი მაქვს და თუ რამე მოგეწონება, გაჩუქებო. იქვე, თავის კაბინეტში მიმიწვია. გამოვიცვალე სცენის ტანსაცმელი და მივედი. მეკითხება რაღაცებს, მერე ჩემ თვალწინ „ნაგლად“ გაიხსადა და სხვა კაბა ჩაიცვა. წყალტუბოს შესახებაც მკითხა, მართლა მიღიხარით? ტელეფონის ნომერი მომცა, სასტუმროში რომ მოეწვობი, შემატყობინე, რომელ ნომერში იქნებიო. მერე საღამოს დავურეკე და ვუთხარი. მეტი არაფერი თქმულა ჩვენ შორის. მესამე დღეს ჩამოვიდა, „ინტურისტში“ ვცხოვრობდი, მეოთხე სართულზე. კონცერტიდან დავბრუნდი და მორიგე მეუბნება, ქალი გელოდებათო. ვაა,

ის ქალი არ გამეჩინა... ეს ღამე შენთან მინდა გავატარო. უარს ხომ არ ვეტყვიდი? მთელი ღამე არ დაგვიძინია, მაგრამ ვიშრომეთ. დილით რესტორანში ჩამიყვანა, შეუკვეთა საჭმელ-სასმელი და აქ კი ველარ მოვითმინე: რატომ გააკეთე ეს ყველაფერი, მე ხომ შენზე უმცროსი ვარ, რაშია საქმე-მეთქი – ვეკითხები. უბრალოდ, კოლექციონერი ვარ, მამაკაცი თუ მომეწონა, ვლადივოსტოკში ჩავაკითხავო. მერე წითელი თუშნიანი ამოიღო და ჯიბეში ძალით ჩამიდო: მსახიობებს ცოტას გინდინანო – მითხრა, გატრიალდა და წავიდა. იმის შემდეგ, გეფიცები, ის ქალი თვალთ არ მინახავს, მაგრამ სულ ვფიქრობ – რატომ გააკეთა?

— ზურა, მე მგონი, იშვიათი ქართველი მამაკაცი ხარ, ვისთვისაც ქალს სექსისთვის ფული გადაუხდია. ისე კი, ძალიან ცოტა მოუცია...

– რას ამბობ, ქალისგან ფულის ამღები კაცი ვარ?! მაგრამ ისე აეწყო ყველაფერი, ველარ გავაცნობიერე – რა მოხდა...

— კარგი, ის ათი მანეთი რაში დახარჯე?

– საღამოს სასმელი, ძეხვი და მოკლეღ, ათ მანეთად რაც მომივიდა, ვიყიდე და ბიჭებთან ერთად გეახელით.

— თავად რამდენი გადაგიხდია ქალისთვის?

– მე საჩუქარი მიმიძღვნია და ვახშმად დამიპატიჟებია. საერთოდ, არ „მევასება“ ასეთი რამ.

— ზურა, როგორც ილუზიონისტი, ნაირ-ნაირ ოინს რომ გვიწყობ, რატომ ვგატყუებ?

– კაცო, მე ილუზიონისტი ვარ, ჩემი საქმეა – მოგატყუო. რა, ქალი რომ არ იხერხება და კაცი რომ არ დაფრინავს, არ იცით? ყოველთვის მიკვირდა, მაგალითად, ინკვიზიციის დროს, რისთვის მიდიოდნენ ადამიანები „დასასჯელ ობიექტებზე“. მათ სწორედ სხვისი თავის მოჭრა ან კოცონზე დაწვა აინტერესებდათ და, იმიტომ. საოცარია, რატომ ბრაზობენ ჩემს ტყვილზე? შენ, მაყურებელი რომ მოდიხარ, ხომ იცი, რომ ყველაფერი ილუზიაა და არც მტკვარში დავიხრჩობ თავს და არც არაფერს დავმართებ ზურა ვადაჭკორიას.



ჩემი საქმე ნაღდი მამაკაცური ოინების კეთებაა, ოლონდ ილუზიის დახმარებით.

რა ვიცი, ის უნდათ, მართლა რომ დავიხრჩო ან რამე უბედურება დამემართოს?! არა, ჩემი ქვეყანა ასეთი ნომრების სანახავად მზად არ არის. მერწმუნეთ, ჩემი ტყუილი არავის ავნებს. ძალიან მინდა გაიგოს ჩემმა მაყურებელმა და როგორმე თავში „ჩაეულო“, რომ ილუზიონისტი სატანისტი არ არის. ჩემი საქმე ნაღდი მამაკაცური ოინების კეთებაა, ოლონდ ილუზიის დახმარებით. შოუ რომ გართობაა, ამას უნდა მიეჩვიოს საქართველოს მოსახლეობა. იცი, რას გეტყვი, ჩემს ჟანრში ცივილიზაცია შემომატყვს და ვცილობ, ადამიანები ღამაზად მოვატყუო.

— ახლა, სიყვარულზეც გვითხარი რამე. თუ შენთვის სექსს უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს?..

– იცი, რას გეტყვი? ხომ ყველას გახსოვთ შოთა რუსთაველის სიტყვები: სიყვარულსა მალვა უნდაო... მე ამის შესახებ ჩემი აზრი მაქვს: ვფიქრობ, შოთა იმას კი არ გულისხმობს – ვისაც ვინ გიყვართ, დამალეთ, მასზე ხმა არ ამოიღოთო, – შოთა რუსთაველი სწორედ სექსის „მალვას“ გულისხმობს... ჭეშმარიტი სიყვარული ეროსის სხივში მჟღავნდება – არისტოტელე ჩემზე და ბევრზე ჭკვიანი იყო, ეს რომ თქვა...

ნობის ტელეფონი კონსულტაცია ინსტიმი (18 წლიდან)
822 009 005
 „მეთი“ „ვუოსელი“
 „მეგაკაში“ – 0,70 ლ.
 თბილისი – 0,45 ლ.
 რაიონები – 0,65 ლ.

ლელო ჭანკოტაძე

იან პირმისაშვილი, ფსიქოლოგი:

ჩვენთვის, ქართველებისთვის ძალზე სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს მშობლებისა და შვილების ურთიერთობა. განსაკუთრებით ეს დედებისა და მათი ვაჟების გადაშტეტულ ურთიერთობაზე ვსაუბრობთ. სამწუხაროდ, ბიჭები, რომლებიც ბავშვობიდან, მიჯაჭვულები არიან დედებზე, ხშირად, ბოლომდე „დედიკოს ბიჭებად“ რჩებიან. და რაოდენ სერიოზულ წარმატებებსაც არ უნდა მიღწიონ საზოგადოებრივ ასპარეზზე, რამდენად დიდი თანამდებობაც არ უნდა დაიკავონ, მაინც ვერ ასერხებენ პირადი ცხოვრების სათანადოდ მოგვარებას, იმას, რომ თავად იტვირთონ საკუთარი ოჯახური პრობლემები... მე მქონდა ურთიერთობა ძალზე ცნობილ ოჯახთან, რომლის უფროსი იმდენად სუსტი აღმოჩნდა, რომ ვერაფრით მოაგვარა ურთიერთობა დედასა და ცოლს შორის.

— იქნებ, დანვრლებით მოგვი-
თხროთ მათი ამბავი?

— კაცს პირობითად დათოს დავარქმევ. ის ე.წ. „ახალ ქართველთა“ კატეგორიას განეკუთვნება. ბევრი ფული აქვს, ძვირად ღირებული ავტომანქანა, სახლი, ავარაკი... დათოს დედა ყოფილი პედაგოგია. მკაცრი ქალია, მასთან ურთიერთობა იოლი არ არის... დათოს მეუღლე, ანა მშვენიერი ქალია, ოცდაექვსი წლისაა, თეატრალურ ინსტიტუტში სწავლობს. მათი ოჯახი ნათელი მაგალითია იმისა, რომ პრობლემები მდიდრებსაც აქვთ და თანაც — საკმაოდ სერიოზული... შარშან, საახალწლოდ, ანამ ისურვა, სამოგზაუროდ მაროკოში წასულიყვნენ. ქმარიც დათანხმდა და დაიწყო მზადება. ამ დროს, ანას დედამთილმა სურვილი გამოთქვა, რომ ჩვეულებისამებრ, თბილისში შეხვედროდა ახალ წელს. ერთი სიტყვით, დათო დედასა და ცოლს შორის გაიხლიჩა... ცხადია, რჩევითთვის მომმართეს. ცალ-ცალკე ვიმუშავე თითოეულ მათგანთან, ვცდილობდი, ისინი საერთო აზრამდე მიმეყვანა, მაგრამ დათომბაზე არც ერთი ქალი არ მიდიოდა. გავრისკე და ვურჩიე, სამივე ერთად წასულიყო. დათომ ჩემი წინადადება აიტაცა. ხომალდით წავიდნენ კრუიზში. მეგონა, რომ ახალ წელს არ ჩაიმწარებდნენ და ურთიერთობებს მოაგვარებდნენ, მაგრამ პირიქით მოხდა: ქალებმა კაიუტაში თმით ითრიეს ერთმანეთი; საბრალო დათო ისე განერვიულდა, რომ გემიდან გადახტომას აპირებდა თურმე...

— რატომ ვერ ასერხებს ფულიანი და გავლენიანი მამაკაცი, რომ ოჯახშიც გამოიჩინოს სიმტკიცე?

— დათო ბავშვობიდან მიჯაჭვული იყო დედაზე. მას მამა არ ჰყავდა. დედა ცდილობდა, წუთითაც არ მოეცილებინა მისთვის თვალი. შემდეგ, დედაზე არანაკლებ

ფსიქოლოგების აზრით, მამაკაცი, რომელიც თავს ვერ აღწევს დედის ზეგავლენას, „დედის კომპლექსითაა“ შეგზობილი. ბუნებრივია, მასთან ნებისმიერ ქალს უჭირს ურთიერთობის მოგვარება. მაგრამ რაც ყველაზე სამწუხაროა, ასეთ მამაკაცს დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღება არ შეუძლია. ის ბოლომდე „დიდ ბავშვად“ და ენ. „დედიკოს ბიჭად“ რჩება.



„დედიკოს ბიჭები“
ანუ ქართული ოჯახის ზოგიერთი თავისებურება

მტკიცე ხასიათის ცოლი შეხვდა. ოცდაექვსი წლის გოგომ იმას მიღწია, რომ ქმარი თითქმის გამოპკვიდა დედის კლანჭებს; მართალია, საბოლოოდ არა, მაგრამ დათოზე მაინც დიდი ზეგავლენა მოიპოვა. მათ ოჯახში რძელად დამთმობი, რბილი და დამყოლი ხასიათის ქალი რომ შესულიყო, მაშინ დედა მთლიანად შეინარჩუნებდა მართვის სადავეებს. პრობლემა კი არ მოისპობოდა — უბრალოდ, სხვა მიმართულებას მიიღებდა... მე მყავს პაციენტი ქალი, რომლის ქმარიც ორმოცი წლის ხდება, მაგრამ დედა მაინც საწოლში მიართმევს ხოლმე ჩაისა და კარაქიან პურს...

— ნუთუ, ასეთი მამაკაცები ვერ აცნობიერებენ, რომ „დედიკოს ბიჭები“ არიან?

— ფსიქოლოგის დახმარების გარეშე, ვერც ერთი მამაკაცი ვერ მიხვდება და ვერ დაიჯერებს, რომ დედის ან ცოლის გავლენის ქვეშაა მოქცეული. არადა, ფსიქოლოგთან ურთიერთობა მათ კატეგორიულად არ სურთ... ისევ დათოს მაგალითს დავუბრუნდეთ. ყოველ დღით, დედა მას სთხოვს, რძიანი ყავა დალიოს და ისიც ემორჩილება. ამ დროს, ცოლი სთავაზობს, ორმაგი ყავით დაიწყოს დღე. დათო ვერც ერთს ვერ უუხებდა უარს. წარმოიდგინეთ, რა მდგომარეობაში იქნება ჩავარდნილი.

— ცალ-ცალკე ცხოვრება არ

უცდიათ?
— ერთი წელი იცხოვრეს განცალკევებით. დიდიდანვე, დედა იწყებდა დათოსთან ტელეფონით რეკას და თხოვნას — მოდი, ძალიან მჭირდებაო. ამ დროს, ცოლი საწოლიდან არ ღვებოდა, რაღაცას მოიმიზეზებდა და ეტყოდა — ცუდად ვარ, არ მიმეტოვო. დათო სამწინელ მდგომარეობაში ვარდებოდა. სწორედ მაშინ დამიკავშირდა. სამწუხაროდ, მისი მაგალითი იშვიათობას არ წარმოადგენს.

ირმა ძულიაშვილი, 33 წლის:

— კახს ბავშვობიდან ვიცნობდი. ისეთი მკაცრი იყო, ბუხს არ აიფრენდა. „კაი ბიჭის“ სახელი ჰქონდა და ვერავინ წარმოიდგენდა, თუ ოდესმე, ცოლსა და დედას შორის ურთიერთობას ვერ მოაგვარებდა. ჩვენ 1990 წელს დავქორწინდით. მე ოცი წლის ვიყავი, კახა — ჩემზე თოთხმეტი წლით უფროსი. მას პირველი ცოლისგან რვა წლის გოგონა ჰყავდა. ბავშვს კახას დედა ზრდიდა. ჩემი მშობლები ამ ქორწინების წინააღმდეგები იყვნენ, მეუბნებოდნენ — შენი შესაფერი ისი არ არის, რატომ უნდა გაჰყვე ცოლგანაშვებს, თანაც — 14 წლით უფროსისო?! არ დავიშალე და პრობლემებსაც გადავეყარე. ჩვენი ქორწინების პირველ დღეს, ჩემმა დედამთილმა, ქალბატონმა მანანამ გამოგვიცხადა: ბუნდოვნები იყავით, მაგრამ

ბავშვს მანამდე ნუ გააჩნთ, სანამ ნანიკო არ გაიზრდება და არ გათხოვდება... ბედნიერებისგან ისეთი გაბრუნებული ვიყავი, რომ ამისთვის ყურადღებაც არ მიმიქცევია. მაგრამ როცა დაფეხმძიმდი და ოჯახში ამის გამო ალიაქოთი ატყდა, გულმა რეჩხი მიყო. მივხვდი – სერიოზული უსიამოვნება არ ამცდებოდა. დედამთილი კატეგორიული ტონით მთხოვდა, აბორტი გაქეციეხინა.

— ქმარი რას გეუბნებოდა?

— კახა თავიდან ღუმლა, შემდეგ კი შემპარა: დაუჯერე დედაჩემს — ცულს არაფერს გირჩევსო. რომ გავვიუტედი, მთელი ხმით მიყვირა: აბორტს თუ არ გაიკეთებ, ბავშვს მუცელში მოგიკლავო!.. ასეა — დედამისმა დაარწმუნა, რომ ნანიკოს გული ეტკინებოდა, თავს გარიყულად იგრძნობდა, შეგვიტულებდა... გამოუვალ მდგომარეობაში ჩავყარდი. იძულებული გახვდი, რომ დათმობაზე წავსულიყავი. ჩემი მშობლები სგან მალულად, გინეკოლოგთან მივედი და შეიღზე უარი ვთქვი. მეგონა, ამით ჩვენს ოჯახში ბოლო მოეღებოდა უსიამოვნებებს, მაგრამ მოვტყუვდი. თურმე ჩემს დედამთილს მაინც, რომ ურიგო არ იქნებოდა, თუ კახა პირველ ცოლს შეურიგდებოდა — ამით ნანიკოც გაბედნიერდებოდა და მეც მომიცილებდა. ის ცდილობდა, დაერწმუნებინა კახა, რომ ახალგაზრდა ცოლი აუცილებლად უღალატებდა, როგორც კი ამის საშუალება მიეცემოდა... როგორც უკვე გითხარით, კახას სხვები ჭკუას ეკითხებოდნენ, მაგრამ დედის წინაშე თითქოს პატარავლებოდა, უმწურო ხდებოდა... ჩემსა და დედამისს შორის ურთიერთობა იმდენად დაიძაბა, რომ არჩევანი უნდა გაეკეთებინა — ან დედასთან დარჩენილიყო, ან მე წავეყვანე სხვაგან საცხოვრებლად. წლები გადიოდა, ის კი გადაწყვეტილებას ვერა და ვერ ღებულობდა.

— ნანიკოსთან როგორი ურთიერთობა გქონდა?

— ჩემს წინააღმდეგ იყო განწყობილი, რადგან ბებია უყვარდა. თანაც ეგონა, რომ კახა და დედამისი შერიგდებოდნენ. რა იცოდა, რომ ეს არ შეიძლებოდა მომხდარიყო, რადგან დედამისს სხვა მამაკაცთან ჰქონდა ურთიერთობა, კახა კი სახელგატყენილ ქალს არ შეურიგდებოდა. ამასთან ერთად, მართლა ეუყვარდი. მის სიყვარულში ეჭვი არასდროს შემპარვია.

— როგორ დასრულდა თქვენი კონფლიქტი?

— ერთ დღეს, ნანიკო სკოლიდან აღარ დაბრუნდა. ძალიან შევშინდი. კახა შინ არ იყო. მე და ჩემმა დედამთილმა ყველაგან მოვიკითხეთ, სადაც კი შეიძლებოდა წასულიყო. თითქოს მოსალოდნელმა უბედურებამ გაგვართიანა, მაგრამ ვერსად ვიპოვეთ. ბოლოს, კახამაც გაიგო ეს ამბავი და სასწრაფოდ, ზუგდიდში წავიდა: იქ ნანიკოს

ღედა ცხოვრობდა. სანამ სახლიდან გავიდოდა, ჩემმა დედამთილმა უთხრა: თუ ნანიკო დედამისთან დაგხვდა, დარჩი შენს ტკბილ ცოლ-შვილთან, ჭკუას მოუხმე და გამაბედნიერეო... თავზარი დამეცა. ეჭვიც არ მეპარებოდა იმაში, რომ კახა ასე არ მოიქცეოდა, მაგრამ მაინც შევშინდი.

— ქალბატონ მანანას არ ჰკითხეთ, ასე რატომ გიმეტებდა?

— კარგი გოგო ხარ, მაგრამ პირველი რბალი დავიხი, თანაც კახას მისგან ბავშვი ჰყავსო, — ამისნა. ამის შემდეგ, რაღა უნდა მეთქვა?! კახამ იმ საღამოსვე დარეკა: ნანიკო აქ არისო, — თქვა. დილით ადრე კი, თავნადურული მოვიდა და გამოვიცხადე: დედასთან დარჩა, შინ დაბრუნება აღარ მოინდომაო. როგორ დაბრუნდებოდა? ვის უნდა დედინაცვალთან ცხოვრება — თანაც ისეთთან, როგორც შენი ახალგაზრდა ცოლიაო?! — პირში მიახალა დედამთილმა. ბოლოს, ისიც დაამატა: ჰკითხე ერთი, მაგ ქალბატონს, რა უთხრა ისეთი, რომ ბავშვი სახლიდან გაიქცაო?! კახა გააფთრდა. რა უთხარი? რა აწყენინე? ნუთუ, შენ გამო მიმატოვაო?! — დამყარა კითხვები. მართალია, უდანაშაულო ვიყავი, მაგრამ თავის დაცვა მაინც ვერ შევძელი. კახას ჩემი სიმართლე არ აინტერესებდა. ისე მცემდა, რომ გონება დაგკარგე. მეურე სასამართლო პროცესი გაიმართა. სასამართლოზე კახამ თქვა: დედაჩემს შეურაცხყოფას აყენებდა, ამას არ ვაპატიებ; ცოლს კიდევ ვიშოვი, დედას კი — ვერაო... აი, ასე დასრულდა ჩემი სიყვარული... მაგრამ ყველაზე საშინელი ის არის, რომ კახა პირველ ცოლს შეურიგდა. მართალია, ექვსი თვის შემდეგ, ისევ გაიყარნენ, მაგრამ ჩემთვის მთავარი ის არის, რომ ამის შემდეგ საბოლოოდ დაფრწმუნდი — დედამისს მასზე უდიდესი გაგლენა ჰქონდა... ახლა კახა 47 წლისაა, მაგრამ დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღება მაინც არ შეუძლია. ყველა მუუბნება: ძალიან უყვარხარ, სმას მიჰყო ხელი, შენი დავიწყება არ შეუძლიაო... ვერც მივიწყებს და ვერც ჩემთან მოდის, რადგან იცის — ამის დედა არ აპატიებს. არადა, შეეძლო, ბედნიერი ყოფილიყო... ნანუკა უკვე გათხოვდა. კახა და დედამისი მართლმადიდებელი არიან. არ ვიცი, როგორ წარმართება ჩემი ცხოვრება, მაგრამ ერთ რამეში დარწმუნებული ვარ: „დედიკოს ბიჭს“ ცოლად არასდროს გავეყვები...

თეონა გუგულაშვილი, 30 წლის:

— ჩემი ამბავი ისეთი სევდიანია, რომ მეშინია კიდევ, მისი გახსენებით კიდევ ერთხელ არ ავაცრემლო ჩემი მეგობრები და ახლობლები, მაგრამ მინდა გულახდილი ვიყო და ყველაფერი, რაც მე და ზურას გადაგვხდა, დაწვრილებით მოგიყვებო. მაშინ თოთხნები წლის ვიყავი. ჩემზე ორი წლით უფროსი ბიჭი მიყვარდა. მას ზურა ერქვა. ჩვენი

სიყვარულის შესახებ მთელმა სკოლამ იცოდა. ერთ დღეს, ჩემს გასაცნობად დედამისი მოვიდა. შორიდან შემთავალიერა და უკმაყოფილოდ აიბზუა ცხვირი. მეგობრებმა ამბავი მომიტანეს: დაგიწუნა, ამბობს — დაბალიაო... ცხადია, გული დამწყდა, მაგრამ ამისთვის დიდი ყურადღება არ მიმიქცევია. მაშინ ბავშვი ვიყავი და შექმნილ მდგომარეობას რეალურად ვერ ვაფასებდი. ამიტომაც დავთანხმდი ზურას, როცა შემომთავაზა: გავიპართო და ჩუმად დავქორწინდეთო. 1988 წლის 17 დეკემბერს, მატარებელში ჩავსვდი და ბორჯომში წავივლი. იქ ზურას ნათესავი ცხოვრობდა. მათ სახლში სამი დღე გავატარე. ბოლოს, როგორც იქნა, მშობლებმა მოგვკითხეს. ცალ-ცალკე ოთახებში გავვიყვანეს: მე ჩემი მშობლები მელაპარაკებოდნენ, ზურას — დედამისი — მას მამა არ ჰყავდა. დედა მეხვეწებოდა: ადრეა შენი გათხოვება, სახლში წამოდიო. უარზე ვიყავი. ამის სერიოზული მიზეზიც მქონდა.

— რა მიზეზი?

— ზურას დავნებდი, ის ჩემი მამაკაცი გახდა... მაგრამ რაც შემდეგ მოხდა, იმან ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა... ნახევარი საათის მანძილზე ლაპარაკობდნენ ზურა და დედამისი, ბოლოს, ოთახიდან გამოვიდნენ; ზურა თავნადურული იდგა, დედამისმა კი განაცხადა: ჩემს შვილს არ უნდა თქვენი ქალიშვილის ცოლად შერთვაო. გაოცებისგან პირი დავაღე, მან კი, თავისი სიტყვა ასე დაასრულა: თქვენი გოგო ქალიშვილი არ აღმოჩნდა, ზურა ეგეთ გოგოს ცოლად ვერ შეირთავსო... ეს იმდენად მოულოდნელი და წარმოუდგენელი იყო, რომ ყველაზე ადგილებზე გავქვავდი. მხოლოდ მამაჩემმა შეძლო ხმის ამოღება. ზურას ჰკითხა: რამე თქვი, რას გაჩემებულხარ, კაცი არა ხარო?! ზურამ ჩაილაპარაკა: დედაჩემი სიმართლეს ამბობს, თეონა ქალწული არ იყო... მისი ნათქვამით ყველაფერი დასრულდა. მე ჩემს ოჯახში დავბრუნდი, ზურა კი, დედამისს გაჰყვა.

— ასე რატომ მოიქცა?

— წლების შემდეგ გავიგე — დედამისს უთქვამს: მე მაგას სახლში არ შემოვუშვებ, რადგან თურმე შარშან, ვიღაც ბიჭს შეუცდენია — მამადამისმა მიიხრაო. ზურამ დაუჯერა. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ვუყვარდი, მაინც დაუჯერა. ვერ მიხვდა, ჩემთვის პირველი მამაკაცი რომ იყო... სამწუხაროდ, ასე მოხდა, მაგრამ მშობლებს ეჭვი არ შემპარვიათ ჩემს პატიოსნებაში. თუმცა, მამაჩემმა ისეთი დარტყმა მიიღო, რომ სახლიდან ვეღარ გადიოდა, ღებრესიამი ჩავარდა, ბოლოს კი, სახლი გაყიდა და თბილისში გადმოვივლით საცხოვრებლად. ცხადია, უბედური და სასოწარკვეთილი ვიყავი.

— ზურას არ უცდია თქვენი ნახვა?

— არა... ის ორი თვე, სანამ ბინა გაიყ-

იდებოდა, მამიდასთან ვცხოვრობდი. მამიდაჩემი ზურას დედის დაქალი იყო. ჩემ გამო, მასთან ყოველგვარი ურთიერთობა გაწყვეტა, თუმცა, ზურა ჩემს სანახავად რომ მოსულიყო, არ დაუშლიდა. მაგრამ არ მოსულა. დედიკოს დაუჯერა და ჯილდოდ ახალი „ჟიგული-08“ მიიღო... გავიდა რვა თვე. მის ამბებს შორიდან ვგებულობდი. 1989 წლის 20 აგვისტოს, შემთხვევით შევხვდით ერთმანეთს ქობულეთში... მე, დედაჩემი და ჩემი უმცროსი და ვსეირნობდით. მოულოდნელად, ვიდაცის დაჟინებული მზერა ვიგრძენი; გული ისე ამიფრიალდა, მიკვირს, რომ არ დავეცი... დედას ვთხოვე, მასთან საუბრის უფლება მოეცა. დამთანხმდა. მე და ზურამ ჯერ უხმოდ ვისეირნეთ, შემდეგ კი, ხელი დამავლო და თავის ბინაში წამიყვანა. ერთმანეთის სიყვარული მოგვეძალა... საყვედური ვერ ვუთხარი: ძალიან მიყვარდა და ნაწყენი რომ ვიყავი, სულ გადამავიწყდა... ორი კვირის მანძილზე, წუთით არ მტოვებდა.

— დედამ რატომ არ აგიკრძალათ მასთან ურთიერთობა?

— იფიქრა — იქნებ, ზურა გონს მოეგოს, დედის ზეგავლენისგან გათავისუფლდეს და თეონასთან ერთად ბენიერი ოჯახი შექმნასო... მეც მეგონა, რომ ზურას აღარასდროს დავცილდებოდი. მაგრამ ვიდაცამ დედამისს გააგებინა, ქობულეთში ერთმანეთს რომ შეხვდით და ქალბატონი ნორაც მამინვე ჩამოვიდა. მე და ზურას თავზარი დაგვეცა. ნუ გეშინია, შენს თავს ვეღარავინ წამართმევსო, — მითხრა, მერე მაცოცხლა და თავის ბინაში გაიქცა. დედაჩემმა მამინვე თქვა: რადგან უშენოდ წავიდა, ე.ი. აღარ დაბრუნდებაო. მთელი ღამე, ფანჯარასთან ვიდექი. ველოდი, მაგრამ არ მოვიდა. დილით, ბინაში მივაკითხე. „ნაზეიკამ“ ჯერ მთხოვა, არ მენერვიულა, შემდეგ კი

დაამატა: დედას პატარა ბავშვივით გაჰყვა, გაოცებული ვუყურებდი, როგორ ემორჩილებოდა და ვერ ეკამათებოდა... ორი დღის შემდეგ, თბილისში დავბრუნდით. სანამ დედა ცოცხალი ჰყავს, მისი იმედი არ გქონდეს — ვერ დაკაცდებო, — მითხრა მამამ, ეს ამბავი რომ ვუამბე... მერე ყველაფერი თავდაყირა დადგა. სულ მალე გაირკვა, რომ ფენხმძიმედ ვიყავი...

— ზურას უთხარიო, მისგან ბავშვს რომ ელოდიო?

— დიახ. დავურეკე და ვუთხარი — ფენხმძიმედ ვარ, არ ვიცი, როგორ მოვიქცე-მეთქი. იმ ღამესვე ჩამოვიდა. გულში ჩამიკრა და — მთელ სამყაროზე მეტად მიყვარხარო, — წამწურწურა. — დედაშენზე მეტად თუ გიყვარვარ-მეთქი? — კითხე. — საშინლად ეწყინა, მაგრამ არ გაქცეულა, პირიქით, მთხოვა: ბარგი ჩააწყვე და წამოყვები, ცოლად მომიყვარო... — თუ გიყვარს, გაჰყვები, — მითხრა დედამ. კიდევ ერთხელ გავრისკე... ზურას ოჯახში რომ მივედი, ქალბატონი ნორას ეძინა. დილის ექვსი საათი იყო, ჩვენი მისვლა არც გაუგია. პირველ სართულზე დავბინავდით... დილით რომ დამინახა, ზურას უთხრა: მაინც მოიყვანე? დედას ეს ქალი ამჯობინე? ამისთვის გაზარდეო?! — ზურა შეეხვეწა: გამიგე, დედა, ერთმანეთი გვიყვარს, მალე შეილი გვეყოლება, შეგეუე ამ ამბავსო... არასდროს მინახავს ამდენად გააფთრებული ქალი. იყვირა, იკვილა, ბოლოს კი, გულწასული, ატაკაზე დაეცა. შეიყარნენ მეზობლები, გამოიძახეს „სასწრაფო დახმარება“... ერთი სიტყვით, დიდი უსამოვნება გადამხდა. ზურა სახლიდან გაიქცა, სადამო ხანს კი, მივრალი დაბრუნდა. ჩემკენ არც გამოუხედავს — პირდაპირ დედის ოთახში შევიდა, მოეხვია და უთხრა: მამატიე, გეხვეწები, არ ინერვიულო, არ დამღუპო... მერე, უფრო დაბალი ხმით წარმოთქვა: შენ თუ მეტყვი, ახლავე გაგაგდებ, ქუჩაში გავუძახებ, მაგრამ ბავშვს რა ვუყო?... ვინაა, რომ მიგაყურადე: ჯობდა, არ გამეგონა... რა უნდა მექნა? რა უნდა მომეხერხებინა ამ საბრალო „დედიკოს ბიჭისთვის“?! ბრძოლას აზრი არ ჰქონდა... სახლიდან ფენაკრეფით გამოვიპარე ციოდა. შუა ტრასაზე მივდიოდი და ვნატრობდი, რომ მანქანა დამჯახებოდა... თითქმის ორი საათი ვიარე. გორიდან თბილისამდე ფეხით ვერ ჩამოვიდოდი, შემხვედრი მანქანებიც არ მიჩერებდნენ. ბოლოს, გზის პირას

მდგარი ერთი დიდი კაკლის ქვეშ დავჯექი. სიცივისგან გათოშილს მიხდოდა, რამე უბედურება შემთხვევოდა, თითქოს ზიფათს ვეძებდი, მაგრამ უკუნეთი სიბნელის გარდა, არაფერი შემუქრებოდა... ის ღამე, გზის პირას გავათენე. უთენია, მანქანამ გამოიარა და თბილისამდე გამოიყვებოდა...

— ზურამ არ მოგძებნათ?

— არა. ბავშვი ისე გაგაჩინე, არც ერთხელ არ ვუნახივარ. მრცხვენია კიდევც, ამას რომ გიყვებო, მაგრამ სიმართლეს ვერსად გავუტყუებ... სამშობიაროში დედამისმა მომაკითხა. მეგონა, მეტყუილა: მამატიე, გული რომ გატკინეო, — მან კი, ასეთი რამ მითხრა: ხვალ ზურას ქორწილია, ცოლად ის გოგო შეირთო, ვინც მე მომწონდა და მიხდოდა; თუ გაბედავ და მისი ოჯახის დანგრევას ეცდები, თავს საქვეყნოდ მოგჭრიო...

— ზურა მართლა დაქორწინდა?

— დიახ, ცოლი შეირთო. მე და ბავშვი მიგვატოვა... ვიფიქრე — გულიდან ამოვიგლეჯე-მეთქი, — მაგრამ ცოლმა ტყუილი ვაყი რომ გაუჩინა, ჩემი ნახვა მოიწადინა. პირდაპირ შინ მომაკითხა. მარტო ვიყავი: პატარა ანა დედაჩემს სასეირნოდ ჰყავდა წაყვანილი. ზურა რომ დავინახე, კინაღამ გული გამისკდა. რატომ მოხვედრი-მეთქი? — კითხე. — მიყვარხარ, შენზე ვგიჟდები, ასე რატომ მომეტყვი? რატომ მომატყუე, რომ ორსულად იყავიო? — მისაყვედურა... ვთხოვე წასულიყო. ხელი მტაცა და გულში ჩამიკრა. ორივენი ვტიროდი. მიგხვდი, ვერასდროს დავივიწყებდი.

— რატომ გითხრათ ასეთი სიტყვები?

— თურმე მე რომ გამოვიქცევი, დედამისმა უთხრა: გინეკოლოგთან ძალით წავიყვანე, ორსულად არ ყოფილა; სიმართლე რომ გავიგე, იფიქრა — ზურა მომკლავს, შეეშინდა და ამიტომ გაიქცაო... ზურამაც დაიჯერა მისი ნათქვამი, საშინლად გაბრაზდა ჩემზე და გადაწყვიტა, რომ ჩემიარი მატყუარა ქალის ცოლად შერთვა არ ღირდა... აი, ის, რის გამოც ჩემზე უარი თქვა. არც კი ვიცი, უნდა მძულდეს თუ მეცოდებოდეს იმის გამო, რომ დედის კალთას ამოფარებული ცდილობს, პრობლემებს გაექცეს.

— არ უთხარიო, მისგან შეილი რომ გყავდაო?

— არა, რადგან ვიცოდი, არ დამიჯერებდა, უფრო სწორად — დედამისი შეძლებდა, დაერწმუნებინა იმაში, რომ ბავშვი მისგან არ მყავდა... ანა უკვე დიდი გოგოა. არც მან იცის, ვინ არის მამამისი. არ მინდა, გაიგოს, რომ მისი მამა „დედიკოს ბიჭია“ და დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღება არ შეუძლია. თუმცა, ბოლომდე გულწრფელი ვიქნები და გეტყვით, რომ ეს „დედიკოს ბიჭი“ მაინც ჩემი ოცნების მამაკაცად დარჩა, მე ის სივთქმულე მიყვარს...



www.shopge.com

ბთავაზოვით იმას, რასაც სხვაბან ვერ შეიძენ!

მზის ენერჯიაზე მომუშავე მობილური ტელეფონების დამტენი



ნებისმიერი ჩვენგანი ხშირად ჩავარდნილა იმ უსიამოვნო სიტუაციაში, როდესაც მობილური ტელეფონის ელემენტი ჯდება მაშინ, როდესაც ყველაზე მეტად გვჭირდება დაკავშირება სასწრაფო საქმეზე! განსაკუთრებით პრობლემატურია ზამთრის პერიოდი, როდესაც პრობლემები ელექტროენერჯიის მოწოდებაში სისტემატურად ხელს გვიშლის მობილური ტელეფონის დატენვაში და ფაქტიურად კომუნიკაციის გარეშე ვრჩებით. იმავე პრობლემებს ვაწყდებით მაშინაც, როდესაც მივდივართ სათევზაოდ, სანადიროდ, ლაშქრობებზე და ა.შ. ამ პრობლემების მოსაგვარებლად ჩვენ გთავაზობთ მზის ენერჯიაზე მომუშავე მობილური ტელეფონების დამტენს. ეს პორტატული აპარატი საშუალებას გვაძლევს, მზის სხივების საშუალებით დავტენოთ მობილური ტელეფონი, ვამუშავოთ აუდიოკასეტებისა და კომპაქტდისკების ფლეერი. სხვადასხვა ტიპის 7 გადამყვანის საშუალებით იგი ტენის ყველა ტიპის მობილურ ტელეფონს; აქვს გასაშლელი ეკრანი და თავსდება ჯიბეში. გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ფუნქციებისა იგი ტენის ასევე პატარა ელემენტებსაც. ამჭერად თქვენ სარგებლობთ მობილური ტელეფონით იმისგან დამოუკიდებლად, გაქვთ თუ არა ელექტროენერჯია.

მრავალი დანიშნულების მქონე ბრელოქი (ანათოვალური დიოდის) განათებით

ნათელი ცისფერი შუქით! მუდამ ხელთ გქონდეთ ჯიბეში, ჩანთაში თუ ბალიშის ქვეშ და ერთი დიოდის დაჭერით გაინათეთ გზა.

შუქსიხში: ჩართვა-გამორთვის დიოდი; ცისფერი, ნათელი, ბუნებრივი ფერის შუქი; სუბერ ნათელი LED ნათურა; ანათებს 2 მ-ის მანძილზე; ელემენტი იცვლება (დამოკიდებულია მოხმარების ხანგრძლივობაზე); LED ნათურა ანათებს 10,000 საათს; გასაღების საკიდი; მსუბუქი და კომპაქტურია სატარებლად;

სასუკეთესოა:

- საჩუქრად;
- სიბნელეში კიბის გასანათებლად;
- ლაშქრობისას;
- ექსტრემალურ სიტუაციებში.



მობილური ტელეფონის რადიაციისგან დამცავი საშუალება - SAFE GUARD



ყველა თანამედროვე ადამიანს ემოქრება მცირე დოზით რადიაციული გამოსხივების მავნე ზემოქმედების საშიშროება. ყველამ ვიცით, როგორ მოქმედებს რადიაციული გამოსხივების შედეგები ადამიანის გონებასა და ორგანიზმზე. მცირე დოზით რადიაციას შეუძლია დააჩქაროს მოვლენები, რომლებსაც კიბოვანი ან გენეტიკური დაზიანებამდე მივყავართ.

ყოველდღიურ მოხმარებაში ხშირად ვაწყდებით საჭირო, მაგრამ ჩვენი ჯანმრთელობისათვის მავნებელ ნივთებს, მაგალითად, მობილური ტელეფონი, რომელიც მცირე დოზით გამოყოფს ჩვენი ორგანიზმისათვის მავნებელ გამოსხივებას. შეიძლება თუ არა შევამციროთ გამოსხივების შედეგები? ინტერნეტმაღაზია WWW.SHOPGE.COM ზრუნავს თქვენს ჯანმრთელობაზე და გთავაზობთ მობილური ტელეფონის რადიაციისგან დამცავ საშუალებას.

მობილური ტელეფონების დინამო დამტენი

თუ თქვენ დაგიჭდათ მობილური ტელეფონის ელემენტი ქუჩაში, გზაში ან ნებისმიერ ადგილას, მაშინ თქვენ გიხსნით მობილური ტელეფონების დინამო (ხელის) დამტენი. ეს პატარა საოცარი ხელსაწყო, რომელსაც ხელით ატრიალებთ 3 წუთის განმავლობაში, ტენის თქვენს ტელეფონს 10-წუთიანი სამუშაო რეჟიმისთვის. იგი შეუცვლელია ექსტრემალურ სიტუაციებში, წვიმიან დღეებში და საერთოდ ამ აპარატების საშუალებით თქვენ მუდამ კავშირზე იქნებით ნებისმიერ ადგილას და ნებისმიერ დროს!



ინტერნეტმაღაზია www.shopge.com გთავაზობთ ასევე სხვა საინტერესო პროდუქციას. დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით ტელეფონებზე: 33 30 63; 36 49 45 ან იხილეთ ინტერნეტმაღაზია - www.shopge.com. ჩვენი კურიერი მოგაწვდით შეკვეთას თქვენთვის სასურველ მისამართზე თბილისში. კურიერის მომსახურება უფასოა.

ნატაშა სკოროხოდოვა გამოცდის წინაშე დაფაყნეთ, როცა კახა კალაძის ფოტო მიეუტანეთ. ჯერ გვთხოვა — იქნებ, ამ გამოცდას ამარიდოთ და მის თვალბეჭდებში ჩაბუდებული, განუსაზღვრელად დიდი ტკივილის შესახებ არ მალაპარაკოთო, — მაგრამ შემდეგ მაინც დაგვთანხმდა და დასძინა: შესაძლოა, ჩემმა სიტყვებმა შეება მოჰგვაროსო... მაშ, ვნახოთ, რა ელოდებათ: კახა კალაძეს, მანანა თოღაძეს, გაია ბარამიძეს, ნიკო ლევიშვილსა და თამუნა ამონაშვილს. „გზის“ შემდეგ ნომერში კი, შემოგთავაზებთ იმის პროგრამას, თუ რა შედეგს მიაღწევს „მის საქართველო“ — ირინა ონაშვილი „მის მსოფლიოს“ კონკურსზე.

ლელა ჭანკოტაძე



„ეს პოპულარული აღაშინებლის სვედრია“

„მანანა თოღაძე წინა ცხოვრებაშიც მომღერალი იყო“

— მანანა თოღაძე ქერგიული, გამწვანო, უშიშარი ქალბატონია. ის ნამდვილი პროფესიონალია. მთელი არსებით მუსიკით ცოცხლობს. საოცარია — ვაკვირდები მის თვალბეჭდებს და ვხედავ რენეკარნაციის მთელ პროცესს. ის სამჯერ მოველინა ამ ქვეყანას: პირველად, მამაკაცი იყო, თანაც — მეომარი; მეორედ, ტროპიკულ ქვეყანაში დაიბადა. საოცარი დამთხვევაა: ის წინა ცხოვრებაშიც მომღერალი გახლდათ. ასე რომ, ქალბატონ მანანას საინტერესო წარსული აქვს და კიდევ უფრო უკეთესი მომავალი ელოდება.



— მისი ქალიშვილი თუ მიაღწევს პოპულარობას?

— სამწუხაროდ, დედაზე ცნობილი და პოპულარული ვერ გახდება. ქალბატონი მანანა მასთან შედარებით, უფრო ილბიან-იცაა და უფრო ნიჭიერიც. კიდევ ერთი საიდუმლო მინდა გაგანდოთ: ისეთი ძლიერი მუსიკით მოდის მისგან, ისეთი ძლიერი და სუფთა აურა აქვს, რომ მასზე რაიმე გზით უარყოფითი ზემოქმედების მოხდენა შეუძლებელია. ადამიანთა იმ რიგს განეკუთვნება, რომელსაც უხილავი დამკავი სარტყელი აქვს.

„კახა კალაძეზე ფილმს გადაიღებენ“

— ვუყურებ მის თვალბეჭდებს და არ მჯერა, რომ ასეთ ახალგაზრდა კაცს ასეთი სევდიანი თვალბეჭდები აქვს... ტკივილი, სასოწარკვეთა, იმედგაცრუება ჩანს მის ისედაც სევდიან გამოხედვაში. ეს გასაგებია, თუმცა, მაინც არ მგონია, თუ ასეთი მგრძობიარე იქნებოდა და ასე ღრმად განიცდიდა იმ საშინელებას, რაც მის ოჯახს გადახდა თავს. არ იფიქროთ, რომ წარმატება კარიერაში ცოტათი მაინც უკარგავს სიმძაფრეს მომხდარს, პირიქით — ყოველ წარმატებას სულ უფრო დიდი ტკივილი ახლავს თან.

— როგორი მომავალი აქვს კახას?

— წარმატება მას არასდროს მოაკლდება. ის ყოველთვის კარგ გუნდებში ითამაშებს და თავის გულშემატკივრებს ბევრჯერ გააოცებს. უამრავი წარმატება და სიხარული ელის. დიდი ხნის მანძილზე, ქართული საფეხბურთო სამყაროდან მსგავს წარმატებას ვერაფერი მაღწევს.

— როგორ აენწყობა მისი პირადი ცხოვრება?

— კახა უცხოელ ქალზე დაქორწინდება. მისი ცოლი მოდელი, ძალიან ლამაზი და მდიდარი ქალი იქნება. ამ ქორწინების შესახებ ბევრს ილაპარაკებენ. კახა უამრავ ქალს იმედგაცრუებულს დატოვებს. წლების მანძილზე, საქართველოდან შორს იცხოვრებს, თუმცა მისი ფესვები აქ არის და სადაც არ უნდა იყოს, მაინც



დაბრუნდება. თავს ყველაზე უკეთესად თბილისში გრძნობს. მიუხედავად მისი სუპერთანამედროვე გარეგნობისა, ბუნებით მაინც ტიპური აზიელი მამაკაცია. ბევრი კარგი თვისება აქვს: თბილი, მოსიყვარულე, ერთგული და მგრძობიარე ადამიანია. საოცარი უნარი აქვს — უყვარს ადამიანები და სიხარულს ანიჭებს მათ. ბუნებრივ ვარსკვლავზე დაბადებული, თუმცა მის ცხოვრებას არც ტკივილი და სიმწრის ცრემლი მოაკლდება.

— რა ელის მის ძმას? გამტაცებლებს თავს დააღწევს?

— არ მინდა, რაიმე ისეთი ვთქვა, რაც უნებურად ხელს შეუშლის ძიებას. ამიტომ, ზოგადი პროგნოზით შემოვიფარგლები. პირველი, ვინც ლევანის შესახებ ინფორმაციას მიიღებს, თავად კახა იქნება. მას აუცილებლად დაუკავშირდებიან.

— კახას ხასიათის უარყოფითი მხარეები თუ შეგიძლიათ, ჩამოთვალეთ?

— ძალიან შრომისმოყვარეა, მიზნის მისაღწევად შეუძლია, ჯოჯოხეთური შრომა გასწოს, მაგრამ თავდაჯერებულობა და ბრძოლისუნარიანობა აკლია. ძალიან ენდობა ადამიანებს, ზოგჯერ ამის გამო გულუბრყვილო ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებს. მის გულში მისხალი ბოლმა და შური არ არის.

— კიდევ რა შეიძლება მოხდეს მის ცხოვრებაში?

— მასზე კინოფილმს გადა-

იღებენ. მისი ფოტოები დიდ სარეკლამო დაფებს დააშენებენ. სიცოცხლის გარკვეულ ნაწილს, ქველმოქმედებას მიუძღვნის. ქართულ ფეხბურთსაც ჩაუღვება სათავეში. ერთი სიტყვით, ძალიან დიდი მომავალი აქვს.

— სიყვარული?

— ქალების სიყვარული არასდროს მოაკლდება. ამის დასტური იქნება სამი შვილი, რომელიც კახას სხვადასხვა ქალისგან შეეძინება...

— ე. ი. მისი პირველი ქორწინება მყარი არ აღმოჩნდება?

— ეს ცნობილი და პოპულარული ადამიანების ხვედრია. კახა ბედნიერებას ქართველ გოგონასთან მოიპოვებს. მასაც უცხოეთში გაიცილებს. ისინი ძალიან ბედნიერები იქნებიან...

„გია ბარამიძე ქალებისთვის სასურველი მამაკაცია“

— შემტვეი, გაბეღული, ძლიერი მამაკაცია, რომელსაც პოლიტიკური კარიერის გასაკეთებლად ყველა საჭირო თვისება აქვს — ნიჭიც, ემპათობაც... იღბლიანიც გახლავთ. მისი სახელი ყოველთვის იმ პარტიასთან იქნება დაკავშირებული, რომელსაც ხელისუფლების ხელში აღების რეალური ბერკეტები აქვს.

— არჩევნებში წარმატება ელოდება?

— დიან (აუცილებელია აღინიშნოს, რომ ეს ინტერვიუ 2 ნოემბრამდე ჩავიწერეთ. — ავტ.). ეს წელი მისთვის იღბლიანი აღმოჩნდება. ყველაფერში გაუმართლებს, რასაც კი ხელს მოჰკიდებს. განსაკუთრებული წარმატება პოლიტიკურ ასპარეზზე ელოდება. ცოტა მოგვიანებით, ის ძალზე საპასუხისმგებლო თანამდებობას დაიკავებს.

— უფრო გრძელვადიანი პროგნოზი თუ შეგიძლიათ, გააკეთოთ?

— ყველაზე დიდი თანამდებობა, რომელსაც გია დაიკავებს, მინისტრობა იქნება.

— მისი ხასიათის უარყოფითი თვისებები შეგიძლიათ ჩამოთვალოთ?

— დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა არ შეუძლია. ამიტომ გვერდით ყოველთვის უნდა ჰყავდეს ვიღაც, ვინც სტიმულს მისცემს და მისი ნიჭის რეალიზებაში დაეხმარება. მძაფრად რეაგირებს ჭორებზე, ძალიან იმპულსური და ფეთქებადი ხასიათი აქვს.

— რას მაღაღვს?

— საკუთარი ხასიათის მანკიერ მხარეებს...

— რა არის მისთვის მთავარი ცხოვრებაში?

— პოლიტიკური კარიერა.

— როგორია მისი პირადი, ინტიმური სამყარო?

— ქალებისთვის სასურველი მამაკაცია. რაღაც შინაგანი ტუნტი აქვს, რომლითაც

ქალებს იზიდავს. თუმცა, მექლოთანე არ არის. იმის ერთგულია, ვინც უყვარს.

„ოჯახი მისთვის ნირვანის მისაღწევი საუკეთესო გარემოა“

— ნიკო ლევიშვილი ძალაუფლების მოყვარული კაცია. მეორე პლანზე ყოფნას ვერ ეგუება. ლიდერის თვისებებით გამოირჩევა. დადებითი მხრიდან საკუთარი თავის წარმოჩენა იოლად გამოდის. თუმცა, კონტაქტური არ არის, უფრო სწორად — ყველა ადამიანს არ მისცემს დაახლოების საშუალებას. მეგობრებს იმის მიხედვით ირჩევს, თუ რამდენად მრავალმხრივი და საინტერესო ადამიანები არიან. ძალიან ნიჭიერია. ასეთ მამაკაცებზე ცუდის თქმა იოლი არ არის, რადგან ადამიანებზე შთაბეჭდილების მოხდენის საოცარი უნარი



აქვთ. კარგი იუმორის გრძობითაა დაჯილდოებული, საქმიანობაში კი მკაცრია და კომპრომისებზე არ მიდის; ადამიანთა იმ რიგს მიეკუთვნება, რომელიც აზრს ან საერთოდ არ იცვლის, ანდა ძალზე სერიოზული და მყარი კონტრარგუმენტების შემთხვევაში, მისთვის მთავარია ბრძოლა მატერიალური კეთილდღეობისა და სულიერი სიმშვიდისათვის. სულიერი სიმშვიდე მან ნამდვილად მოიპოვა. ოჯახი მისთვის ნირვანის მისაღწევი საუკეთესო გარემოა; ბედნიერებისთვის ხელისშემშლელი არაფერი ჩანს.

— რა არის მისი წარმატების მიზეზი? მხოლოდ მებრძოლი და შემტვეი ხასიათი?

— არა. მხოლოდ ხასიათი ვერაფერს გიშველის, თუ ბეღმაც ხელი არ შეგიწყო. ჩვენი მომავალი ხომ ზეცაში წყდება... ბატონი ნიკო იღბლიანია, ცხოვრებაში უმართლებს — აი, ეს არის მისი წარმატებული კარიერის მიზეზი.

— პოლიტიკაში რამდენ ხანს დარჩება?

— ის ყოველთვის მოვლენების და ყურადღების ცენტრში იქნება. თუმცა მომავალში, რაიმე დიდ თანამდებობას ვეღარ დაიკავებს. მისი ადგილი ბიზნესშია და ოჯახში, სადაც ის ძალიან უყვარს.

„თამუნა ამონაშვილის ბედი, შვილიანი მამაკაცია...“

— როგორია თამუნა?

— ყოველთვის ცდილობს, თავი დაიცავს — ეს მისი კომპლექსია. თითქოს

გამუდმებულ საფრთხეს გრძობს და ადამიანებთან ურთიერთობაში დისტანციას იცავს. ზღვარს თვითონ აჩენს და ამ ზღვარს იქით არც თვითონ გადავა და არც არავის მიუშვებს თავისთან ახლოს. არ მიეკუთვნება ქალების იმ რიგს, რომელსაც ქათინაურები უყვარს, მზად არის, კომპლიმენტები ნებისმიერი ადამიანისგან მიიღოს; თამუნა მხოლოდ იმ ადამიანს აძლევს ამის საშუალებას, ვინც მის გულს ეკარება. ასეთი მამაკაცი კი, სამწუხაროდ, მან დაკარგა...

— მიზეზი რა იყო?

— თამუნას თვალები მუუბნება, რომ მას იმედი გაუცრუვდა. სიყვარულის შესანარჩუნებლად იბრძოლა, ბევრ ღათობაზეც წავიდა, მაგრამ მაინც არ გაუმართლა — ფორტუნა მის მხარეს არ აღმოჩნდა. ეს სიყვარული თავიდანვე განწირული ჩანდა...

— თამუნას სხვა თვისებებზე რას გვეტყვი?

— გულკეთილია. ფრთხილი და ცოტა შშიმრა ცხოვრებამ განაღა, თორემ, მხიარული, გულღია და ანცი გოგონა იყო. მის გვერდით ადამიანები ყოველთვის შესანიშნავად გრძობდნენ თავს. ახლა გაღიზიანებული, დაბნეული და შეშინებულია. ბოლომდე არავის გადაუშლის გულს და ნაღველს გულში იკლავს. ძალიან ნერვიულობს. უამრავ თეთრად გათენებულ ღამეს ვხედავ, მაგრამ ამას არ ამჟღავნებს. გარეგნულად მშვიდი, მოწესრიგებული და ბედნიერია.

— მომავალში რა ელოდება?

— დიდი ბედნიერება, რომელიც ნამდვილად დაიმსახურა. თამუნა თავის ოცნების მამაკაცს შეხვდება. ისინი ერთმანეთს ნამდვილ სიყვარულს მიუძღვნიან. თამუნა, დედა გახდება. მისი ქმარი, შვილიანი მამაკაცი იქნება. თამუნა ერთ გოგონას გააჩენს.

— მისი კარიერა აღმასვლით განვითარდება?

— დიან. ის იმაზე პოპულარული გახდება, ვიდრე ახლაა. ორი-სამი წლის შემდეგ, თამუნა თბილისში ნამდვილი ვარსკვლავი იქნება. მას სამისოდ ყველაფერი აქვს. ბევრ მომღერალს დაჩრდილავს... თაიგულები და გადაჭედილი დარბაზები ელოდება. ეყო, რაც იტანჯა — მომავალში, დიდი ბედნიერება, დიდი სიყვარული და პოპულარობა ელის...



„გუნდის“ ინტელექტუალური მართვაინერგის მძლავრად საქმიანობა და ინტელექტუალური დაცვა

განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრის მოადგილე ლალი მოროშინა, მამაკაცი კოლეგების გარემოცვაში თითქმის ერთადერთი ქალბატონია. თუმცა, ეს სულაც არ მიაჩნია საქმიანობაში ხელისშემშლელ ფაქტორად. „პოლანდიაში ყოფნისას, ერთი საინტერესო რამ შევნიშნე: თითქმის ყველა მონუმენტური ქანდაკება ცხენზე ამხედრებული ქალია...“ — მითხრა შთაბეჭდილებების ქვეშ მყოფმა ლალიმ, რომელიც სოციალური აქტიურობითაც გამოირჩევა და არც სხვადასხვაგვარ გართობაზე ამბობს უარს.

ემა ტუხიაშვილი

— ბავშვობაში ბიზნესის სფერო უფრო მიტაცებდა. მასოვს, სკოლაში მეგობრებთან ერთად „მენეჯერის“ მსგავს თამაშებს ვთამაშობდი და სულ რაღაცას „ვეიდლი“ და „ვეიდლობლი“. ნაკლებად მიყვარდა თოჯინებით თამაში, სამაგიეროდ, მშობლებს ეზოდან ვერ ამოვყავდი, მუხლები სულ გაღატყავებული მქონდა...

— საქმიანი ურთიერთობების დროს, როგორც ქალბატონი, ალბათ რაღაც პრივილეგიებით სარგებლობ... — როდესაც მინისტრის მოადგილის რანგში პირველად გავმართე საქმიან შეხვედრაზე, დარწმუნებული ვიყავი, რომ გარკვეულ ღათობებზე წავიდოდნენ, მაგრამ



შევეცი. ასე რომ, პირიქით — ზოგჯერ ეს ხელისშემშლელიც კია და როდესაც შენთვის რაღაც ცუდის გაკეთება უნდათ, ხაზს უსვამენ იმას, რომ ქალი ხარ. ამასთანავე, ბევრს ჰგონია, რომ საქმიან ქალს აუცილებლად რაიმე ფიზიკური ნაკლი უნდა ჰქონდეს ან მამაკაცური იერით გამოირჩეოდეს...

— თქვენი ოჯახის წევრები როგორ რეაგირებენ თქვენს საქმიანობაზე?

— ჩემს მეუღლეს უკმაყოფილება არასოდეს გამოუხატავს — პირიქით, ყოველთვის ვგრძნობ მის მხარდაჭერას. როდესაც შინ დადლილი ვბრუნდები, მთხოვს, სასწრაფოდ გავიხადო პიჯაკი, ჩავიცვა ჯინსი და რესტორანში გატარებული საღამოთი ან შეილებთან ერთად გასეირნებით, სამსახურიდან გამოყოფილი უარყოფითი ემოციებისგან დავიცვალო.

— პირად ცხოვრებაში განცდილი თუ ახდენს გავლენას თქვენს საქმიანობაზე?

— რა თქმა უნდა ახდენს, მაგრამ მე ზომტელებიზის სკოლა მაქვს გავლილი. ჩემს ცხოვრებაში ყოფილა მომენტები, როდესაც ძლივს მივსულვარ სამსახურში, მაგრამ კერანზე ეს ვერავის შეუმჩნეოვია. ასევე კომარავით მასსოვს წლევეანდელი ზაფხული, როდესაც პრესაში საშინელი ჭორი გავრცელდა ჩემზე (თითქოს ქმარს გაყვარა — ავტ.). ამის გამო, უკვე სამი თვეა, ზოგიერთი გამოცემისთვის ინტერვიუ არ მიმიცია...

— როგორ უთავსებთ ერთმანეთს სამსახურებრივ საქმიანობას და საოჯახო საქმეებს?

— მართალია, საქმიანი ქალი გარკვეულწილად აკლდება ოჯახს, შვილებს, მაგრამ სამსახურისა და საოჯახო საქმიანობის შეთავსება მაინც შესაძლებლად მიმაჩნია. ერთი საინტერესო ფაქტი დავაფიქსირე: არ მასოვს, ჩემს უმცროს შვილს ჩემთვის „დედა“ დაეძახოს; სახელი „ლალი“ არ მოსწონდა და ამიტომ, სულ „ლოლას“ მეძახდა. მას შემდეგ, რაც მინისტრის მოადგილე დავინიშნე და იშვიათად მხედავს შინ, ალბათ ვენატრები და „დედას“ მეძახის. დაძაბულსამუშაოს თავისი დადებითი მხარეც აქვს: მხოლოდ ახლა დავაფასე სათანადოდ, თუ რა კარგია ოჯახის წევრებთან ერთად სადილობა, სამზარეულოში ფუსფუსი და ა.შ. საკმაოდ ხშირად ვაწყობ რუსული და იტალიური სამზარეულოს დღეებს, სადაც ჩემი უამრავი მეგობარი იყრის ხოლმე თავს.

— სამსახურში დახარჯული ენერჯის აღდგენას როგორ ახერხებთ?

— ენერჯია იმდენი მაქვს, რომ არ ვიცი, სად წავილო (იციხის). საერთოდ, ცხოვრებას ცოტა ფილოსოფიური თვალთ უნდა მიუდგე და მაქსიმალურად გამოიყენო ის დრო, როდესაც შეგიძლია, საკუთარი თავისთვის იცხოვრო. შეგნებულად არ ვამბობ — შვილებისთვის-მეთქი, — რადგან მიმაჩნია, რომ თუ აღამიანი საკუთარი თავისთვის იცხოვრობს და ბედნიერია, მისი შვილიც აუცილებლად კარგად იქნება. დედაჩემისგან ხშირად მსმენია: ასპირანტურაში სასწავლებლად იმიტომ ვერ წავედი, რომ შენ ყურადღება არ მოგაკლებოდაო. ამგვარი მსხვერპლი კი, ჩემი აზრით, არავის სჭირდება...

— თქვენი სამსახურის სპეციფიკიდან გამომდინარე, ხშირად გისდებთ სამხედრო პირებთან ურთიერთობა. არ გიჭირთ?

— საკმაოდ მობილიზებული და პუნქტუალური აღამიანი ვარ. არასოდეს ვიკვიანებ სამსახურში იმ მიზეზით, რომ სარკესთან შევყოვნდი და ა.შ. თავის მოსაწესრიგებლად ჩემთვის სამი წუთიც საკმარისია. ამიტომ სხდომებზე, სადაც ხშირად, ერთადერთი ქალი ვარ, შენიშვნას ვერავინ მომცემს. პირიქით, ამ მძიმე სხდომებს ხშირად, ჩემი ნათქვამი ახალისებს.

— თქვენთვის, როგორც საქმიანი ქალისთვის, რამდენად მნიშვნელოვანია, გყავდეთ მძლიერი, მდივანი, დაცვა, დამხმარე ოჯახში?

— ძალიან კარგია, როდესაც გაქვს ეს ყველაფერი, მაგრამ საჭიროების შემთხ-

ვევაში, შემიძლია წერილიც თავად დავწერო და კურიერის ფუნქციაც შევასრულო; შემდეგ, საკუთარი მანქანის საჭეს მივუჯდე და კონფლიქტის ზონაში მართო ჩავიდე; იქიდან დაბრუნებულმა კი, შეილებს სადილი მოვუძახადო. ერთი სიტყვით, არ არსებობს დაბრკობება, რომელიც ხელს შემიშლის ჩემი მოვალეობის შესრულებაში.

— კონფლიქტის ზონაში თავს მართო როგორ დაიცავთ? იარაღი გაქვთ?

— იარაღიც მაქვს და მისი გამოყენებაც ვიცი. საბედნიეროდ, მისი გამოყენება ჯერ არ დამჭირვებია და იმედი მაქვს, არც მომავალში დამჭირდება. ისე, მიმანია, რომ ადამიანმა აუცილებლად უნდა იცოდეს იარაღის ხმარება, მანქანის მართვა და ცურვა.

— თუ საიდუმლო არ არის, რა მარკის იარაღი გაქვთ?

— „ბერეტას“ მარკის.

— რაიმე კუროოზი გაიხსენეთ თქვენი საქმიანობიდან...

— სამინისტროში ერთ-ერთ თათბირზე სამშვიდობო ძალების წარმომადგენლები გვეწვივნენ და მათი სარდალიც გავიცანი. რამდენიმე დღის შემდეგ კი, ერთმანეთს სულ სხვა გარემოში — წვეულებაზე შევხვდით. თათბირზე თუ მუქი ფერის, მკაცრი სტილის პიჯაკი მეცვა, წვეულებაზე ჯინსით მივდი, რომელზეც ოქროსფერი გულუბი ეხატა. დაიბნა სარდალი — თან ვეცნობოდი და თან, ეტყობა, ვერ წარმოვადგინა, რომ სწორედ ის ქალი ვიყავი, რომელიც თათბირზე გაიცნო. მოკლედ, დაიტანჯა კაცი. ისევე მე მივედი მასთან და ეჭვები გავუფანტე. შემდეგ ხშირად ვიხსენებდით ამ ამბავს და ვხალისობდით...



მოსკოვში საქმიანობა წასულა ეთიოპიაში ანსალიაში ამოყო თავი

ახალგაზრდობაში ზურა დოიჯაშვილი და მამუკა ონაშვილი თურმე ხშირად ანცობდნენ სმის კვირეულებს. — უყვარს მეგობრებთან ერთად მოლხენა და დაღევა, სიმთვრალეში კი — ბევრი ლაპარაკიო, — გვითხრა მისმა მეუღლემ — ქეთი დოიჯაშვილიმა...

ნინო ჯავახიშვილი

— როდესაც ზურა შინაა, შეიძლება, მთელი დღე ისე გავიდეს, რომ არც კი დაგველაპარაკოს და მხოლოდ ტელევიზორს უყუროს, მაგრამ თუ ნასვამია — ერთი-ორი ჭიქაც რომ ჰქონდეს დაღეული, ოჯახში ხმის ამოღებას ვეღარავინ ახერხებს — ზურა შეუჩერებელი ლაპარაკობს და ლაპარაკობს...

— სუფრაზე ყოველთვის თვითონ თამადაობს ხოლმე?

— როდესაც ოჯახში სუფრა იშლება, თქვენ წარმოიდგინეთ, ზურა არასდროს თამადაობს — ურჩევნია, სხვა გაუძღვეს სუფრას, თვითონ კი თავისუფლად იყოს.

— რა სასმელი უყვარს?

— უფრო მეტად — ღვინო. თუმცა, ერთი პერიოდი, რომსა და ვისკისაც სვამდა. მერე, ცოტა ჯანმრთელობამ შეაწუხა... თუ ვჩხუბობთ — მხოლოდ იმაზე, რომ არ დალიოს, არ დათურვს, სივარული არ მოსწიოს და ა.შ.

— ე.ი. ბევრს სვამს?

— ახლა აღარ, მაგრამ იყო დრო, როდესაც ზურა და მამუკა გადაბმულად სვამდნენ ხოლმე რამდენიმე დღის მანძილზე. შინიდან გავიდოდნენ და ორი-სამი დღით იკარგებოდნენ. ისე თვრებოდნენ, რომ ამ ქვეყანაზე აღარ იყვნენ... თან, ორივეს არაჩვეულებრივი თვისება აქვს: მობილურის სასწრაფოდ გათიშვა არ ავიწყდებათ, მე და ირამ (ონაშვილია. — ავტ.) რომ ვერ მივაგნოთ... ამასთან დაკავშირებით ერთ ამბავს გავიხსენებ. მამუკა და ზურა ახლობელმა, მამუკა ჩაგელიშვილმა დააბატიყა მოსკოვში. ორი კვირით წავიდნენ. ხშირად გვირეკავდნენ, მაგრამ მერე, მე და ირა ვეღარავრით ვუკავშირდებოდით — ტელეფონები გამორთული ჰქონდათ. ჩვენი ახლობელი კოგონები ანტალიაში იყვნენ წასულები და როცა ჩამოვიდნენ, მითხრეს — იცი, ანტალიაში ზურა და მამუკა ვნახეთო! გამორიცხულია — მამუკა და ზურა მოსკოვში არიან-მეთქი, — ვუპასუხე. — ზურასთვის, შეიძლება, მიგვემსგავსებინა ვინმე, მაგრამ ონაშვილი ვინმეში აგერიოს — შეუძლებელია, ნამდვილად ის იყო... ასე იცოდნენ გადაკარგვა, გართობისა და მოლხენისთვის.



— მერე, არ ეჩხუბებოდით მეუღლეს, შინ როცა ბრუნდებოდა?

— როდესაც ვიცოდი, სად იყო წასული, რა თქმა უნდა — არა, მაგრამ როდესაც რამდენიმე დღით გადაიკარგებოდა და აზრზე არ ვიყავი, სად იყო, მაშინ კი ვბრაზობდი...

— ვიცი, რომ ძალიან გიყვართ ზურას მეგობრებთან ერთად ყოფნა, დროს ტარება... მამუკა და ზურა ერთმანეთს სმაში თუ ეჯიბრებიან ხოლმე?

— ერთმანეთს სმაში კი არა, ზუძრობაში ეჯიბრებიან — ჰყვებიან ანეკდოტებს, საინტერესო, სახალისო ამბებს. თუ სუფრასთან უცხო ხალხიცაა (ე.ი. ისინი, ვინც მათი „ნომრების“ შესახებ არაფერი იცის), „აზერბაიჯანულად“ ლაპარაკს იწყებენ, არადა, სინამდვილეში არც ერთ აზერბაიჯანულ სიტყვას არ ამბობენ; ყველა გაოცებული უსმენს და ვერ გაუგებლობს, რა ენაზე ესაუბრებიან ერთმანეთს...

— სიმთვრალეში ხასიათი თუ ეცვლება?

— არა, ისეთივეა, როგორც სიფხიზლეში. თუ სახლამდე მოაღწია, ხომ კარგი, მაგრამ შეიძლება, მთელი ღამე აქეთ-იქით იბორიალოს. თანამესუფრეებთან ერთად, ან საბილიარლოში მიდის, ან რესტორანს „იცვლის“; დილის 6 საათზე ხაშის მისართმევედ მიდის და მერე ბრუნდებიან შინ. მოკლედ, მთელი ღამე მოძრაობაში არიან...

— შარიანი ხომ არ არის?

— ვაიმე, არა! ზურა არ არის ისეთი ტიპი, რომ ვინმეს აწყენინოს და არც ისეთ ხალხთან ერთად დაჯდება საქეიფოდ, ვისაც მოლხენის ნაცვლად, ერთმანეთის ცემა-ტყევა სჩვევია. თუ ვინმემ წონასწორობიდან გამოიყვანა, იჩხუბებს — აბა, რას იზამს?!

— როდესაც შინ ბრუნდება, მოფერება თუ იცის?

— კი, როგორ არა? ყველას გვეყვება, თუმცა ცდილობს, არ შეგვაწუხოს და ადრე წვება დასაძინებლად.

— დაბოლოს — „კაი ლუდია ლომისი“... უყვარს ლუდი?

— ლუდი მართლა ძალიან უყვარს და ხშირადაც მიირთმევს.

ინფორმაციულ-მედიაციური კოლაჟი

ეორი დვალის უბის წიგნაკრები:

- 1. აშშ-ის სენატში არ არის სპიკერის თანამდებობა.
- 2. პოლ ჩარლზ მორფი ამერიკელი მოჭადრაკე იყო.
- 3. მამაკაცს თმაზე უფრო სწრაფად წვერი ეზრდება.



- 4. გაოცება სიბრძნის საწყისია, — ამბობდა სოკრატე.
- 5. ჰალსტუხი პირველად, ინგლისში XIX საუკუნეში გაჩნდა.
- 6. რობერტ დე ნიროს პროსტატის კიბოს დიაგნოზი დაუსვეს.

- 7. „ბიატლონი“ ბერძნული სიტყვაა და ქართულად ორჭიდს ნიშნავს.
- 8. რუსეთის „იმპერატრიცა ანა იოანოვნა“ კენჭის გავლამ იმსხვერპლა.
- 9. კურცჰარის ლეკვებს კულის 2/3-ს დაბადებიდან მესამე დღეს სჭრის.
- 10. მხატვრულ ფილმში — „მონანიე-ბა“ ვერიკო ანჯაფარიძეს ელენე ასლამაზიშვილი ახმოვანებს.
- 11. წყალსატევის ან მდინარის ზედაპირზე უძრავი ყინულსაფრის წარმოქმნას გაძვივდა ევროდღა.
- 12. 1855 წელს, 1 კგ ალუმინი რუსეთში 500 ოქროს მანეთი ღირდა, 1899 წელს კი — 1 მანეთი.
- 13. ავსტრიელ კომპოზიტორს კრისტოფ ვილიბალდ გლუკს ბერლიოზი „მუსიკის ესქილეს“ ეძახდა.
- 14. ისრაელის ქნესეთის არჩევნებში კენჭს იყრიდა პარტია სახელწოდებით — „ოჯახში მამაკაცთა უფლებების დაცვის მოძრაობა“.

- 15. იაკობ გოგებაშვილის ნეშტი დიდუბიდან მთაწმინდის პანთეონში მის 100 წლის იუბილეზე გადაასვენეს.
- 16. როცა გაჩნდი, გვინაროდა, იყო ლხინი დიდებული, არის გლოვით გაცხილება შენზე დამოკიდებული, — ლალაღებს ადილეური აფორიზმი.
- 17. ყვითელი ზღვა, კარიბის ზღვის აუზი, ინდოეთის ოკეანე, ჩრდილოეთ ავსტრალიისა და ახალი გვინეის რაიონები ქარიშხლების აკვანია.
- 18. კავკასიელ ხალხებში „აბრაგი“ თავდაპირველად, საკუთარი ხალხისგან მოკვეთილს ნიშნავდა. ყაჩაღის, ავაზაკის მნიშვნელობა ამ სიტყვამ მოგვიანებით შეიძინა.

„გაუნიია, უპილა არ პითსრას“

— გაგონაუკრება სოლოგა ვერ გაუნიო...“

„გზის“ №33-ში დაიბეჭდა ნერილი — „ნარდში ნაგებული ცოლის აღსარება“. მოგვიანებით ახალგაზრდა ქალი დამიკავშირდა და მთხოვა, მისთვის საშუალება მიმეცა, თავისი ამბავი მკითხველებისთვის მოეთხრო. ნატო ფილიშვილი ქმარმა ზარში წააგო...

ლელო ჭანკოტაძე

ნატო:

— როცა თქვენს ჟურნალში ნარდში წაგებული ქალის შესახებ წავიკითხე, საკუთარი უბედურება დამიდგა თვალწინ. ჩემი ამბავი შეიძლება, დაუჯერებელიც მოგეჩვენოთ. ზოგჯერ, თავი სიზმარში მგონია. არ ვიცი, რატომ დამემართა ასეთი რამ, სად დაგუშვი შეცდომა... ყველაფერი გიოს გაცნობით დაიწყო. მეთერთმეტე კლასში ვსწავლობდი. ერთ დღეს, სკოლასთან ძალიან მაღალი, მწვანეთვალა ყმაწვილი შევნიშნე. ჩემზე ათითორმეტი წლით უფროსი იქნებოდა. რომ დამინახა, დაეინებოთ მომაჩერდა. მის მზერას თვალი ავარიდებ და სკოლაში შევედი. გაკვეთილები რომ დამთავრდა, ჩვეულებრივად, სახლის გზას გავედექი. ასი მეტრიც არ მექნებოდა გავლილი, რომ მიულოდნელოდ, ორმა ბიჭმა ხელი მტაცა. კვილი დავიწყე, მაგრამ სანამ ვინმე მომეველეოდა, მანქანაში ჩამტენეს და გამიტაცეს. ხუთი წუთიც არ გვივლია. მანქანა ერთ-ერთ ეზოში შეაყენეს, მე კი, თვალის დახამხამებაში პატარა ოთახში შემავლეს. იმ ოთახს ფანჯარა არ ჰქონდა. ჩემი აზრით, საკუჭნაო იყო. ათი-თხუთმეტი წუთის მანძილზე, ჩემთან არავინ შემოსულა. მერე, სკოლის წინ ნახაზი, მწვანეთვალა ბიჭი შემოვიდა. გიო მქეიაო, — მითხრა და ამისხნა, რომ მოვეწონე და ცოლად შერთვის მიზნით მომიტაცა. თავი შეურაცხყოფილად ვიგრძენი. ტირილი დავიწყე. მან ჩემი დამშვიდება სცადა. არაფერი გამოუვიდა. ექვსი დღე-ღამის განმავლობაში, ამაოდ ცდილობდა, დაეთანხმებინე; მუუბნებოდა — თუ გავიუტლები, ციხე არ ამცდებო. ეს კომპარტი იმით დამთავრდა, რომ გამაუპატოურა, იფიქრა — ამის შემდეგ ცოლობაზე უარს აღარ მეტყვისო. მეშვიდე დღეს, ოთახის კარი გაიღო და მამაჩემი შემოვიდა.

— რატომ შემოუშვეს?

— უკვე მილიცია მეტება. ჩემს მშობლებს ცოცხალი აღარ ვეგონე. ამიტომ გიოს ნათესავები იძულებულები გახდნენ, ჩემს მშობლებთან მისულიყვნენ და სიმართლე ეთქვათ. თანაც ეგონათ — რადგან გიოსთან ვიწექი, მამაჩემი მაიძულებდა, გიოს ცოლად გავყოლოდი. მაგრამ ასე არ მოხდა: მამას მუხლებში ჩაუვარდი და შევეხვეწე — გაღ-

ამარჩინე, აქედან წამიყვანე-მეთქი. მამამ ჭკუა იხმარა, იქ მყოფთ უთხრა: შეილი სახლში უნდა წავიყვანო, დაკაშვილებ, ვანუგეშებ, სალამოს კი, ყველანი მობრძანდით და ამ ახალგაზრდების შეუღლება სუფრასთან აღვნიშნოთო. მისმა ნათქვამმა ყველა გაახარა. ერთი სიტყვით, შინ დავბრუნდი.

— მშობლებს ყველაფერი გულახდილად უამბე?

— დიახ. არ დამიმაღავს, რომ გიომ საწოლზე მიმაბა და ისე გამაუპატოურა. მამაჩემს სიმწრისგან თავი კედელს ურტყა. პროვინციულ ქალაქში სახელგატეხილი გოგონასთვის ცხოვრება ვჯოჯონეთია. მიუხედავად ამისა, მშობლებმა იფიქრეს და გადაწყვიტეს, უკან არ დაეხიათ და გიოსთვის ჭკუა ესწავლებინათ. როცა ჩემს დასაკითხად გამომიძიებელი მოვიდა, მე და ჩემმა მშობლებმა გიოს დასჯა მოვიხოვეთ. დააკავეს. ოთხი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. ამის შემდეგ, მე და ჩემს მშობლებს ქარელში აღარ დაგვედგომებოდა: გიოს ნათესავები გვაიწროვებდნენ, გვლანძღავდნენ, გვემუქებოდნენ და ზოგჯერ ჩვენს ფანჯრებს ქვებსაც ესროდნენ... ბინა გავყიდეთ და საცხოვრებლად თბილისში გადმოვედით. ოთხი წლი ჩემთვის ძალიან მალე გავიდა. მეგონა, შევძლებდი კომპარული შვიდი დღის დავიწყებას, მაგრამ არაფერი გამომივიდა. ყოველდღე, გიო მესიზმრებოდა. ვიტანჯებოდა.

— ნანობდი, გიო ციხისთვის რომ გაიმეტე?

— არა. მაგრამ სხვა მამაკაცზე ფიქრი არ შემეძლო, ბიჭებთან ველარ ვმეგობრობდი. ზოგჯერ ვფიქრობდი: ხომ არ შემიყვარდამეთქი?... ოთხი წლის შემდეგ, გიო უნივერსიტეტის წინ დაეინახე. ვგუფლები ჩემი გამომეტყველებით მიხვდნენ, რომ ის ყმაწვილი, რომელსაც მივჩერებოდი, გიო იყო. მე თვითონ მივედი მასთან. ის არც განძრულა. ვუთხარი: წამოდი, კაფეში დავსხედეთ და ვილაპარაკოთ-მეთქი. უსიტყვოდ გამომიყვა. წითელ ბარში დავსხედით. გიომ მკითხა: გჯერა, რომ მიყვარხარო? ვუპასუხე: მეც მიყვარხარ-მეთქი. ერთი თვის შემდეგ, გიოს ცოლად გავყვე...
— ასე რატომ მოიქეცი?

— არ შემეძლო იმ კაცის დავიწყება, რომელიც ჩემს სხეულს დაეუფლა. მე მჯერა, რომ ქალისთვის ერთი მამაკაცი ძალიან ბევრია, ორი კი — ძალიან ცოტა...

— მშობლებმა როგორ მიიღეს შენი გადანყვებულება?

— მამამ მითხრა: მშვიდად მოგკვდები, რადგან პატიოსან ქალად გამიზრდისხარო. აი, ასეთები არიან ქართველი მამები... ერთი სიტყვით, მე და გიომ ოჯახი შევქმენით. უნივერსიტეტი დავამთავრე თუ არა, მომთხოვა — ისევ ქვიშხეთში დაგბრუნდეთო, ჩემთვის ძნელი იყო მისი მშობლების გვერდით ცხოვრება, მაგრამ დაეთანხმდი... უკვე ათი თვის ბიჭი მყავდა. ვფიქრობდი: გიოს დედა ბავშვის გაზრდაში დაემხმარება, მე კი რომელიმე სკოლაში მასწავლებლად ვიმუშავებ-მეთქი. საცხოვრებლად რაიონში გადავედი. ცხადა, დედამთილთან ურთიერთობა ვერ მოვაგვარე. ვერ მაპატიო, ჩემ გამო მისი შვილი ციხეში რომ მოხვდა. ვცდილობდი, გიოსთვის უსამართლოებები ამეცილებინა, არ ვეუბნებოდი, როგორ მიჭირდა. თუმცა, ვიხივდი, ისევ თბილისში დაგბრუნდეთ-მეთქი, რაზეც კატეგორიულად უარს მეუბნებოდა. რაც დრო გადიოდა, სულ უფრო უხეში ხდებოდა. თითქოს თანდათან ასწენდებოდა ციხეში გადატანილი მძიმე დღეები და ჩემთვის სამაგიეროს გადახდას ცდილობდა. ერთ დამეს, შინ არ მოვიდა. ძალიან ვინერვიულე. დილით ახსნა-განმარტება მოვთხოვე. — ზოგჯერ, შენი დანახვაც არ მინდა, ნერვებს თუ ავეყვი, შეიძლება, მოგკლავო, — მითხრა. ეს ჩემთვის იმდენად მოულოდნელი იყო, რომ გაცივებული, ხმა ვეღარ ამოვიღე. ერთი სიტყვით, ოჯახში ატმოსფერო დაიძაბა. დავიბენი. არ ვიცი, რა მეფიქრა. სანამ იმის გაცნობიერებას ვცდილობდი, ვუყვარდი თუ არა გიოს, დედამთილმა ჩხუბი ამიტუნა: ხომ ხედავ, ჩემი შვილი სადამდე მიიყვანე — ცუდ წრეში ტრიალებს, წაუგია და ფული აქვს გადასახდელი. გაყიდე სამკაულები და თავანი გადაუხადეო.

— გადაუხადე?

— რა თქმა უნდა. გიომ პირობა მომცა — ასეთი რამ აღარ განმეორდებაო, — მაგრამ დანაპირები არ შეასრულა. ერთი თვის შემდეგ, ავეცი გავყიდეო, წაგებული ფული რომ მოგვეგროვებინა. თუ არ გადავიხდი, მომკლავებო, — ამბობდა გიო და მე და ჩემი დედამთილიც აქეთ-იქით დაგრობდით, ფული რომ გვემოვა. ყველაფერს ვყიდდით, ზოგჯერ ჩალის ფასდაც. ბევრი სიმწარე გადავიტანე, მაგრამ ის, რაც ბოლოს მოხდა, წარმოუდგენელია: ერთ საღამოს, მეზობელი გვესტუმრა, ჩემს დედამთილს თვალთ ანიშნა, გამოდიოდა ეზოში გაიყვანა. მათი საუბარი კარგად გავიგონე. ის კაცი ამბობდა: გიომ შეცდომად დაუშვა. ზარი ცოლზე გაავიწო, ცოლი წაავი და ახლა, რა მოხდება, ძნელი სათქმელიაო. ვერ მივხვდი, რა ხდებოდა. ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ გიო ჩემზე ითამაშებდა, ის დამე თეთრად გაგათენე. არც ჩემს დედამთილს ეძინა ალბათ... დედამთილი ამ საშინელ ამბავსაც მე დამაბრალებდა. მეტყი-

და — თამაშს ციხეში დაეჭვია, იქ კი, შენ გამო ჩასვესო... დილის ექვს საათზე გიო ქურდივით შემოიპარა სახლში. არ ვიცი, რატომ, მაგრამ რომ დავინახე, ხელები მოვხვიე და ჩავეხუტე. იმის მაგივრად, რომ უშვარი სიტყვებით გამეღანძრა, ვუთხარი: არ ინერვიულო, ყველაფერი მოგვარდება-მეთქი. ჩემმა დედამთილმა ყვირილი დაუწყო. გიოს თავი არ უმართლებია. ძალიან უბრალოდ და გასაგებად თქვა: თუ თავანი არ ჩავაბარე, ჩემს ნაწლავებს ლობეზე გადაკიდებენო... ამის გაგონებაზე, ენა ჩამივარდა. წუთით სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. მერე დედამთილმა ძლივს გასაგონი ხმით დაიწყო: მე და შენი ქმარი ნამუსს შეგინახავთ, პირში წყალს ჩაეფუბებთ და ხმას არ ამოვიღებთ, მერე აქედან გადავსახლდებით — თბილისში წავალთო... ეს იმას ნიშნავდა, რომ მოხვდა, იმ კაცთან დაწვეტი, ვისთანაც ქმარმა წაგავიო...

— გიომ რა თქვა?

— ხმა არ ამოუღია. გაჩუმებული იდგა. მძინარე ბავშვს მისწერებოდა. მერე ოთახიდან გავიდა... დავექე. რა დამაძინებდა, მაგრამ მინდოდა, ბავშვს ჩავხუტებოდი, შიშისგან თავზარდაცემულს, შვილის სუნი და სითბო ცოლათი დამამშვიდებდა... თენდებოდა, კარზე კაკუნი რომ გაისმა. ჩვენი მეგობარე კოკა მოვიდა — ჩქარა ბავშვი აიყვანე და წამოდი, დღესვე თბილისში უნდა წაგიყვანოთო. — მითხრა. მივხვდი, გიოს თხოვნას ასრულებდა. მძინარე ბავშვი გულში ჩავიკარი და მანქანაში ჩავჯექი. არ ვიცი, რა მელოდა, მაგრამ გაქცევა მაინც მინდოდა... მეგონა, მერე გიო ჩამომაკითხავდა. ორი დღე რომ გავიდა და არ გამოჩნდა, შევმინდი. შევეცადე მისი ამბავი შემეტყო. კოკას დავუკავშირდი. მთხვავა: დამილა, არ გამოჩნდო. უფრო მეტად შემიპყრო შიშმა. დამეებს ვათენებდი. მეგონა, ბავშვს მომიკლავდნენ.

— რით დამთავრდა ეს საშინელი ამბავი?

— ორი კვირის შემდეგ, კოკა და მისი მეუღლე მოვიდნენ. ორივეს შავები ეცვა. ეს ცუდად მენიშნა, გიო ცოცხალი აღარ არისო, — მითხრეს. იმ დამეს, როცა თბილისში წამოვსულვართ, გიო გაუფრთხილებათ: სამ დღეში თავანს თუ არ ჩააბარებ, მოგკლავთო. მესამე დღეს, გიოს თავისი სახლის წინ, ხეზე თავი ჩამოუხრჩვია. ამით შეცდომა გამოასწორო. თუმცა არსებობს შეცდომები, რომელსაც ვერ გამოასწორებ. არც კი ვიცი, ჩემი შვილი რომ გაიზრდება, როგორ უნდა ვუბმო, რაც სინამდვილეში მოხდა. ვინ ვიქნები მისთვის — ზარში წაგებული ქალი, რომლის სიწმინდეც ისევ ქმარმა დაიცვა, თუ ქალი, რომელმაც ქმრის გადასარჩენად ყველაზე უდიდესი საქციელი არ ჩაიღინა... არ ვიცი, რა მელიდება. მომხდარს შეფასება ჩემმა შვილმა უნდა მისცეს. მეშინია, არ მითხრას — მამაჩემს კარგი ცოლობა ვერ გაუწიეთ... იქნებ, ფსიქოლოგებმა მიჩიონ რამე.

ინფორმაციულ-მედიაციური კოლაჟი

ეორი დეალი უბის წიგნაკდან:

19. „მე და ტურგენევის ერთად რომ გვეცხოვრა, მატროსსა და ასტრონომივით ვიცხოვრებდით“, — თქვა ერთხელ დოსტოვესკიმ. მატროსი და ასტრონომი ტურგენევის ძალსა და კატას ერქვათ.



20. სალივას ტომის ინდიელები მთვარეს სამოთხედ მიიჩნევდნენ, რადგანაც ფიქრობდნენ, რომ იქ არ იყვნენ მოსკიტები.

21. წყლის გაცივები კონგოს აუზის ულამაზესი მცენარეა, მაგრამ ეს მშვენიერი ცისფერი ყვავილი ნავიგაციის საშინელი მტერია.

22. არსებობს გადმოცემა, რომ თესალიელებმა 15 ვერცხლის ტალანტად მოისყიდეს ვერიპიდე, რათა მას „მედვას“ ტექსტში შესწორება შეეტანა და ეთქვა, რომ იაზონისა და მედვას შვილი, თესალოსი არ დაღუპულა და თესალიელთა მამამთავრად იქცა.

23. ბერძნულ მითოლოგიაში ყმაწვილს, რომელმაც უნებლიეთ მოკლა საყვარელი ირემი და დარდისგან ხედ იქცა, კიპარისი ერქვა.

24. ინგლისელთა ცრურწმენით, ვუხუბე ვერდის ოპერა „მაკბეტს“ შემსრულებელთათვის უბედურება მოაქვს. ამის გამო, მის დასახელებასაც კი ერიდებიან და სახელწოდების ნაცვლად, ასე მოიხსენიებენ: „ვერდის ეს ოპერა“.

25. კოტე ყუბანეიშვილის შესახებ უამრავ კურიოზს ვხვდებიან. ერთხელ პატარაობისას, თბილისის უნივერსიტეტის წინ ბუბიასთან ერთად მოსივრნე კოტეს გასაყიდად გამოტანილი ველოსიპედებისთვის მოუკრავს თვალი და მიყიდო, — ახირებია ბუბიამისს. ბუბიას უარი უთქვამს, მაგრამ შვილიშვილი ადგილიდან ვეღარ დაუძრავს. ვერც ხეწინამ გაჭრა და ვერც მუქარამ; ბოლოს, ხელი სტაცა და ძალით წაათრია სახლისაკენ. კოტემ ყვირილი მორთო: ამ ქალს არ ვიცნობ, მიტაცებს და სადღაც მიყვავარო. ატყდა ერთი ამბავი. ხალხმა თავი მოიყარა და ხანდაზმულ ქალბატონს ლამის დაკითხვა მოუწყვეს. ბუდად, ამ ამბავს მათი მეზობელი შეესწრო, რომელიც კარგა ხანს უმტკიცებდა ყველას — ამ ქალბატონს ვიცნობ და ეს ბავშვი ნამდვილად მისი შვილიშვილიაო.

ხათუნა ჯაპახიშვილი

— მანანა, ვინ გასწავლათ მანქანის მართვა და პირველად როდის მიუჯექით საჭეს?

— ბავშვობაში ახლობლებს ვთხოვდი ხოლმე, საჭესთან დავესვი და ელემენტარულ დონეზე ვისწავლე. წლინახევრის წინ ვიყიდეო მე და ჭოლამ მანქანა და ყოველგვარი გამოცდილების გარეშე, მაშინვე მიუჯექი საჭეს. ჰონორარით ვიყიდეო მანქანა და მასწავლებელთან რომ მევლო, საამისოდ ფული აღარ დავგვრჩა. ჩემი მასწავლებლები, მსახიობები ირაკლი ჩოლოყაშვილი და დიტო ალაიძე არიან. ხან ერთ მიჯდებოდა მანქანაში და მართვას მასწავლიდა, ხან — მეორე.

— რამდენადაც ვიცო, თქვენმა მეუღლემ არ იცის მანქანის მართვა. არ გიცდიათ მისთვის მასწავლებლობის განწევა?

— მანქანა რომ ვიყიდეო, კუს ტბაზე აველით და ლევანიც მიუჯდა საჭეს (ჩემი მანქანა ავტომატური სისტემის არის). უკუსვლის გადაცემაში იყო გადართული, დაავიწყდა წინაში გადაყვანა, ერთადერთი ბოძი მონახა და დაეჯახა. საერთოდ, ძალიან უყურადღებოა, სულ ფიქრებშია გართული. ფეხითაც რომ მიდის ქუჩაში, მაშინაც კი არ იხვდება ირგვლივ, არანაირ წესს არ იცავს. მძღოლები მხედვენ და არ „დამარტყამენო“, — ამბობს.


— როგორც მძღოლს, კარგად გაფასებთ?

— ძალიან კარგად, იმიტომ, რომ თვითონ ვერაფერში ერკვევა, აზრზე არ არის. ხშირად მამაკაცები ცოლებს, დებს თუ მეგობარ გოგონებს, საჭესთან ყოფნისას აკომპლემენტებენ ხოლმე თავიანთი ნერვიულობით. ჩემს შემთხვევაში, ლევანიც და ჩემი მასწავლებელი — ირაკლიც უშიშარი ადამიანები აღმოჩნდნენ. ირაკლი სულ იმას მეუბნებოდა — შენ წინ მი-

თეატრალური სარდაფის მომხიბვლელი მსახიობი მანანა კაზაკოვა (ცნობილი მსახიობის მიხაილ კაზაკოვის ქალიშვილი)

„გოლფ-2“-ის საჭეს უზის და მშვიდად დადის თბილისის ქუჩებში.

სისწრაფე არ უყვარს. მანქანის გამოცვლის სურვილი მას ჯერ-ჯერობით მხოლოდ იდეის დონეზე აქვს, რადგან მანანაც და მისი მეუღლეც — რეჟისორი ლევან (ჭოლა) ნულაძე სახლის რემონტის კეთებით არიან დაკავებული. რემონტის დასრულების შემდეგ ალბათ „გემოვნების“ რუბრიკისთვისაც საინტერესო იქნება მათთან საუბარი. დღეს კი — მძღოლის ამბულაში ვესაუბრებით მანანას.



ავტომობილისა და სხენის მართვისას მანანა კაზაკოვას აღრენალინი ემატება...

მავალი მანქანის რიტმს აჰყვები — დაეწიე, გაასწარი, არაფრით ჩამორჩე. თუ ჩამორჩები, გაჩერდი და „მარშრუტების“ რიგში დადექიო.

— ავარიული შემთხვევა ხომ არ გქონიათ?

— ბარნოვის ქუჩაზე მოვიღოდი. მაკა ასათიანის მაღაზიასთან მაკა და მისი მეგობრები იდგნენ. ქუჩაზე მხოლოდ ჩვენ და კიდევ ერთი ჩვენ წინ მიმავალი მანქანა იყო. ფილმში — „კავკასიელი ტყვე ქალი“ ვირი რომ გავიქვებოდა, ისე გავჯორდა უცებ, მაკას სილაპაპით მოხიბლული, ჩემ წინ მიმავალი მანქანის მძღოლი. მე მოვასწარი და მუხრუჭებდა და ამის გამო, ამაყად ვიგრძენი თავი; ის-ის იყო გავიფიქრე — გადავრჩიმეთქი, — და ამ დროს, უკან დამეჯახა მანქანა. — როგორც ჩანს, მისი მძღოლიც მაკას მშვენიერებამ დააბრმავა. ინერციით წინ წავედი და ორ მანქანას შორის მოვეყვი. რაც მთავარია, მძღოლები ერთმანეთს სდებდნენ ბრალს — მაკა დაინახა და გაგიჟდაო, არადა, ორივე

გაგიჟებული იყო, მაგრამ მე რას მერჩოდნენ, არ ვიცი.

— მოძრაობის წესებს ხშირად არღვევთ?

— ვცდილობ, ნაკლებად დავარღვიო. დიდად არ ვსარგებლობ იმ პრივილეგიით, რომ ქალი ვარ და არ გამაჩერებენ. ღამით შეიძლება, პატარ-პატარა დარღვევები ჩავივლინო, მაგრამ რომ გითხრაო, ამის მოყვარული ვარ-მეთქი, ტყუილი იქნება.

— ინსპექტორებთან როგორი დამოკიდებულება გაქვთ?

— პრინციპში, მამაკაცი ინსპექტორები არ გვაჩერებენ ქალებს, ეს იშვიათად ხდება — თუ რაღაც საშინელი დარღვევა, უზნებო ჩაიდინე. მაგრამ ერთხელ, მე და ნანა შონია (მსახიობი) მივდიოდით მანქანით. რეიდი იყო და გავგაჩერეს. ინსპექტორი, ქალი აღმოჩნდა. ეს მართლაც სანახაობა იყო: მოხიბვლელი გარეგნობის, საოცარი „რობოტიზმით“ შეპყრობილი ქალი იყო, რომელსაც არაფრის გაგონება არ სურდა. ჩვენს „გამარჯობასაც“ კი არ ათხოვა ყური — რობოტით იმეორებდა — საბუთები მომეცითო. სიცილი ავეიტყვდა მისი ლაპარაკის მანერაზე. ქალთმოძულე ქალბატონი იყო. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს რომელიღაც მამაკაცის გამო შურს იძიებდა... მაგრამ მერე, ისე მოხდა, რომ ჩვენმა პროფე-

მოგჯერ უსახსრობის გამო, მოგჯერ — იმის გამო, რომ სხვა, უფრო მნიშვნელოვანი საზრუნავი გამომიჩნდება, მანქანა გაჩერებული მყავს ხოლმე. ახლაც ამ მდგომარეობაში ვარ, რასაც ძალიან განვიცდი.



ავეჯის ერთ-ერთი აუცილებელი ატრიბუტი	სასურსათო მაღაზია	ალიყური	ძაღლის ჯიში	ფარფლფეხიანი ძუძუმწოვარი ცხოველი	თითი	ს. თაყაიშვილის კინოროლი „ღათა თუთა“	
მანქანა	სანა	სანა	სანა	სანა	სანა	სანა	
ჯადოქარი	პაგარა დასახლება	სრუტე პა-დე...	10 ²	სანქტ-პეტერბურგთან მდებარეობს ტბა	მომღერალი ... ფიტსუერაღლი	კაფე, სადაც პიცა იყიდება	გადაცემის ატელები...ვიღ

„ძველი აღთქმის“ მიხედვით, ღმერთი ავალებს მოსეს: „აიყვანე შენთან შენი ძმა არონი და მისი ძენი მასთან ერთად, ისრაელთა შვილებიდან, რომ ის იყოს ჩემს მღვდლად, არონი და აბიუდ, და ელიაზარი, და იათამარი — ძმანი არონისა და გაუმზადე წმინდა სამოსელი შენს ძმას არონს, პატივისა და დიდებისათვის“ (გამოს. 28, 1-2). ე.ი. მღვდლობა „ძველი აღთქმის“ დროსაც არსებობდა, რომელიც თვით უზენაესი ღმერთის ბრძანებით დაწესდა. მღვდლობა „ახალი აღთქმის“ საიდუმლოცაა, რომელიც მოციქულთა დროიდან მომდინარეობს. მღვდლობის საიდუმლოს ქროტონა (ხელდასხმა) ეწოდება... როგორ აღესრულება მღვდლობის საიდუმლო? მღვდლობის რამდენი ხარისხი არსებობს? რა სახეცვლილება განიცადა მღვდლობამ „ახალ აღთქმაში“ — ანუ რა განსხვავებაა „ძველი“ და „ახალი აღთქმის“ მღვდლობას შორის? — ამ და სხვა საკითხებთან დაკავშირებით გვესაუბრება წმინდა ნონოს სახელობის ტაძრის მოძღვარი, მღვდელი დავით ძვლივიძე.

შორენა მერკვილაძე

— საეკლესიო შვიდ საიდუმლოთაგან ერთ-ერთია მღვდლობის საიდუმლო, რომელიც სათავეს მოციქულთა დროიდან იღებს. სულთმოფენობის შემდეგ, ანუ მოციქულებზე სულიწმიდის მაღლის სრული სისავსით გადმოსვლის შემდეგ, მათ სხვადასხვა კუთხეში დაიწყეს ქრისტეს მოძღვრების ქადაგება. ქრისტეს მიმდევრებს შორის, მოციქულები გამოარჩევიდნენ ისეთ ადამიანს, რომელიც საუკეთესოდ შეისწავლიდა საღვთო სჯულს და განსაკუთრებული სულიერებით გამოირჩეოდა, მას თავზე დაადებდნენ ხელს და კითხულობდნენ ლოცვებს. მოციქულთა მიერ თავზე ხელის დადებით, ამ ადამიანზე გადმოდიოდა სულიწმიდის მაღლი და მღვდელმსახურად აკურთხებდნენ, ე.ი. ხდებოდა ხელდასხმა. მოციქულთაგან ხელდასხმული მღვდელმსახურები აღასრულებდნენ სამღვდლო ქმედებებს და მოციქულთა შემდგომ, ასევე თავზე ხელის დადებით და ლოცვების წარმოთქმით, თვითონაც აკურთხებდნენ სხვებს სამღვდლო სამსახურისთვის, რაც დღემდე გრძელდება. ე.ი. მღვდელმსახურნი მოციქულთა მემკვიდრეები და მათი საქმის გამგრძელებლები არიან.

როგორ აღესრულება ამჟამად მღვდლობის საიდუმლო?

— მღვდლობის საიდუმლო აღესრულება საკურთხეველში, წირვის დროს. მღვ-



რა არის მღვდელმსახურთა უმთავრესი მოვალეობა?

ლობის საიდუმლოს სამი, ერთმანეთისგან განსხვავებული წესი აქვს — ეპისკოპოსის, მღვდლის და დიაკვნის ხარისხში ასაყვანად. ეპისკოპოსად კურთხევა აღესრულება ლიტურგიის დასაწყისში, მღვდლად კურთხევა — დიდი შესვლის შემდეგ, დიაკვნად კურთხევა კი — წმინდა ძველთა კურთხევის შემდეგ. თვითონ საიდუმლო შემდგენიარად აღესრულება: სამღვდლო ხარისხში აყვანილი პირი ანუ ადამიანი, რომელმაც ეკლესიაში უნდა იმსახუროს, ტრაპეზის გარშემო სამჯერ შემოვივლის საღმრთო საგალობლების გალობით, შემდეგ სამჯერ იყრის მუხლს ეპისკოპოსის წინაშე. საიდუმლოს აღსრულებისას იკითხება კურთხევის ლოცვა და იგალობება საგალობლები. სამღვდლო ხარისხში აყვანილ პირს, რომელიც ამ დროს მუხლმოყრელია (დიაკვნად წარდგენილი მხოლოდ ცალ მუხლს იყრის), ეპისკოპოსი თავზე აფარებს ომფორის ბოლოს, სამჯერ სახავს ჯვარს და თავზე ხელს ადებს ე.ი. ხდება ქროტონია ანუ ხელდასხმა (მღვდლად ან დიაკვნად). ხელდასხმის შემდეგ, ხელდასხმულ პირს სამღვდლო შესამოსლით მოსავენ. ეპისკოპოსი წარმოთქვამს სიტყვას „აქსიოს“ (ღირსია). ეპისკოპოსის ხელდასხმითა და მის მიერ წარმოთქმული ლოცვებით, სამღვდლო ხარისხში აყვანილ ქრისტიანზე გადმოდის სულიწმიდის მაღლი და ის სასულიერო პირი ხდება. ეპისკოპოსად კურთხევას წინ უძღვის მისი „სახელდების“ საგანგებო წესი: ეპისკოპოსის ხარისხში აყვანილი პირი მრევლის წინაშე საზეიმოდ აღიარებს „მრწამსს“ და დებს განსაკუთრ-

ბულ ფიცს. ხელდასხმულ ეპისკოპოსს თავზე დაადებენ გადაშლილ „სახარებას“, ასოებით ქვემოთ, რაც სიმბოლურად უფლის ხელს გამოხატავს. ეპისკოპოსად კურთხევა ხდება რამდენიმე ეპისკოპოსის მონაწილეობით, მღვდლად ან დიაკვნად კურთხევას კი ერთი ეპისკოპოსიც აღასრულებს.

ე.ი. არსებობს მღვდლობის სამი ხარისხი: ეპისკოპოსის, მღვდლის და დიაკვნის; რა განსხვავებაა მათ შორის?

— „ეპისკოპოსი“ ბერძნული სიტყვაა და მეთვალყურეს, ზედამხედველს ნიშნავს. ეპისკოპოსი არის მღვდლობის უმაღლესი ხარისხის მქონე პირი, რომელსაც ჩაბარებული აქვს ეპარქია და მასზე დაქვემდებარებულ ეპარქიას განაგებს. მისი მოვალეობა ეპარქიაში არსებული ტაძრებისა და მონასტრების გამგებლობა, აგრეთვე სამღვდელოების და მრევლის — ანუ საეკლესიო ერის ხელმძღვანელობა. ეპისკოპოსი მოქმედებს საეკლესიო კანონებზე დაყრდნობით და ექვემდებარება ადგილობრივ და მსოფლიო საეკლესიო კრებებს: ეპისკოპოსს უფლება აქვს, აღასრულოს ყველა საეკლესიო საიდუმლო და აკურთხოს მირონი. მღვდლები კი, ეპისკოპოსის კურთხევით აღასრულებენ ყველა საიდუმლოს, მღვდლობის საიდუმლოს გარდა. ეპისკოპოსები ყოველთვის დაუქორწინებლები არიან, IV საუკუნიდან მოყოლებული, მათ ბერებისგან ირჩევენ. მღვდლებს კი, მხოლოდ ერთხელ ქორწინების უფლება აქვთ. რაც შეეხება დიაკვნს — ის ეხმარება ეპისკოპოსსა და მღვდელს სამღვდლო ქმედებების შეს-

რულების დროს.

რა დანიშნულება აქვთ მე-დავითნეებსა და სტიქაროსნებს?

— მედავითნე წირვა-ლოცვის მიმდინარეობისას კითხულობს „ფსალმუნებს“. სტიქაროსანს ანუ მნათეს ევალება კანდელში ზეთის ჩასხმა და ანთება, საცეცხლეურში ნახშირის გაღვივება, ზარების რეკა და სხვა დამხმარე საქმიანობა საკურთხეველში.

რა სახეცვლილება განიცადა მღვდლობამ „ახალ აღთქმაში“ ანუ რა განსხვავებაა „ძველი“ და „ახალი აღთქმის“ მღვდლობას შორის?

— პავლე მოციქული თავის ეპისტოლეში წერს: მე ვარ ქრისტეს „სახარების“ მღვდელმსახური. როდესაც პავლე მოციქული თავის თავს ქრისტეს „სახარების“ მღვდელმსახურს უწოდებს, მიგვანიშნებს, რომ „ახალი აღთქმის“ მღვდელმსახურთა მოძღვრება, ქრისტეს სწავლებებს ეფუძნება. „ძველი აღთქმის“ მღვდელმსახურები კი ძირითადად, სისხლიან მსახურებას აღასრულებდნენ, პირუტყვთა სისხლის შეწირვით. როგორც ვიცით, „ძველი აღთქმა“ იყო მოსამზადებელი პერიოდი მესიის ანუ ქრისტეს მისაღებად. სისხლიანი მსხვერპლშეწირვით, „ძველი აღთქმის“ მღვდელმსახურები ადამიანებს შეახსენებდნენ, რომ უნდა მოსულიყო მესია, მსხნელი, რომელსაც თავისი უბრალოდ დაღვრილი სისხლით ადამიანთა ცოდვები უნდა გამოეყვინა — ანუ ხალხს დიდი სისხლიანი გამოსყიდვისთვის — ქრისტეს ჯვარცმისთვის ამზადებდნენ. როდესაც აღსრულდა „ძველი აღთქმა“ — ე.ი. ადამიანთა ცოდვების გამოსაყვინად, ქრისტემ ჯვარზე თავისი უმანკო სისხლი დაღვარა, „ძველი აღთქმისეული“ სისხლიანი მსხვერპლშეწირვა შეიცვალა და მის ნაცვლად, „ახალი აღთქმის“ მღვდელმსახურები წირვის დროს, უსისხლო შესაწირს — სეფისკვერს და ღვინოს იყენებენ.

რა არის მღვდელმსახურთა უმთავრესი მოვალეობა?

— მღვდელმსახურთა უმთავრესი მოვალეობა, ქრისტეანთა დამოძღვრაა. ღვთისმსახური შუამავალი ძალაა ღმერთსა და ადამიანს შორის. სწორედ მღვდელმსახურებმა უნდა განუშარტონ ადამიანებს ღვთის ნება, მისცენ სწორი ორიენტაცია უფლისკენ მიმავალ გზაზე, რათა მათ დაიმკვიდრონ ცათა სასუფეველი. ე.ი. სამღვდლოება სულიწმიდის იმ ნიჭთა დამრიგებელია, რომელსაც წმინდა ეკლესია ფლობს. მღვდლობის საიდუმლოს აღსრულების შემდეგ, მღვდელმსახურმა თავისი სიცოცხლე ქრისტეს ეკლესიას უნდა დაუთმოს, რაც პირადი ცხოვრებისთვის „მოკვდინებას“ ანუ პირად ცხო-

ვრებაზე უარის თქმას და ახალი ცხოვრებისთვის — ეკლესიაში მსახურებისთვის აღდგომას გულისხმობს.

შესაძლებელია თუ არა, რომ სხვა სარწმუნოების წარმომადგენელ მღვდელმსახურთა რჩევა-მოძღვრებამ ადამიანი მიიყვანოს ცათა სასუფეველამდე და გადმოიღოს თუ არა საღმრთო მადლი არამართლმადიდებელ მღვდელმსახურთა მიერ აღსრულებული სამღვდლო ქმედებისას?

— მართლმადიდებლობა არის ერთადერთი ჭეშმარიტი რელიგია, რომელიც მხოლოდ „წმინდა წერილს“ და საეკლესიო გადმოცემებს ეყრდნობა. მოციქულთა დროიდან მოყოლებული, მართლმადიდებლობაში არანაირი სწავლება არ შეცვლილა. სხვა დანარჩენი რელიგიების წარმომადგენლები (მაგალითად, კათოლიკეები, გრიგორიანელები და სხვა) თავიანთ მოძღვრებაში ჩვეულებრივ, მოკვდავ ადამიანთა ნააზრევს ქადაგებენ. მათ მართლმადიდებლურ სწავლებებს გადაუხვიეს და საკუთარი ნებით მოსწყდნენ დედა ეკლესიას. ყველა არამართლმადიდებლური მოძღვრება ეწინააღმდეგება „წმინდა წერილს“. გამოდის, რომ ისინი ეწინააღმდეგებიან და გმობენ სულიწმიდას, რადგან „წმინდა წერილი“ სულიწმიდის მადლითაა დაწერილი. „სახარებაში“ წერია — ადამიანს ყველა ცოდვა მიუტევება, სულიწმიდის გამოების გარდა. ეს არის მთავარი მიზეზი იმისა, რომ არამართლმადიდებლური მოძღვრებები, რომელიც ადამიანთა მიერაა მოგონილი და არა სულიწმიდის მადლით გაჯერებული, ცათა სასუფეველს ვერ დაგვაშეკვიდრებინებს. მართალია, სხვა სარწმუნოებების წარმომადგენელთა მღვდელმსახურებიც აღასრულებენ სამღვდლო ქმედებებს, მაგრამ როგორც ქალაქზე დასაბუთი მზე არ გამოსცემს სითბოს და ვერ გაათბობს ადამიანს, ასევე არა აქვს მადლი მათ მიერ აღსრულებულ სამღვდლო ქმედებებს, რადგან მოკლებულია სულიწმიდის მადლს.

რა თვისებები უნდა ახასიათებდეს მართლმადიდებელ მღვდელმსახურს და რამდენად მნიშვნელოვანია მღვდელმსახურთა პირადი მაგალითი ადამიანისთვის?

— მღვდელმსახურს უპირველესად, თვითონ უნდა ახასიათებდეს ის თვისებები, რომლისკენაც ამბიონიდან წარმოთქმული ქადაგებისას თუ პირადი საუბრისას მოუწოდებს ადამიანებს. მოძღვარმა თავისი პირადი მაგალითით ადამიანებს უნდა აჩვენოს — თუ როგორი უნდა იყოს ქრისტიანი და როგორ უნდა აღასრულებდეს ქრისტეს მცნებებს.



თუ ვინმე მე მსახურებს, მე მომღვდინ — იესომ უთხრა მოციქულებს: ვინც ჩემი ერთგულია, ჩემთან იყოს.

იოანე 12, 26

ერთი გონიერის მეგობრობა სჯობს ყველა უგუნურის მეგობრობას.

დემოკრიტე

ერიდე ბოროტ მეზობელს, ან მოუთმინე; თუ ვინდა, რომ ადამიანთა გვერდით იცხოვრო, რამეთუ არავის სურს სხვისი სიკეთე — ასეა მოწყობილი წუთისოფელი.

მარტინ ლუთერი

არაფერია იმაზე შესაბრალოსი, რომ ღირსეული ადამიანი უმოქმელო იყოს.

გოეთე

ქედმაღლობა სადაც არის, დამიჯერე.

სიყვარული ვერ იპოვის სავანეს.

ჯორჯ გორდონ ბაირონი

დამცინავი ღუმელი ყველაზე უფრო დამამცირებელი პასუხია.

მიშელ მონტენი

თუ გონების თვალთ ბრმა ხარ, ყოველი შენებერ გგონია.

სულხან-საბა ორბელიანი

სიყვარული ძლიერია, როგორც სიკვდილი, მაგრამ მსხვერველია, როგორც მინა.

გი დე მოპასანი

ყოველ შემოქმედს აქვს გამბედაობა, ურომლისოდაც წარმოუდგენელია ნიჭი.

გოეთე

არა არის რა იმაზე უფრო სირცხვილი, რომ იყო უსარგებლო საზოგადოებისათვის და თავისთვის, გეყოს გონება მხოლოდ იმისათვის, რომ არაფერი აკეთო.

ბლემ პასკალი

უკვე ორი წელია, რაც თბილისის „დინამოს“ შემადგენლობაში ბრაზილიელი ფეხბურთელი კარლოს და როჩა თამაშობს. ქართული ფეხბურთის გულშემატკივრები კარგად იცნობენ გუნდის ერთ-ერთ წამყვან ფორვარდს და თურმე ხშირად, ავტოგრაფსაც სთხოვენ ხოლმე ქუჩაში. კარლოსის თქმით, იგი კარგად ეგუება თბილისის ყოფით პრობლემებს, თუმცა, ძალიან ენატრება მშობლიური ბრაზილია, რიოს კარნავალი და ცეცხლოვანი „სამბა“...

იმა ტუნიშვილი

— კარლოს, ბრაზილიასა და შენს მშობლიურ ქალაქზე მიაბზე.

— ბრაზილიაში, ქალაქ სან-პაულუსში დავბადე და გავიზარდე. ამ ლამაზ და ღიად ქალაქში ყველაფერია, რაც საჭიროა ადამიანის ბედნიერებისთვის: მზე, პლაჟი, ზღვა... ძალიან მენატრება ჩემი ქალაქი და ჩემი ხალხი. ფეხბურთის თამაშიც სწორედ ამ ქალაქში, შვიდი წლის ასაკში დავიწყე. სხვათა შორის, მამაჩემიც პროფესიონალი ფეხბურთელი იყო და ერთ-ერთ ბრაზილიურ გუნდში — „პომერესში“ გამოდიოდა. მე პირველად, მინიფეხბურთს ვთამაშობდი, შემდეგ კი, დიდი ფეხბურთით დავინტერესდი. ჩემს ცხოვრებაში იყო პერიოდი, როდესაც ფეხბურთისთვის დანებებული მქონდა თავი და შაქრის საექსპორტო ფირმაში ტრაილერის მძღოლად ვმუშაობდი. ამ ხნის განმავლობაში, სულ ვფიქრობდი, დავბრუნებულიყავი თუ არა ფეხბურთში და ხელსაყრელ წინადადებას ველოდი.

— რუსული ენა სად ისწავლე?

— სამი წელი, მოსკოვში ვცხოვრობდი, ვინაიდან მოსკოვის „ტორპედოში“ ვთამაშობდი; რუსულიც იქ შევისწავლე.

— მოსკოვში ვინ მიგინვია?

— სან-პაულუს „ინტუანში“ ვთამაშობდი, როდესაც მოსკოვიდან ჩამოსული მენეჯერი ჩემით დაინტერესდა. კლუბის პრეზიდენტთან საუბრის შემდეგ, რუსმა მენეჯერმა ჩემში გარკვეული თანხა გადაიხადა და მოსკოვში მიმიწვია.

— სიტბოს მიჩვეულ კაცს, მოსკოვის ცინებების ატანა არ გაგიჭირდა?

— რუსულ ცინებს კი გადავურჩი, მაგრამ ქართველებისგან განსხვავებით, რუსები ძალიან ცივი ხალხია და მათ-

კარლოს
და როჩა:
სადაც
არ
უნდა
ნავიდა,
ყველგან



დიდი სიყვარულით
ბავისსენებ
საქართველოს

თან ურთიერთობა ცოტა გამიჭირდა. მოსკოვის „ტორპედოს“ გარდა, ვთამაშობდი ტულის „არსენალში“. შემდეგ კონტრაქტის ვადა ამომეწურა და ისევ ბრაზილიაში დავბრუნდი. ბრაზილიაში ქალაქ კურიტიბაში ერთი ქართველი კაცი — ვია ფირცხალავა ცხოვრობს, რომელსაც ნანახი ჰქონდა ჩემი თამაში. ის დაუკავშირდა ერთ-ერთ ქართველ ბიზნესმენს და მათი მოლაპარაკების შემდეგ მოვხვდი საქართველოში.

— საქართველოს შესახებ თუ იცოდი რამე?

— ერთხელ უკვე ვარ თბილისში ნამყოფი: 1997 წელს, როდესაც მოსკოვის „ტორპედოს“ შემადგენლობაში ვთამაშობდი, თბილისის „მერანს“ შევხვდით „ლოკომოტივის“ სტადიონზე. თბილისში ჩამოსვლამდე, კვიპროსზე შევხვდი და გავიცანი ბატონი გივი ნოდია, ამიტომ ჩემზე, როგორც ფეხბურთელზე, მასაც ჰქონდა გარკვეული წარმოდგენა.

— ბრაზილიაში შენმა ახლობლებმა და მეგობრებმა თუ იციან რამე საქართველოს შესახებ?

— თავიდან ეგონათ, რომ ამერიკის ჯორჯიაში ვთამაშობდი; შემდეგ რუკაზე ვაჩვენე და აუფხენი, რომ ეს სულ სხვა ქვეყანაა.

— როგორც ბრაზილიელი, უპირატესობას ალბათ მაინც შენი ქვეყნის ფეხბურთელებს ანიჭებ, არა?

— არა, ასე არ არის. მე ყველა კარგი ფეხბურთელი მომწონს და მათ შორის, ბრაზილიელიც. როგორც ყველა, მეც ფეხბურთის მეფედ პელეს მივიჩნევ. ძალიან ძლიერი ფეხბურთელები არიან აგრეთვე: ზიდანო, რონალდო, რივალდო, რობერტო კარლოსი და თქვენი კახა კალაძე.

— ქართულ ფეხბურთზე რა აზრის ხარ?

— ტექნიკური თვალსაზრისით, ქართული ფეხბურთი ბრაზილიურს წააგავს, მაგრამ მხოლოდ ეს, საკმარისი არ არის. გუნდში აუცილებელია ერთსულოვნება და ფეხბურთელების სათანადო ფიზიკური მომზადება. თბილისის „დინამოს“ დიდი პერსპექტივა აქვს, უბრალოდ, ახლა გარკვეული პრობლემების წინაშე ვდგავართ და ამაზე საუბარი არ მსურს. მიმაჩნია, რომ თუ პროფესიონალი ხარ და შენს პროფესიას აფასებ, ყველა დაბრკოლების გადალახვას შეძლებ. მე ბევრი მსმენია აგრეთვე თქვენი ვეტერანი ფეხბურთელების შესახებ და ქელს ვიხრი მათი პროფესიონალიზმის წინაშე.

— უკმაყოფილო ხომ არა ხარ სანწონელ ბაზაზე შექმნილი პირობე-

ბით? ან იქნებ, შენთვის სასურველ ხელფასს არ გიხდიან?

— ამ მხრივ, ყველაფერი წესრიგშია და ხელფასითაც კმაყოფილი ვარ. მინდორზე ყოფნისას, მხოლოდ თამაშის მსვლელობაზე უნდა მოახდინო კონცენტრირება და სხვა პრობლემებით არ უნდა გქონდეს გამოტენილი თავი...

— მომავალში, სადმე სხვა ქვეყანაში ხომ არ აპირებ საკუთარ შესაძლებლობების გამოცდას?

— აქ ძალიან მცირე შანსია იმისა, რომ ვინმემ გაგიცნოს და შენი, როგორც ფეხბურთელის ნიჭი, სათანადოდ შეაფასოს. ამიტომ ჩემი, როგორც ყველა ფეხბურთელის ოცნება, ევროპაში თამაშია. ევროპა, დიდ ვიტრინას შემოიღია შევადარო, სადაც ყველა ნათლად ხედავს შენს უნარ-ჩვევებს და აფასებს კიდევ.

— როგორც ვიცი, უკვე ოცდაათი წლის ხარ; სოლიდური ასაკია ფეხბურთელისთვის, არა?..

— თუ ევროპაში თამაშობ, ვფიქრობ, ეს ასაკი საკვებით ნორმალურია, მაგრამ ბრაზილიაში ამ ასაკის ფეხბურთელს (თუ, რა თქმა უნდა, ძალიან პოპულარული არ არის), ძალიან გაუჭირდება გუნდის მოძებნა.

— ჩვენში არსებულ სოციალურ მდგომარეობასა და ყოფით პრობლემებზე რაიმეს ხომ არ გვეტყვი?

— ძნელი ასატანია, როდესაც შუქი, გაზი და წყალი არ არის, გაფუჭებულია სამანქანო გზები. ბრაზილიაში იშვიათად, თანაც ძალზე სერიოზული მიზეზის გამო შეიძლება გამორთონ დენი ან წყალი. ჩემი მეუღლე ალექსანდრა ჩვენს ვაჟთან კარლოს-ჟუნიორთან ერთად წელიწადში ერთხელ ჩამოდის ხოლმე თბილისში და ორ-სამ კვირაზე მეტხანს ვერ ჩერდება. მე უკვე შევეგუე თბილისურ ყოფა-ცხოვრებას და ასეთი პრობლემები ნაკლებად მაღიზიანებს.

— ალბათ, ორი წლის განმავლობაში, ბევრი გულშემატკივარიც შეიძინე ქართველებს შორის?

— ჩემი ავტომანქანის ნომერი ჩემი მაისურის ნომერს ემთხვევა, ამიტომ ქუჩაში ხშირად მცნობენ და მეგობრულად მეძახიან ხოლმე — კარლოს!.. ძალიან მიყვარს მაღაზიებში სიარული და თქვენ წარმოიდგინეთ, იქაც მომმართავენ ხოლმე ავტოგრაფისთვის, უმეტესად — ახალგაზრდა გოგონები. ძალიან მიხარია, ასეთ ყურადღებასა და სითბოს რომ იჩენენ ჩემ მიმართ და ბედნიერი ვარ ამით. ვფიქრობ, როდესაც უცხო ქვეყნიდან ხარ ჩამოსუ-

ლი, გულშემატკივარი შენგან უფრო მეტს მოითხოვს და შენი თამაშით არ უნდა გააწვილო. მათი შეძახილებით ყოველთვის ვხვდები, კმაყოფილია თუ არა მაყურებელი. ჩემი თბილისელი მეზობლები, ყოველი წაგებული თამაშის შემდეგ, მარცხის მიზეზს მეკითხებიან ხოლმე, ამიტომ მე მათ წინაშეც პასუხისმგებელი ვარ.

— ქართულ ტელეარხებზე თითქმის ყოველდღე, შენი „მშობლიური“ სერიალები გადის. თუ უყურებ ხოლმე?

— დროდადრო, ნამდვილად ვუყურებ, რადგან სურვილი მიჩნდება, ზოგჯერ მაინც ვნახო რაღაც ბრაზილიური. ისე, ამ სერიალებს ბრაზილიაში აღარ უჩვენებენ, ვინაიდან საკმაოდ დიდი ხნის წინაა გადაღებული. სერიალებს ჩვენში ყოველწლიურად იღებენ და მაყურებელს სულ ახალ-ახალს სთავაზობენ... ძალიან მენატრება რიო-დე-ჟანეიროს კარნავალი. ამ დროისთვის, ბრაზილიაში უამრავი ტურისტი იყრის თავს, ხუთი დღის განმავლობაში არავინ მუშაობს, მხოლოდ ცეკვავენ და ზეიმობენ.

— „სამბას“ კარგად ცეკვავ?

— საკმაოდ კარგად. ეს ყველა ბრაზილიელს ეხერხება.

— თბილისში როგორ ატარებ თავისუფალ დროს?

— კაფეში დავდივარ ხოლმე მეგობრებთან ერთად. ძალიან მიყვარს დისკოთეკებზე სიარული, ღამის კლუბებში საღამოს გატარება. „ნონა-ნოაში“ ბრაზილიურ საღამოებზე ვიყავი წასული, მაგრამ ეს ძალიან შორს იყო ნამდვილი ბრაზილიური ტემპერამენტისგან...

— შენი ცოლი არ ეჭვიანობს?

— რომ გაიგოს, როგორ ვერთობი, ნამდვილად იეჭვიანებს, მაგრამ როდესაც ჩემთან ჩამოდის, მთელ დროს მასთან ერთად ვატარებ და როგორც სანიმუშო მეოჯახეს შეეფერება, ისე ვიქცევი... ისე, ჩვენთვის — ბრაზილიელებისთვის ოჯახი ძალიან სერიოზული რამაა...

— ქართული კერძები თუ შეიყვარე?

— რა თქმა უნდა! ძალიან მიყვარს ხინკალი, ხაჭაპური, მწვადი და ქაბაბი. თუმცა უნდა გამოგიტყდე, რომ ჩვენი — ბრაზილიური ლობიო, ლაზანია და მაკარონიც მომენატრა. იცი, ჩემი ცოლი

როგორი მზარეულია?! — თითებს ჩაიკნეტ... ცოტ-ცოტა ქართულ ღვინოსაც ვეპარები; მიყვარს თქვენი „ქინძმარული“, ოღონდ — ყანწის დაღვევამდე ჯერ ბევრი მიკლია... ისე, რამდენს სვამენ ქართველი მამაკაცები?! ეს უკვე კატასტროფაა...


— კარლოს, ვხედავ, ქართული ენითაც ხარ დაინტერესებული. ყოველ შემთხვევაში, მოკლე პასუხისას, „ქა“—სა და „არა“—ს მეუბნები. ყველაზე ხშირად რომელ ქართულ სიტყვებს წარმოთქვამ?

— „დაიგინე“...
— ?!

— რა იყო? როგორც ვიცი, ეს ცუდი სიტყვა არ არის.

— არა, ცუდი ნამდვილად არ არის... როგორც ჩანს, შენი მეგობრები კარგი მასწავლებლები არიან... დაბოლოს, კიდევ ერთი კითხვა: შენი კონტრაქტი ნახევარი წლის შემდეგ იწურება. მერე რას აპირებ?

— სიმართლე გითხრა, ჯერ არაფერზე ვფიქრობ. აი, როდესაც ვადა ამოიწურება, თავად მივიღებ გადაწყვეტილებას. ისე კი, მინდა გითხრა, რომ საქართველოში ძალიან თბილი და სასიამოვნო ხალხი ცხოვრობს და სადაც არ უნდა წავიდე, ყველგან დიდი სიყვარულით გავიხსენებ საქართველოს...



ჩემი ავტომანქანის ნომერი ჩემი მაისურის ნომერს ემთხვევა, ამიტომ ქუჩაში ხშირად მცნობენ

კარმენ ულტრას, ანტიმია-სფტიპცივის კთვულადიზაციას ეწევა

როგორც ამბობენ, ლოს-ანჯელესში ძალე, სტრიპტიზ-ბარების მაცდუნებელი ცეკვები ბოდის გარშემო კანონ-გარეშედ გამოცხადდება. აი, ფოტომოდელი, მოცეკვავე და მსახიობი კარმენ ელექტრა კი სერიოზულად ეწევა „სპორტის ახალი სახეობის – აერობიკა-სტრიპტიზის“ პოპულარიზაციას. იგი DVD-ზე 5 ჩანაწერს გამოუშვებს, რომლის სახელწოდებაც არის – „კარმენ



ელექტრას აერობიკა-სტრიპტიზი“. მას მიაჩნია, რომ არა მხოლოდ ფიტნეს-ვარჯიშების შესრულება საჭირო, არამედ იმის შეგრძნებაც, რომ სექსუალური ხარ – რასაც საოცარ შედეგამდე მიჰყავს ადამიანი. „მათ, ვინც სტრიპტიზით არიან დაკავებულნი, შესანიშნავი სხეულები აქვთ, ვინაიდან მთელი ღამის განმავლობაში ცეკვავენ“.

„გამაჯანსაღებელი სტრიპტიზის სახელმძღვანელოს“ გადასაღებად, კარმენ ელექტრამ ქორეოგრაფი რობინ ანტინი მიიწვია, რომელთანაც იგი ერთ-ერთ სატელევიზიო ღამის შოუში თანამშრომლობდა. იმასაც ამბობენ, რომ კარმენი რჩევებს იღებდა თავისი მეგობრისგან, „ჩარლის ანგელოზების“ ერთ-ერთი დამდგმლისგან, რომლის ფსევდონიმიცაა მაკგი.

ვიქტორია ბექჰემი ძმას აბ ლალაფტმს

Spice Girls-ის ყოფილა წევრმა, ვიქტორია ბექჰემმა განაცხადა, რომ თავისი ქმრისთვის – დევიდ ბექჰემისთვის არასოდეს უღალატია. გარდა ამისა, მან გაამჟღავნა, რომ ბექჰემი მისი არაოფიციალური სტილისტი. როგორც ჩანს, დევიდ რჩევებს აძლევს ცოლს – რა ჩაიცვას, თმის როგორი ვარცხნილობა მოირგოს და როგორი მაკიაჟი შეარჩიოს. ვიქტორია აღიარებს, რომ ის სავსებით ენდობა ქმრის გემოვნებას. როგორც მან ბრიტანული გაზეთისთვის – Daily Mirror – მიცემულ ინტერვიუში აღნიშნა, ცხოვრებაში არასოდეს უნახავს ვინმე, დევიდზე უკეთ რომ გამოიყურებოდეს. ეს კი იმით ახსნა, რომ უგონოდ არის ქმარზე შეყვარებული.



მელ გიბსონმა „ძნისფს ვნებების“ გამძიბაუბელს მიაგნო

ცნობილა ამერიკელმა მსახიობმა და რეჟისორმა მელ გიბსონმა, როგორც იქნა, იბოვა თავისი ახალი ფილმის – „უფლის ვნებების“ გამძიბაუბელი. მის სურათში გადმოცემულია იესო ქრისტეს მიწიერი ცხოვრების ბოლო საათები.

როგორც Variety-ის საიტი იუწყება, გიბსონის სტუდიამ – Icon Production-ს ხელი მოაწერა კონტრაქტს კომპანია Newmarket-თან, რომელსაც აშშ-ის ტერიტორიაზე ფილმის გავრცელების უფლება მიეცემა. კონტრაქტის თანახმად, Icon-ს შემოსავლის ნაწილი დარჩება. დიდ ბრიტანეთში კი, Icon Production-ს თვითონ უზრუნველყოფს ფილმის გაქირავებისთვის საჭირო მთელ საორგანიზაციო სამუშაოს.

რაც შეეხება მსხვილი სადისტრიბიუტერო კომპანიების მიერ ფილმის შექმნას, ამაზე მათ იმის გამო განაცხადეს უარი, რომ შეეშინდათ, რელიგიური შემოტყვის ეპიცენტრში არ აღმოჩენილიყვნენ: შეგახსენებთ, რომ ფილმი და მისი შემქმნელი, როგორც იუდეველთა ორგანიზაციის, ასევე კათოლიკეების მხრიდან მძაფრი გაკიცხვის ობიექტად იქცნენ.

პრემიერა 2004 წლის თებერვლისთვისაა დაგეგმილი.

ლენანი მიუზიკლის გმბი გახდმა

უახლოეს მომავალში, ჯონ ლენონს ახალი მიუზიკლი მიეძღვნება. მუსიკოსის ქვრივმა იოკო ონომ ახალი პროექტის განხორციელებაზე თანხმობა უკვე განაცხადა. ამ უჩვეულო დადგმაში ლევენდარული მუსიკოსის როლს არა ერთი, არამედ 12 მსახიობი შეასრულებს და ლენონის პიროვნების სხვადასხვა მხარეს განასახიერებს. პიესაში გამოყენებული იქნება ჯონ ლენონის მუსიკა – დაახლოებით 30 კომპოზიცია. შოუს პროდიუსერები – ედგარ ლენსბერი და ღონ სკარდინო იმედოვნებენ, რომ მიუზიკლის პრემიერა, რომელსაც ჯერჯერობით, უბრალოდ, „პროექტი ჯონ ლენონი“ ეწოდება, მომავალ სეზონში (2004-2005 წწ.) შედგება. „ვეცდებით, საზოგადოებას დავანახოთ, თუ რა ზეგავლენა მოახდინა ლენონმა ეპოქაზე და როგორ შეცვალა დრო იგი, – ამბობს სკარდინო. – მისი სახე იმ დროისთვის ძალზე დამახასიათებელი იყო: ლენონი როკერი, ჰიპი იყო და „ყვავილების რევოლუციის“ ხმად მოგვევლინა, ამავე დროს, აქტიური საზოგადო მოღვაწე და სამაგალითო მეოჯახეც გახლდათ, თუმცა, უბარველესად მინც – შესანიშნავი მუსიკოსი“.



სანდრა მალთვი კვლავ „ტენგენიალური“ გახდება

სანდრა ბალოკმა, თავის კინოკომპანია Fortis Films-თან ერთად, Warner Bros-თან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა, რომლის პირველი პუნქტის მიხედვით, „მის კონვენიალურობის“ მთავარი პერსონაჟის – აგენტ გრეის ჰარტის ეკრანზე დაბრუნება გათვალისწინებულია.
Warner-მა Village Roadshow Pic-



tures-თან ერთად, სცენარის დასაწერად მარკ ლოურენსი დაიქირავა. ბალოკი

ფილმის ერთადერთი პროდიუსერი იქნება, რომელიც სცენარის წაკითხვის შემდეგ, თავად აირჩევს რეჟისორს.

„მის კონვენიალურობა 2“-მდე, სანდრა ბალოკი რაღაც ფაინსთან ერთად, ნილ ლაბუტას ფილმში – „ოთქლი“ მიიღებს მონაწილეობას, რომლის გადაღებებიც მიმდინარე წლის დეკემბრიდან, ნიუ-იორკსა და კანადაში დაიწყება. ფილმში უილბლო მსახიობი ქალის ამბავია მოთხრობილი; ის საიდუმლო ფორმულის შემქმნელ მეცნიერს გადაარჩენს, რომელიც დაეხმარება იმაში, რომ ვარსკვლავი გახდეს. ■

ანჯელინა ჯოლიმ 20 წელი დაიკვლია

როგორც ჩანს, ანჯელინა ჯოლის, რომელსაც ალექსანდრე მაკედონელის დედის როლში იღებენ, ერთმანეთში აერია „თავისი სახელოვანი შვილი“ და ფარაონი ტუტანხამონი. თავისი მომზადლავი და ახალგაზრდული გარეგნობით ის ზრდასრული შვილის დედის როლისთვის, ცოტა არ იყოს, შეუფერებლად გამოიყურება, რაზეც ასეთ განმარტებას იძლევა: „მე მაკედონელის დედის როლს 7 წლის




ალექსანდრეს დროიდან მოყოლებული ვთამაშობ და მასთან ერთად, მთელი ფილმის მსვლელობისას, მეც მემატება წლები. ალექსანდრე საკმაოდ ახალგაზრდა – 19 წლისა გარდაიცვალა. ასე რომ, დედამისი არცთუ ისე ხანდაზმული უნდა ყოფილიყო, ალბათ ასე, 30-ოდე წლისა“. სინამდვილეში, გამოჩენილი მხედართმთავარი 33 წლის ასაკში გარდაიცვალა. შესაბამისად, დედამისი 50 წელს მიახლოებული იქნებოდა და არა 30-ის.

თუმცა, კინოს სამყაროში ახალგაზრდა დედები და მოზრდილი შვილები – საკმაოდ ჩვეულებრივი მოვლენაა. ■

ჯიმ ძეტი – „ეძსმილითნიანი მამაკაცი“

სტუდია Dimension Films 70-იან წლებში პოპულარული ტელევიზიის – „ექსპილიონდოლარიანი ადამიანის“ ადაპტირებული სცენარის ეკრანზე გადასატანად ემზადება. პროექტის რეჟისორი იქნება ტოდ ფილიპსი, ხოლო მთავარი როლის შემსრულებელი – ჯიმ ძეტი.

ფილიპსი თავის პარტნიორ სკოტ არმსტრონგთან ერთად აპირებს სცენარზე მუშაობას. პროექტი ეყრდნობა მარტინ კაიდენის რომანს – „კიბორგს“, რომელშიც ქერიისთვის ბიოადამიანის როლია შერჩეული. სურათის გადაღება მხოლოდ მას შემდეგ დაიწყება, რაც ჯიმ ძეტი დინ პარისოტის ფილმში – „გართობა დიკსა და ჯეინთან“ დაასრულებს მუშაობას, რომელშიც მას პარტნიორობას კემერონ დიასი უწევს. ■



ტინი ჯეტის სიყვარულმა მსტლტი ერთ თვის გასცანა

ჟღალთმიანი ჯერი ჰოლიველის პირადი ცხოვრება საკმაოდ სევდიანად განვივთარდა. იგი იძულებული გახდა, გაცნობიდან ერთი თვისთაზე, მსახიობ ჯერი ო'კონელს დაშორებოდა. როგორც თვითონ მომღერალმა აღიარა, მისტერ ო'კონელის უკბილო ხუმრობებს იგი წონასწორობიდან გამოჰყავდა. ო'კონელმა კი, თავის მხრივ აღნიშნა, რომ ჰოლიველი ძალზე ეგოისტი ადამიანია და მას, როგორც თავის საკუთრებას, ისე ექცეოდა.

გაურკვეველია, თუ რისი იმედი ჰქონდა ჯერი ჰოლიველს, როცა ფილმში – Fat Seags – თავის პარტნიორთან, ჯერი ო'კონელთან გააბა ურთიერთობა: ყველასათვის თავიდანვე გასაგები იყო, რომ ამ რომანტიკულ ამბავს გაგრძელება არ ეწერა, ვინაიდან ჰოლიველის გაცნობამდე ორი თვით ადრე, ო'კონელი ტელეწამყვან ჯულია დეპანდიზე დაინიშნა და უახლოეს მომავალში, ამ ურთიერთობის ქორწინებით დაგვირგვინებას აპირებს.



მიუხედავად ყველაფრისა, მომღერლის მეგობრებს მაინც იმედი ჰქონდათ, რომ მსახიობთან ჯერის რომანი, გაცილებით ხანგრძლივი იქნებოდა, მაგრამ შეცდნენ. ჰოლიველს, ისევე, როგორც სხვა დანარჩენ მამაკაცებთან ურთიერთობისას, არც ამჯერად გაუმართლა. ■

ინგა ჩაყელი

ჩემი მეგობარი ნიკუშა კაპანაძე, რომელიც გვარისა და ყველა კანონის მიხედვით იმერელი უნდა იყოს, თავს რაჭველობით იწონებს და პრინციპში, არცთუ უსაფუძვლოდ, რამეთუ დედის მხრიდან რაჭველი წერეთლების სისხლი უჩქეფს მარღვებში, სწორედ იმ თავადი წერეთლების, რომლებზეც დღემდე დღინებენ რაჭველები – წერეთელმა დაგვიბარაო... – და ვერავინ დაადგინა, მაინც რა დაიბარა იმ ცხოვრებულმა ასეთი...

ბევრჯერ გვიკითხავს ნიკუშასთვის კაპანაძეების გარაჭველების ამბავი, მაგრამ სიტყვას ყოველთვის ბანზე გვიგებდა, მისი ბოლო ვერსია კი, ასეთი გახლდათ: სტუმრად ჩასულა რაჭაში ბაბუაჩემის მამა ამბაკო და რომ დაუნახავთ ეს მთასავით ვაჟკაცი, ორ მეტრზე მეტი სიმაღლისა და თითქმის ამდენივე სიგანის, აღარ გამოუშვიათ რაჭველებს, ასარჩევად გამოუყვანიათ თავიანთი მარწყვივით გოგოები, ჰოდა, „შემცდარა“ კაცი, ჩასიძებულა ერთ კაი გამართულ ოჯახშიო...

სწორედ ის გარაჭველებული დიდი პაპა ამბაკო კაპანაძე გარდაეცვალა ცოტა ხნის წინ ნიკუშას და როგორ იქნებოდა, არ დაგვეფასებინა, მისი ჭირ-ვარამი არ გაგვეზიარებინა, მით უმეტეს, რომ ამბაკო კაპანაძე – არც მეტი, არც ნაკლები – 1899 წელს იყო დაბადებული და 104 წლისა წარდგა უფლის წინაშე...

პაპის გარდაცვალების ამბავი რომ შეატყობინეს, ნიკუშას, მართალია, ცრემლები არ უღვრია, მაგრამ გული კი ნამდვილად დასწყდა: ეცოცხლა ცოტა, იმ ჩემი ცოდვით სავსეს – გინესის რეკორდების წიგნისთვის ვამზადებდი და კიდევ 6 წელი მჭირდებოდაო!

– ჩუ, ბიჭო, სირცხვილია, კაცი მოკვდა და შენ რაზე დარდობ?! – უსაყველურა დათომ.

– ამ დროში ამდენ ხანს სიცოცხლე უფრო სირცხვილია და ამაზე თავადაც დარდობდა: „ხო იტყვიენ, ბოშო – არ იყო ალბათ კაი კაცი, თვარა ამდენ ხანს რა აცოცხლებსო?“ – არ შეეპუა ნიკუშა შენიშვნას, ჩაჯდა სიმაძრის ნაჩუქარ ჯიპში და რაჭაში გავარდა.

...დაკრძალვაზე ხელცარიელები ვერ ჩავიდოდით და რადგან ნიკუშას მეგობრებში დიდი სიკეთე ჰქონდა დათესილი, გადავწყვიტეთ, ოჯახისთვის ხელი იმით გავკემართა, რომ ამბაკო ბაბუასთვის



ჩოგონი დავსაფლავეთ მეგობრის 104 წლის ამბაკო ნაძუა

იტალიური სასახლე გვეყიდა. სატელეფონო ზარი გზაში დავაწიეთ ნიკუშას: კუბო ჩვენ მოგვაქვს, თავისი „მოწყობილობით“ და ამით თავი არ შეიწუხოთოქო!

ლაპარაკი რომ დაამთავრა, ერთად დავეტაკეთ დათოს:

– ბიჭო, ზომა როგორ არ ჰკითხე, ისე რას ვყიდულობთ?

– გამოჭედილი გვექონდა სულ ყურები ნიკუშას ტრაბახით – ორმეტრიანი წინაპარი მყავდაო, – და სხვა რა ზომა გინდათ?!

– ე, ბიჭო, რაჭველობაზე კი დებს თავს, მარა იმერელია მაინც, ტრაბახი უყვარს – არ „იპარავდეს“ რამეს! – დაეჭვდა სოსო.

– „იპარავს“ და თავს დააბრალოს – კიდევ მივუწვენ ბაბუამისს გვერდით! – თვალები დააბრიალა დათომ და ამ თემაზე საუბარი შეწყდა.

...რაჭაში დაკრძალვამდე ორი დღით ადრე წასვლა გადავწყვიტეთ: „საჩუქარი“

დროზე უნდა ჩაგვეტანა...

ორ მსუბუქ ავტომობილს უკან პატარა სატვირთო მანქანა მოჰყვებოდა. ჩვენს მსუბუქ და ნაფერებ იმპორტულ მანქანებს ისე გაუჭირდა რაჭის მთებში გზის გაკვლევა, საბოლოოდ, ბარად მცხოვრებლებთან მოგვიხდა მათი დატოვება, ყველამ სატვირთოს ძარაზე გადავინაცვლეთ და ამბაკო ბაბუას სასახლეზე მოვიკალათეთ...

როგორც იქნა, მივალწიეთ დანიშნულების ადგილამდე და მყარად დავადგით მიწას ფეხი, თუმცა კი, კარგა ხანს გაგვიჭირდა წონასწორობის აღდგენა და, სიარულისას ზამბარებით გვეკეცებოდა მუხლები.

– ბოშო, რავა ჭაჭანაჭამ ჭუკებს გავენ ე ბოგშები! – გაიკვირვა ჭოკივით ხმელმა ქალმა.

– ჩივდე, ქალო, ენა, შენი დასაწუნი კიდევ ღეიარება ვინმე ქვეყანაზე?! – თვალები დაუბრიალა იქვე მდგომმა მორგვივით მრგვალმა კაცმა, ღვინისგან კეთილად რომ აჟუჟუნებოდა თვალები (უკვე მოესწრო შესანდობრის დაღევა!), მერე ეზოში დაღმუღი სკამებისკენ წავვიძღვა: მოით აქით, დეისვენეთ, გლახა გზა გვაქ, მარა რა ვქნათ, მაგის შეკეთების თავი კი არა, თეთრ პურს წელიწადში ორჯერ ვაცხობთ ამ მთარობის გადამკიდლო!

ხის ოდის მეორე სართულზე ესვენა ამბაკო ბაბუა და დარბაზი ისე იყო სავსე ჭირისუფლით, გარეთ გამოსულმა აღმოვაჩინე, რომ მიცვალებული სულ არ დამიფიქსირებია, მოტირალთა მოსმენითა თუ თვალიერებით გართულს. თანაც, რაღაც ჭირად, მაინცდამაინც მაშინ დარეკა დათოს მობილურმა და სანამ მიავნო და გამორთო ტელეფონი, შალახოს მუსიკის თანხლებით და ძლივს შეკავებული სიცილით აცქმუტებულემა, ძლივს გამოვალწიეთ გარეთ, უკან გარდაცვლილის 60-ს გადაცილებული რძლის ხმაც მოგვკვა: „რაფერი ხალხი შეაწუხე, მამა, ნეტაი დაგანახვა, მაშინ მაინც დეიჯერებდი ნიკუშას კაიკაცობას, მისი ჯავრი მიგყობა – ვიცი, ქარაფშუტა და არასერიზოულაო!...“

– ესაა, ბიჭო – სოფელში ხალხი პატივს მცემსო?! – შეუღრინა ნიკუშას სოსომ.

– გამოშტერებულ ბიცოლაჩემს რომ

ჰკითხო, ქალაქში ყველა „ი-იმფერია!“
— მხრები აიჩემა ნიკუშამ და აქეთ შე-
მოგვიტია მერე:

— რაა, ბიჭო, გამაშაყირეთ თუ რა
გჭირთ, კუბოს მაგივრად, ნოეს კილობანი
რამ ჩამოგატანინათ?

— ორი მეტრი სიგრძითაა და ცოტა
ნაკლები სიგანით!.. — განმარტა დათომ.

— მერე, რა სიკვდილად მინდოდა
ამხელა კუბო?! მთელ სოფელს თუ
ჩავაწვენი შეგნით, თუ არა და, ბაბუაჩემ
ამბაკოს მისი ნახევარი კუთხეც მორჩე-
ბა...

— შენ არ ამბობდი, მთასავით კა-
ციოა?! — აბილპილდა დათო.

— იყო, მარა დაღნა, გაქრა, დაილია!..
104 წელი თქვენ ხუმრობა ხომ არ გგონი-
ათ?!

— ისე, მიცვალებული სულ არ შემ-
ინიშნავს... — გამახსენდა მე.

— რას შენიშნავდი? — ტახტზე ათ-
კილოგრამიანი მუშია დევს მხოლოდ,
მოგვჭრა თავი ამ ტრაბახა იმერელმა! —
ნიკუშაზე გაიწია სოსომ...

...ამასობაში რაჭველებს ჩვენი „საჩუ-
ქარი“ მანქანიდან გადმოედოთ, ეზოს
შუაგულში დაედგათ და გაკვირვებულე-
ბი უცქერდნენ.

— ეს თუ კუბოა და მეც ქვე მინდა,
ბოშო, სიკვდილი! — უღვაშები გადაი-
გრიხა ზორბა კაცმა.

— თლათ შენი ზომაა ისე, ბიჭიკუნა,
რავარი დაგშენდება მერე! — გაიკრიჭა
ჭია, ცალი თვალით ბრმა კაცი, რომელ-
იც საოცრად ჰგავდა ღუმბადის ილიკო
ჩიგოგიძეს.

— ჩიგიძე ხმა, რაჟიკუნა ბრუტიანო,
თვარა, ამოვთხარე მეორე სამზეროდ და
იფართხალე მერე ავზინიანივით! —
დაუბღვირა ბიჭიკომ რაჟიკოს და მერე
კაცებს გახედა: — რა ვქნათ ახლა? ამას
თუ ამოვაშენებთ, თვარა ამბაკო ჩავარდ-
ება შით და შეიბეზავს რაცხას.

...თავიდან ფეხებამდე აჭარხლებული
ვიდექით.

სოსო ისევ მოსაკლავად ეძებდა
სადღაც გაუჩინარებულ ნიკუშას...

ასე იყო თუ ისე, სხვა გზა არ იყო
და იმავე ღამეს ჩაასვენეს აჩრდილადქ-
ცული რაჭველი იმერელი ამბაკო კა-
პანაძე იტალიურ კუბოში და „კომპლი-
მენტიც“ მიაყოლეს: აქაც კაი კაცი იყო
საწყალი და ეტყობა, იქიც არ მოიშლის
ხელგაშლილობას — ოთხ-ხუთ კაცს
დეიტევს კიდე ეს კუბო; აწი ვინც
მოკვდება, შეგვიძლია, ამბაკოს იმედზე
გოვუშვათ საიქიოს, ჩეიჩოჩებს და ჩეიხ-
უტებს მეზობელს თუ მოკეთესო!..

კუბოს საქმე მოგვარდა და ახალმა
პრობლემამ იჩინა თავი: მიცვალებულს
სახის „მაკიაჟისას“ რატომღაც გულ-
დაგულ გადაპრეხილი უღვაშის მარ-
ჯვენა მხარე ერთბაშად ასძვრა, თითქოს
დაწებებული ჰქონოდა...

— აუჰ! — გულს შემოეყარა „ვიზა-
ჟისტს“. — რაღა ვქნათ ახლა?

— რა უნდა ვქნათ, — მაგ უღვაშის
გაზრდამდე ვეღარ შევინახავთ შინ ამბა-
კოს და მოვპარსოთ მეორეც! — წი-
ნადადება წამოაყენა ბიჭიკუნამ.

— მეორედ არ თქვათ მაგი! — შეიცხ-
ადა რძალმა. — საწყალ ჩემს მამამთილს
მამინ ეტკინა პირველად გული, წვერ-
ულვაშმა რომ დაუწყო ცვენა და სახე
მოუშისვლდა: უნამუსო კაცივით პირ-
ტიტველმა რაფრა ვიაროო?! ჰოდა, —
გერმანიიდან გამოაგზავნიან შვილთაშ-
ვილს ჰორმონების დასარეგულირებელი
წამალი.

— ვიავრასაც ხვარ ხმარობდა, რძა-
ლო? — ჩაუნისკარტა ბიჭიკომ აფოფ-
რილ ქალს.

— რა ვიცო, რა ერქვა და რა იყო,
აკურატულად სვამდა ყველაფერს, რაც
ექიმმა გამოუწერა და თავზე მეტად
უფროხილდებოდა მაგ უღვაშს! — სახე
ჩამოიხოკა გულუბრყვილო ქალმა.

— რა ვქნათ?! — ისევ დამწუხრებუ-
ლი დასცქეროდა „ვიზაჟისტი“ ხელში
შერჩენილი უღვაშის ნახევარს.

— უშანგუნა! — ვიდაცას გასძახა
ბიჭიკო ბიძიამ და ჯიბეები მოიხსრიკა,
ოთახში შემოსულ თოთხმეტოდე წლის
ბიჭს ლარიანი გაუწოდა: — გეიქეცი თამ-
არასთან „ბუტკაში“ და რეზინის მა-
გარი წებო რომ აქვს, კალოშსაც რო
აწებებს, ის გამოგატანოს!

...ცოტა ხანში, უღვაშის დააწებეს
ამბაკო ბაბუას და მარცხენა წარბის გაქუ-
ცული ნაწილიც შეუსქელეს მარტივი
მანიპულაციით...

12 საათის შემდეგ კი, დაპატიჟებუ-
ლი ხალხიც მოვიდა და დაიწყო, მარა
რა დაიწყო...

— ამბაკო, შე ადრე მზეჩამქრალო-ო!..
შე სოფლის პატიოსნებავ და სახელო-
ო!.. იმერელი კი იყავი, მარა ბევრ რაჭ-
ველს ჯობდი!.. რა გვეშველება აწი
უშენო-ოთ!.. ვინ გამოვიცნობს ლობია-
ანს?! ვინ მოგიყვება „მოქკავშირის“ ამბე-
ებს?! ერთი კაცის ჯავრი მიგააქ, მარა
ნუ გეშინია-აა, მალე მოვა და ისევ ერ-
თად იქნებით!.. არ გაგიშობთ, ბიჭო-ო,
არა-ა, ვერ მოვრჩება ოჯახი-ო!..

ასეთი „დანაქანის“ მიუხედავად, ჩვენს
„საჩუქარში“ გაჭიმული და ვიზუალუ-

რად მართლა მხარბეტიან ვაჟკაცს დამს-
გავსებული ამბაკო ბაბუა ეზოს შუაგულ-
ში გადმოსვენეს. ვიდაც დედაბერი მი-
ფრატუნდა და კუბოს გადაემხო: „იმფერ
ნამენარში მიდიხარ, იმნარი ჰაერი დაგხ-
ვდება, მოუხდება შენ მტკივან გულს, ამ-
ბაკო-ო!..“

— ისე, გულს ბანმარო უფრო უხდე-
ბა თურმე! — ისევ წაიანგლა რაჟიკო
ბიძიამ. — იქით ხო არ გაგვეგზავნა? არ
გვყავს სახელონად გამოწყობილი თუ?!

— რა იცი, იქნება, ქეც ააშუშავს, ბოშო,
მაგისი გაჩერებული გულის კუნთი! —
დაუდასტურა ბიჭიკუნამ და პირზე ცხ-
ვირსახოცი აიფარა ღიმილის დასაფა-
რავად.

— გამოსათხოვარი სიტყვა ვუთხრათ,
ღირსეული კაცი იყო, გეოგონ, ბოშო, სტუმ-
რებმა, ვინც დაკარგა სოფელმა! — თქვა
იქაური სკოლის დირექტორმა და
ყასიდად გაიხედა გვერდზე — შეხვეწნას
დაელოდა, თორემ, იმწუთასვე დააძრო
წინასწარ გამზადებული რამდენიმეთაბხ-
იანი მოხსენება, რომელშიც საკუთარი
პოეტური შედეგებიც ჩაერთო..

— ე, ბიჭო, გაცივდა ლობიანები და
ხაშლამა, ავწიოთ აწი კუბო, ღამდება,
ხომ უნდა გეიგნოს ამბაკომაც დღის-
სულ გზა ახალ სამყოფლამდე! — დაიძახა
ვიდაცამ უკანა რიგებიდან.

...სასაფლაო მართლაც ისეთ ნაძე-
ნარში იყო, ჯერ არ მომხდარა ასეთი
სასწაული, თორემ, მართლა ადგებოდა
ამბაკო ბაბუაც და მეორე 104 წელსაც
იცოცხლებდა!..

ქელეხის სუფრა კი, ღამის დილაამ-
დე გაგრძელდა და კარგა ხანს ისმოდა
ორღობებში შინ მიმავალი შეზარხოშე-
ბული მოკეთების... ღიღინი: „წერეთელმა
დაგვიბარა...“

უკან დაბრუნება აღარ გავგვირვებია,
რადგან ნიკუშამ „ჩამოგვიხდა“ თავისი
ჯიპით ბარად დატოვებულ მანქანებამ-
დე.

— ასე მგონია, დაკრძალვაზე კი არა,
ლხინში ვიყავით!.. — თქვა დათომ.

— ეგ რაა?! მამაჩემის ბებია, 107 წლის
ვასასი რომ მოკვდა, ისე დავთვერით, კუ-
ბოს ამწევი აღარავინ დარჩა. კარტი
„ვატუხეთ“ და ვისაც „ტუზი დაეცა“,
ის შევეყენეთ კუბოს... 104 და 107
წელი რომ იცოცხლებ, სატირალი რაა?!
სწორედაც „მრავალჟამიერთ“ უნდა წა-
გაცუნცულონ „ნამენარში“ — დაასკვნა
სოსომ და რადიომიმღები ჩართო, საიდ-
ანაც, თითქოს შეკვეთით, გადმოიღვარა:
„წუთისოფელი ასეა-ა!..“

დასაწყისი იხ. „გზა“ №13-44

მომავალ ეურნალისტს დეა ავალიანს ბედი სასტიკად არ წყალობს. მამა ოჯახიდან წავა, ძმა, მეგლელობის ბრალდებით, ციხეში მოხვდება, ამდენი უბედურების მომსწრე დედამისი კი, ლოგინად ჩავარდება და მალე კიდევ გარდაიცვლება.

ბედის ანაბარად დარჩენილ დეას კანონიერი ქურდი გიგოლა დაეპატრონება და საყვარლად დაისვამს. ამის შემდეგ, ნებხით თუ უნებლიეთ, დეა გიგოლას ყველა ბნელი საქმის მოწმედ და ერთგვარ მონაწილედაც კი იქცევა.

ნარკობიზნესში ჩაბმულ გიგოლას თბილისში აღარ დაედგომება და საცხოვრებლად მოსკოვში გადავა. თუმცა, მანამდე, იქ დეას გაჩიზნავს და თავის ძველ საყვარელ ელასთან ჩაასახლებს.

ამის შემდეგ გიგოლა დეას პირად ცხოვრებასაც თავიდან ბოლომდე აკონტროლებს. ამის მიუხედავად, დეას ორ მამაკაცთან — ბიზნესმენ გურამ ოდიშელიძესთან და ელას ვაჟ დიმასთან სანმოკლე ინტიმური ურთიერთობა მაინც ექნება.

დეას მოსკოვურ ცხოვრებაში გიგოლას თანამზრახველი, ცნობილი ბიზნესმენი ბადრი პატარიძეც საკმაო როლს თამაშობს. ბადრის თვალი სერიოზულად უჭირავს დეაზე და ამიტომ, თავის ახალგაზსნილ ტელევიზიაში ტოქშოუს წაყვანას შესთავაზებს. გიგოლა ბადრის ვერაგულ ჩანაფიქრს ადვილად ხვდება, მაგრამ დეას მუშაობის ნებას მაინც დართავს.

პირველი გადაცემის ჩანეროს შემდეგ, გიგოლა დეას რესტორანში წაიყვანს და იქ მას უმოწყალოდ დაცხრილავენ. ის სიკვდილს გადაურჩება, მაგრამ მოგვიანებით, მეგლელები მის პალატაშიც შეაღწევენ და სასუნთქ აპარატს გამოურთავენ. გიგოლა კომაში ჩავარდება. ყველა, მათ შორის ელა და დეაც ხვდებიან, რომ გიგოლას უბე-



დავკავნებულა ჩვისი მოსკოვი-თბილისი

რუსულან ბერიძე

დურებაში ბადრი პატარიძის ხელი ურევია, მაგრამ მის წინააღმდეგ არანაირი რეალური სამხილი არ გააჩნიათ. თავად პატარიძე კი, თავის სატელევიზიო ბიზნესს ნაბიჯ-ნაბიჯ ფეხზე აყენებს და დეასაც, როგორც უურნალისტს, გზას უკაფავს. დეა ხვდება, რომ ადრე თუ გვიან, ბადრი ამ ყველაფრის საზღაურსაც მოსთხოვს, ამიტომ, როცა პატარიძე საკითხს პირდაპირ დაუსვამს: ჩემი როდის უნდა გახდეთ? — თავადაც პირში მიახლის: ფეხმძიმედ ვარ და სანამ ბავშვს არ გავაჩენ, არაფრის იმედი არ უნდა გქონდესო... დეას ფეხმძიმობით შეშფოთებული ბადრი მას მაშინვე ბავშვის მოშორებაზე დაუწყებს ლაპარაკს, მაგრამ პასუხად სასტიკ უარს მიიღებს. მერე დაუმუქრება: კომაში ჩავარდნილ ადამიანს ყველაფერი ესმის და გიგოლას ახლავე „ჩავანვეთებ“, რომ შეიძლება, ბავშვი მისი სულაც არ იყოსო. მაგრამ ბადრის მუქარას დეაზე მუქართი პასუხობს. ამასობაში კი, გიგოლას მდგომარეობა ნელ-ნელა

უმჯობესდება და მალე, კომიდანაც გამოვა.

დეა გიგოლას სანახავად დამფრთხალი მიდის. ფეხმძიმე დეას დანახვაზე, გიგოლა ჯერ გაცოფდება, მაგრამ მერე, რატომღაც, გული მოუღებება და საკუთარი ტრაგიკული ბავშვობის ამბავს დეტალურად გადმოუვლიან. გაოგნებულ დეას აღმოსდება — კმარა! გაჩუმდი! აღარ გააგრძელო!..

— კარგი... — მაშინვე დაეთანხმა გიგოლაც. — პრინციპში, მეტი მოსაყოლიც აღარაფერია...

დეა ცოტა ხანს გაუნძრევლად იდგა, შემდეგ ხელები ნელ-ნელა დაუშვა და სკამზე მოწყვეტით დაჯდა:

— რა გინდოდა?... რატომ მომიყვები ეს ყველაფერი?

— შენზე ვზრუნავ, გოგონი და იმიტომ... — ჩაიქირქილა გიგოლამ. — მინდა, აქედანვე შეგაგუო იმ აზრს, რომ კაცისკვლა შენს შვილს გენებში ექნება...

— რა თქვი?! — თვალეტი გაუფართოვდა დეას და გვარიანად წამოზრდილ მუცელზე ისე გაოცებულმა დაიხედა, თითქოს ახალა შეამჩნიაო.

— ძალიან გინდა, მკვლელის დეა გახდე?... — ისევ თავისას განაგრძობდა გიგოლა.

პასუხად დეამ მუცელზე ხელები ჩამოისვა და გიგოლას თვალი თვალში გაუყარა:

— ვერ ეღირსები!.. ჩემი შვილი მკვლელი არასოდეს იქნება!

უცბად გიგოლამ დეას ხელზე აელვარებულ ბეჭდს მოჰკრა თვალი და საუბრის თემა შეცვალა:

— ა-ა... ეგ ბეჭედი ისევ „ცოცხალია“?!

ბეჭდის ხსენებაზე დეამაც მაშინვე ხელზე დაიხედა:

— აბა, რა უნდა მოსვლოდა?

— მეგონა, ეგეც იმ ნაბიჭვარს გაუგზავნიე...

— რომელ ნაბიჭვარს?

— რაო?... ასე უცბად დაგავიწყდა, დეაშენის საგვარეულო სამკაულები ვის „ჩაახუტე“?

— არაფერიც არ დამვიწყნია, — გაწი-

წმატდა ღვა. — მაგრამ შენ საიდან იცი ეს ყველაფერი?..

— შენი ბედი, რომ იმ კრეტიმმა სამკაულები ჩემს ნაცნობ თევზდარს მიუტანა, თორემ, მთლად ჩალის ფასად რომ დაგინიავებდა ყველაფერს, მერე ნახავდი... ისე, საინტერესოა, რა გითხრა — რამდენად გაყვიდო?.. და შენ რამდენი მოგიტანა?..

— მე-ე?.. — დაიბნა ღვა. — დიმას ჩემთვის საერთოდ არაფერი მოუტანია... ისიც კი შენგან მესმის პირველად, რომ სამკაულები უკვე გაყიდა...

— სადოლ, დიშულია! — ჩაიქირქილა გიგოლამ. — მაინც იმაზე უფრო დიდი ნაბიჭვარი ყოფილა, ვიდრე მეგონა. ერთი ხელის დაკვრით არ მოინდომა ბიჭმა გამდიდრება?! კიდევ კარგი, რომ იმ თევზდარმა მარტო ეგ ბეჭედი კი არა, ყველაფერი მე მომიბრუნინა...

— როგორ? — შეკრთა ღვა. — დანარჩენი სამკაულებიც შენთანაა?

— ცოტა ხანს, ნამდვილად ჩემთან იყო.

— მერე?

— მერე ისევ თავის ადგილზე დავაბრუნე.

— რომელ თავის ადგილზე?

— სანამ მე კომპაში ვიყავი, შენ სკლეროზი ხომ არ დაგეწყო, გოგონი?! — ჩაიქირქილა გიგოლამ. — არ გახსოვს, სამკაულები საიდან წამოიღე?

— მე კი მახსოვს, მაგრამ შენ ვინლა გითხრა ეს ყველაფერი? დიმა? — ხმა გაეზარა ღვას.

— არა, ჩიტმა მომიტანა ამბავი.

— გასაგებია! — უცბად თვალები ბრახიანად დააკვესა ღვამ. — ლონდამ და კაკომ გითხრეს, ხომ?.. ტყუილად კი არ დაძვრებოდა ის ახვარი დედაკაცი დედაჩემის ოთახში!..

— ჰა, ახლა!.. — უცბად ხელი მბრძანებლურად ასწია გიგოლამ. — ისევ შენებურად ნუ გაუბერე! ლონდა აქ საერთოდ არაფერ შუაშია. კაკომ კი, სამკაულების ამბავი მხოლოდ მაშინ გაიგო, როცა თბილისში გავუგზავნე და ძველ ადგილზე შენახვა ვუბრძანე.

— აბა, ვინ გითხრა?

— ვინ და შენმა ძმამ.

— თემომ? — თვალები გაუფართოვდა ღვას.

— შენ რა, სხვა ძმაც გყავს?! — დამცინავად გაელიმა გიგოლას.

— სტყუი! — იყვირა ღვამ. — თემომ სამკაულების არსებობაზე საერთოდ არაფერი იცოდა.

— ეგ ვინლა გითხრა?

— ვინ და დედაჩემმა... თანაც, თემო-

საც არასდროს არაფერი დასცდენია ჩემთან...

— არც დასცდებოდა... — მშვიდად განაგრძო გიგოლამ. — იმიტომ, რომ ისევ ჰგონია, რომ შენ არაფერი იცი...

— ღმერთო ჩემო! — თავი ხელებში ჩარგო ღვამ. — თურმე, ყველამ ყველაფერი ვიცოდით და ერთმანეთს ბავშვებივით ვაჭყუებდით, თანაც — რატომ?.. რისთვის?.. რაღაც ბრჭყვიალა ქვებისთვის!..

— სხვათა შორის, ლამაზო, ეგ ბრჭყვიალა ქვები კაი დიდი მყუთი ღირს...

— მაინც რამდენი?.. ჩემი და თემოს დამძობაზე მეტი?!

— თქვენი დამძობისა რა გითხრა?! ნაღდად არ გამიზომია. ის ქვები კი... თავის დროზე რომ გაგეყიდა, ღვამშენსაც მთარჩენდი, თემოსაც ცინიდან დაიხსნიდი და მერე, ყველანი ერთად, ცხოვრებას გემრიელადაც მოიწყობდით, მაგრამ რას იზამ?! — ხელები ვითომ დანანებით გაშალა გიგოლამ.

— ნამდვილი ურჩხული ხარ! — ძლივსლა წაიჩურჩულა გულამომჯდარმა ღვამ და ცრემლები დაპაღუპით წამოსცვივდა.

საბოლოოდ წონასწორობადაკარგულ ღვას გიგოლა ერთხანს გულგრილად აკვირდებოდა, მერე ეტყობა, მაინც შეეცოდა ან უბრალოდ, სლუკუნის მოსმენა მოჰბეზრდა და დაიწყო:

— კარგი, ჰო, მორჩი სლუკუნს!.. რაც მოხდა, მოხდა — ახლა ველარაფერს უშველი... ისე, შეგიძლია, გული იმით დაიმშვიდო, რომ ვერც ღვამშენი და ვერც შენ იმ სამკაულების ნაღდ მუშტარს თბილისში ვერ მიაგნებდით, ვილაც ახვარი კი მაინც კაპიკებად აგაფცქვნილათ ყველაფერს... „კარონე“, ამ საქმიდან, ასეც და ისეც, არაფერი გამოგივიდოდათ... ახლა კი...

— მოიცა! — უცბად, ღვამ ხელი მბრძანებლურად ასწია და გიგოლას სიტყვა გააწყვეტიდა. — მივხვდი, შენ როგორც გაიგე ყველაფერი: თემომ თვითონ კი არ გითხრა — დააშინე, დააშანტაჟე და ისე ათქმევინე!

— ყოჩაღ! — დამცინავად გაელიმა გიგოლას. — მეონი, ტვინი, როგორც იქნა, გაგეხსნა. ოღონდ, ერთი დეტალი მაინც გამოგრჩა: მე შენი თემო კი არ დავამანტაჟე, უბრალოდ, ფაქტზე დავიჭირე, უფრო ზუსტად — ჩავიჭირე.

— რა ფაქტზე?.. თემოს ცინეში რაღა უნდა დაეშავებინა?!

— ნუ ბავშვობ, რა. ვითომ, არ იცი, შენი ძამიკო ცინეში მოხვედრამდე კარგა ხნით ადრე წამალზე რომ „შეჯდა“. წამალს კი, დიდი ფული უნდა, ლამაზო...

ერთგული პიტიხველი

თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გემახსოვრებათ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი და არც ამ ტესტის კითხვებზე გაგიჭირდებათ პასუხის გაცემა...

1. როდის დაიდგა თბილისში შოთა რუსთაველის ძეგლი?



- ა) 1921 წელს;
- ბ) 1961 წელს;
- გ) 1942 წელს.

2. როგორ გარდაიცვალა ივანე ჯავახიშვილი?



- ა) ლექციის კითხვისას;
- ბ) გადასახლებაში ყოფნისას;
- გ) ავტოავარიაში.

3. რა ერივო ხომალდს, რომლითაც იური ბაბარინი კოსმოსში გაფრინდა?



- ა) „სვერი“;
- ბ) „ვოსტოკი“;
- გ) „იუგო-ზაპადი“.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

— როგორ? — გამწარდა ღეა. — დე-
დაჩემი პირიდან ბოლო ლუკმას იცლიდა,
რომ როგორმე ფული დაეზოგა და ციხე-
ში მიეტანა, თემო კი წამალში ყრიდა?!

— არა. ის გროშები, თქვენ რომ
მოგქონდათ, „აბშიაკისთვის“ ძლივს ჰყ-
ოფნიდა...

— ჰო, მასხოვს, ერთხელ მეც შემომ-
ჩვილა რაღაც მაგ თქვენს „აბშიაკზე“...

— ისე, რაც მართალია, მართალია —
„აბშიაკის“ საკითხში და საერთოდ, კა-
ცურად იქცეოდა... თუმცა, ვინც ციხეში
კაცობას ვერ შეძლებს, მარტო ერთი გზა
აქვს — ჯერ „გაკუზუვენ“ და მერე, „პარა-
შის“ გვერდით „დააბინავენ“...

— გამოდის, რომ ვისაც ფული არა
აქვს, ციხეში, რასაც უნდათ, იმას უზამენ?

— ეგრე გამოდის, ლამაზო, ეგრე... მა-
გრამ ვერ გამოგია, რა გიკვირს? ციხის
გარეთ კი, ცოტა „გაკუზული“ დადის?!

ასეთია ცხოვრება და რას იზამ... ყვე-
ლაფერი დასწრებაზეა: შენ თუ არ
დაარტყამ, შენ დაგარტყამენ, შენ თუ არ
იხმარ, შენ გიხმარენ, შენ თუ არ მოკლავ...

— მორჩა! წავედი!.. — ფეხზე წამოხ-
ტა ღეა. — შენი მოსმენა აღარ შემიძლია!

— გზა მშვიდობისა, ლამაზო... — ბორო-
ტად ჩაიქირქილა გიგოლამ. — ფრთხ-
ილად იარე, ფეხი არაფერს წამოჰკრა...

ღეა პალატის კართან მივიდა და ის
იყო, სახელურისთვის ხელი უნდა ჩაე-
ლო, რომ უცბად შედგა და გაირინდა.

— რა იყო?.. — ჰკითხა გიგოლამ. —
კიდევ რამე ხომ არ გაგახსენდა?

ღეა უხმოდ გამობრუნდა და ორივე
ხელით გიგოლას საწოლის თავს ჩააფ-
რინდა:

— სიმართლე მითხარი — თემომ
სამკაულების ამბავი დედაჩემისგან იცო-
და თუ...

— ისე, შენც მაგარი ბოღმა ვინმე
ხარ... — გაეღიმა გიგოლას. — ხომ ზე-
დავ, უკვე ცხოვრებული დედაშენის ნათქ-
ვამსაც აღარ ენდობი... ასე იცის ღიღმა
მყუთმა — ყველას ნდობას ვიკარგავს...
მაგრამ მაშინ, ყველაფერი ნაღდად კა-
ცურად მოხდა... დედაშენს თემოსთან
სიტყვაც კი არ დასცდენია. თემომ, რაღაც-
ნაირად თვითონ მიაგნო იმ სამკაულებს,
თუმცა, სანამ ძალიან არ გაუჭირდა, მათი
ხელის ხლება არც უცდია...

— მერე კი, შენ ჩაგივარდა ხახაში
და... — ამოიკვნესა ღეამ.

— ხახაში ჩამივარდა თუ ფეხებში,
თვითონ რომ არ ეთქვა, მე თქვენი სა-
ვარეულო განძის ამბავს ვერაფრით გავ-
იგებდი... მაგრამ „ლომკა“ ძან დამპალი

რამეა, ათიდან ათი ვერ უძლებს...

— მერე?.. — გააწყვეტინა ღეამ. —
რომ გაიგე, ამხელა სიძლიერის პატრონე-
ბი ვიყავით, მე და დედაჩემს მაშინვე სახ-
ლში რატომ არ შემოგვივარდი?.. წინააღმ-
დეგობას გაგიწევდით თუ რა?!

— სხვათა შორის, ვაპირებდი... — მშ-
ვიდად მიუგო გიგოლამ. — მაგრამ მერე
შენ გაგიცანი და გადაწყვეტილება
შევიცვალე...

— არ მითხრა ახლა — უცბად შემი-
ვვარდი და იმიტომო...

— დამშვიდდი, გოგონი, მე შენ ახლაც
არ მივევარხარ... უბრალოდ, მაშინვე მივხ-
ვდი, რომ ხელში კიდევ ერთი „სამკაუ-
ლი“ მივარდებოდა და აღარ ავჩქარე-
ბულვარ. თუმცა, თემოს ვუთხარი, რომ
სამკაულები გავიტანე, გავყიდე და შენც
და შენს ოჯახსაც იმ ფულს გახმართ-
მეთქი...

— თემომ დღეს მაინც თუ იცის სიმა-
რთლე?

— არა.

— გამოდის, რომ ყველაფერი ისევ
მარტო მე დამიტოვე?! — გაოცდა ღეა.

— რატომ მარტო შენ?! მე და შენ...
ისე, ცნობისთვის, შენს თავს სამკაულების
გარეშეც არავის დავუთმობ, გოგონი. ასე
რომ, ტყუილად არაფერზე წაიოცნებო...
— ბოროტად გაეღიმა გიგოლას.

სწორედ იმწუთას, პალატის კარი
ხმაურით გაიღო და ზღურბლზე, აქოშინებ-
ული ბადრი პატარიძე გამოჩნდა.

— გიგი, ძმაო... — ხელები თვატრალუ-
რად გაშალა მან და თან, გიგოლასკენ

გაექანა — ბოზიშვილი ვიყო, თუ ამწუთას
არ გამეგოს!..

— ასეთი მაინც რა გაიგე, ბადრი ჩემო?!
— ცივად მიუგო გიგოლამ და დამ-
ფრთხალმა ბადრიძემ ხელები ჯვარისკა-
ცივით სწრაფად ჩამოუშვა.

— კარგად რომ გამხდარხარ... — შეცვ-
ლილი ხმით წამოიკნავლა მან.

— შენ კარგად ყოფნას რას ეძახი?! —
ისევ უემხნად ჰკითხა გიგოლამ. — შვიდ
„ღირკას“, იმ ნაბოზრებმა რომ გამიკეთეს?!

— ნუ, ახლა... — მთლად დაპატარავდა
ბადრი. — ხომ შეიძლებოდა, უარესიც
მოგსვლოდა?!

— როგორ არ შეიძლებოდა?! მაგრამ
ეტყობა, აქაც „იჟმოტე“...

— რა ვქენი? — ძლივსლა ამოიხავლა
გამტკნარებულმა ბადრიძემ.

— მაყუთი „დაყოშკე“-მეთქი, შენი
ღედა!.. — ჩაიღმუვლა გიგოლამ. — კარ-
გი კილერი ხომ, კარგი მაყუთიც ღირს!..

— გიგი, აბა, რას ამბობ?! — გულზე
ხელი იტაცა ბადრიძემ და შემდეგ, ვე-
ღრებით შეხედა ღეას. — ღეა, საყვარელო,
გესმის, რას მეუბნება?!

— ეგ რა შენი საყვარელია, შე ნაბოზა-
რო?! — იღრიალა გიგოლამ. — გვერნა,
ცხოვრება უცბად აიწყვე და მაყუთიც და
ქალიც ერთი ხელის დაკერით „ამახიე“,
ხომ?!

— გიგი, ძმაო, მომიხმინე, გეხვეწები...
— წკმუტუნს განაგრძობდა ბადრი და
თან, კუდამოძუებული ძაღლივით ნელ-
ნელა უკან იხვედა.

ღეამ ამ სურათს ერთხანს ამრეხით

**ქართული და უცხოური
შერნალ-გაზეთების
გამოცემა**

**ილირიუს განსწავლავლეთიუს
და ორგანიზაციებისათვის**

**სახლიდან
გაუსაღებლად**

მის ელფასერვით

www.elvaservice.com

უცქირა, შემდეგ შებრუნდა და პალატიდან დემონსტრაციულად გავიდა...

იმდღევანდელმა პირდაპირმა ეთერმა საბოლოოდ თავგზაბნეული დეას გასაოცრად, იმდენად კარგად ჩაიარა, რომ რეჟისორმაც კი ვეღარ დაფარა აღფრთოვანება და შოუს დასრულებისთანავე, დეა გულში ჩაიკრა:

– Молодец, девочка!
Это уже правда высший пилотаж!..

სიტყვაძუნწი რეჟისორის ასეთი შექება სხვა დროს ალბათ ფრთებს შეასხამდა დეას, მაგრამ ახლა მადლობის თქმა ძლივს და მოახერხა და ის იყო, სტუდიიდან გასვლა დააპირა, რომ ვიღაც უხეშად ჩააფრინდა მკლავში. დამფრთხალმა დეამ მიიხედა და ბოროტად მოდიმარი ბადრი პატარიძე შერჩა ხელში.

– ბატონო ბადრი, თქვენ-ენ?!
– წამოიძახა გაკვირვებულმა დეამ. – აქ საიდან გაჩნდით?

– რა იყო? აღარ მელოდია?! – მკლავზე ხელი კიდევ უფრო მოუჭირა ბადრიმ. – გეგონა, შენი კურო ისე „დააბოლე“, რომ იქვე სულს გამაფრთხობინებდა?!.

– ახლავე ხელი გამიშვით და გამოთქმებიც შეარჩიეთ! – შუბლი შეკრა დეამ.

– რომ არ გაგიშვა, ნეტავ, ერთი, რას იზამ?! – თავისას არ იშლიდა ბადრი. – ხომ არ გავიწყდება, რომ ჩემს სტუდიაში ხარ და გარშემოც მხოლოდ ჩემი ხალხი გახვევია?!.

– ეს სტუდიაც და ეს ხალხიც, ბატონო ბადრი... – ირგვლივ თვალი მშვიდად მოავლო დეამ. – მარტო თქვენი მაშინაც კი არ იყო, როცა გიგოლას სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა და ახლა – მით უმეტეს...

– რა მით უმეტეს, რა?! – იღრიალა ბადრიმ. – გგონია, რამე შეიცვალა?! შენი გიგოლა ათჯერ რომ გამოვიდეს კომიდან, მაგის დღეები მაინც დათვლილი იქნება! უკვე „ტრუპია“, გესმის? – „ტრუ-პი“!

– არის და იყოს! – იკივლა უცბად დეამ. – ორივე ერთ დღეს ჩამალლებულხართ!..

– მერე შენ რაღა გემველება, ჩიტ-



ხნი?.. – ბოროტ ჩურჩულზე გადავიდა ბადრი. – გგონია, ამის შემდეგაც, ვარსკვლავი იქნები?!. იცი, რომ მაშინვე ყველას დაავიწყდება?!. შენ ჩემმა შოუმ გაქცია ქალაქი, თორემ...

– თქვენც ჯანდაბამდე წასულხართ და თქვენი შოუც! – ყვირილს განაგრძობდა დეა. – ჩათვალეთ, რომ დღეიდან, აქ აღარ ვმუშაობ!..

ამ სიტყვების შემდეგ, გაცოფებულმა დეამ ძალით გამოჰკლიჯა ბადრის ხელი და სტუდიიდან გაუარდა. პატარიძე ჯერ ერთ ადგილზე იდგა და დამფრთხალი ნადირივით აქეთ-იქით აცეცებდა თვალებს, მერე დეას დაეღვენა, ვიწრო დერეფანში დაეწია და უკვე დამტკბარი ხმით მიმართა:

– დეიკო, საყვარელო, მოიცა!.. შენ რა ნერვიული ვინმე ყოფილხარ!..

დეა უცბე შედგა და ისე მკვეთრად შემოტრიალდა, რომ დამფრთხალმა ბადრიმ მაშინვე უკან დაიხია:

– კარგი, დაწყნარდი... – დაშოშმინების ნიშნად, ორივე ხელი ნელ-ნელა ასწია მან. – ბოდიშს გიხდით. ცოტა მეც გავცხარდი და ზედმეტი მომივიდა... მოდი, შევრიგდეთ და დავივიწყოთ ყველაფერი... უბრალოდ, ორივეს მძიმე დღე გვქონდა

და სათქმელი ვეღარ მოვზომეთ...

დეამ თავიდან ფეხებამდე აათვალიერა-ჩაათვალიერა ბადრი და შემდეგ ბოროტად წაუსისინა:

– ამერიიდან, სულ მძიმე დღეები გექნებათ, ბატონო ბადრი!.. მაგრამ თუ ფიქრობთ, რომ რამდენჯერაც გიგოლა დაგემუქრებათ, იმდენჯერ ჩემს ოხტშიც ამოხვალთ – არაფერმა მოგატყუოთ...

– არ მოვტყუვდები...
– ხმა კიდევ უფრო დაიტკბო ბადრიმ. – ხომ გითხარი, ვერ მოვზომე-მეთქი. ვიფიქრე, რომ გიგოლა შენ ამომხედრე...

– ბატონო ბადრი, – ირონიულად გაეღიმა დეას, – არა მგონია, ისეთი გულუბრყვილო იყოთ, რომ მართლა გჯეროდეთ, რასაც ახლა ამბობთ...

– კარგი... კარგი...
– გააწყვეტინა ბადრიმ.
– რა თქმა უნდა, ასე არ

არის... გიგოლას ამბავს შენ მასწავლი?! ეგ შენ კი არა, ხანდახან, საკუთარ ნათქვამსაც კი არ ენდობა... უბრალოდ, ვიფიქრე, რომ ცოტა რაღაც შენც წაუმატე და...

– ცოტა ნამდვილად წაუმატე... – დაეთანხმა დეა.

– რას მეუბნები?! მართლა?.. – გულზე ხელი იტაცა ბადრიმ. – მაინც რა უთხარი?

– რაც ვუთხარი, მარტო მე და გიგოლას გვენებოდა, ბატონო ბადრი, და სხვას არავის... – მშვიდად მიუგო დეამ.

– კარგი, ბატონო... – საბოლოოდ დანებდა ბადრი. – ეგ მართლაც, თქვენი საქმეა... ჩვენ კი, ისევე ჩვენს საქმეს მივხედოთ, კარგი?.. შევთანხმდით?..

– შევთანხმდით, ოღონდ, ერთი პირობით...

– კი, გენაცვალე, – გამხიარულდა ბადრი, – მითხარი, რა პირობაა?

– დიდი არაფერი, – თვალი თვალში გამოძვრულად გაუყარა დეამ. – უნდა შემპირდეთ, რომ მეორედ „მაცუთს“ აღარ „დაჟოშკავთ“ და გიგოლას მართლა გააგორებინებთ...



დელოფალი ბეატრიქსი და კლაუს ფონ ამსბერგი

უკვე ას ათ წელზე მეტია, რაც ნიდერლანდების სამეფოს ქალები განაგებენ. გაცნობას ვერ ფარავენ ტანტდაკარგული მეფეებისა და იმპერატორების შთამომავალნი: „ნუთუ, სუსტი სქესის წარმომადგენლებს ასეთი რამ ძალუძთ?“ იმასაც ამბობენ, რომ შორს აღარ არის ის დღე, როცა ქალთა მმართველობის „ტრადიცია“ შეიცვლება და ტანტზე კვლავ მამაკაცი ავა... თუმცა, ნიდერლანდების სამეფო ძალაუფლება ჯერჯერობით, კვლავ დედოფალ ბეატრიქსს უპყრია ხელთ და ამ ძალაუფლებას სუსტს ვერაგინ უწოდებს.



დელოფლის პირადი ცხოვრება პრესისთვის დახურულია

დელოფალი ბეატრიქსი და ოჯახი

mkacri monarqi da ojaxis simyudrovis damcveli

ნიდერლანდებში მოხვედრილ უცხოელებს ყოველთვის აკვირვებდათ და აკვირვებთ ის საყოველთაო სიყვარული და პოპულარობა, რომლითაც მათი სამაოდ თავშეკავებული და შეუვალი დედოფალი სარგებლობს. მიუხედავად იმისა, რომ ევროპულ მონარქთა შორის დედოფალ ბეატრიქსის ცხოვრება პრესის წარმომადგენლებისთვის ყველაზე დაფარულია, მის პორტრეტებს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ყოველ ფეხის ნაბიჯზე შეხვდებით. სადაც გულის კუნჭულში, ალბათ, ბეატრიქსის ასეთი საყოველთაო სიყვარულისა, თვით დიდი ბრიტანეთის დედოფალს – ელისაბედ მეორესაც კი (იგი

ხომ ბეატრიქსის ნათესავია), შურს. მისი უდიდებულესობა დედოფალი ბეატრიქს ვილგელმინა არმგარდი, 1938 წლის 31 დეკემბერს, ქალაქ ბაარნის სელსტიკის სასახლეში დაიბადა. 1940 წელს, როცა ნაცისტური გერმანიის ჯარი ნიდერლანდებში შეიჭრა, სამეფო ოჯახმა ჰოლანდია დატოვა და თავი დიდ ბრიტანეთს შეაფარა. მოგვიანებით, დედოფალი იულია თავის სამ მცირეწლოვან ქალიშვილთან ერთად კანადაში გაემგზავრა. მეფის უმცროსი ქალიშვილი – მარგრეტი სწორედ იქ დაიბადა. 1945 წლის 2 აგვისტოს სამეფო ოჯახი სამშობლოში დაბრუნდა. ტახტის მემკვიდრემ, მეფის უფროსმა

ასულმა – ბეატრიქსმა საშუალო განათლება ბილტჰოვენის სკოლასა და ბაარნის ლიცეუმში მიიღო, 1961 წელს კი, ლეიდენის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დიპლომიც აიღო. 1980 წლის 30 აპრილს, მეფის ასული ბეატრიქსი სამეფო ტახტზე ავიდა.

ნიდერლანდელ მონარქთა ისტორია

ნიდერლანდების სამეფო კარსა და არმგარდა დინასტიას 1815 წელს, მეფე ვილჰელმ პირველმა დაუდო სათავე. 1843 წელს, ტახტზე ვილჰელმ II ავიდა; 1849 წელს კი, ვილჰელმ III აკურთხეს მეფედ. სწორედ მის სახელს უკავშირდება მემკვიდრეობით ტახტის გადაცემის კანონში ცვლილება, რომლის საფუძველზეც, ნიდერლანდების სამეფო გვირგვინის დადგმის უფლება ქალებსაც მიეცათ. ამ „ტრადიციის“ დამკვიდრება ნიდერლანდებს ლუქსემბურგის საჰერცოგოს დაკარგვის ფასად დაუჯდა, ვინაიდან მემკვიდრე ქალისათვის ტახტის გადაცემა საჰერცოგოს კანონმდებლობით აკრძალულია.

1890 წელს, ვილჰელმ მესამის გარდაცვალების შემდეგ, ტახტზე მისი მცირეწლოვანი ქალიშვილი, ვილჰელმინა (ბეატრიქსის ბებია) ავიდა, რომლის რეგენტიც სრულწლოვანებამდე (1895 წლამდე) დედამისი – დედოფალი ემა გახლდათ. ნიდერლანდების ტახტზე ასული პირველი დედოფალი ნახევარი საუკუნის მანძილზე განაგებდა სამეფოს. ამ პერიოდში



ჰოლანდიაში დედოფლის დღეს, ოფიციალურად 30 აპრილს აღნიშნავენ

ქვეყანამ ორი მსოფლიო ომი გადაიტანა და ყველაზე მნიშვნელოვანი კოლონია – ინდონეზია დაკარგა. 1948 წელს ვილჰელმინამ ტახტი თავის ქალიშვილს ოულიანას დაუთმო, რომელიც თავის მხრივ, 1980 წელს, ბეატრიქსის სასარგებლოდ გადადგა.

1996 წელს ამსტერდამში მოეწყო გამოფენა – „ეკატერინე დიდი“, რომლის ორგანიზატორიც, „ერმიტაჟის მეგობრებია“ ფონდის პრეზიდენტი ერნსტ ვეენი გახლდათ. გამოფენაზე მისულ დელოფალ ბეატრიქსთან საუბრისას, ბატონმა ერნსტმა ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ რუსეთის დელოფლის ოქროს ეტლი, ჰოლანდიურზე ორასი წლით ძველი გახლდათ. ამ შენიშვნაზე ვეენმა დელოფლის საკმაოდ ცივი და შეუვალი პასუხი მიიღო: „სამაგიეროდ, ჩვენი ეტლი ჯერ კიდევ მოქმედია!“ მისი უდიდებულესობა, როგორც ყოველთვის, მართალი გახლდათ: ეტლი, რომელიც მისი ბების, ვილჰელმინას მეფედ კურთხევის დროს, ასე წლის წინ დამზადდა, ჯერ კიდევ მოქმედია. წელიწადში ერთხელ, სამეფო ეტლი სამსახურებრივ ავტომობილს, სამთავრობო თვითმფრინავს, სამეფო მატარებელსა და სამეფო ავტობუსს ცვლის – ეს ხდება მაშინ, როცა ბინენჰოფის მოედანზე პარლამენტის საზეიმო გახსნის ცერემონია იმართება და კიდევ, სამეფო ოჯახის წევრთა პომპეზური საქორწინო ცერემონიისას.

სასახლეები და მისი ბინადარნი

დელოფალ ბეატრიქსს ევროპის მეფეებს შორის, ერთ-ერთ უმდიდრეს მონარქად მიიჩნევენ; მიუხედავად ამისა, სახელმწიფო მას ყოველწლიურად საკმაოდ დიდ თანხას უხდის. მაგალითად, 1999 წელს, ხაზინამ სამეფო ოჯახს 13,6 მლნ გულდენი გამოუყო. ამ თანხის მნიშვნელოვანი ნაწილი სასახლეების მოვლასა და მომსახურებ პერსონალის დაქირავებას ხმარდება. მკითხველისთვის ალბათ საინტერესო იქნება, როგორი სრასახლების პატრონია ნიდერლანდების სამეფო კარი. არმგარდთა დინასტიის სრასახლის უმეტესობა დედაქალაქ ჰააგაში მდებარეობს.

პრინცესა იულია (ტახტიდან გადადგომის შემდეგ, სწორედ ასე მოიხსენიებენ ყოფილ დელოფალს) და მისი მეუღლე უფლისწული ბერნჰარდი, 60 წელზე მეტია, რაც სუსტდევების სასახლეში სუფევენ. უტრეხტის მახლობლად მდებარე ყოფილ სამონადირეო ციხე-დარბაზს, ზოგჯერ „პატარა ვერსალადაც“ მოიხსენიებენ. „აუღე ჰოფის“ („მთავარი სამეფო კარი“) სახელით მონათლული დელოფლის „სამუშაო სასახლე“ ჰააგის ცენტრში, პარლამენტის შენობასა და პრემიერ-



ჰააგის ტყეში წითელი აგურით ნაშენი ჰეის ტენ ბოსის „საცხოვრებელი სასახლეა“

მინისტრის კაბინეტის გვერდით, ბინენჰოფის მოედანზე მდებარეობს. სწორედ ამ სასახლის ეზოდან გამოდის დელოფლის ოქროს ეტლი; სამეფო საჯინბოებიც აქაა განთავსებული. ორშაბათობით, აუღე ჰოფში დელოფალი პრემიერ-მინისტრს საათობრივ იღებს. ქუჩისგან სასახლის შიდავით დიდი მესრითაა გამოყოფილი, საიდანაც ცნობისმოყვარეებს შეუძლიათ თვალი ადევნონ გვარდიელთა საპატო ყარაულის მიერ უცხოელი ელჩების საზეიმო მიღების ცერემონიას, რომლებიც სასახლეს ძველებური ეტლებით სტუმრობენ.

დედაქალაქიდან რამდენიმე კილომეტრის მოშორებით, ჰააგის ტყეში წითელი აგურით ნაშენი ჰეის ტენ ბოსის „საცხოვრებელი სასახლეა“. აქ ყველა, ბეატრიქსის მკაცრი პრინციპით ხელმძღვანელობს – დელოფლის პირადი ცხოვრება პრესისთვის დახურულია. გვირგვინოსანთა ოჯახის სიმშვიდეს სამეფო და დიპლომატიური დაცვის პოლიციის სპეცდანიზი იცავს.

დაბოლოს, სამეფო დროშას პერიოდულად ამსტერდამში, დამ-შლოსამ-დამის მოედანზე მდებარე სასახლის ქონგურზეც აღმართავენ ხოლმე, როცა დელოფალი იქ ოფიციალურ წვეულებას, სადილს, სიმპოზიუმს, გამოფენასა თუ მუსიკალურ საღამოს მართავს. სწორედ ამ სასახლეში აბინავებენ ჰოლანდიაში ოფიციალური ვიზიტით მყოფ უცხო ქვეყნის სახელმწიფო მეთაურებს. ამავე სასახლეში გაიმართა დელოფლის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო ცერემონიაც. ევროპელ მონარქთა შორის, ერთ-ერთ უმდიდრეს მონარქად მიჩნეული ბეატრიქსი, ეკონომიურობით ყოველთვის გამოირჩეოდა. მიუხედავად ამისა, 1998 წელს, თავისი 60 წლის იუბილე დელოფალმა

საოცრად პომპეზურად აღნიშნა. მოწვეულ სტუმართა შორის იყვნენ: იაპონიის იმპერატორი მეიჯიმიტო, დიდი ბრიტანეთის დელოფალი უფლისწულ ფილიპთან ერთად, იორდანის მეფე ჰუსეინი მეუღლით, მარგარიტა დანიელი, ბელგიის, ნორვეგიის, შვედეთის, ესპანეთის მეფეები, ლუქსემბურგის ჰერცოგი და ევროპის თავად-აზნაურთა თვალსაჩინო წარმომადგენლები. მოწვეულ სტუმართა რიცხვი 160-ს აჭარბებდა.

ჰოლანდიაში დელოფლის დღეს, ოფიციალურად 30 აპრილს აღნიშნავენ. ამ დღეს ეწყობა ბაზრობები, ატრაქციონები, ფოლკლორული და კულტურული ღონისძიებები; სამეფო ოჯახის წევრები ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში მონაწილეობენ ზემოში. სხვათა შორის, 30 აპრილი ყოფილი დელოფლის, ოულიას დაბადების დღეა, თავად ბეატრიქსი 31 დეკემბერსაა დაბადებული.

ზემით ჩამოთვლილი სასახლეების გარდა, არმგარდთა დინასტია ფლობს მაურიციუსის (ჰააგაში) და ჰეტ ლოს (აპ-ლდორნში) სასახლეებს. ეს ორი სასახლე ჰოლანდიის ყველაზე ცნობილი მუზეუმია და მათ ათასობით ტურისტს სტუმრობს. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ არც ერთი ზემოთ ნახსენები სასახლე დელოფლის პირად საკუთრებას არ წარმოადგენს, ყოველი მათგანი ნიდერლანდების სამეფოს საკუთრებაა.

ოჯახური პრობლემები

ბეატრიქს ვილგელმინა არმგარდ ფონ ორანიენ-ნასაუ სამეფო სახლის მეთაურია. სამეფო ოჯახში შედიან, უპირველეს ყოვლისა, უფროსი თაობის წარმომადგენლები – მამამისი, 92 წლის გერმანელი უფლისწული ბერნჰარდი (ალცკაიმიერთაა



ტახტზე ასვლის შემდეგ, ბეატრიქსი გაუთავებელ სახელმწიფო საქმეებში ჩაეფლო

დაავადებული და ფაქტობრივად, საკუთარი „მე“ დაკარგული აქვს) და დედამისი, 94 წლის პრინცესა იულიანა (სულიერადაა დაავადებული, მას ჰალუციაციები აწუხებს და საზოგადოებაში მხოლოდ პირადი მედიის თანხლებით გამოდის).

თავად დელოფალი, რომელსაც მეუღლე შარშან გარდაეცვალა, ოჯახში საშუალო თაობას წარმოადგენს. მას და მის მეუღლეს – კლაუსს საზოგადოება კარგა ხნის მანძილზე უბედნიერეს წყვილად მიიჩნევდა. მათ ერთმანეთი 1964 წელს, უფლისწულ მორიც ჰესენელის მიერ გამართულ წვეულებაზე გაიცნეს. თავშეკავებული და გაწონასწორებული გერმანელი დიპლომატი ტახტის მემკვიდრეზე 11 წლით უფროსი გახლდათ.

როცა 1965 წლის 28 ივნისს სამეფო კარის წარმომადგენელმა ოფიციალურად გამოაცხადა ტახტის მემკვიდრისა და გერმანელი დიპლომატის, კლაუს ფონ ამსბერგის ნიშნობის შესახებ, ამას ჰოლანდიის საზოგადოებაში არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა. გერმანიის მიერ ნიდერლანდების ოკუპაციამ II მსოფლიო ომის დროს, 360 ათასი ჰოლანდიელის სიცოცხლე შეიწირა. კლაუსი კი, გარდა იმისა, რომ მესამე რაიხის ოფიცერი გახლდათ და ომის დროს ბუნდესვერის სატანკო ნაწილში მსახურობდა, თავის დროზე, ფაშისტური ახალგაზრდული ორგანიზაციის – „ჰიტლერიუგენდის“ წევრიც იყო.

მაგრამ ტახტის მემკვიდრე, ჯერ კიდევ იმ დროს ხასიათის სიმტკიცე გამოავლინა და თავისას მიაღწია – ჰოლანდიის პარლამენტის ორივე პალატამ მისი არჩე-

ვანი მოიწონა. წყვილმა 1966 წლის 10 მარტს დაიწერა ჯვარი. ქორწინების შემდეგ, მეფის ასულის მეუღლეს ნიდერლანდების უფლისწულის ტიტული უბოძეს. ოჯახის შექმნის პირველსავე წლებში, ბეატრიქსსა და კლაუსს სამი ვაჟი შეეძინათ. ამან გული მოუღობო ჰოლანდიელებს, ხუმრობა ხომ არ გახლდათ, ტახტის მემკვიდრე უფლისწული თითქმის ასი წელი არ ღირსებოდა ნიდერლანდებს. თანაც კარგი მანერებით გამოჩნეული უფლისწული კლაუსი, ჰოლანდიურ ენას მოკლედ ხანში დაეუფლა და ხალხის დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. იმხანად წყვილი ბევრს მოგზაურობდა, უამრავი ქვეყანა და არაერთი კონტინენტი მოიარა.

ტახტზე ასვლის შემდეგ, ბეატრიქსი გაუთავებელ სახელმწიფო საქმეებში ჩაეფლო, მისი მეუღლე კი, სწორედ იმ ასაკში გახლდათ, როცა მამაკაცს ოჯახური სითბო და ყურადღება განსაკუთრებით სჭირდება. კლაუსი იძულებული გახდა, პრინცი-კონსორტის როლს შერიგებოდა და გამუდმებით გვირგვინოსანი ცოლის ჩრდილქვეშ ყოფილიყო. ყოველივე ეს უარყოფითად აისახა მის ჯანმრთელობაზე და დეპრესიამ დარია ხელი. დეპრესიას პარკინსონის დაავადება და კიბოც დაერთო. რამდენიმე წლის წინ, კლაუსმა მძიმე ოპერაცია გადაიტანა, მცირე ხნით მომჯობინდა, მაგრამ მისი საბოლოოდ განკურნება ვერ მოხერხდა და 2002 წლის 6 ოქტომბერს გარდაიცვალა.

თავად დელოფალმა 1983 წლის საზაფხულო შეგებულების დროს, პორტ-ერკოლში ყოფნისას, მძიმე მენინგიტი გადაიტანა; 1991 წელს კი, იტალიაში ვიზიტისას, ფეხი მოიტეხა. ჰოლანდიელთა აზრით, მათი მტკიცე ნების დელოფალი ამ უსიამოვნებებს იოლად გაუძლეავდა.

სამეფო ოჯახის საშუალო თაობის კიდევ ერთი წარმომადგენელია დელოფალ ბეატრიქსის უმცროსი და – მარგრიტი; მას ჰყავს მეუღლე და ოთხი ვაჟი. მეფის ასულთაგან ორი შუათანა და – ირენი და კრისტინა კანონის ძალით სამეფო სახლის წარმომადგენლებად არ მიიჩნევიან, ვინაიდან მათ უგულებელყვეს კანონი და ოფიციალური თანხმობის გარეშე გათხოვდნენ.

მემკვიდრეები

სამეფო სახლის უმცროსი თაობის წარმომადგენლები არიან: მემკვიდრე უფლისწული ვილემ-ალექსანდრე, უფლისწული იოჰან ფრიზო და კონსტანტინე. ორი მათგანი უკვე ცოლიანია, მესამე იოჰან ფრიზო კი, დაქორწინებას 2004 წლის გაზაფხულზე აპირებს. სხვათა შორის, იმასაც ამბობენ, რომ ლუდისა და ხმაური-

ანი თავყრილობების მოყვარულ უფლისწულ ვილემს თავის დროზე დანტისტიკის ქალიშვილი, ემილი უყვარდა, მაგრამ როცა გულზვიადმა ბეატრიქსმა შეიტყო, რომ მისი ვაჟის საცოლის მარღვევში არისტოკრატიული სისხლის ერთი წვეთიც კი არ ჩქეფდა, ემილი მის თვალში მაშინვე არაობად იქცა. მიუხედავად ოთხწლიანი რომანისა, ვილემმა დედასთან ვერაფერი გააწყო. ამასობაში, ემილისაც მოჰპებრდა ლოდინი და კვლავ ძველ შეყვარებულს დაუბრუნდა...

დელოფალ ბეატრიქსს ჯერჯერობით, მხოლოდ ერთი შვილიშვილი ჰყავს – 2002 წლის 8 ივნისს დაბადებული ელიოზა სოფი ბეატრიქს ლოურენს, გრაფინია ორანჟ-ნასაუ, ლედი ასბერგი – უფლისწულ კონსტანტინეს ასული. მემკვიდრე უფლისწულის ვილემის მეუღლე მაქსიმა უახლოეს მომავალში ელის ბავშვს; როგორც ამბობენ, მათი პირშო 2004 წლის იანვარში უნდა დაიბადოს.

სამეფო ოჯახის წევრები აქტიურ საზოგადოებრივ ცხოვრებას თავს არ არიდებენ. დელოფალი ყოველწლიურად, ოფიციალურად სტუმრობს რამდენიმე ქვეყანას. ის და მისი ოჯახის წევრები ასობით გამოფენას სტუმრობენ, მონაწილეობენ დღესასწაულებში, ზეიმებსა და სხვა ღონისძიებებში. თუცა, ინფორმაცია სამეფო სახლის წევრთა პირადი ცხოვრების შესახებ, მკაცრად გასაიდუმლოებულია. ამ ტრადიციას სათავე დაელო მაშინ, როცა ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა მეფის ასულმა ბეატრიქსმა განაცხადა: „ჩვენი შვილების ბედნიერება, საზოგადოებრივ მოღვაწეობაზე მნიშვნელოვანია. ისინი, რამდენადაც შესაძლოა, ნორმალურ პირობებში უნდა იზრდებოდნენ: სრულიად ჩვეულებრივი სკოლა, მეგობრების წრე და ა.შ. უმჯობესია, რომ რეალურ ცხოვრებას გაეცნონ“.



მას და მის მეუღლეს – კლაუსს საზოგადოება კარგა ხნის მანძილზე უბედნიერეს წყვილად მიიჩნევდა

ალექსი რეხვიაშვილი

თუ ფეხბურთი „სპორტის მეფეა“, მაშინ კალათბურთს თამამად შეიძლება ვუწოდოთ „სპორტის დედოფალი“. კალათბურთი თავისი სანახაობრიობით, დინამიკურობითა და ემოციური მუსტიტით მართლაც, სპორტის გამორჩეული სახეობაა, რომელიც წლიდან წლამდე უფრო პოპულარული ხდება და მეტ ქომავს იძენს.

ცოტა ხნის წინ, სტარტი აიღო NBA-ს ჩემპიონატმა, რომელიც უკვე რამდენიმე ათეული წელია, რაც უძლიერეს საკალათბურთო ტურნირად ითვლება და მასში მონაწილე, თუნდაც ყველაზე სუსტ გუნდში მოხვედრაზე, ნებისმიერი ახალგაზრდა მოთამაშე ოცნებობს. ვიდრე კალათბურთი იმ დონეს მიაღწევდა, რითაც მსოფლიოს მილიონობით ქომავს ხიბლავს და აჯადოებს, სპორტის ამ სახეობამ საკმაოდ გრძელი, წინააღმდეგობებით აღსავსე გზა განვლო.

თურმე ჯერ კიდევ მეათე საუკუნეში მექსიკის ტერიტორიაზე მცხოვრები ინდიელები თამაშობდნენ „პოკ-ტა-პოკ“-ს, რომელიც კალათბურთს წაგავდა. ისინი „პოკ-ტა-პოკს“ განიხილავენ, როგორც კოსმოსის მეტაფორას – ბურთის მოძრაობა მათ, სამყაროში პლანეტების გადაადგილებას აგონებდათ. გუნდის მიზანს მეტოქის კედელზე გვერდულად დამკრეპულ ქვის რგოლში, ოთხკუთხედიანი კაუჩუკის ბურთის ჩადება წარმოადგენდა. ამასთან, მოთამაშეებს ბურთის მოგერიება მხოლოდ ბარდაყვით, იდაყვებით, მხრებით, ღუნდულის კუნთებით ან ზურგით შეეძლოთ. დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა მათ გარეგნობასაც. მოთამაშეები სხეულს რიტუალური სიმბოლოებით ინახავდნენ, ტყავის, დამკვავ ტანსაცმელს იცვამდნენ, თავებს კი, ეგ ზოტიკური ფრინველების ბუმბულებითა და ავგაროზებით იშობდნენ. შეჯიბრება ბელადთა, ქურუმთა და მრავალრიცხოვანი მყურე-ბლის თანდასწრებით მიმდინარეობდა. გამარჯვებულ გუნდს საპატიო პრიზით აჯილდოებდნენ, ხოლო თუ ქურუმები მიიწვევდნენ, რომ მოთამაშეებმა ოსტატობის მწვერვალს მიაღწიეს და ღმერთებთან გასაჯიბრებლად უკვე მზად იყვნენ, „ბედნიერ“ გამარჯვებულებს... მსხვერპლად სწირავდნენ.



შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე კალათბურთი სპორტის ერთადერთი პოპულარული სახეობაა, რომლის წარმოშობის თარიღი და ადგილი ზუსტადაა ცნობილი.

ყველაფერი 1891 წლის დეკემბერში, მასაჩუსეტსის შტატში მდებარე ახალგაზრდული ქრისტიანული ასოციაციის კოლეჯში დაიწყო. თურმე კოლეჯის მოსწავლეები მეტისმეტად ზარმაცობდნენ ტანვარჯიშის გაკვეთილებზე, რომელსაც მოსაწყენად მიიჩნევდნენ. ამ მდგომარეობიდან გამოსავალი კოლეჯის ერთ-ერთმა მოსწავლეებმა, ჯეიმს ნეისმიტმა მოძებნა: მან სპორტულ დარბაზში, მოპირდაპირე კედლებზე ორი ჩვეულებრივი კალათი მიამაგრა. შემდეგ 18 სტუდენტი ორ გუნდად დაყო და მათ ახალი სპორტული თამაშის მარტივი წესებიც გააცნო. მოთამაშეებს მოწინააღმდეგის კალათში რაც შეიძლება მეტჯერ უნდა ჩაეგდოთ ბურთი. ნეისმიტმა დაფაზე ახალი თამაშის 30 პუნქტისგან შემდგარი წესების ნუსხაც გააკრა. საინტერესოა, რომ სულ მალე, ის ფურცელი გაქრა. როგორც გაირკვა, ის სუენინარდ წაუღია ერთ-ერთ სტუდენტს, რომელმაც რამდენიმე დღის შემდეგ „დანაშაული“ აღიარა.

ახალ თამაშს Basketball (basket – კალათა, ball – ბურთი) უწოდეს. ბუნებრივია, საუკუნის წინ იგი ნაკლებად ჰგავდა სპორტის იმ სახეობას, რომელსაც დღეს მილიონობით ქომავს ჰყავს მთელი პლანეტის მასშტაბით. მაგალითად, ძველი წესები ბურთის ტარებას არ ითვალისწინებდა – მოთამაშეები მას პირდაპირ გადასცემდნენ ერთმანეთს და კალათში მოთავსებას ცდილობდნენ, თანაც ტყორცნას ორივე ხელით ახორციელებდნენ. წარმატებული ტყორცნის შემდეგ კი, ერთ-ერთი მათგანი კედელზე მიკრულ კიბეზე აღიოდა, რათა კალათიდან ამოეღო ბურთი.

უკვე 1892 წლის 12 თებერვალს


**კალათბურთის გზა
«პოკ-ტა-პოკიდან»
ამერიკული ლიგის
სუპერმასტერებად**

სპრინგფილდის კოლეჯის სტუდენტებმა, ასი მაყურებლის თანდასწრებით, კალათბურთის ისტორიაში პირველი „ოფიციალური“ მატჩი გამართეს, რომელიც სრულიად მშვიდობიანად, ანგარიშით 2:2 დასრულდა. ამ შეხვედრამ მაინც დიდი რეზონანსი გამოიწვია. მალე სპრინგფილდის ორი გუნდი საჩვენებელი მატჩების ჩატარებას შეუდგა, რაც საზოგადოებაში დიდ ინტერესს იწვევდა. კოლეჯის სტუდენტებს სხვა მოსწავლეების წარმომადგენლებმაც მიჰბაძეს და მალე, მთელი ჩრდილოაღმოსავლეთ ამერიკა Basketballs-ის ციებ-ცხელებამ მოიცვა.

სტუდენტები ინტენსიურად ქმნიდნენ სამოყვარულო კლუბებს. კალათბურთი სულ უფრო და უფრო პოპულარული ხდებოდა. ახალგაზრდები ახალ თამაშს ანიჭებდნენ უპირატესობას და ამერიკული ფეხბურთისა და ბეისბოლის მიმართ გულგრილობას იჩენდნენ. ახალგაზრდული ქრისტიანული ასოციაციის მოხელეებს განსაკუთრებით ის აშფოთებდათ, რომ სტუდენტებს სასწავლებლებში კულტივირებული ტანვარჯიშის გახსენებაც აღარ სურდათ. სწორედ ამიტომ, კოლეჯების მესვეურები ახალი თამაშის აკრძალვას ცდილობდნენ, მაგრამ ამან უკუეფექტი გამოიწვია: სწორედ, ახალგაზრდული ქრისტიანული ასოციაციის ჩი-

კალათბურთის შემქმნელი ჯეიმს ნეისმიტი





ნოვნიკთა გადაწყვეტილებამ მისცა ბიძგი პირველი „პროფესიონალური“ მატჩის ჩატარებას. ეს მოხდა 1896 წელს, როდესაც ტრენტონის (ნიუ-ჯერსის შტატი) გუნდმა სპორტული დარბაზის ქირის გადასახდელად თავის მატჩზე ბილეთები გაყიდა. თამაშის შემდეგ, კალათბურთელებმა აღმოაჩინეს, რომ ბილეთების გაყიდვით შემოსული თანხა დარბაზის ქირისას აღემატებოდა. ამის შედეგად, ტრენტონის გუნდის თითოეული წევრი 15 დოლარით გამოიდრდა.

პირველი ოფიციალური ორგანიზაცია – ნაციონალური საკალათბურთო ლიგა, რომელშიც პროფესიონალური გუნდები გაერთიანდნენ, 1898 წელს დაარსდა და ხუთი წლის განმავლობაში არსებობდა, რის შემდეგაც რამდენიმე დამოუკიდებელ ასოციაციად დაიშალა. შემდგომში ეს საკალათბურთო გაერთიანებები საკუთარ ჩემპიონატებს ატარებდა.


საუკუნის წინ, გუნდებს ყოველი მატჩისთვის შეეძლოთ ახალ მოთამაშესთან კონტრაქტის გაფორმება და კალათბურთელები ერთ ჩემპიონატში იმ კლუბს ირჩევდნენ, რომელიც მეტს გადაუხდიდა. ინდივიდუალური კონტრაქტების თანახმად, კალათბურთელი თითო მატჩში იმდენ დოლარს იღებდა, რამდენ წუთსაც დაყოფდა მოედანზე. როგორც მოთამაშეები, ასევე მაყურებლებიც დიდ აგრესიულობას იჩენდნენ, ამიტომ მოედნებს ლითონის ბადით ღობავდნენ. თუმცა, ღობეს თავისი უარყოფითი მხარეც ჰქონდა – მასზე მიჯახებისას სპორტსმენები ხშირად მძიმე ტრავმებს იღებდნენ და 1929 წელს, მოედნების შემოღობვა აიკრძალა. სხვათა შორის, ჯერ კიდევ მეცხრამეტე

საუკუნის მიწურულს საკალათბურთო წესებში არაერთი პროგრესული ცვლილება შეიტანეს. მაგალითად, უკვე 1892 წლიდან კალათებს ძირები აღარ ჰქონდა. ცოტა მოგვიანებით, ხილის კალათები ლითონის რგოლებით შეცვალეს, შემდეგ კი, რგოლებზე სპეციალური ბადებიც დაამაგრეს. ბუნებრივია, თანდათან იცვლებოდა თამაშის წესებიც.

მატჩების ორგანიზატორებს ხშირად ექმნებოდათ პრობლემები მოთამაშეთა რაოდენობის გამო. 1897 წლამდე, ზუსტად არ იყო განსაზღვრული მოედანზე მყოფ კალათბურთელთა რაოდენობა. ზუსტად 106 წლის წინ დადგინდა, რომ თითოეულ გუნდს 5-5 მოთამაშე უნდა გამოეყვანა. მამინვე გადაწყდა, რომ კალათბურთელს წესების ხუთჯერ დარღვევის უფლება მისცემოდა, მეექვსე შენიშვნის მიღების შემთხვევაში კი, შეხვედრის ბოლომდე დაეტოვებინა მოედანი.

1925 წელს შეიქმნა ამერიკის საკალათბურთო ლიგა, რომელმაც აშშ-ის ჩრდილოაღმოსავლეთის გუნდები გააერთიანა. თავდაპირველად, ლიგის მიერ მოწყობილ ჩემპიონატებში ნიუ-იორკის კლუბი – „ორიჯინალ სელტიკის“ დომინირებდა, რომელმაც 5 წელი იარსება და მეტოქეებზე მთელი თავით მალა იღვა.

რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, კალათბურთი თვით დიდი დებრესის წლებშიც ვითარდებოდა. აშშ-ის მთელ ტერიტორიაზე ახალ-ახალი საკალათბურთო გუნდები ყალიბდებოდა, რომელიც ქალაქიდან ქალაქში დადიოდა და საჩვენებელ მატჩებს ატარებდა. ხშირად კი, ამგვარი მატჩები თეატრალიზებული



შოუს ელფერს იძენდა – მოთამაშეები თავიანთი ტექნიკის დემონსტრირებით ხიბლავდნენ მაყურებელს. სხვათა შორის, 1927 წლის იანვარში ვინმე ეიბ სეიპერსტანმა ცირკის მსახიობ კალათბურთელთა გუნდი – „პარლემ გლობტროტერსი“ ჩამოაყალიბა, რომელშიც მხოლოდ შავკანიანები გაერთიანდნენ. „პარლემ გლობტროტერსის“ წარმომადგენლები თავიანთი ტრიუკებით ცდილობდნენ მაყურებლისთვის დაემტკიცებინათ, რომ კალათბურთი ხელოვნებასთან წილნაყარი სპორტის სახეობა იყო.

კალათბურთის განვითარებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი სპორტის ამ სახეობის პოპულარობამ ამერიკულ კოლეჯებსა და უნივერსიტეტებში. სტუდენტური საკალათბურთო ლიგები სათამაშო წესების დახვეწაზეც მუშაობდა, რაც მატჩებს უფრო მეტად სანახაობრივს ხდიდა. ბურთი, რომელსაც მეოცე საუკუნის დასაწყისში ნიპელი ჰქონდა ამოშვერილი (რაც თამაშის დროს პრობლემებს უქმნიდა კალათბურთელებს), იდეალურად მრგვალი გახდა. სწორედ ამგვარი ბურთის იატაკზე დარტყმით, დრიბლინგიც იყო შესაძლებელი. მისი ტარება ახალი წესების თანახმად, მხოლოდ ერთი ხელით შეიძლებოდა. ასე რომ, ბურთთან ერთად მოძრაობა მოთამაშეთა ტექნიკის უმთავრეს ატრიბუტად იქცა.

კალათბურთის განვითარების ისტო-

რიაში უმნიშვნელოვანესი აღმოჩნდა 1936 წელი, როდესაც სპორტის ეს სახეობა ბერლინის ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებში შეიტანეს. ცოტა ხნის შემდეგ კი, დაფიქსირდა ორი შემთხვევა, რომელმაც კალათბურთი სულ სხვა რელსებზე გადაიყვანა. 1936 წლის იანვარში ორ სტუდენტურ გუნდს შორის მატჩის მსვლელობისას, სტენფორდის უნივერსიტეტის წარმომადგენელმა, ჰენკ ლუიზეტიმ, რომელიც მანამდე მოედანზე არაფრით გამოირჩეოდა, კალათში ცალი ხელით მოათავსა ბურთი (გასაკვირია, მაგრამ მანამდე ასეთი გენიალური იდეა არავის მოსვლია თავში). ლუიზეტის იდეა მისმა კოლეგებმა იმწამსვე აიტაცეს, რის შედეგადაც რამდენიმე თვეში თამაშმა სულ სხვაგვარი სახე მიიღო.


მეორე მნიშვნელოვანი შემთხვევა, რომელმაც ასევე, კალათბურთის პროგრესს შეუწყო ხელი, 1937 წლის გაზაფხულზე მოხდა. ახალი წესის თანახმად, თამაშს განაახლებდა გუნდი, რომლის კალათშიც ბურთს ჩააგდებდა მეტოქე; მანამდე, შედეგადანი ტყორცნის შემდეგ, თამაშის განახლება მოედნის ცენტრში, მსაჯის მიერ ბურთის ვერტიკალურად აგდებით ხდებოდა. საკალათბურთო წესებში შეტანილმა ცვლილებებმა, თამაში კიდევ უფრო სწრაფი და შთამბეჭდავი გახადა. მოუხედავად ამისა, ზემოთ ჩამოთვლილ ცვლილებებს 1937 წელს შექმნილ ნაციონალურ საკალათბურთო ლიგაში შემავალი ცამეტვე პროფესიონალური კლუბი არ იზიარებდა, რის გამოც მატჩების წინ ხშირად იმაზე კამათობდნენ, თუ რომელი წესების მიხედვით უნდა გამართულიყო შეხვედრა.

ნაციონალურმა საკალათბურთო ლიგამ სრულფასოვანი ფუნქციონირება 1946 წლიდან გააგრძელა, მას შემდეგ, რაც პროფესიონალი კალათბურთელები, მეორე მსოფლიო ომიდან სამშობლოში დაბრუნდნენ. სწორედ იმ პერიოდში, ლიგას, ამერიკის კალათბურთის ასოციაციის სახით, კონკურენტი გამოუჩნდა. თუმცა, ორ გაერთიანებას შორის „ცივი ომი“ მალევე დასრულდა. 1949 წელს ნაციონალური საკალათბურთო ლიგა შეერწყა ამერიკის კალათბურთის ასოციაციას. ახალ გაერთიანებას NBA – „ნაციონალური საკალათბურთო ასოციაცია“ ეწოდა, რომელსაც დღეს მთელი მსოფლიო იცნობს.

რაც შეეხება სამოყვარულო კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციას – FIBA-ს – იგი 1932 წელსაა დაარსებული, თუმცა ამ ორგანიზაციის დასახელებიდან სიტყვა „სამოყვარულო“ დღეს უკვე ამოღებულია. NBA-სა და FIBA-ს ევიდით ჩატარებული მატჩების წესებში, კარდინალური განსხვავება არ არსებობს. ცალკე გამოყოფის ღირსია მსაჯობა სამი არბიტრის მონაწილეობით, რაც ოკეანის გაღმა მიღებული, აგრეთვე ტაიმის განსხვავებული ხანგრძლივობა: NBA-ს მატჩებში მატჩის მეოთხედი 12 წუთს შეადგენს, ხოლო FIBA-ს შეხვედრებში – 10 წუთს.

ახლა რამდენიმე საინტერესო სტატისტიკურ მონაცემსაც შემოგთავაზებთ.

ყველა დროის ყველაზე ტანმაღალ მოთამაშედ, 1943 წელს დაბადებული სულეიმან ალი ნაშნუში (245 სმ) ითვლება, რომელიც 1962 წელს ლიბიის გუნდის ღირსებას იცავდა. ყველაზე ტან-



„მფრინავი“ მაიკლ ჯორდანი

მაღალი კალათბურთელი ქალი კი, 1952 წელს დაბადებული იულიანა სემიონოვა გახლდათ (210 სმ), ყოფილი საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრი. ყველაზე მაღლა მოთავსებულ კალათში (358 სმ) ბურთის „ჩატენა“ „ჰარლემ გლობტროტერსის“ მოთამაშეებმა – შონ უილიამსმა და მაიკლ უილსონმა 1996 წლის 16 სექტემბერს Disney-MGM-ის სტუდიაში განახორციელეს.

1989 წლის 25 თებერვალს „ფეირფოუ ხაი სკუპისა“ და „იროკე ხაი სკუპის“ (პენსილვანიის შტატი) შეხვედრისას, კრისტოფერ ედმ 27,49 მეტრის მანძილიდან მოათავსა ბურთი კალათში. მან მატჩის ბოლო წამებზე განახორციელა ტყორცნა და „ფეირფოუს“ ანგარიშით – 51:50 გაამარჯვებინა.

NBA-ს ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა დებიუტანტად შერმინ ო'ნილი ითვლება, რომელიც 1996 წლის 5 დეკემბერს – „პორტლენდ ტრეილ ბლეიზერსს“ „დენვერ ნავეთსთან“ პაექრობისას დაეხმარა. მაშინ იგი 18 წლის და 53 დღისა იყო. NBA-ს ყველაზე „მსცოვანი“ კალათბურთელი კი, „ჩიკაგო ბულზის“ ყოფილი წევრი რობერტ პერიშია: 1997 წლის 19 აპრილს იგი 43 წლისა და 231 დღისა იყო, როდესაც თავისი გუნდის შემადგენლობაში ბოლო მატჩში გამოვიდა მოედანზე.

დაბოლოს, ქართული კალათბურთის დიდ პოტენციალზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ NBA-ში ამჟამად ჩვენი ქვეყნიდან სამი კალათბურთელი თამაშობს: ნიკა ცქიტიშვილი („დენვერი“), ზაზა ფაჩუღია („ორლანდო“) და ვლადიმერ სტეფანი („პორტლენდი“).

„კვირის პალიტრი“ სასწავლო კომპიუტერული ტენზიკი
გთავაზობთ კომპიუტერის უმსწავლელ ინდივიდუალურ კურსებს:

საოფისო, საგამომცემლო, გრაფიკული და ანიმაციური პროგრამები.
 პროგრამირება და ვებ-დომინი.
 შეისწავლება აგრეთვე პრინტერთან, სკანერთან და ქსელში მუშაობა, ინტერნეტი.
 საგამომცემლო პროგრამების შესწავლისას მსურველები პრაქტიკას გაივლიან „კვირის პალიტრის“ გამოცემებში.
 დამწყები და მოქმედი ჟურნალისტებისთვის ისწავლება აუცილებელი კომპიუტერული კურსი.

მსმენელთა მიღება ყოველდღე, კვირის გარდა
 15⁰⁰-დან 18⁰⁰ სთ-მდე „კვირის პალიტრის“ ოფისში.
 მისამართი: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან).
 დამატებითი ცნობებისთვის დარეკეთ:
 33-27-99; 38-68-77; 8(77) 44-24-74.

შესაძლებელია საუკეთესო მსმენელთა დასაქმება

დიზაინერი მბნანა ანთელიძე მსოფლიოში აღიარებული თბილისელი ფერმწერის, ლეონიდ სემეიკოს მეუღლეა. მათ ერთი ვაჟიშვილი ჰყავთ, რომელმაც ლონდონის გოლდსმის კოლეჯი დაამთავრა და ახლა, ლონდონის სამეფო-სამხატვრო აკადემიაში სწავლობს. საბურთალოზე, ერთ ჩვეულებრივ სახლში სამივე მათგანის არაჩვეულებრივი ნამუშევრებია თავმოყრილი. ქალბატონი მანანა ნელინადის გარკვეულ ნაწილს მეუღლესთან ერთად მოსკოვში ატარებს. ამჟამად ის თბილისში იმყოფება და ახალ მოდელებზე მუშაობს. მის შესახებ ერთსულოვანი აზრი არსებობს — მას „ჰაიკლასის“ დიზაინერად მიიჩნევენ. საოცარი ის არის, რომ არც მოდელების სახლი აქვს და არც ბუტიკი, სადაც თავის ნამუშევრებს გამოჰყენდა. ახალი კოლექციით იშვიათად ახალისებს ქართველ მოდის მოყვარულთ. მისი ბოლო კოლექცია — „ქალი, სამხრეთი, მოგზაურობა“ — ამის უტყუარი დასტური იყო.



რაც მოდაშია, ის აღარაა საინტერესო...

ლეა ჭანკოტაძე

— ქალბატონო მანანა, გვიამბეთ თქვენი მოსკოვური მოღვაწეობის შესახებ... ალბათ იოლი არ იყო იქ დამკვიდრება, არა?

— როცა მოსკოვში ჩემს მეუღლესთან ჩავდივარ, თუკი ამ დროს საღმე არ მივემზავრებო, საინტერესო შეკვეთებს ვიღებ ხოლმე. ლიონია იმ წრის ადამიანებთან მეგობრობს, რომლებიც აუქციონებსა და საქველმოქმედო ღონისძიებებს აწყობენ. დიპლომატიურ კორპუსთან არსებობს „ლედი ქლაბი“, რომელიც ხშირად მართავს საქველმოქმედო ღონისძიებებს. ლიონიაც ქველმოქმედა. ამიტომაც, დიპლომატები და მათი ცოლები კარგად მიცნობენ. მათ აქვთ ტანსაცმლის ფართო არჩევანი და იმის საშუალებაც, რომ ახალი შეიძინონ, მაგრამ მათ წრეში ყველა იმას იცვამს, რასაც მაღალი კლასის ბუტიკები სთავაზობენ. არადა, ეს წრე ახალი ჰაბიტუსის და, შესაბამისად, ახალი ტანსაცმლის ძიებაშია. მათთვის ძალზე საინტერესო და მიმზიდველი აღმოჩნდა ის, რაც მე შემოძლია შევთავაზო.


— თქვენთან ტანსაცმლის შექმნა ძვირი საამოვნებაა?

— დიახ. ძალიან მრცხენია, მაგრამ ერთი საიდუმლო უნდა გაგიხილოთ: მე მაქვს ნაკლი, რომელსაც სწობიზმი ჰქვია, რაც იმაში გამოიხატება, რომ ჩემთვის ხარისხს უმთავრესი მნიშვნელობა აქვს. რაოდენობისთვის არანაირ ღათობაზე არ მივდივარ: მიჩნევიან, ცოტა შექმნა, მაგრამ ხარისხიანი, დახვეწილი და განსაკუთრებული. იმ საიმოვნებას, რომელსაც ტანსაც-

მლის დახვეწა მანიჭებს, ვერაფერი შეედრება. შეიძლება განებივრებული ვარ იმით, რომ ყოფითი პრობლემები არ მაწუხებს და ამიტომ, მაქვს საშუალება, მხოლოდ ხარისხზე ვიზრუნო.

— შეგიძლიათ, დაასახელოთ რამდენიმე ცნობილი ადამიანი, რომელმაც ტანსაცმელი შეგიკვთათ?

— მათ საზოგადოება ნაკლებად იცნობს, რადგან ისინი მომღერლები ან მსახიობები არ არიან. უმეტესად, დიპლომატებისა და მათი ცოლებისთვის ვქმნი



ტანსაცმელს, რომელიც მხოლოდ ხანმოკლე პერიოდისთვის არაა განკუთვნილი — მათი გამოყენება წლების მანძილზე შეიძლება.

— ე.ი. თქვენი მოდელები ელვის სისწრაფით არ გადის მოდიდან?

— ვამაყობ იმით, რომ ძალიან კარგად ჩამცმელი ქალები ხშირად მირეკავენ და მეუბნებიან: „შენი, სამი წლის წინ შეკერილი კაბა მეცვა საელჩოში და მაინც ყველაზე მოდურად ვიყავი ჩაცმული“. ვამაყობ იმითაც, რომ ჩემი ტანსაცმელი იმ ადამიანების გარდერობში კიდია, ვისაც ძალზე დიდი მატერიალური შესაძლებლობა აქვს.

— პირველად როდის გაგიჩნდათ სურვილი, რომ მოდელები შეგიქმნათ? თქვენ ხომ სამშენებლო ფაკულტეტი დაამთავრეთ.

— ამაში გასაკვირი არაფერია — მშენებლობაში ხომ სიბრტყიდან, ე.ი. ბრტყელი სამშენებლო მასალიდან ვქმნით სივრცეს; ასევე ქსოვილიდან — ე.ი. სიბრტყით ვქმნით მოცულობას. შედეგად ერთი და იგივეა. თანაც, შენობასა და ტანსაცმელს გარკვეულწილად, მსგავსი ფუნქცია აკისრია: ტანსაცმელი თითქოს პატარა სახლია, რომელიც ადამიანს ატმოსფეროს ზემოქმედებისგან იცავს, ამავე დროს, ესთეტიკური დატვირთვა აქვს — ისევე, როგორც სახლს...

— ალბათ გახსოვთ ის ადამიანი, ვინც პირველად შეგიკვთათ ტანსაცმელი.

— ჯერ საკუთარ თავზე ვიმუშავე. დიზაინერისთვის მთავარია, რომ დაფაროს ადამიანის სხეულის ნაკლი და წინა პლანზე

მისი დადებითი მხარეები წამოსწიოს. ყველაზე ლამაზ ქალსაც კი აქვს ნაკლი. არ მკითხვით — რა ფიზიკური ნაკლი გაქვსო? — ამაზე არ ვილაპარაკებ, რადგან აზრი არა აქვს ნაკლის დაფარვას, თუ შემდეგ, სიტყვიერად გამჟღავნებ მას. ასევე არასდროს არ ვისაუბრებ იმათ ნაკლებზე, ვინც მე ტანსაცმელს მიკვთოს: ეს ჩემი საიდუმლოა, თანაც — ქალს რაც უფრო სერიოზული ნაკლი აქვს, მით უფრო საინტერესოა მისი შემოსვა — რთულია, მაგრამ საინტერესო.

— საქართველოში თუ არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც თქვენთან იკერავენ ტანსაცმელს?

— არიან, მაგრამ მათი დასახელებისგან თავს შევიკავებ. მხოლოდ ერთის თქმა შემიძლია, რომ ბოლოს, ჯგუფ „რონდოსთვის“ შევქმენი ტანსაცმელი.

— როგორი აზრის ბრძანდებით ქართველ მოდელებზე?

— გამოვყოფ ნინო ჩუბინიშვილს, რომლის ტანსაცმელიც ძალიან დახვეწილია და დიდი შრომის შედეგადაა შექმნილი. რაც შეეხება სხვა ღიზიანერებს — მათ განსხვავებული პრინციპები აქვთ და ბევრი ადამიანის ჩაცმას ახერხებენ; ეს ცული არ არის, პირიქით...


— ამჟამად რა არის მოდაში?

— ვერასდროს ვიტყვი, თუ რა ფერია მოდაში ან რომელია ჩემი საყვარელი ფერი. ეს აბსურდულად მიმაჩნია, რადგან რაც მოდაშია, ის აღარაა საინტერესო... თუ ვინმესთვის ტანსაცმელი იმ ფერში მაქვს გადაწყვეტილი, რაც ყველას აცვია, ძალიან განვიცდი... ამდენად, ფერზე არ ვილაპარაკებ, ყურადღებას სილუეტზე ვაგამახვილებ. მართალია, უკვე აცივდა, მაგრამ ჯერ ისევ შესაძლებელია, გოგონამ მოკლე ქვედაკაბა ჩაიცვას, რაც აუცილებლად ჩექმასთან უნდა იყოს შესაბამისი. განსაკუთრებით მომწონს ძალიან მოკლე კაბაზე დაბალქუსლიანი ან საერთოდ უქუსლო ჩექმა. მოდაშია „ბუმბერები“ (დათბილული, მოკლე ქურთუკი. — ავტ.). მეორე ტიპაჟი ასეთია: გალიფე შარვალი ან შლაქი, მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი და „ბუმბერი“. ეს ორივე სილუეტი შეერულია, მაგრამ შემიძლია შემოგთავაზოთ გახსნილი სილუეტები: ნებისმიერ შარვალსა და სვიტერზე მოსაცმელი ლაბადა, რომელიც ქარის დროს ფრიალებს — ეს ძალზე ქალურ და მიმზიდველ სილუეტს ქმნის.

— რამდენი ხნის განმავლობაში ქმნით ერთ მოდელს?

— დამიკავშირდა „მის საქართველო“ — ირინა ონაშვილი, მიუხედავად იმისა, რომ მისი ოფიციალური სპონსორი არა ვარ, შეკვეთა მომცა. ის დეკემბერში მიემგზავრება „მის მსოფლიოს“ კონკურსზე, რომელიც ჩინეთში, ერთ-ერთ კუნძულზე

ყველაზე ლამაზ ქალსაც კი აქვს ნაკლი



გაიმართება. იქ ტემპერატურა +30 გრადუსი იქნება, ამიტომ მოდელები საზაფხულო ქსოვილებისგან შევქმენი. პრესკონფერენციებისა და ოფიციალური შეხვედრებისთვის შევუკერი შარვალი და მოკლე „კურტკა“, კოქტეილისთვის — ვერცხლისფერი კაბა, ასევე — ყოველდღიური კაბა. ეს სამი მოდელი ორ კვირაში შეიქმნა. ჩემთვის დიდი სიამოვნება იყო ირინასთან მუშაობა, რადგან ძალიან ლამაზია, თანაც თბილი და კარგად აღზრდილი.

— სხვა დროსაც თუ შეგიქმნით მოდელი რომელიმე „მისისთვის“?

— პირველი გოგონა, რომელიც საქართველოდან „მის ევროპაზე“ (ალბანეთში) გაემგზავრა, ჩემი ჩაცმული იყო. ასევე — „მის საქართველო“, რომელიც ბეირუთში წავიდა და ა.შ. ბევრის ჩამოთვლა

შემიძლია, მაგრამ განსაკუთრებული სიამაყით მინდა ერთი შემთხვევა გავიხსენო. ჩემი შეკერილი კაბა, რომელსაც გული ყვავილებით ჰქონდა გაწყობილი და ორ ფერში იყო გადაწყვეტილი, განსაკუთრებით ლამაზი აღმოჩნდა და ამიტომ, ვინც კი ნახა, ყველას დაამახსოვრდა. ზუსტად ისეთივე კაბა ოთხი წლის შემდეგ ეცვა ლეტისია კასტას, როცა მან სამკაულების ჩვენებაში მიიღო მონაწილეობა.

— რა ზოგადი რჩევა შეგიძლიათ მისცეთ ქალებს?

— მთავარია, არ ჰქონდეთ კომპლექსები. იმიტომ კი არა, რომ არ დაინახონ თავიანთი ნაკლი — პირიქით, ნაკლი უნდა აღმოაჩინონ და შეისწავლონ, მაგრამ არასდროს უნდა დაავიწყდეთ, რომ ტანსაცმელი ყოვლისშემძლეა.

— ცოტა რამ თქვენი ოჯახის შესახებაც გვითხარით.

— ოჯახის ყველა წევრი მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ვცხოვრობთ: მე თბილისში ვარ და დედას ვუვლი, ჩემი მეუღლე, ლიონია სემეიკო თერთმეტი წელია, რაც მოსკოვშია, ჩვენი შვილი, ანდრო სემეიკო — ათთელიძე სწავლობს და მუშაობს ლონდონში. მხოლოდ დღესასწაულებზე ვიკრიბებით ხოლმე. მე ციმბირში დაბადებული და გაზრდილი ვარ. მამაჩემი პოლიტპატიმარი იყო. დედამ მოძებნა, ჩააკითხა, ამიტომ ის ყოველთვის სიყვარულისა და ერთგულების სიმბოლოდ მიმაჩნდა, მამა კი — გმირობისა და ვაჟკაცობის... ლიონიაც თბილისელია.

— ისევ მოდას დაგუბრუნდეთ: რა რეაქცია გაქვთ, როცა უგემოვნოდ ჩაცმულ ადამიანს ხედავთ?

— არ მაღიზიანებს. არც ის ადამიანები მაღიზიანებენ, რომლებსაც ბევრი ფული აქვთ და მაინც ცუდად აცვათ: ადამიანები ერთმანეთისგან უნდა განვსხვავდებოდეთ, ეს ბუნებრივია...



ლიონია იმ წრის ადამიანებთან მეგობრობს, რომლებიც აუქციონებსა და საქველმოქმედო ღონისძიებებს აწეობენ

Alfa Romeo სწრაფად დაის და ცოცხალ ხახვას

მიმდინარე თვის მეორე ნახევრიდან, ევროპაში ახალი თაობის Alfa Romeo 166-ის რეალიზაცია დაიწყო. ეს ავტომობილი, Fiat-ის ჯგუფში შემავალი იტალიური ფირმის დღევანდელი სამოდელის ხაზის ფლაგმანია და წინამორბედ 166-თან შედარებით, გაცილებით ელევანტურია. თუმცა ეს მანქანა ნამდვილი სედანია, მისი ძარის სილუეტს სპორტულ კუპეს უფრო მოგაგონებთ. ახალი „აღფას“ ჩქაროსნული მახასიათებლებიც სავსებით შეესაბამება სპორტული მანქანისას: მაგალითად, 240 ცხ.ძ-ის სიდლაერის 6-ცილინდრიანი (3,2 ლ სამუშაო მოცულობა) ძრავით აღჭურვილი Alfa, 245 კმ/სთ მაქსიმალურ სიჩქარეს ავითარებს, 100 კმ/სთ სიჩქარემდე კი, 7,4 წმ-ში აღწევს; ამასთან, საწვავის საშუალო ხარჯი ყოველ 100 კმ-ზე 12,5 ლ-ს არ აღემატება.


5-ცილინდრიანი, 2,4 ლ მოცულობის დიზელის ძრავა პირველზე ეკონომიურია. მისი მახასიათებლები ასეთია: სიმძლავრე – 175 ცხ.ძ., მაქსიმალური სიჩქარე – 222 კმ/სთ, 100 კმ/სთ სიჩქარის განვითარების დრო – 8,9 წმ, საწვავის ხარჯი



– 7,5 ლ ყოველ 100 კმ-ზე. Alfa Romeo 166, როგორც 6-საფეხურიანი, ასევე 5-საფეხურიანი ავტომატურ გადაცემათა კოლოფით აღიჭურვება. ახალი ავტომობილი ოთხნაირი კომპლექტაციით მოეწოდება მომხმარებელს: Impression, Progression, Distinctive და სპორტული TI. ეს უკანასკნელი, Alfa Romeo-ის საფირმო ლოგოტიპით დამშვენებული, შავი

სპორტული სავარძლებით, წითელშუქიანი ხელსაწყოთა პანელითა და მსუბუქი შენადნობისგან დამზადებული, 18-დუიმიანი საბორბლე დისკებითაა აღჭურვილი. ყველა კომპლექტაციის აუცილებელ ატრიბუტებს წარმოადგენს უსაფრთხოების გვერდითი ბალიშები და კარების ავტომატური ბლოკირების სისტემა, რომლის ამოქმედება 20 კმ/სთ სიჩქარიდან იწყება.

Jaguar – ტყდიციებისა და ახალი ტექნოლოგიების შეხწყმის ნიმუში



ინგლისური ავტომობილი Jaguar XJ წარმატებით იყიდება კონტინენტურ ევროპაში და ღირსეულ კონკურენციას უწევს ისეთ პრესტიჟულ მოდელებს, როგორებიცაა „მერსედესი“, „ბე-ემ-ვე“ და „აუდი“. ეს მოდელი, დიზაინის შექმნასა და სალონის მოწყობაში გამოვლენილი ინგლისური კონსერვატიზმისა (ნატურალური ტყავი, ძვირად ღირებული ხე) და უახლესი ტექნოლოგიების საუცხოო ერთობა ერთმეორეში ნიმუშს წარმოადგენს.

მანქანის ძარა აღუმინისგანაა დამზადებული. მისი ელემენტების შედულები-

სას (მანქანას სულ 3200 „ნაკერი“ აქვს) სპეციალური მეთოდია გამოყენებული, რომელიც ისევე, როგორც ბევრი სხვა ტექნოლოგია, აეროკოსმოსურ დარგშია დამკვიდრებული. ყოველივე ამის შედეგად, კონსტრუქტორებმა ავტომობილის მასის მკვეთრად შემცირებას მიაღწიეს: 5,09 მ სიგრძის Jaguar 1,7 ტონაზე ნაკლებს იწონის.

მომხმარებლებს შორის ყველაზე დიდი პოპულარობით სარგებლობს მოდიფიკაცია Jaguar XJ8, რომელიც V ტიპის 8-ცილინდრიანი ბენზინის ძრავითაა აღ-

ჭურვილი. მისი სიმძლავრე 258 ცხ.ძ-ს შეადგენს, მაქსიმალური სიჩქარე 235 კმ/სთ-ს აღწევს, 100 კმ/სთ სიჩქარეს კი, 7,6 წმ-ში ავითარებს. საწვავის საშუალო ხარჯი ყოველ 100 კმ-ზე სულ 10,2 ლ-ია. ბუნებრივია, რომ ახალი „იაგუარი“ სრულყოფილი კომფორტულობით გამოირჩევა. მას პნევმატური

საკიდარი აქვს, რომელიც მაქსიმალურად ადაპტირდება მანქანის მართვის მანერასა და გზის საფრის მდგომარეობასთან. მძღოლისა და მგზავრების უსაფრთხოებას 6 საჰაერო ბალიში, მუხრუჭების ანტიბლოკირების სისტემა, საჭის გამაძლიერებელი (რომელიც მანქანის სიჩქარეზე რეაგირებს) და ელექტრონული კონტროლის მასტაბილიზებელი ემსახურება. ხალვათ სალონს, ასეთივე ვრცელი საბარგული (470 ლ მოცულობის) ერთვის. ევროპაში ეს ინგლისური საავტომობილო საოცრება 65.500 ევრო ეღირება. ■

იანვარი



შეუღებავ ხის იატაკს ან პარკეტს ცხიმის ლაქა რომ მოაცილოთ, საჭიროა ბენზინში ან სკიპიდარში დასველებული ტამპონით გაწმინდოთ, მოაყაროთ ტალკი, სახამებელი ან თეთრი მინის ფხვნილი, დააფაროთ რამდენიმე ფენა ფილტრის (ან ქაღალდის ხელსახოცი) ქაღალდი და დაუთოთ ნელთბილი უთოთი. დარჩენილი თეთრი ლაქა დაამუშავეთ მასტიკით.

თუ ლინოლეუმზე დაგესხათ ცხიმი ან ზეთი, დაუყოვნებლივ მოაცილეთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, მასზე მუქი ლაქები დარჩება. გაჭუჭყიანებული ადგილი სკიპიდარში დასველებული ნაჭრით გაწმინდეთ.

თუ ლინოლეუმისთვის არ იყენებთ მასტიკას, მაშინ გირჩევთ, სამ თვეში ერთხელ წაუსვათ ოლიფა, ხოლო შემდეგ კარგად გაწმინდოთ და რბილი ქსოვილით გააპრიალოთ.


ხის იატაკზე ღრიტოების დასაფარავად მოაშაადეთ საცხი: 5-ლიტრიანი ვედრო პირთამდე გაავსეთ ნახერხით ან დაქუცმაცებული ქაღალდებით, დაასხით მღულარე წყალი და ურიეთ მანამ, სანამ არ მიიღებთ ერთგვაროვან მასას. როცა გაცივდება (1-1,5 სთ), მცირე ულუფებით შპალერის წებო დაუმატეთ და ისევ ურიეთ. როცა მასა ჯოხზე მიკრობას დაიწყებს, ე.ი. შადაა. შპატელის დახმარებით გაწმინდეთ იატაკი და ღრიტოები, წაუსვით ღრიტოებს საცხი, ეცადეთ, რაც შეიძლება ღრმად ჩატენოთ და გააჩეროთ 2-3 დღე. როცა საცხი საბოლოოდ გამაგრდება, ნაწიბურები სახეხი ქაღალდით მოაშორეთ.

საპროფიტო კალენდარი

- შემწვარი თევზი გაცილებით გემრიელი იქნება, თუკი მას შეწვამდე, ხორბლის ფქვილის მაგივრად, მანანის ბურღულში ან სიმინდის ფქვილში ამოავლებთ.
- ჭურჭელი, რომელშიც უწინ ნავთი იყო ჩასხმული, თავდაპირველად ცხელი რძით უნდა გარეცხოთ. შემდეგ გარეცხილ ჭურჭელში ჩაყარეთ სარეცხი ფხვნილი და აავსეთ წყლით. რამდენიმე საათის შემდეგ წყალი გადაღვარეთ და პროცედურა თავიდან გაიმეორეთ. ჭურჭელი გაცივებით ადვილად გაირეცხება, თუ წყალი – ცივი, ხოლო რძე ცხელი იქნება.
- ხის დაფას ან ქოთანს უსიამოვნო სუნი ადვილად მოშორდება, თუკი მას ჯერ ცხელი წყლითა და ძმრით, ხოლო შემდეგ საპნის წყლით გარეცხავთ და ცივი წყალში კარგად გაავლებთ. ამ შემთხვევაში სოდის გამოყენება მიზანშეწონილი არ არის, რადგან მისგან ხე წითლდება.
- დიდი ხნის დასარეცხი ჭურჭლის გასასუფთავებლად აუცილებელია ცხელი წყალი, სარეცხი ყელე ან საპონი. მაცივარსა და ბუფეტში უსიამოვნო სუნი გაქრება, თუ თაროებზე ხახვის ნაჭრებს დააწყოთ.

იანვარში, რომ დავხრავთ კანს

მკერდის ფორმისა და ზომების შეცვლა ექიმების საქმეა, მაგრამ პლასტიკური ოპერაციისა და ქირურგიული ჩარევის გარეშე შეიძლება მას მეტი მიზიდველობა შესძინოთ. პირველ რიგში, უნდა გახსოვდეთ, რომ ქალს შეიძლება ჰქონდეს მთელნული ფეხები, მაგრამ მოხრილი ზურგი – არავითარ შემთხვევაში! გამართული ხერხემლისა და გაშლილი მხრების წყალობით, მკერდი ყოველთვის ლამაზად გამოიყურება, თუ სწორად დგახართ, მუცელიც შეწეულია, ყელიც ზემოთ აღერილი და ქალიც თავდაჯერებულია, რადგან სწორად შემართული სხეული მას ნამდვილად აძლევს სიამაყის საფუძველს. სწორი, გამართული სიარულის მანერის ათვისებაში კი ეს მარტივი ვარჯიში დაგეხმარებათ: დაიდეთ თავზე წიგნი და შეეცადეთ ასეთ მდგომარეობაში 3 წუთის განმავლობაში მაინც გაჩერდეთ. დაიმსხვრეთ, რა მდგომარეობაშია ამ დროს თქვენი ხერხემალი და შეეცადეთ, სიარულისას თუ ჯდომისას ყოველთვის ისე გეჭიროთ ტანი, თითქოს თავზე ის საყვარელი წიგნი გადეთ, რომელიც არ გინდათ, რომ ძირს დავარდეს.



მკერდის კუნთების გასამაგრებლად, საუკეთესოა ცურვა და იატაკიდან აჭიმვა. ეს ხელს შეუწყობს მხრების, ხელის კუნთების, ზურგის გავარჯიშებას. საბოლოოდ კი, ეს ვარჯიშები მკერდისთვის ლამაზი ფორმის მიცემაში დაგეხმარებათ.

ძალიან სასარგებლოა ცივი წყლის შხაპთან ერთად ჩატარებული მკერდის მასაჟი (ურთიერთსაწინააღმდეგო, წრიული მოძრაობით). მკერდის არეში ცივი წყლის პროცედურა ისეთ ჩვეულებრივ მოვლენად აქციეთ, როგორცაა, მაგალითად, კბილის წმენდის პროცედურა.

მკერდის კუნთების გასამაგრებლად, პანტლებების დახმარებითაც შეგიძლიათ ივარჯიშოთ. ძალიან სასარგებლოა მკვებაზე ნელსაცხებლების გამოყენებაც. დაბანის შემდეგ, კვირაში ერთხელ, მკერდზე შეიზილეთ კრემი და დაიფარეთ ზაოიანი პირსახოცი. 15 წუთის შემდეგ კი გადაივლეთ ცივი წყალი.

მკერდისა და კისრისათვის სასარგებლოა თვეში ერთხელ ნიღბის გაკეთებაც, რომელიც შემდეგნაირად მზადდება: 2 ს/კ ხაჭო ათქეფეთ 1 ს/კ ზეთუნის ზეთთან ერთად (შეგიძლიათ დაუმატოთ ცოტა არაჟანი და ახალგაწურული ხილის წვენი). ეს ნარევი წაისვით და 20 წუთის შემდეგ თბილი წყლით ან გვირილის შემთბარი ნაყენით ჩამოიბანეთ.

მკერდისთვის მავნეა მზის ულტრაიისფერი სხივები, ამიტომ პლაჟზე მკერდის გაშიშვლებას არ გირჩევთ.

მკერდი ცხიმოვანი შემადგენელი ქსოვილისა და ჯირკვლებისაგან შედგება. გახსოვდეთ, რომ სწრაფი გახდომის მიზნით შიმშილი, თქვენი სილამაზისთვის შეიძლება სასიფათო აღმოჩნდეს, რადგან ამ დროს მკერდის არეში ცხიმოვანი ქსოვილები კატასტროფული სისწრაფით იხლიჩება. არასწორი დიეტის შედეგად შერყეულ ჯანმრთელობასთან ერთად, დამჭანარი მკერდიც შეგჩრებათ ხელთ. ამიტომ დიდი სიფრთხილის გამოიჩინა გმართებთ.



გაგონიერი ადამიანების მოსხვედრი გაგონათმშაფავი

დახმარება

დიდი რუსი მეცნიერი, ნობელის პრემიის ლაურეატი ივანე პავლოვი ფიზიოლოგიაში მოღვაწეობის დაწყებისას, მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში იმყოფებოდა. მეგობრებმა ფული შეუგროვეს ახალი

კოსტიუმის საყიდლად, რადგან ძველი მეტისმეტად გასცვივოდა. ივანე პეტროვიჩმა დიდი მადლობა გადაუხადა ძვირფას მეგობრებს.

მეორე დღეს ლაბორატორიაში რომ მივიდა, ისევ ძველი კოსტიუმი ეცვა. სამაგიეროდ, გრძელ თოკზე გამობმული რამდენიმე ძალი მიიყვანა.

— ვერ წარმოიდგენთ, თქვენმა ფულმა როგორ სულზე მომისწრო... ექსპერიმენტებს ახლა უკეთ წარვმართავ... კოსტიუმი კი... ნეტავი თქვენ! ამ კოსტიუმის ჩაცმა კიდევ კარგა ხანს შეიძლება...

სამი დიდი მკურნალი

კოლეგებით გარშემორტყმული სახელგანთქმული ფრანგი ექიმი სასიკვდილო სარეცელზე იწვა.

— ბატონო, — თქვა მან, — ჩემი სიკვდილის შემდეგ, სამ დიდ მკურნალს ვტოვებ.

ექიმებმა ერთმანეთს გადახედეს. თითოეული მათგანი ფიქრობდა, რომ ის სამი მათ შორის იყო და სთხოვეს დაესახელებინა.

— წყალი, მოძრაობა, დიეტა, — გაისმა მომაკვდავის უკანასკნელი სიტყვები.

ცნობილი ავტორი

დეტექტიური რომანების ერთი ავტორი ცნობილი იყო იმით, რომ ძალიან სწრაფად წერდა თავის ნაწარმოებებს. ერთხელ გამომცემლობის დირექტორმა დაურეკა. მას მწერლის მდივანი

გამოეპასუხა:

— ახლა მე შეფს ვერ შევაწუხებ, თავის ახალ რომანზე მუშაობს.

— არა უშავს, ტელეფონთან დაველოდები, ვიდრე დაასრულებს.

იუმორისგები ყველგან როდი მოსწონთ

ერთმა ჟურნალისტმა მარკ ტვენს ჰკითხა:

— ტრესტის ფინანსური საქმოსნები თქვენდამი კეთილგანწყობილნი რატომ არ არიან?

— თვითონაც არ ვიცი რას მემართლებიან, — მიუგო მან ეშმაკური ღიმილით და თან გაზეთი უჩვენა, რომელშიც „სამი ბუზის“ სახელწოდებით შემდეგი ამბავი იყო დაბეჭდილი:

ერთ დედა ბუზს ორი ქალიშვილი ჰყავდა, რომელიც ძალიან უყვარდა. ერთ მშვენიერ დღეს საკონდიტროსაკენ გაისეირნეს.

— დედა, — სთხოვა ერთმა ქალიშვილმა, — არ შეიძლება იმ მშვენიერ წითელი კანფეტით პირი ჩავიტკბარუნო?

დედა ბუზმა ნება დართო და ქალიშვილი დიდი სიხარულით დააფრინდა მშვენიერ წითელ კანფეტს, მაგრამ უცებ ფრთები ჩამოყარა და სული განუტევა. წითელი კანფეტი მოწამლული აღმოჩნდა, რადგან იგი ამერიკის კანფეტის ტრესტის მიერ იყო გამოშვებული.

დედა ბუზს ახლა ერთი ქალიშვილია ჰყავდა, რომელსაც თავს დაჰკანკალებდა, ერთხელ ქალიშვილმა ძეხვი მოინდომა. დედა იგი ძეხვეულის მალახიში წაიყვანა, მაგრამ ოდნავ მოკიკნა თუ არა, საბრალოს მაშინვე კრუნჩხვა დაეწყო და მოკვდა.

ძეხვი მოწამლული იყო, რადგან იგი ამერიკის ძეხვეულის ტრესტის ნაწარმი გახლდათ.

საბრალო დედა ბუზი სასოწარკვეთილებაში ჩავარდა, რადგან ორივე შვილი დაკარგა. მას სიცოცხლე აღარ უნდოდა და ბუზსაჭერი ქაღალდი მოკიბა, მაგრამ ნანატრ სიკვდილს ვერ ეღირსა — ბუზსაჭერი ქაღალდი უვნებელი იყო, რადგან იგი ამერიკის ბუზსაჭერის ტრესტმა გამოუშვა.

ანექდოტები

ოსი ეუბნება კახელს:

— სენი წირიძე, რაც ანეკდოტებია, სულ თქვენზე და ჩვენზეა.

კახელი:

— ერთი შენიც... ანეკდოტები თქვენზეა, თორე ჩვენზე სულ სიმართლეა ყველაფერი...

— მამიკო, დღეს სკოლაში მშობელთა კრებაა ვიწრო წრეში.
— რას ნიშნავს „ვიწრო წრეში“?

— მხოლოდ მე, შენ და დირექტორი ვართ დაბარებულები.



— გათხოვილი ხართ? — კითხება მოსამართლე მოწმეს.

ქალმა ამოიხრა.

— არა. — ჰკანახობს მის მაგივრად მოსამართლე მდივანს.

კაცმა ამოიხრა.

— ცოლიანია, — ავრძელებს კანახს მოსამართლე.

— უკაცრავად, ქალბატონო, ახლომხლო პოლიციელი ხომ არ შეგინიშნავთ?

— არა, არც ერთი.

— მაშინ ძვირფასეულობა მოიხსენიო!

მამა:

— ჰოდა, ჩემი ქალიშვილი გამომიტყდა, რომ სურს, თქვენ გამოგყვით ცოლად. თქვენ უკვე გადაწყვიტეთ, როდის უნდა იქორწინო?



— ეს მას მივანდე. მამა:

— ეკლესიაში დაიწერთ ჯვარს თუ სამოქალაქო წესით დაქორწინდებით?

— ამას დედამისი გადაწყვეტს.

მამა:

— რითი აპირებთ თავის რჩენას?

— ეს თქვენზე იქნება დამოკიდებული, ბატონო!

„სექსომანია“ — ახალი დაავადება

რუბრიკას უძღვება ექიმი თამარ მამასაშვილი

კანადელ მეცნიერთა გამოკვლევისას დადგინდა, რომ „სექსომანია“ ნამდვილად არსებული ფსიქიკური დაავადებაა, რომელიც მკურნალობას ექვემდებარება. სექსუალური ქცევის სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ ამ დაავადების მქონე ადამიანთა რიცხვი დღითი დღე მატულობს, თუმცა მასობრივი ინფორმაციის საშუალებები მნიშვნელოვნად აზვიადებენ ამ უბედურების მასშტაბებს. ტერმინი „სექსომანია“ ძალიან ხშირად გამოიყენება, მისით სპეკულირებენ, ამახინჯებენ მის არსს.

არსებობს მონაცემები, რომ ზრდასრული მოსახლეობის დაახლოებით 3-5%-ს აქვს აღნიშნული ფსიქიკური დარღვევა. ისინი არ არიან პედოფილები. როგორც წესი, ისინი ტრადიციული სექსუალური ორიენტაციის მქონენი ან გეები არიან და გამონატული სექსუალური ფანტაზიები აქვთ. ამ ადამიანებს ამოძრავებს სექსობრივი აქტის ჩატარების სპონტანური სურვილი, რაც მათ სერიოზულ პრობლემებს უქმნის. სპეციალისტები ამტკიცებენ, რომ სექსომანია არ შეიძლება შევადაროთ ალკოჰოლიზმს, ნარკომანიას ან სხვა მდგომარეობას.

კვლევის პროცესში გაირკვა, რომ ბევრ პაციენტს შველის ანტიდეპრესანტები, რომელიც ტვინში დადებითი ემოციების განმაპირობებელი მედიკამენტების (მაგალითად, სეროტონინის) შემცველობას ზრ-

დის. ეს პრეპარატები თრეგუნავს სექსობრივ ლტოლვას და ორგაზმის შეგრძნების უნარს, რაც ზოგი მეცნიერის აზრით, სექსომანიით დაავადებულთა მკურნალობისას მათ ეფექტიანობას განაპირობებს. თუმცა აღმოჩნდა, რომ ახალი თაობის ანტიდეპრესანტები, რომელიც სექსუალურ ფუნქციაზე არ ახდენს გავლენას, ასევე ეფექტურია ამ მდგომარეობის დროს.

მინუსოტის უნივერსიტეტში ჩატარებული ტვინის ბირთვულ-მაგნიტურ-რეზონანსული გამოკვლევების წინასწარი შეფასება მიუთითებს ჯანმრთელი ადამიანებისა და „სექსომანების“ ტვინის აგებულების შესაძლო განსხვავებაზე. თუმცა ამ თეორიის დასამტკიცებლად შემდგომი მასშტაბური გამოკვლევებია საჭირო.

სპეციალისტებს დახმარებისათვის ყველაზე ხშირად მამაკაცი-ჰეტეროსექსუალი „სექსომანები“ აკითხავენ. ქალებს შორისაც მატულობს ასეთი პაციენტების რიცხვი, თუმცა ისინი არ აღიარებენ საკუთარ თავში რაიმე დარღვევებს და სამედიცინო დახმარებისთვის ექიმს არ მიმართავენ. ნიუ-იორკელ მეცნიერთა ჯგუფმა 183 გეი-მამაკაცი გამოიკვლია, რომლებიც ჩიოდნენ, რომ ვერ აკონტროლებენ თავიანთ სექსუალურ ცხოვრებას. სწორედ მათი შესწავლის შედეგად გამოიკვეთა „სექსომანის“ მოდელი. ექიმთა აზრით, პაციენტთა ამ კონტინენტს ნამდვილად ძლიერი ფსიქიკური განცდები ახასიათებთ, მათი ცხოვრება დანგრეულია.

„სექსომანიაზე“ სპეციალიზებული ფი-



ლაღელფიელი ფსიქოლოგები აცხადებენ, რომ ამ დარღვევის განვითარებისას ფსიქოთერაპია ყოველთვის აუცილებელია, იმ შემთხვევაშიც, როდესაც პაციენტი წამლებს ღებულობს. ამ ადამიანთაგან ბევრი სამაოდ წარმატებული პროფესიონალური თვალსაზრისით, მაგრამ აქვთ ოჯახური პრობლემები და სხვა უსიამოვნებანი.

საკმაოდ კარგ შედეგებს იძლევა ჯგუფური თერაპია სხვა „სექსომანებთან“ ერთად. ექიმები აღნიშნავენ, რომ დადებითი შედეგი გამოიღო საგანმანათლებლო მუშაობამაც იმის შესახებ, თუ როგორი ქცევაა საჭირო იმ სიტუაციებში, რომელმაც შესაძლოა ტრავმული მივიყვანოს.

ავადმყოფური სახლის სინდრომი

მტვერი და იმუნიტეტი

სპეციალისტთა შეფასებით ევროპასა და ამერიკაში შენობათა ერთი მესამედი უსიამოვნო სინდრომს იწვევს.

ასეთ ბინებში მცხოვრებ ადამიანებს დაავადება ერთნაირად უვლინდებათ: სხ-

ვადასხვაგვარი ალერგიული რეაქცია — სურდო, სუნთქვის, კანის პრობლემები, მწიწკნავი სახსრები, ძილის დარღვევა და ღებურსიაც კი. ზოგჯერ ეს სიმპტომები ბანალურ მწვავე რესპირატორულ დაავადებაში ერევათ, მაგრამ ეს „რესპირატორული ინფექცია“ სახლს თვეობით და ზოგჯერ წლობითაც არ ტოვებს. ექიმებმა ახალი დაავადების უსიამოვნო გართულებებიც აღმოაჩინეს — იგი არღვევს იმუნურ სისტემას, ამწვავეს ქრონიკულ დაავადებებს. „მომხდურისაგან“ თავის დაცვის საშუალება მხოლოდ ერთია: ჰაერი უნდა გაიწმინდოს სახლში, სოფლადაც და ქალაქშიც.

მაგრამ ჯერ მოდით, ბინის ჰაერი მიკროსკოპით დავათვალიეროთ. გაგიკვირდებათ და, ჰაერი სახლში ბევრად უფრო ჭუჭყიანი და ტოქსიკურია, ვიდრე ქუჩაში, სადაც თითქოსდა ავტომანქანებისა

და საწარმოების გამონაბოლქვებით, მტვერის ნაწილაკებითა და მცენარეთა მტვერით ჰაერი ბევრად უფრო დაბინძურებული უნდა იყოს. გარეთ ატმოსფეროს წმენდს ქარი, ღებინფექციას უკეთებს მზე და რეცხავს წვიმა. სახლის მტვერს კი (როგორც არ უნდა ეცადოს მტვერსასრუტი) ჩვენ მხოლოდ გადავადგილებთ ერთი კუთხიდან მეორეში და იგი ჰაერში დაფრინავს თვალისთვის შეუძინებლად. მხოლოდ მზის სხივზე ხდება ხილული მტვერის დაუსრულებელი ბროუნის მოძრაობა.

სტანდარტულ სამოთახიან ბინაში წელიწადში 20-დან 40 კგ-მდე მტვერი წარმოიქმნება. ადამიანი, რომელიც დღე-ღამეში 12 ათასამდე ლიტრ ჰაერს ჩაისუნთქავს, მტვერსასრუტით იწოვს მას. 1 ლიტრ ჰაერში კი 500 ათასამდე მტვერის ნაწილაკია.



ყოქტილი „ალერგია“

საიდან წარმოიქმნება მტვერი? ეს კითხვა ნებისმიერ დიასახლისს უჩნდება, როდესაც იგი წინა დღით დაწვრიალბულ სახლში მტვერის ახალ გროვებს აღმოაჩენს ხოლმე. მტვერის გაჩენაში თავისი წვლილი შეაქვს ქუჩიდან შემოტანილ ქვიშას, აზბესტს, ყვავილების მტვერს, მანქანების გამონაბოლქვს, რომელიც მძიმე ლითონებს (ტყვიას, კრემნიუმის ორჟანგს) შეიცავს; ამას ემატება კედლების, იატაკისა და ჭერისგან გამოყოფილი მცირე ნაწილაკები (საღებავის, ცარცის, ლაქის); ავეჯი, ინტერიერის საგნები და ტანსაცმელი წვრილ ძაფებს, ბუმბულისა და მატყლის ნაგლეჯებს გამოყოფს, ადამიანი და შინაური ცხოველები კი – თმას და კანის ქერცლს. ამ კოქტილიდან ყველაზე ცუდი მტვერის ტიპია, რომელიც ადამიანში ალერგიას იწვევს.

მტვერის ტიპი არ იკბინება. მეცნიერებმა დაადგინეს, რომ მრავალი ადამიანის სიცოცხლის მომწამლველ მთავარ ალერგენს ტიპის ფეკალური ბურთულები შეიცავს. ერთი ტიპი დღეში 15 ასეთ ბურთულას გამოყოფს. ის შეერევა სახლის მტვერს და ხვდება ცხვირის ღრუში, იწვევს წყლისმაგვარ გამონადენს ცხვირიდან, მრავალჯერად ცემინებას, ცხვირის ქავილს, ცრემლდენას, თვალეების დაწითლებას, ხველას, მძიმე შემთხვევაში – მოხრჩობის შეგრძნებას და ბრონქული ასთმის განვითარებას. ზოგიერთ პაციენტს შეიძლება მწვავე ჭინჭრის ციება და კვინკეს შეშუპება განუვითარდეს. ამ უსიამოვნებების თავიდან აცილება მხოლოდ ალერგენტთან კონტაქტის შეწყვეტითაა შესაძლებელი.

ოპტიმალური გამოსავალი

ეცადეთ, საცხოვრებლად ისეთი ბინა შეარჩიოთ, რომლის ყველა ოთახი დღის

რომელიმე მონაკვეთში მაინც კარგად ნათდება მზის სხივებით.

ლოგინი, რბილი ავეჯი და ხალიჩები, სადაც მტვერი ყველაზე ინტენსიურად გროვდება, პერიოდულად უნდა გამწვანდეს 3-4 სთ-ით მაინც. მზის პირდაპირი სხივები შლის ტიპის მიერ გამოყოფილ ალერგენს და გვიცავს ალერგიის განვითარებისგან.

ოთახები ხშირ-ხშირად უნდა გაანიავოთ, სასურველია, ორპირად.

სახლი დღეში ერთხელ მაინც უნდა დალაგოთ სველი წესით. პერიოდულად კი საღებავი ფეხით საშუალებები გამოიყენოთ.

ეს მარტივი ღონისძიებები საგრძნობლად გააჯანსაღებს თქვენს გარემოს და დაიცავს თქვენს იმუნურ სისტემას მტვერის მანვე ზეგავლენისგან.

შეჯიბრით ჰიპერტონიას



მიიხევენ ექიმები. ჰიპერტონიით დაავადებულთა მხოლოდ 5-10% ახდენს თავისი წნევის მუდმივ ნორმალიზებას.

გულ-სისხლძარღვთა დაავადებით გარდაცვლილთა თითქმის 3/4-ს არტერიული ჰიპერტონია და გულის იშემიური დაავადება ჰქონდა. არადა, სიკვდილიანობის შემცირების შესაძლებლობა საკმაოდ რეალურია. არტერიული ჰიპერტონიის დროს ძალიან მნიშვნელოვანია წნევის შემცირება ოპტიმალურ მაჩვენებლებამდე (140X90-ზე დაბალი). ასევე

ბული სიფრთხილედ მართებთ ქალებს, რომელთა წელის ზომა 88 სმ-ზე მეტია და მამაკაცებს, რომელთა შესაბამისი მაჩვენებელი მეტია 102 სმ-ზე. მით უმეტეს, თუ მათ ოჯახში ჰყავთ ჰიპერტონიის, დიაბეტის ან გულის იშემიური დაავადების მქონე წევრი. 30 წლიდან მათ რეგულარულად უნდა შეიმოწმონ სისხლში ქოლესტერინის დონე, რათა თავიდან აიცილონ ათეროსკლეროზი და ინფარქტი, როგორც მისი გართულება.

გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებების მქონეთათვის მთავარია აქტიური და რეგულარული მკურნალობა. საჭიროა, „სწორი“ პრეპარატების სწორად მიღება. ჩვენში ადამიანები ხშირად არჩევენ იმ პრეპარატებს, რომელიც მათთვისაა ცნობილი და არა იმას, რომლებსაც ექიმი უწერს. ამ წამლებიდან ბევრი უსარგებლოა. რა თქმა უნდა, ბევრი თანამედროვე პრეპარატი საკმაოდ ძვირია და მისი შეძენა უჭირთ ადამიანებს, მაგრამ თუ მას რაციონალურად, კომბინირებულად მიიღებთ ექიმის დანიშნულების შესაბამისად, შესაძლებელი იქნება გარკვეული ეკონომიის გაკეთება. არსებობს გულ-სისხლძარღვთა დაავადებების სამკურნალო იაფი, ხელსაყრელი პრეპარატების ჯგუფი – აფგ (ანგიოტენზინ-გარდაქმნელი-ფერმენტის) ინჰიბიტორები (ენალაპრილი, ფოზინოპრილი, დიროტონი, ენაპი). თუმცა ხშირ შემთხვევაში, მათი შეძენაც კი ჩვენი მოსახლეობისათვის არ არის იოლი. აღარაფერს ვამბობთ უახლეს პრეპარატებზე, რომლის ერთი აბიც კი საკმარისია მთელი დღის განმავლო-

დიდი მნიშვნელობა აქვს ექიმისადმი დროულ მიმართვას. თუ არტერიული ჰიპერტონიას არ უმკურნალებთ ერთი წლის განმავლობაში, შემდგომ უკვე იწყება გართულებები. ხოლო თუ ადამიანს აქვს გულის უკმარისობა, მძიმე შედეგების თავიდან აცილება შესაძლებელია, თუ სპეციალისტს ერთი თვის განმავლობაში მიმართავს. არტერიული ჰიპერტონიის სამიწროებას აღრმავებს ისიც, რომ ე.წ. „რბილი“ ჰიპერტონიით დაავადებულთა 30% არც კი ეჭვობს, რომ დაავადებულია და ხშირ შემთხვევაში ასეთი მდგომარეობა ინსულტებითა და ინფარქტებით მთავრდება, ხოლო თუ ადამიანი რეგულარულად გაიზომავს წნევას, დროულად ჩაიტარებს ელემენტარულ პროფილაქტიკურ თერაპიას, გართულებები შეიძლება თავიდან აიცილოს. ამიტომ ახალგაზრდებმა 15-17 წლიდან უნდა იცოდნენ თავიანთი წონა და არტერიული წნევა. განსაკუთრე-

ბაში. მაგრამ ეს წამლები ძალიან ძვირი ღირს.

ნებისმიერი წამლის მიღება უნდა შეუთანხმდეთ ექიმს. თუმცა ეს აუცილებელი მითითებაც ჩვენში ხშირად ვერ სრულდება ყველასთვის გასაგები მიზეზების გამო და პაციენტთა უმრავლესობა თვითღიაგნოსტიკასა და თვითმკურნალო-

ბას ეწევა, რაც ყოვლად დაუშვებელია.

კარდიოლოგებმა ბევრ ქვეყანაში შეიმუშავეს გულ-სისხლძარღვთა დაავადებების პროფილაქტიკის პროგრამა. ამერიკის შეერთებულ შტატებში ასეთი პროგრამა 20 წლის წინ შეიქმნა. ამ ხნის განმავლობაში იქ მიოკარდიუმის ინფარქტით სიკვდილიანობა 25%-ით

შემცირდა. ჩვენს ქვეყანაში არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, გირჩევთ, ნუ დაელოდებით მსგავსი პროგრამის შემუშავებას, თავად იზრუნეთ საკუთარ ჯანმრთელობაზე: გაიზომეთ წნევა და თუ რაიმე ცვლილებას აღმოაჩენთ, მიმართეთ ექიმს.

სასარგებლო რჩევები



მათთვის, ვინც ალუოჰოლის ხშირი მომხმარებელია:

ყველა სპირტიანი სასმელი ცვლის ნებისმიერი წამლის მოქმედებას: იგი შეიძლება გაძლიერდეს ან სრულიად სხვაგვარად იმოქმედოს;

● ნუ გაგიტაცებთ პარაცეტამოლი — მეტად დიდი მისიგან ღვიძლის ჯამური დაზიანების ალბათობა. პარაცეტამოლი თერაპიულ დოზებშიც კი უარყოფითად მოქმედებს ღვიძლზე, ხოლო ალკოჰოლთან ერთად შესაძლოა გამოუსწორებელი ზიანი მოგაყენოს;

● საბედისწეროა სპირტიანი სასმელისა და საძილე საშუალებების ან ტრანკვილიზატორების თანხვედრა: თავის ტვინს სერიოზული ზიანი ადგება. საძილეებსა და ტრანკვილიზატორებს დასამშვიდებლად ღებულობენ, ალკოჰოლი კი პირიქით, აფხიზლებს ანუ აქრობს წამლების ზემოქმედებას. ამის შემდეგ, აბებს განმეორებით ყლაპავენ. ასეთი „კოქტეილის“ მიღების შედეგად ადამიანმა შეიძლება ვეღარც გაიღვიძოს;

● მოერიდეთ ჰომეოპათიურ პრეპარატებს — ჰომეოპათია დაუშვებელია ალკოჰოლთან ერთად. თუ მანც გსურთ დაიწყოთ ჰომეოპათიური მკურნალობა, შეიცადეთ ბოლო ჭიქიდან 12 საათი მაინც.

მათთვის, ვისაც ბავშვები ჰყავს

● ნუ შეინახავთ წამლებს ბავშვის ოთახში. თუნდაც მაღალ კარადაში: ბავშვმა შეიძლება ბურთით კოლოფი გადმოაგდოს. შესანახად ოპტიმალური ადგილია იქ, სადაც მოზრდილი ბავშვი ვერ დაინახავს მას, ხოლო პატარა — ვერ მისწვდება;

● შეფუთვიდან ზუსტად იმდენი აბი ამოიღეთ, რამდენის მიღებასაც აპირებთ. შემდგომი მიღებისათვის წამლის წინასწარ მომზადება საჭირო არ არის: მოსალოდნელია, რომ თქვენს პატარას ექიმობანას თამაში მოუნდეს;

● ნუ დართავთ ნებას ბავშვს, რომ დამოუკიდებლად დალიოს წამლები. მან ეს მხოლოდ უფროსის მეთვალყურეობით უნდა გააკეთოს;

● არასოდეს შეაქოთ წამალი ბავშვის თანდასწრებით, თუნდაც პრეპარატი მართლაც ძალიან კარგი იყოს;

● წამლის მიღებაზე ბავშვის დაყოლიებისას ნუ ეტყვიტ მას, რომ ეს კანფეტია. გამოირიცხული არ არის, რომ თქვენი არყოფნისას პატარა თავად მოსურვებს „კანფეტებით“ განებივრებას;

● წამლის ყოველი გამოყენების შემდეგ შეამოწმეთ, კარგად დაახურეთ თუ არა ფლაკონს, რომ ბავშვმა ვერ შეძლოს მისი გამოყენება.

მათთვის, ვინც წამლებს ინტერნეტით ყიდულობს:

(წამლების შეძენის ეს ახალი ფორმა დღითი დღე უფრო პოპულარული ხდება კომპიუტერული ინტერნეტ-ქსელის პოპულარიზაციასთან ერთად).

უნდა დარწმუნდეთ, რომ თქვენ მიერ შერჩეული სააფთიაქო საიტი ოფიციალურია, რეგისტრირებულია და აქვს კარგი რეპუტაცია;

● ნუ გამოიწერთ წამალს დამოუკიდებლად: პრეპარატი თქვენს დაავადებას უნდა შეესაბამებოდეს;

● კარგ საიტზე ყოველთვის შეგიძლიათ მიიღოთ ფარმაცევტის კონსულტაცია. თუ ასეთი შესაძლებლობა საიტზე არ აქვთ, შეიცვალეთ საიტი და მოძებნეთ ახალი, რომელზეც იქნება კვალიფიცირებული, დარეგისტრირებული ფარმაცევტი და ის გიპასუხებთ ყველანაირ კითხვაზე. რიგანი საიტი არ გაიძულებთ, დამოუკიდებლად მოძებნოთ სპეციალისტი;

● ნუ ისარგებლებთ საზღვარგარეთული საიტებით. აგრეთვე იმ საიტებით, რომელიც არ იძლევა საკუთარ კოორდინატებს — მისამართს და საკონტაქტო მისამართებს;

● მოერიდეთ საიტებს, რომელიც რეკლამას უწევს „ახალ უნივერსალურ წამლებს“ სერიოზული დაავადებების სამკურნალოდ ან პანაცეას დაავადებათა ფართო დიაპაზონისათვის;

● მიენდეთ საკუთარ ინტუიციას. ვირტუალურ აფთიაქთან ურთიერთობისას იგივე მოთხოვნები უნდა გქონდეთ, რასაც რეალურ აფთიაქებს უყენებთ.

სკონდენტოლოგიური კლინიკა
გენერ-დენტი

1. უმტკივნეულო მკურნალობა მთელე ვადებში;
2. 100% სტრატეგია-აპიკალი;
3. დაბალი ვასება;
4. ულტრა თანამკერძოვე მასალები აშშ-ა და გერმანიაში;
5. მაღალკვალიფიკაციური მედ-პერსონალი;
6. უფასო კონსულტაცია;
7. მკურნალობა გარანტიით.

მის: თაშისუფლანის მოხაენი №48
(ახალქვედადის სასტუმრო „მარიონის“ ეზოში)
☎ 98-64-83

კვირის (10 - 16 ნოემბერი)

სსპროლოგიური პროგნოზი

ღვინგალი - 24/X-22/XI

ქალი: მიხედვით პირად ცხოვრებას, წინააღმდეგ შემთხვევაში, მომავალში დიდი ძალისხმევა დაგვირდებათ მის მოსაწესრიგებლად. თქვენი წარმატება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სწორად შეუთავსებთ ერთმანეთს მუშაობასა და დასვენებას.

მამაკაცი: მოემზადეთ სასიყვარულო თავგადასავლისთვის. თქვენით ისეთი ქალი აღფრთოვანდება, მეგობრები თქვენს ნაამბობში ეჭვსაც კი შეიტანენ. აქტიურად - ახლა ყველაფერი თქვენზეა დამოკიდებული.

მედიკოსი - 23/XI-21/XII

ქალი: ყველაფერი, რასაც ამ კვირაში ხელს მოჰკიდებთ, წარმატებას მოგიტანთ და მატერიალური პრობლემაც მოგესწვებათ. წადით საყიდლებზე ოჯახის წევრებთან ერთად და შეიძინეთ დიდი ხნის ნანატრი ნივთები.

მამაკაცი: ირგვლივ ყველაფერი ლამაზად გეჩვენებათ. კარგი განწყობა გადამდება. ამიტომ შეუარეთ მეგობარს, რომელსაც ამ ეტაპზე პრობლემები აქვს და შეეცადეთ, გაამხნევოთ და გაამხიარულოთ იგი..

თხის რქა - 22/XII-20/I

ქალი: კვირის ბოლოს ხასიათი საგნობლად გამოეკეთებათ: მოულოდნელად ისეთ საქმიან წინადადებას მიიღებთ, რომელზეც არც კი გიოცნებიათ. შაბათ-კვირა მეგობრებთან ერთად გაატარეთ, ოღონდ ბევრს ნუ ილაპარაკებთ.

მამაკაცი: საყვარელ ადამიანთან ურთიერთობაში ყველაფერი უკეთესობისკენ შეიცვლება, თუკი გამბედაობას მოიკრებთ და გულწრფელად ეტყვიან, რასაც მის მიმართ განიცდით.

მეჩვეული - 21/I-19/II

ქალი: სჯობს, გამოიჩინოთ სიფრთხილე და სარისკო საქმეებისგან თავი შორს დაიჭიროთ - ასჯერ გაზომეთ და ერთხელ გაჭერით! იყავით კორექტული ახლობლებთან ურთიერთობისას.

მამაკაცი: მოთმინების გამოჩენა გმართებთ, რათა კონფლიქტი თავიდან აიცილოთ. მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდეთ სამსახურს, უმტკივნეულოდ მიიღეთ შენიშვნები და ეცადეთ, გაითვალისწინოთ მეგობრების რჩევა.

თევზი - 20/II-20/III

ქალი: ამ კვირაში გირჩევთ გამოიჩინოთ პრინციპულობა. თუმცა, პრინციპულობა სიჯიუტეში არ უნდა გადაიზარდოს. წინააღმდეგ შემთხვევაში მეგობრებს გაანაწყინებთ და მათ შემოსარიგებლად დიდი ძალისხმევა დაგვირდებათ.

მამაკაცი: არცთუ ისე მშვიდი კვირა გელით, მაგრამ ყველაფერი გამოსწორდება. მოერიდეთ ალკოჰოლს. არც სამოგზაუროდ წასვლას გირჩევთ. უმჯობესია, დროის უმეტესი ნაწილი ოჯახში გაატაროთ.

მეჩვეული - 21/III-20/IV

ქალი: გაცივობთ ადამიანს, რომელიც მომავალში თქვენი საიმედო პარტნიორი გახდება. ფინანსური საკითხების მოგვარებისას არ აჩქარდეთ. ოჯახში მოსალოდნელი კონფლიქტის განმუხტვა მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ.

მამაკაცი: თავი დაანებეთ უპერსპექტივო ოცნებებს. დროა, დააფასოთ ის ადამიანი, ვისაც გულწრფელად უყვარხართ და ვინც თქვენი გულისთვის არც დროს დაზოგავს და არც ენერგიას.

მეჩვეული - 21/IV-21/V

ქალი: თქვენს ოჯახში მშვიდი და გაწონასწორებული სიტუაციაა. შეინარჩუნეთ იგი. ნურავის მოაბეზრებთ თავს დარიგებებით და შენიშვნებით. ზედმეტი პრეტენზიებისგან თავის შეკავებას გირჩევთ.

მამაკაცი: გაიხსენეთ წარსულში დამატებული შეცდომები. დიდი შანსი გაქვთ მათი გამეორების, თუ კარგად არ აწონდაწონით შექმნილ მდგომარეობას. ამ კვირაში ვიღაც შეეცდება თქვენს პროვოცირებას.

მეჩვეული - 22/V-21/VI

ქალი: სიმშვიდის შენარჩუნებისკენ მოგიწოდებთ. ამ კვირაში მაქსიმალურად შეეცადეთ, ასიაშოვნოთ საკუთარ თავს. კარგი იქნება, თუ იმიჯის შეცვლაზეც იზრუნებთ და ახალ ტანსაცმელსაც შეიძინებთ.

მამაკაცი: ნუ გაბრაზდებით, თუკი მეგობრები დანაპირებს ვერ შეგისრულებენ. გახსოვდეთ, რომ არსებობს ობიექტური მიზეზები, რომელიც სურვილების შესრულებაში გვიშლის ხელს.

მეჩვეული - 22/VI-22/VII

ქალი: იმ წინადადებებზე, რომელსაც ამ კვირაში მიიღებთ, ფიქრიც კი არ ღირს. ოჯახში დაძაბულობის მიზეზი მხოლოდ თქვენ ხართ. აუხსენით ოჯახის წევრებს, რა გწყინთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვერავინ მიხვდება თქვენი აგრესიის მიზეზს.

მამაკაცი: ამ კვირაში შექმნილ ყველა პრობლემას შეიძლება საყვარელ ადამიანთან ურთიერთობის გამწვავებაც დაემატოს. ამიტომ ჯობს, მასთან შეხვედრა სხვა დროისთვის გადადოთ.

მეჩვეული - 23/VII-23/VIII

ქალი: არ გირჩევთ სამსახურებრივი რომანის გაჩაღებას. ამ კვირაში ყოველგვარი ფლირტისგანაც თავი შეიკავეთ, რადგან თქვენი კეკლუცობა სხვებს შეუმჩნეველი არ დარჩებათ და მითქმამოთქმას გამოიწვევს.

მამაკაცი: დაძაბული დღეები გელით: ვნებათაღელვა სასიყვარულო ფრონტზე, ინტრიგები სამსახურში, სკანდალი წვეულებაზე... ეს პერიოდი მომავალში დიდხანს გემახსოვრებათ.

მეჩვეული - 24/VIII-23/IX

ქალი: თქვენს მონდომებას, ბოლოს და ბოლოს, დააფასებენ და აქტიურად დადგება თქვენი დაწინაურების საკითხი. წინ საინტერესო დღეები გელით. დიდი ხნის ნანატრ წარმატებას მიაღწევთ.

მამაკაცი: საოჯახო საზრუნავმა შეიძლება თავი მოგაბეზრათ, მაგრამ რას იზამთ - პრობლემებს თქვენსავით ვერავინ მოაგვარებს. ამიტომ ჯობს, ამ კვირაში ოჯახის წევრებს განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოთ.

მეჩვეული - 24/IX-23/X

ქალი: ერთობლივი პროექტისგან თქვენი პარტნიორი უფრო მეტს მოელოთ, ვიდრე თქვენ, მაგრამ ყველაფერი პირიქით მოხდება. მოულოდნელი სიხარულით გამოწვეული განცდა დიდხანს გაგვკვებათ.

მამაკაცი: ოჯახის წევრები თავიანთი პრეტენზიულობითა და ამავე დროს, ზედმეტი ხელგამლილობით გადიხიანებენ, მაგრამ მოთმინება გმართებთ! სამაგიეროდ, ოჯახის მარჩენალის სტატუსი პატივისცემას იმსახურებს.



↖	ქ	წ	ნ	გ	ო
ტროპიკული ხილი	ქ	ხ	ზ	მ	აგენტი 0013
გალამღნარი კარაქი	წ	შ	ი	ქ	წ
ვაიკულე		დიდი თუთიყუში	აბუ ალი ... სინა	წ	ტროას სკანასკნელი მეფე
				წ	↖


ღია, მსუბუქი ავტომობილი	წ	ცხენ-კაცი	გერდას მეგობარი	ქ	ქიმიური ინდიკატორი	ერთად დაჭრილი კიბრი და პომიდორი	ს	უ	წ	შ	თ	წ
ღ	წ	↖	„ბაიერის“ თავდამსხმელი ... მაკი	წ	ფრანგი მწერალი (1871-1922)	კინოსა და თეატრის ზანგი მსახიობი	გამარჯვების ბერძნული კალამური	წ	ი	ბ	ე	ღ
	წ	ქ	ქ	ხ			↖		კ	წ	წ	↖
ჰ	ხ	წ	ღ	ქ	XX-ს ულამაზესი კალატონი ხლის წყნე ფულატონი	ხ	თ	ბ	მდიდრული აგარაკი	იაპონური ფირმა	ი	ჰ
	ი	შ	წ	უ			ვალტერ სკოტი „...-როი“	სცენური სახე	ვივიენ ან ბრიუს	ი	გერმანელი ფიზიკოსი	მ

ბიჭვინთის ადრინდელი სახეუწოდება	ჰ	წ	საღვთის რეზანი	ს	შ	ი	ჭ	ო	ღ	ო	წ	ი
ქალაქის თავი ჯაგბიშვილის ძივის	წ	ვ	წ	ი	ღ	ღისკოს ყოფილი მოცეკვავე და მსახიობი						
ქ	ე	ხ	ი	მდინარე აფრიკაში	ქ	იტალიელი ფიზიკოსი და ფიზიოლოგი						
ს	ი	რუმი-ნელი ფეხბურთელი	ვ	ოტელოს წარმოშობა	მ	ი	...ღე-უანებით					
უ	თანხმობა ესპანურად	ამერიკელი მწერალი	ღ	ღ	ღ	მ	ჰ					
ს	ი	ნიკიტა ... უილსონი	ქ	ე	წ	წინასწარი განცხადება სექტაკლის შესახებ	შვედური ავტომობილი					
ი	ს	წ	ო	წ	წ							

შეადგინა რამაზ ალანია

43-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტექსტის პასუხები: 1-ა; 2-გ; 3-ა.

რატა ცხოვრება სინარულად გაქცეთ !!!



პირველი ხარისხის სიმსუქნე იწვევს შურს, მეორე – ღიმოს, მესამე – დაცინვას, ხოლო მეოთხე – სინანულს. მსუქანი ადამიანები ყველგან არიან, მაგრამ ყველას როდი ესმის, რომ სრულ და მით უმეტეს მსუქან ხალხს საკმაოდ მძიმე ყოფა აქვთ, როგორც პირდაპირი, ასევე, გადატანითი მნიშვნელობით. ჭარბი წონა ხომ მრავალი დაავადების საწინდარია.

ვინაიდან ჭარბი წონის წარმოქმნის ძირითად მიზეზს წარმოადგენს არასწორი კვება, ამიტომ მასთან ბრძოლის ერთ-ერთ მთავარ პრინციპს წარმოადგენს კალორიების შემცირება.

ამავე დროს უნდა გახსოვდეთ, რომ გასახდომად

მად არ არის საკმარისი მხოლოდ საკვებით მიღებული ენერჯის შემცირება, არამედ საჭიროა მისი ხარჯვის ზრდა – ანუ ფიზიკური დატვირთვა. ყველაზე მარტივი და ეფექტური ფორმა კი გახლავთ ჩვენი დროის სიახლე – გასახდომი ქამარი მიოსტიმულატორი **Abtronic Pro**.

Abtronic Pro საქართველოში სიახლეა, ევროპასა და ამერიკაში კი სრული ბუმი. ბუმი ქამარზე, რომელიც 21-ე საუკუნის ადამიანების ცხოვრების მეგზურად იქცა.

აბტრონიკის უამრავი ღირსებებიდან გაგაცნობთ სულ რამდენიმეს:

- იწვევს ღრმა კუნთურ შეკუმშვებს, ამაგრებს მოდუნებულ კუნთებს და აუმჯობესებს მათ ტონუსს;
- ამცირებს და შლის ცელულიტს;
- მართავს გახდომის პროცესს: პირველ რიგში მოქმედებს სხეულის იმ ნაწილებზე, რომლებიც უფრო მეტად საჭიროებენ გახდომას;
- აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას;
- აუმჯობესებს კანის სტრუქტურას;
- ეფექტურად ებრძვის ოსტეოქონდროზსა და სქოლიოზს.



კვირად ღირებულ დარბაზებში სიარული მიუწვდომელია თქვენთვის? – მოიკბათ არა გაქვთ დრო ვარჯიშისათვის? – მოიკბათ გახარებათ ვარჯიში? – მოიკბათ

Abtronic Pro!

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით: ☎ (995 32) 33 30 63; (995 32) 36 49 45 ან დაგვიკვითეთ ინტერნეტმაღაზიაში: www.shopge.com. ჩვენი კურიერი მოგაწვდით შეკვეთას თქვენთვის სასურველ მისამართზე თბილისში. კურიერის მომსახურება უფასოა.

არის თუ არა თქვენი ოჯახი მყარი

ცხოვრებისეული პრობლემები გავლენას ყველა ოჯახზე ახდენს. ზოგიერთი ცოლ-ქმარი სირთულეების დაძლევის ერთად ასწავლებს, ზოგს კი, ეს არ გამოადის. თუ გსურთ შეიტყუოთ, რამდენად მყარია თქვენი ოჯახი, უბასუხეთ ამერიკელი ფსიქოლოგების მიერ შემუშავებული ტესტის შეკითხვებს. პასუხები უნდა გაცხეთ, რაც შეიძლება სწრაფად და გულწრფელად.



- 1) შეგიძლიათ თუ არა წინასწარ განსაზღვროთ თქვენი მეუღლის რეაქცია ამა თუ იმ სიტუაციაში?
 - ა) დიახ - 5;
 - ბ) ხშირად - 4;
 - გ) ხანდახან - 3;
 - დ) არა, ეს შეუძლებელია - 2.
- 2) უმეტესად, როგორ შეგიძლიათ დაასახიანოთ თქვენი მეუღლის ქცევა?
 - ა) დადებითად - 5;
 - ბ) უარყოფითად - 1;
 - გ) ძნელია განსაზღვრა - 3.
- 3) რომელი წინადადება მისადაგება ყველაზე კარგად თქვენს მეორე ნახევარს?
 - ა) ის კარგი მშობელია - 3;
 - ბ) ის კარგი პიროვნებაა - 5;
 - გ) ის ნამდვილი ნამირალაა - 1.
- 4) შეიძლების აღზრდაში თქვენ და თქვენს მეუღლეს სრული ურთიერთგაგება გაქვთ?
 - ა) დიახ - 5;
 - ბ) არა - 1;
 - გ) არ ვიცი - 3.
- 5) ცხოვრების საკვანძო საკითხებზე თქვენი და თქვენი მეუღლის შეხედულებები თუ ემთხვევა?
 - ა) დიახ - 5;
 - ბ) არა - 1;
 - გ) ზოგჯერ კი, ზოგჯერ არა - 3.
- 6. ხშირად გამოხატავს თუ არა მეუღლე თქვენ მიმართ სიბოძს?
 - ა) დიახ - 5;
 - ბ) არცთუ ისე ხშირად - 3;
 - გ) იშვიათად - 1.

- 7) გვერათ თუ არა იმის, რასაც მეუღლე ვიამბობთ?
 - ა) დიახ - 5;
 - ბ) ხანდახან - 3;
 - გ) როგორც წესი, არა - 1.
- 8) როგორი ურთიერთობა გაქვთ მეუღლის ნათესავებთან?
 - ა) საკმაოდ კარგი - 5;
 - ბ) ნორმალური - 3;
 - გ) იშვიათად ეკონტაქტებით - 1.
- 9) როგორი ურთიერთობა აქვს მეუღლეს თქვენს მშობლებთან?
 - ა) შესანიშნავი - 5;
 - ბ) ნორმალური - 3;
 - გ) არცთუ ისე კარგი - 1.
- 10) რომელი გამონათქვამი შეეფერება ყველაზე მეტად თქვენს ოჯახურ ურთიერთობას?
 - ა) თქვენ და თქვენს მეუღლეს სრულიად განსხვავებული ინტერესები გაქვთ - 1;
 - ბ) თქვენი ოჯახის წევრებს ბევრი საერთო ინტერესი აქვთ - 5;
 - გ) თქვენი და თქვენი ოჯახის წევრების ინტერესები საერთოა - 3.
- 11) როგორ გხვდებათ მეუღლე, როცა შინ გალიზიანებული ბრუნდებით?
 - ა) თანაგიგრძობთ - 5;
 - ბ) ვერც კი ამჩნევს - 1;
 - გ) ისე იქცევა, თითქოს ყველაფერში თქვენ იყოთ დამნაშავე - 3.
- 12) რამდენ ხანს გრძელდებოდა თქვენი ურთიერთობა ოჯახის შექმნამდე?
 - ა) წელიწადზე ნაკლები - 1;
 - ბ) დაახლოებით ერთი წელი - 3;

- გ) ორ წელიწადზე მეტი - 5.
- 13) ვინ განკარგავს თქვენს ოჯახურ ბიუჯეტს?
 - ა) თქვენ - 4;
 - ბ) თქვენი მეუღლე - 1;
 - გ) ყოველდღიური სახარჯო თანხა ორივეს გაქვთ, მსხვილმან შენაბენს კი ერთად აკეთებთ - 3.
- 14) გიყვართ თუ არა მეუღლესთან ერთად მალაზიებში სიარული?
 - ა) დიახ - 1;
 - ბ) არა - 5;
 - გ) ხანდახან - 3.
- 15) ხართ თუ არა რელიგიური?
 - ა) დიახ, ორივე - 5;
 - ბ) თქვენ კი, მეუღლე - არა - 2;
 - გ) მეუღლე კი, თქვენ - არა - 2.
- 16) გაქვთ თუ არა მეუღლის იმედი კრიტიკულ სიტუაციაში?
 - ა) დიახ - 5;
 - ბ) არა - 1;
 - გ) დარწმუნებული არ ხართ მის შესაძლებლობებში - 2.
- 17) ოჯახური სკანდალის შემდეგ რამდენიმე თვით ცალ-ცალკე თუ გიცხოვრიათ?
 - ა) დიახ, ხშირად - 1;
 - ბ) მგონი, ერთი-ორჯერ - 2;
 - გ) არასოდეს - 5.
- 18) შეუძლია თუ არა თქვენს მეუღლეს საკუთარ თავზე აიღოს თქვენი შესასრულებელი საქმე, როცა ავად ხართ?
 - ა) დიახ, რა თქმა უნდა - 5;
 - ბ) თუ სთხოვთ, კი - 3;
 - გ) არა - 1.

დააჯამეთ ძულეზი

70 და მეტი: საქმე ნამდვილად მოსალოცად გაქვთ, მყარი ოჯახის პატრონი ხართ და თქვენსა და მეუღლეს შორის სრული ურთიერთგაგება სუფევს. თქვენი კავშირი მყარი და საიმედოა. ასე რომ, ცხოვრებისეულ პრობლემებთან გამკლავება არ გაგიჭირდებათ.

50-69: შეიძლება, თქვენი ქორწინება იდეალური არ არის, მაგრამ მასზე არც უიღბლო ითქმის. ერთმანეთთან ურთიერთობით ორივენი კმაყოფილები ხართ, ერთმანეთის კარგად გესმით და ეს იმის იმედს იძლევა, რომ თუკი მოინდომებთ, თქვენი ოჯახი უფრო მყარი გახდება.

35-49: თქვენს ქორწინებას ძნელია, ბედნიერი უწო-

დოს ვინმემ. თქვენ და თქვენი მეუღლე ერთმანეთს ძნელად უგებთ და ერთმანეთთან მისასვლელი გზები თითქმის უკვე მოჭრილი გაქვთ. ჯობს, სანამ გვიანი არ არის, ყველაფერი კარგად აწონ-დაწონოთ, თორემ თქვენს თანაცხოვრებას დიდი დღე არ უწერია.

34 და ნაკლები: მგონი თქვენც აშკარად ხედავთ, რომ ქორწინებით კმაყოფილი არც თქვენ ხართ და არც თქვენი მეუღლე. იმის ძალაც აღარ შეგწევთ, რომ დასხდეთ და პრობლემებზე გულახდილად ისაუბროთ. გონს მოეგეთ, სანამ ჯერ კიდევ დროა და ეცადეთ, გაუგოთ ერთმანეთს.

მინსკის ცენტში XVIII საუკუნის ლუდსანა აღმოაჩინეს

არქეოლოგებმა ბელორუსიის დედაქალაქის ისტორიულ ცენტრში XVIII საუკუნის ლუდსანა იპოვეს. მიუხედავად იმისა, რომ ამ ადგილას მშენებლობის დაწყებას აპირებენ, არქეოლოგებმა რამდენიმე კვირის განმავლობაში მანძილზე მოახერხეს 4 მეტრის სიღრმეზე მიწის გათხრა, სადაც XVII-XVIII სს-ის უმდიდრესი კულტურული შრე აღმოაჩინეს. ნაპოვნია 3000-მდე საგანი – სახლის ჭურჭლეულობა, ტანსაცმლის და ფეხსაცმლის ფრაგმენტები, აგრეთვე ქაღალდის მუდრიონი და ცხენის მოსართავის ნაწილი. როგორც ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიის განყოფილების გამგე სერგეი ტარასოვი განაცხადა, ნაპოვნი საშუალებას იძლევა მეცნიერებმა ახლებურად დაინახონ იმდროინდელი მინსკის ისტორია. კერძოდ, საეკლესიო შესაძლებელია იმის თქმა, რომ განვითარების გამო ქალაქს XVIII საუკუნის ბოლოს რუსეთის იმპერიაში საგუბერნიო ცენტრის სტატუსი მიენიჭა. აღმოჩენილი ნივთების შესწავლისას, არქეოლოგები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ მოდა მაშინაც საკმაოდ კაპრიზული იყო. აღმოჩენილია როგორც გრძელი და წაწვეტებული ცხვირიანი, ისე მოკლე და ბრტყელი ცხვირიანი ფეხსაცმელები. აგრეთვე, თქმის ფარფლებიანი ქუდი, რომელიც, სხვათა შორის, ლუდსანასთან იპოვეს. ტარასოვის აზრით, ის სამიკიტნოში შექმნილი ნივთებია ვინმე წვრილმა აზნაურმა დაკარგა.



სამეფო ოჯახში „შტატების შემციხება“

ლონდონის ცვილის ფიგურების მადამ ტიუსოს ლეგენდარული მუზეუმის ხელმძღვანელებმა გადაწყვიტეს, ექსპოზიციაში ბრიტანეთის სამეფო ოჯახის წევრთა რაოდენობა შეამცირონ. ბოლო მონაცემებით, ცვილის კომპოზიციებს ყველაზე ცნობილი მონარქიული ოჯახის წევრების პრინც ენდრიუსი, პრინც ედუარდისა და პრინცესა ანას ფიგურები გამოაკლდება. სამეფო ვეარის ცოცხალი წევრების ფიგურებს, რომელიც უკვე გამოფენილი გახლდათ მუზეუმის მუდმივ ექსპოზიციაში, პირველად მოათავსებენ საცავში. მალე, მადამ ტიუსოს მუზეუმში მხოლოდ დელოფალი ელიზაბეტ II, მისი მეუღლე ედინბურგელი ჰერცოგი ფილიპი, ბრიტანეთის ტახტის მემკვიდრე ჩარლზი, დედადელოფალი და უელსის პრინცესა დაიანა დარჩებიან.

როგორც მუზეუმის წარმომადგენლები განმარტავენ, მნახველებისთვის ცვილის კომპოზიციები გასართობი უნდა იყოს და არა მოსაბეზრებელი. ბრიტანული ტრადიციების თავყანისმცემლებსა და ტურისტებს იმედი რომ არ გაუცრუვდეთ, მადამ ტიუსოს მუზეუმის თანამშრომლები სიურპრისს ამზადებენ. გამოფენაზე ახლო მომავალში წარმოდგენილი იქნება ახალგაზრდებში პოპულარული, უელსის პრინცის – უილიამის ფიგურა.

„ხეაღიტი-შოუში“ მოგებუნი ქაღი მამაკაცი აღმოჩნდა

ექვსმა განრისხებულმა ინგლისელმა სასამართლოში უჩილა „რეაღიტი-შოუს“ ავტორებს. მათ კამერების წინ საღი კვირა დაყვეს, რათა მშენიერი ლათინურამერიკელის გული დაეპროთ. წარმოიდგინეთ, რა დღეში ჩავარდებოდა გამარჯვებული, როცა აღმოაჩინა, რომ ეს მშენიერი არსება მამაკაცი იყო.



მოსარჩელები შოუს შემქმნელს „სექსუალური ძალადობის აქტის ჩადენაში“ ადანაშაულებენ. მონაწილეები ამტკიცებენ, რომ მათ ხელი არ მოუწერიათ „მამაკაცთან კონსახე“. მათივე თქმით, ზიზლის გრძობა გაუჩნდათ, როცა მიხვდნენ, რომ ამ ხნის განმავლობაში, მათ „მამაკაცი ებლარტუნებოდა“. ტელეკომპანიას ისინი აგრეთვე, დისკრედიტაციამ, კონტრაქტის პირობების დარღვევასა და მორალური ზარალის მიყენებაში ადანაშაულებენ.

რაც შეეხება შოუს მაცურებელს, ისინი თავიდანვე ინფორმირებულები იყვნენ, რომ მშეთუნახავი მირაღი – სინამდვილეში ტრანსსექსუალი იყო, რომელიც ცდილობს, ფული სქესის გამოცვლის გზით იშოვოს.

ყველაფერი კი მას შემდეგ გაირკვა, როცა მირაღმა გამარჯვებული ამოიჩინა. როგორც კი გაიშვირა ხელი იმ „ბენიერიისაკენ“, უმაღ ქვედაბოლო აიწია.

გაზეთ The Sun-ის ინფორმაციით, ამის შემდეგ სტუღიამი ჩხუბი ატყდა. შოუს ერთ-ერთი მონაწილე იდენად იყო აღშფოთებული, რომ სასტიკად სცემს პროდოსური. დაზარალებულთა ადვოკატები ტელეკომპანია Sky One-სგან მოითხოვენ, რომ შეწყდეს შოუ – „რადაც მირაღის შესახებ“ ჩვენება.

სიდნეღმა ქაღბატონმა ყუხებში ტახანებთ გაიღვიდა

სიდნეღში მცხოვრები ქაღბატონი, რომელმაც ერთ მშენიერ დღეს, გავიძებისთანავე აღმოაჩინა, რომ ყურები ტარაკნებით ჰქონდა სავე, ხელისუფლებისგან კომპენსაციას მოითხოვს, რადგან მან ვერ შეძლო, მისი სახლი სათანადოდ დაეცვა მწერებისაგან.

ტრეისი ნიუტონის თქმით, მის სახლში იმდენი ტარაკანია, ხანდახან ეჩვენება, რომ „კედლები მოძრაობენ“. „ისინი პირდაპირ ჰერედან ცვიან“, – ამბობს ავსტრალიელი.

არადა, მის ბინაში ბოლო 6 წლის განმავლობაში 18-ჯერ არის დეზინფექცია ჩატარებული. საბრალი ქაღი, სანამ ყურებში არ აღმოაჩინდა საზიზღარ მწერებს, მანამ ვაჟაკურად იტანდა თავის სახლში ცხოვრებას.

„თავდაპირველად მეგონა დაფრუდი. როცა მივხვდი, რაც ხდებოდა ჩემს თავს, პანიკაში ჩავვარდი, მაგრამ შემდეგ ექიმს მივმართე და მან გამითავისუფლა ყურები“.

საჩივარში, რომელიც მან სასამართლოს გაუგზავნა, ირწმუნება, რომ ტარაკნებმა უზარმაზარი ფსიქოლოგიური ზარალი მიყენეს. ფაქტობრივად, ფსიქოზამდე და დეპრესიამდე მიიყვანეს.

როგორც სასოწარკვეთილმა ტრეისი ნიუტონმა ჟურნალისტებთან ინტერვიუში აღნიშნა, სწორედ ტარაკნებმა დაუნერვის მას ცხოვრება და სხვა ადამიანად აქციეს.

ფოტოკუჩიოზები



ძაღვან სან ცეჩიესო უჩინალი!

638/40

TV-პროგრამა
03.11-09.11. 2003 წ.

ახალი
მართალი
როგანი

„სიბყვა მამაკაცი უნდა ღაპივიწყო?!“

კაიუსი

№44(57): 2003 წ. 10-თ.

15



ყოფილი მიხროპოლიტი
გაიოზ კარაბიჯილი
პირველად ელაზნაძე

44



სანა ძვანოვილი
იხალის კაიუსის შიგულად
გაღმრთება დათმნება

12



სილვაბი — რას უბრძნობს
გული მთხრობიას

მერაბ
საფაშვილის
ნახევარძმა
ქურნალისტებს
ეგუქრება

ვინ იცავდა
გოგლერალს
პოლიციისგან

